საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№10 (245)
19 – 25 მარტი, 2014

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

12 ადრე სოციალიზმს ვიშენებდით, ახლა ვიმღერებთ!

# რას მოუტანს საქართველოს «ახალი ცივი ომი»? 8




# ყმათა ღაღადი... 3

4 «ქმარი როლანდე ახალაიამ მომიკლა!»

«სააკაშვილი, CNN-იდან BBC-ში კი არა, სასამართლოდან სასამართლოში 9 უნდა დარბოდეს»

უკრაინის ახალი ლიდერები – გეები და შარაგზის ყაჩაღები 20

## მოვითხოვ, დამაბრუნოთ ციხეში! 6



«ციხიდან გამოსულს უარესი საქართველო დამხვდა, ვიდრე დაპატიმრებამდე იყო. გარეთ უარესი ხდება, ვიდრე ციხეში და მოვითხოვ, დამაბრუნოთ ციხეში!»

## ვინ იყო სინამდვილეში სტეპან ბანდერა? 18

## როგორ აჩუქა ნიკიტა ხრუშჩოვმა ყირიმი უკრაინას 19

## ორჰან ფამუქი



- არ იცის, ვინ არის რუსთაველი,
- ვერ იტანს ქართველებს,
- ქართველ ქალებს ბოზებს ეძახის,
- ლანძღავს ქართველ კაცებს...

**მისაღებია!**
ახალი საყვარელი მწერალია

## სერგეი ბეზრუკოვი



ბეზრუკოვმა იცის, ვინ არის რუსთაველი და არასდროს მისცემს თავს უფლებას, ქართველ ქალებს ბოზები ეძახოს, ქართველი კაცი კი ისე გალანძღოს, როგორც ფამუქმა...

**მიუღებელია!**
არ შემოვუშვათ ქვეყანაში 5

1203 წელს ბასიანის ბრძოლა გაიმართა ქართველთა ლაშქარსა და თურქ-სელჩუკთა ურდოს შორის. ამ ბრძოლამდე თურქთა სულთანმა რუქნადინმა თამარ მეფეს მორჩილება მოსთხოვა და ელჩის პირით შემოუთვალა, თუ დამნებდები, წყალობას გავიღებ და ხარჭად დაგისვამო. იმ ელჩს ზაქარია მხარგრძელმა ისეთი სილა გააწნა, კარგა ხანს აზრზე ვერ მოიყვანეს, ბრძოლა კი ქართველებმა მოიგეს და თურქებს შეურაცხყოფა არ აპატიეს.

ამბები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## რუსების 31 პროცენტი საქართველოსადმი კეთილგანწყობილია, 50 პროცენტმა კი არ იცის, რა ხდება დღეს რუსეთსა და საქართველოს შორის

**რუსეთის მოსახლეობის 31 პროცენტი კეთილგანწყობილია საქართველოს მიმართ: „იქ ემოციური, კარგი, მხიარული ადამიანები ცხოვრობენ. ეს მოძმე ხალხია“. რესპონდენტთა 8 პროცენტს კი საქართველოს მიმართ უარყოფითი განწყობა აქვს — ასეთია შედეგები გამოკითხვისა, რომელიც ჩაატარა ფონდმა „საზოგადოებრივი აზრი“.**

რესპონდენტების 50 პროცენტმა, ინფორმაციის უქონლობის გამო, ვერ შეაფასა რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობა. ხოლო 44 პროცენტი დარწმუნებულია, რომ 5-10 წლის შემდეგ საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობა საგრძნობლად გაუმჯობესდება.




## სომხეთის მოქალაქე 20-ლარიანს 23.99 დოლარად ყიდის

**მსოფლიოში პოპულარულ ონლაინაუქციონ ebay-ზე, სადაც ინტერნეტმომხმარებელი სხვადასხვა პროდუქციას ყიდის, 20-ლარიანი კუპიურა 23,99 ამერიკულ დოლარად იყიდება.** ლოტი, ვებგვერდზე არსებული ლოკაციის ველის მიხედვით, სომხეთიდან არის ატვირთული (Europe, Yerevan, Armenia). 20-ლარიანი კუპიურა 2011 წელს არის დაბეჭდილი და მას მფლობელი შემდეგ აღწერას ურთავს: „ძალიან კარგ მდგომარეობაში“ (Very good condition!). **20-ლარიანის 23,99 დოლარად შეძენის რამდენიმე მსურველი უკვე გამოჩნდა.**



## თბილისიდან რუსთავამდე გზის გავლას 15 წუთი დასჭირდება

**თბილისიდან რუსთავამდე გზა, ახალი ავტომაგისტრალის აშენების შემდეგ, 15 წუთში დაიფარება, — განაცხადა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა დავით ნარმანიამ.**

ხელშეკრულება ავტომაგისტრალის პირველი და მესამე მონაკვეთების მშენებლობის შესახებ უკვე გაფორმდა მუნიციპალური განვითარების ფონდსა და ტენდერში გამარჯვებულ კომპანია „სინოჰიდრო კორპორეიშენ ლიმიტედს“ შორის.

სამუშაოები 20 აპრილს დაიწყება. კონტრაქტის ვადა 17 თვეა. ამ ეტაპზე პირველი და მესამე მონაკვეთების რეაბილიტაცია განხორციელდება. პროექტის მიმდინარეობის პერიოდში პირველ მონაკვეთზე გზა არ იქნება გადაკეტილი, ხოლო მესამე მონაკვეთზე სამუშაოების დაწყებისას გზის ერთი მიმართულება გადაიკეტება. მნიშვნელოვანია, რომ სამუშაოებზე 100% ადგილობრივი არაკვალიფიციური მუშა-ხელი იქნება დასაქმებული.

თბილისი-რუსთავის მშენებლობის პროექტი აზიის განვითარების ბანკისა და საქართველოს მთავრობის მიერ ფინანსდება და საერთაშორისო მნიშვნელობის „თბილისი-წითელი ხიდი“ (აზერბაიჯანის რესპუბლიკის საზღვარი) საავტომობილო გზის თბილისი-რუსთავის მონაკვეთის მოდერნიზაციას ითვალისწინებს.

საპროექტო ავტომაგისტრალის სიგრძე საორიენტაციოდ 17.4 კილომეტრია. ტრასის სირთულის გათვალისწინებით, საპროექტო ტრასა და, შესაბამისად, საპროექტო ღონისძიებები სამ განსხვავებულ მონაკვეთად არის დაყოფილი.

## ვლადიმერ პუტინი: არ დავუშვებთ, რომ ნატომ ჩვენს ისტორიულ ტერიტორიებზე იბატონოს!

**17 მარტს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა ხელი მოაწერა განკარგულებას ყირიმის რესპუბლიკის რფ-ის შემადგენლობაში მიღებისა და რუსეთში ახალი სუბიექტების წარმოქმნის შესახებ. 18 მარტს კი ამ საკითხზე კრემლში სიტყვით გამოვიდა.**



რუსეთის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ყირიმში რეფერენდუმი, რომელშიც ამომრჩეველთა 82 პროცენტი მონაწილეობდა, დემოკრატიული პროცედურების შესაბამისად ჩატარდა, **რეფერენდუმის მონაწილეთა 96 პროცენტზე მეტმა კი რუსეთთან შეერთება მოისურვა, ამასთანავე, რუსეთის მოსახლეობის 92 პროცენტი მხარს უჭერს ყირიმის შემოერთებას**.

ვლადიმერ პუტინმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ **უკრაინაში დღემდე არ არის ლეგიტიმური ხელისუფლება, სახელმწიფო ორგანოები კი რადიკალურად განწყობილი ელემენტების მიერ არის უზურპირებული, ამიტომ მათთან მოლაპარაკების დაწყება შეუძლებელია, თუმცა უკრაინასთან ურთიერთობა რუსეთისთვის ყოველთვის იქნება უმნიშვნელოვანესი, საკვანძო საკითხი**.

„პატივს ვცემთ უკრაინის ტერიტორიულ მთლიანობას, მაგრამ ფაქტების მიხედვით, ყირიმი მხოლოდ რუსეთს უნდა ეკუთვნოდეს“, — განაცხადა პუტინმა.

ევროკავშირისა და აშშ-ის რეაქციაზე საუბრისას რუსეთის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ უკრაინის შემთხვევაში რუსეთის დასავლელი პარტნიორები უხეშად, უპასუხისმგებლოდ და არაპროფესიონალურად იქცეოდნენ, თუმცა მათ შესანიშნავად იცოდნენ იმ მილიონობით რუსი ადამიანის შესახებ, რომლებიც ყირიმში ცხოვრობდნენ. რუსეთი აღმოჩნდა ზღვარზე, რომლის იქითაც დახევა შეუძლებელი იყო.

**რუსეთის ლიდერმა მადლობა გადაუხადა ჩინეთისა და ინდოეთის ხელმძღვანელობას და აშშ-ის მოსახლეობას თხოვნით მიმართა, მხარი დაუჭიროს ყირიმის მოსახლეობის სწრაფვას თავისუფლებისადმი**.

„ჩვენ არ ვართ ნატოსთან თანამშრომლობის წინააღმდეგი. ჩვენ იმის წინააღმდეგი ვართ, რომ სამხედრო ორგანიზაციამ ჩვენს ღობესთან, ჩვენს სახლთან, ჩვენს ისტორიულ ტერიტორიებზე იბატონოს, **ვერც კი წარმომიდგენია, რომ სევასტოპოლში სტუმრად ვივლით ნატოელ მესაზღვრეებთან. ისინი (ნატოელები) შესანიშნავი ბიჭები არიან, მაგრამ, სჯობს, თვითონ ჩამოვიდნენ ჩვენთან სევასტოპოლში, ვიდრე ჩვენ ჩავიდეთ მათთან**“, — განაცხადა რუსეთის პრეზიდენტმა, რომელმაც სიტყვით გამოსვლის ბოლოს კოსოვოს პრეცედენტზეც ისაუბრა.

„ყირიმის ხელისუფლებამ გადაწყვეტილება კოსოვოს პრეცედენტის გათვალისწინებით მიიღო, რომელიც ჩვენმა დასავლელმა პარტნიორებმა თვითონ შექმნეს, საკუთარი ხელით. **კოსოვოში ვითარება ყირიმის ვითარების მსგავსი იყო, თუმცა სერბეთისგან კოსოვოს გამოყოფა მაინც ლეგიტიმურად ცნეს. ამით ყველას დაანახეს, რომ დამოუკიდებლობის გამოცხადებისთვის ქვეყნის ცენტრალური ხელისუფლებისგან ნებართვის მიღება საჭირო არ არის**.

**რატომ უნდა იყოს აკრძალული რუსებისთვის, უკრაინელებისთვის და ყირიმელი თათრებისთვის ის, რაც დასაშვებია კოსოვოელი ალბანელებისთვის? ეს ორმაგი სტანდარტიც კი აღარ არის, ეს რაღაც განსაცვიფრებელი, პრიმიტიული და სწორხაზოვანი ცინიზმია.** დაუშვებელია, ასე უხეშად დაუქვემდებარო ყველაფერი შენს ინტერესებს — ერთსა და იმავე საგანს დღეს თეთრი უწოდო, ხვალ — შავი“, — განაცხადა პუტინმა.

## ფრანგი პოლიტოლოგი: რუსეთის პასუხი სანქციებზე გამაოგნებელი იქნება!

**„რუსეთი მზად არის, ხისტად უპასუხოს უკრაინის სიტუაციის გამო დასავლეთის შესაძლო სანქციებს. პუტინს, რომელიც მოსახლეობის ფართო მხარდაჭერით სარგებლობს, შეუძლია მძიმე ეკონომიკური დარტყმა მიაყენოს ევროპას, შემდეგ კი ორიენტაცია აზიასთან ვაჭრობაზე აიღოს“, — წერს სორბონის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი, საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტი ქსავიე მორო ფრანგული გამოცემა realpolitik.tv-ის ვებგვერდზე.
ქსავიე მოროს აზრით, რუსეთის „შეუბრალებელი“ პასუხი მთელ რიგ გაბედულ ქმედებებს მოიცავს:**



**— ყველა იმ სახელმწიფოს სავალო ვალდებულებების გაყიდვა, რომლებმაც სანქციები შემოიღეს;**

**— რუსეთის სახელმწიფოს ან საწარმოების მიერ აღებული ნებისმიერი კრედიტის დაბრუნებაზე უარის თქმა;**

**— დასავლეთის აქტივების კონფისკაცია;**

**— მთელი დასავლური ვალუტა გაიყიდება და აზიური სავალუტო რეზერვებით შეიცვლება;**

**— დასავლეთთან ვაჭრობა დამთავრდება და მთელი ეკონომიკა აზიაზე, კერძოდ, ჩინეთსა და სამხრეთ კორეაზე აიღებს ორიენტაციას, რომლებიც ამ პერსპექტივის თაობაზე უკვე საქმის კურსში არიან და მათთვის ასეთი გაწყვეტა მეტად ხელსაყრელი იქნება;**

**— დოლარი მთლიანად გამოირიცხება კომერციული ბრუნვიდან.**

„ამ ნაბიჯების შედეგები ევროპული ეკონომიკისთვის კატასტროფული იქნება, განსაკუთრებით საფრანგეთის, გერმანიისა და პოლონეთისთვის“, — აფრთხილებს დასავლეთის ქვეყნებს ფრანგი პოლიტოლოგი.

## ყირიმში რეფერენდუმის მონაწილეთა 96%-მა მხარი რუსეთთან შეერთებას დაუჭირა




**ყირიმის სტატუსის თაობაზე გამართულ რეფერენდუმში, ოფიციალური მონაცემებით, მონაწილეთა თითქმის 96%-მა რუსეთთან შეერთებას მისცა ხმა. ამის შესახებ ყირიმის რეფერენდუმის კომისიის თავმჯდომარე მიხეილ მალიშევმა განაცხადა.**

რეფერენდუმში მონაწილეთა მხოლოდ 3%-მა მხარი არ დაუჭირა ყირიმის რუსეთთან მიერთებას, ბიულეტენების 1% კი კომისიამ ბათილად ცნო.

ყირიმში გამართულ რეფერენდუმს, ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის თაობაზე ოფიციალური კიევი, აშშ, ევროკავშირი, გაერო და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები არ აღიარებენ. ავტონომიური რესპუბლიკის „უმაღლესმა რადამ“ კი რიგგარეშე სხდომაზე „ყირიმის დამოუკიდებლობის შესახებ“ დადგენილება მიიღო, რომელსაც 85 დეპუტატმა დაუჭირა მხარი. როგორც დოკუმენტშია აღნიშნული, „16 მარტის რეფერენდუმმა აჩვენა, რომ ყირიმის მოსახლეობას რუსეთის შემადგენლობაში და შესაბამისად, უკრაინის შემადგენლობიდან გასვლა და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა სურს. ყირიმი გაეროსა და მსოფლიოს მიმართავს, ყირიმის დამოუკიდებლობა აღიაროს.

ყირიმში ოფიციალურ ვალუტად რუბლი გამოცხადდა, უკრაინული გრივნა კი ყირიმის ტერიტორიაზე 2016 წლამდე იმოქმედებს.

**ყირიმი სწორედ რუსული მიწაა და არა უკრაინული; რაც მთავარია, ვლადიმერ პუტინის დღევანდელი ქმედებები რიგით მესამე ცდაა, რუსეთის ძლევამოსილების აღდგენისა და მართლაც, ცივ ომში დამარცხებულმა რუსეთმა ბოლო ოცწლიანი კრუნჩხვა-ჭინთვების შემდეგ, როგორც იქნა, გააკეთა ისტორიული არჩევანი და ყირიმ-სევასტოპოლის დაბრუნებით, რაც უკვე ფაქტია, კვლავ მეორე პოლუსად მოევლინა მსოფლიოს.**

ავი მესაიფი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**იმის წინასწარმეტყველებას, რაც 16 მარტს ყირიმში მოხდა, ნოსტრადამუსობა ნამდვილად არ სჭირდებოდა, მაგრამ მაინც ვიტყვი — ისე აგიხდეთ ყველაფერი კარგი, როგორც ჩემს წინა სტატიებში გამოთქმული ვარაუდების ნაწილი უკვე ახდა გამართული რეფერენდუმის სახით. დიახ, ნაწილი, რადგან ყირიმი მხოლოდ დასაწყისია უკრაინაში და ზოგადად მსოფლიოში მიმდინარე შეუქცევადი პროცესისა, მაგრამ ამაზე — ქვემოთ...**

# ყმათა ღაღადი...



## რუსეთმა საკუთარი ინტერესები ბოლომდე დაიცვა. ამერიკელებმა უკრაინა ბოლომდე გაწირეს, ხოლო მაიდნელებმა უკრაინა პირწმინდად გაყიდეს

თუ ალექსანდრე ნეველის მიერ კულიკოვოს ველზე 1380 წლის რუსულ „ძლევაი საკვირველს" და ივანე მრისხანეს მეფობასაც „გამოვტოვებთ", რუსეთის ზესახელმწიფოებრივი ამბიციების საწყისი პეტრე დიდის მეფობა გამოვა. თუმცა რუსეთის პირველმა იმპერატორმა მხოლოდ ბალტიიდან გაჭრა ევროპაში სარკმელი და შავ ზღვაზე „ფეხის მოკიდება" ვერ შეძლო; სამაგიეროდ, ეს მისია წარმატებით განახორციელა ეკატერინე II-მ, რომელმაც დღევანდელი საჯილდაო ქვა, ყირიმის ნახევარკუნძული, მოაქცია რუსეთის იმპერიაში, მანვე დააარსა ქალაქი სევასტოპოლი (და არამარტო), როგორც რუსეთის შავი ზღვის ფლოტის აკვანი!..

მას მერე, საუკუნეზე მეტი ხნის მანძილზე რუსეთის იმპერია ძლევამოსილების ზენიტში იმყოფებოდა, რომელსაც წერტილი ნიკოლოზ II-ს უნიათობის გამო ბოლშევიკურ-ტროცკისტულმა გადატრიალებამ დაუსვა!

**თუმცა, როგორც თავად რუსები უწოდებენ რუსეთს, „სვეტაია რუს" ღმერთმა არ გაწირა და ტროცკისტი მასონებისგან მხსნელად ქართველი სტალინი მოუვლინა, რომელმაც ყველა წინამორბედს გადააჭარბა და, მიუხედავად მაშინდელი დასავლეთის პოლიტიკურ-ეკონომიკური ბლოკადისა (ეს იმათ საყურადღებოდაც, ვისაც ე. წ. სანქციებით რუსეთის დაშინების იმედი აქვთ), რუსეთის უძლიერესი ბირთვული იმპერია სსრკ-ის სახით დედამიწის 1/6-ზე გადაჭიმა!**

სტალინის სიკვდილის შემდეგ ხრუშჩოვ-ბრეჟნევის მსგავსმა ნეოტროცკისტებმა ანგრიეს, გამოხრეს, ძარცვეს სტალინის გენიის ინერციით მავალი სსრკ, რომელსაც საბოლოო წირვა ამერიკელების ტყლიპიანმა ხელისბიჭმა — მიხეილ გორბაჩოვმა გამოუყვანა...

ამ მცირე ისტორიული ექსკურსიდან, როგორც მინიმუმ, 2 რამ ჩანს: პირველი, რომ **ყირიმი სწორედ რუსული მიწაა და არა უკრაინული; რაც მთავარია, ვლადიმერ პუტინის დღევანდელი ქმედებები რიგით მესამე ცდაა, რუსეთის ძლევამოსილების აღდგენისა და მართლაც, ცივ ომში დამარცხებულმა რუსეთმა ბოლო ოცწლიანი კრუნჩხვა-ჭინთვების შემდეგ, როგორც იქნა, გააკეთა ისტორიული არჩევანი და ყირიმ-სევასტოპოლის დაბრუნებით, რაც უკვე ფაქტია, კვლავ მეორე პოლუსად მოევლინა მსოფლიოს.** იმ მსოფლიოს, რომელიც, რუსეთის პოლიტიკურ-სამხედრო-ეკონომიკური ინერტულობის გამო, „ლაჯებში ჰყავდა ამოდებული" აშშ-სა და მის სატელიტ ევროკავშირს — ყოველ შემთხვევაში, როგორც მინიმუმ, დღეს უკვე შეიძლება ითქვას, რომ 16 მარტამდელი და 16-ის შემდგომი სამყარო ორი სხვადასხვა რამ არის...

არსენ იაცენიუკი (ევრომაიდანის მთავარი იდეოლოგი), ალექსანდრე ტურჩინოვი (რადას ბაპტისტი სპიკერი), ალექსანდრე მუზიჩკო, იგივე „საშკო ბელი" და დიმიტრი იაროში (ტერორისტები), არსენ ავაკოვი და ალექსანდრე კირში (ორივე ჰომოსექსუალი), იულია ტიმოშჩენკო (უკრაინაში კორუფციის დედა), ვიტალი კლიჩკო (კრიმინალური ავტორიტეტების პატრნიორი), ოლეგ ტიგნიბოკი (პირწავარდნილი ბანდერელ-ფაშისტი) — აი, ნამდვილი სახე ამერიკული დემოკრატიისა და არასრული ჩამონათვალი თეთრი სახლის ყმებისა, რომელთა საშუალებითაც მოახდინა აშშ-მა ფაშისტურ-ბაპტისტურ-პედერასტული სახელმწიფო გადატრიალება და რომლებიც ახლა „ღაღადებენ" თეთრი სახლისა თუ ევროსაბჭოს კაბინეტ-კორიდორებში და „აგრესორი რუსეთისგან" დაცვას ითხოვენ... (ისე, ზემოთ ჩამოთვლილ ხალხთან მკითხველს არ გაუჭირდება მათი ქართველი ეპიგონების სახელების მიწერა, ანუ „ვარდების სახელმწიფო გადატრიალებასთან" პარალელების გავლება) თეთრი სახლის მაძღარი ყმებისგან მართული ქვეყნების მოსახლეობა კი მშიერმუცელა მონებად იქცევიან ხოლმე — უკრაინელების არ იყოს, ნაცებ-ქოცებში გაფენილი მაძღარი ყმებიც მხოლოდ საკუთარი სტომაქის ამოსაყორად დაეთრევიან „ურდოში"!

იძახონ ახლა რამდენიც უნდათ — ეს რა გვიქნა რუსეთმაო, მოუწოდონ ამერიკელ მეპატრონეებს — არიქა, გვიშველეთო და ივიშვიშონ ყირიმის დაკარგვაზე — ეს ყველაფერი იქნება ყმათა ღაღადი, უკრაინის დეზინტეგრაციის პროცესი კი გაგრძელდება, რადგან იანკების ყმა მეიდანშიკებმა ძია სემის მაძღარ ყმობას გადააყოლეს სახელმწიფო, რომელსაც აქამდე უკრაინის სახელით ვიცნობდით, ზუსტად ისევე, როგორც საქართველო გადააყოლა ასევე იანკების ყმა „ნაციონალურმა მოძრაობამ" ძია სემის ავანტიურისტულ მითითებებს. რუსეთმა საკუთარი ინტერესები ბოლომდე დაიცვა. ამერიკელებმა უკრაინა ბოლომდე გაწირეს, ხოლო მაიდნელებმა უკრაინა პირწმინდად გაყიდეს და არ მითხრათ, რომ „დემოკრატიის მაღალი იდეალებისთვის" ღირდა სახელმწიფოს დაშლა!

პუტინის რუსეთმა არჩევანი გააკეთა, რომ იგი აღარ აპირებს ნეოლიბერალების პარპაშის მშვიდად ყურებას. უკრაინაში მომხდარიც და მოსახდენიც რუსეთის წინააღმდეგ გამოუცხადებული ომია და ეს გამოწვევა მიიღო ვლადიმერ პუტინმა. ეს ომი არა მხოლოდ მსოფლიო გავლენის სფეროების გადანაწილებას გულისხმობს, არამედ, პირველ რიგში, იდეოლოგიების; გნებავთ, კულტურათა, მსოფლმხედველობათა ომია — ერთი მხრივ, უზნეობის, გარყვნილების მორევში ჩაძირული დასავლეთია, რომელიც დაუფარავად ცდილობს საკუთარი, ახალი „ღირებულებების" მსოფლიოსთვის თავს მოხვევას, ერთი სიტყვით, მთელი სამყაროს სოდომიზაციას, და მეორე მხრივ, მართლმადიდებელი რუსეთი; მკითხველს შევახსენებ, რომ რუსეთია ევროპა-აზიის სივრცეში ერთადერთი სახელმწიფო, რომელმაც საკანონმდებლო დონეზე 100 წლით (ეს ციფრი, რა თქმა უნდა, გარკვეულწილად იუმორ-სარკაზმსაც გულისხმობს) აკრძალა ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდა, ანუ, როგორც მინიმუმ, 2112 წლამდე რუსეთის ტერიტორიაზე გეიპარადები ვეღარ გაიმართება!

მკითხველს იმასაც შევახსენებ, რომ აშშ-ის ყოფილმა სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა თავის დროზე განაცხადა, რომ აშშ-ის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტი, პირველ რიგში, ე. წ. ლგბტ სექსუალური უმცირესობების უფლებების დაცვააო. ხოლო პრეზიდენტმა ობამამ ჯერ გეებს ჯარში მსახურების უფლება დაუკანონა და შემდეგ კვერი დაუკრა მადამ ჰილარის, — აშშ-ის ფინანსური დახმარება პირდაპირ იქნება დამოკიდებული ამა თუ იმ ქვეყანაში ამ უფლებების დაცვის ხარისხზეო! შემდეგ საკუთარი ჰომოსექსუალური გამოცდილების ფაქტიც აღიარა, რომელსაც სტუდენტობის დროს ჰქონია ადგილი...

ჰოდა, დასკვნებიც თავად გამოიტანეთ მკითხველო! ჩემის მხრით კი დავძენ, რომ თუნდაც მხოლოდ ამის გამო რომ ვიყო რუსეთის მხარეს, გამემტყუნება?..

ყირიმის „ანექსიას", კოსოვოს პრეცედენტიდან გამომდინარე, რეფერენდუმიც უმაგრებს ზურგს. აშშ-ევროპამ, — კოსოვო განსაკუთრებული შემთხვევააო. არადა, კოსოვოს ერთადერთი „განსაკუთრებულობა" ისაა, რომ ასე უნდოდა მაშინ ამერიკა-ნატოს და ახლა რომ რუსეთის მიერ ყირიმის „ოკუპაციაზე" მოთქვამენ, ყირიმში ერთი ტყვიაც არ გავარდნილა, მაშინ, როდესაც ნატოს ავიაციამ 1999 წლის 24 მარტის აღდგომა ღამეს მიწასთან გაასწორა მართლმადიდებელი სერბეთის დედაქალაქი ბელგრადი!

ისე, ცნობისთვის: კოსოვოს პრეცედენტის გამო მოხდა სოხუმ-ცხინვალის აღიარებაც...

ზემოთ ისტორიული არჩევანი ვახსენე და სწორედ ის არ ესმით ამერიკა-ევროპაში, რომ **რუსეთი ამ შემთხვევაში ნებისმიერ ფასს გადაიხდის, ანუ არჩევანს ზნეობრივ-პატრიოტული მოტივაცია აქვს და მისი დოლარებში შეფასება, იმ სანქციებიდან გამომდინარე, რომლითაც ემუქრებიან რუსეთს, უპერსპექტივო საქმეა!**

კომპეტენტური კომენტატორები იმასაც აღნიშნავენ, რომ სანქციების შემოღებით დასავლეთი რუსეთის მოსახლეობის უმცირესობაზე დებს ფსონს, ანუ მოსახლეობის შეძლებული უმცირესობა ვეღარ წავა პრესტიჟულ კურორტებზე დასასვენებლად თუ საშოპინგოდ ევროპა-ამერიკაში. უბრალო ხალხი კი, რომელიც მთავარი დასაყრდენია ვლადიმერ პუტინისა, რუსეთის დროშების ფრიალისა და „რასია, რასიას" სკანდირების ერთგული დარჩება, არც „ქამრების შემოჭერაზე" იტყვის უარს, რისი დიდი ისტორიული გამოცდილებაც გააჩნია...

თუმცა ანალიტიკოსები იმასაც აღნიშნავენ, **პოლიტიკურ-ეკონომიკურმა იზოლაციამ შეიძლება რუსეთის ეკონომიკის განვითარებაზე დადებითად იმოქმედოს, ამის ისტორიული გამოცდილებაც გააჩნია რუსეთს — სტალინის სსრ კავშირმა შეძლო მხოლოდ შიდა რესურსებზე დაყრდნობით აეთვისებინა მაშინდელი მოწინავე ტექნოლოგიები, მოეხდინა ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, რის შედეგადაც გამოუშვეს საუკეთესო თვითმფრინავები, ტანკები და ა. შ.**

ახლაც იგივე შეიძლება განმეორდეს და, სანქციების შემოღების შემთხვევაში, რუსეთის ეკონომიკა შეიძლება მხოლოდ გაზსა და ნავთობზე დამოკიდებული აღარ იყოს და თავად შექმნას ის, რასაც დასავლეთი არ მისცემს...

ერთი სიტყვით, წილი ნაყარია და უფრო მეტიც, რუსეთი ყირიმზე არ გაჩერდება; იმიტომ, რომ ამას მოითხოვს მიმდინარე პროცესის დიალექტიკა — თუნდაც რუსული ანდაზიდან გამომდინარე, „სემ ბედ ოდინ ოტვეტ", **რუსეთი აუცილებლად შეეცდება და არც თუ წარუმატებლად, საკუთარი გავლენები „რუსეთის უკრაინის" სხვა ნაწილებზეც განავრცოს.** მაგალითად, ოდესის, დნეპროვშჩინის, ხარკოვ-დონეცკისა და სხვა რეგიონებიც რეფერენდუმის გზით დაიბრუნოს, თუმცა არ გამოირიცხება პირდაპირი სამხედრო ინტერვენციაც იმ შემთხვევაში (და ამის ალბათობა დიდია), თუ ე. წ. პრავი სექტორის ბოევიკებმა ხსენებულ რეგიონებში რუსი მოსახლეობის მასობრივი ტერორი დაიწყეს, ან თუ სააკაშვილის რჩევები გაიზიარეს და, ცხინვალის მსგავსად, სიმფეროპოლს გრადებით დაუშინეს!

**როგორც მოსალოდნელი იყო, ჩვენს საგარეო უწყებას ვერავინ დაასწრო რუსეთის აგრესიის დაგმობა. არადა, როგორც ზემოთ აღვნიშნე, რუსეთს „ზადნი" არ აქვს და, თუ უკრაინაში ყველაფერზეა წამსვლელი, საქართველოს დასაშოშმინებლად რუსული წკიპურტიც საკმარისი იქნება!**

უკრაინის მოვლენებმა ისიც დაგვანახა, თუ რეალურად რა ფასი აქვს ამერიკა-ევროპა-ნატოს მუქარებს, სამხედრო კომპონენტზე ხომ საუბარიც არ არის და სანქციების შემოღებასაც არ ჩქარობენ. კარასინ-აბაშიძის შეხვედრებზე უარის თქმას იქნებ ის ჯობია, რომ რუსეთისავე „იარაღით" ვეცადოთ აფხაზეთის პრობლემის ნაწილობრივ გადაწყვეტას, ანუ იქნებ რუსეთთან იმაზე გვემუშავა, რომ გალში ყირიმის მსგავსი რეფერენდუმი ჩაგვეტარებინა?

ეს იდეა იქნებ ერთობ ჰიპოტეტურ-მიამიტურია, მაგრამ ვინ იცის, „ცდა ბედის მონახევრეაო", — ნათქვამია და ისედაც, ეს ჯობია გამძვინვარებული რუსეთის წინ სამგლე გოჭივით გამოხტომას...

**დავით მხეიძე**

## ბიძინა ივანიშვილი პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილით იმედგაცრუებულია

**„გარკვეული იმედგაცრუება მივიღე... გიორგი მარგველაშვილს პრინციპულად განსხვავებული თვისებები აღმოაჩნდა, ხასიათები გამოავლინა არჩევნების შემდგომ... რატომ გახდა ვანო მაჭავარიანი ახალი პრეზიდენტის ფავორიტი?... ყველაზე პრინციპული მოწინააღმდეგე, სანამ პრეზიდენტი გახდებოდა, ის (მარგველაშვილი) იყო სასახლის ათვისების",** — განაცხადა ყოფილმა პრემიერმა თოქშოუში „პოლიტიკის დრო".

მარგველაშვილისგან განსხვავებით, პრემიერ ირაკლი ღარიბაშვილის მუშაობით ივანიშვილი კმაყოფილია და ამბობს, რომ თავის ახალგაზრდობას ახსენებს. რაც შეეხება მინისტრებს, ბიძინა ივანიშვილის თქმით, „კულტურის მინისტრი ძალიან კარგ მინისტრებში არ გადის", ზოგადად კი, მისი აზრით, „მთავრობა დღეს ნორმალურად მუშაობს...".



სამართალი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ახალაიამ კაციც მოგვიგზავნა, თუ სურვილი ექნებათ, ქონებას დავაბრუნებო. ქმარი მომიკლა და ახლა ჩემივე ქონებაზე მეუბნება, თუ გინდა, დაგიბრუნებო?! მე მინდა, სამართალმა იზეიმოს — ახალაია ციხეში ჩაჯდეს და სახელმწიფომ დამიბრუნოს, რაც მეკუთვნის“.**

## ლალი ჯინჭარაძე:

# ქმარი როლანდ ახალაიამ მომიკლა!

**გასულ კვირას პარლამენტარ როლანდ ახალაიას წინააღმდეგ პროკურატურამ სისხლის სამართლის საქმე აღძრა და პარლამენტს მიმართა, ზუგდიდის მაჟორიტარს იმუნიტეტი მოუხსენით, შესაბამისი ღონისძიებების გატარება რომ შევძლოთო. როგორც მოსალოდნელი იყო, ახალაიამ ერთი ამბავი ატეხა, — ეს ჩემსა და ჩემს ოჯახზე მორიგი ზეწოლაა, არაფერი დაგვიშავებია და სამშობლოს სიყვარულისთვის ვისჯებითო. ისიც თქვა, ერთი ზუგდიდელი მაინც მანახეთ, ჩემზე ცუდს რომ იტყვის, და ხმას არ ამოვიღებო. ჰოდა, აგერ, ბატონო როლანდ, ზუგდიდელი გადებთ ხელს და მკვლელობაში გადანაშაულებთ.**
**გვესაუბრება ბიზნესმენ თემურ ყორშიას ქვრივი, ქალბატონი ლალი ჯინჭარაძე.**

— გაოგნებული ვარ. ეს ნაძირალა ბედავს და ამბობს, ერთი ზუგდიდელი მანახეთ, რომელიც ჩემზე ცუდს იტყვისო. თუ ასე ფიქრობს როლანდ ახალაია, **გავიდეს ზუგდიდის ქუჩებში დაცვის გარეშე და ნახავს, სახლამდე თუ მივა. მაგ ნაძირალამ ქმარი მომიკლა და ახლა ამბობს, რომ არაფერს აშავებდა?!**

სარჩელიც მაქვს პროკურატურაში შეტანილი და დავამტკიცებ, რომ ჩემი ქმარი მაგ ნაძირალას მოკლულია.

**— იქნებ დეტალებზე გვესაუბროთ?**

— ჩემი მეუღლე თემურ ყორშია 1993 წლიდან იყო ჩართული ბიზნესში და სამეგრელოს რეგიონში „ბორჯომისა“ და „კოკა-კოლის“ ექსკლუზიურ დისტრიბუციას აწარმოებდა. ნელ-ნელა დაიწყო და მსხვილი ბიზნესმენი გახდა. შევარდნაძის ხელისუფლება რომ შეიცვალა და „ნაცმოძრაობა“ მოვიდა სათავეში, თემურს ბავშვივით უხაროდა, საკუთარი ინიციატივით რაიონში ხან განათება გააკეთა, ხან კორპუსები შეღება და გაალამაზა. უხაროდა, თავის კუთხეს რომ უვლიდა. მაგრამ სიტუაცია ნელ-ნელა დაიძაბა იმ სავაჭრო ცენტრის გამო, რომელიც ახლაც დგას ზუგდიდში და ყველაზე დიდია. ეს ცალკე ისტორიაა და სხვა დროს გიამბობთ. **ახლა საქმე როლანდ ახალაიასთან მაქვს, ნაძირალა კაცთან, რომელიც ამბობს, თურმე ზუგდიდში არავინ არის მისით უკმაყოფილო. არადა, სწორედ მან გასცა ჩემი ქმრის ლიკვიდაციის ბრძანება...**

2008 წლის 21 აგვისტოს ჩვენს ყველა ობიექტში საგადასახადო შევიდა. თვის ბოლოს კი ყველა დახურეს. **თემურს შემოუთვალეს, ჩათვალე, მკვდარი ხარო და მანაც საქართველოდან წასვლა გადაწყვიტა. ჟურნალისტ ემა გოგოხიაზე ხომ გსმენიათ? თემური წასვლამდე მას დაუკავშირდა, განცხადების გაკეთება მინდაო. გოგოხიამ მაშინვე გერმანიაში მყოფ დათა ახალაიას დაურეკა, თემურ ყორშია სკანდალური განცხადების გაკეთებას აპირებსო. ახალაიამ მისი ლიკვიდაციის ბრძანება გასცა, მაგრამ გავიგეთ და თემურმა საზღვრის გადაკვეთა მოასწრო.**

**— ქალბატონო ლალი, ალბათ, ხვდებით, რომ სერიოზულ ბრალდებას უყენებთ პარლამენტის წევრს...**

— ახალაიამ ვერ გათვალა ის, რომ ჩემი მეუღლე ჩანაწერებს აკეთებდა. რამდენიმე დისკი არსებობს, რომლებზეც თემური დეტალურად ყვება, რა და როგორ ხდებოდა. როცა მიხვდა, რომ შეიძლებოდა მოეკლათ, ჩანაწერების გაკეთება დაიწყო. **ჩემი ქმარი როლანდ ახალაიამ მოკლა! პირდაპირ ვადებ ხელს როლანდ ახალაიას. ამას აუცილებლად დავამტკიცებ!**

**— თქვენი მეუღლე საიდან იცნობდა ახალაიას?**

— ზუგდიდი დიდი არ არის და ყველა ყველას იცნობს. თანაც თემური წარმატებული ბიზნესმენი იყო, ახალაია — პროკურორი და... ხელისუფლების ცვლილების შემდეგ, პირველი, რაც როლანდმა ჩემს მეუღლეს სთხოვა, იყო ის, რომ მისი დისშვილი, ბესო ცხადაია, სამსახურში ბუღალტრის ადგილას სტაჟიორად მიეღო. 2004 წელი იყო. სამწუხაროდ, თემური დათანხმდა და... ერთი წლის შემდეგ, ცხადაია, ბესო ჩვენი ფირმის მთავარი ბუღალტერი გახდა. რა თქმა უნდა, ესეც ახალაიას კატეგორიული მოთხოვნით.

**— ეს ვერ გახდებოდა დაპირისპირების მიზეზი...**

— 2008 წელს, საპრეზიდენტო არჩევნების წინ, როლანდ ახალაიამ საბოლოოდ გადაწყვიტა ჩვენი დასამარება და მოახერხა კიდეც. უკვე ვხვდებოდით, რომ ახალაიასთვის ჩვენი ოჯახი არასასურველი მოწმე იყო. ზუგდიდში პოლიციის შენობა იყიდებოდა ეზოთი. ახალაიამ ისევ დაიბარა თემური და აუქციონში მონაწილეობა აიძულა, აქაოდა, მე ვერ გამოვჩნდები, შენ იყიდე, კონკურენტი არ გეყოლება, მერე კი ჩემზე გადმოვაფორმოთ და, როცა არჩევნები მორჩება, ფულიც მექნება და დაგიბრუნებო. თემურმა უარი უთხრა, თანხა არ მაქვსო, მაგრამ **ახალაიამ აიძულა და ჩვენი ყველა ობიექტი ბანკში ჩაადებინა. ბანკში ჩაიდო დათა ახალაიას მძღოლის სახლიც. აუქციონის დღეს გაირკვა, რომ ამ მიწაზე პრეტენზიას ვანო მერაბიშვილიც აცხადებდა და მას აუქციონზე „პსპ“ წარმოადგენდა. გადაირია თემური, ახალაიას დაურეკა, მაგრამ მას ტელეფონი გათიშული ჰქონდა.**




**«საქმე როლანდ ახალაიასთან მაქვს, ნაძირალა კაცთან, რომელიც ამბობს, თურმე ზუგდიდში არავინ არის მისით უკმაყოფილო. არადა, სწორედ მან გასცა ჩემი ქმრის ლიკვიდაციის ბრძანება...»**

**თავის მხრივ, „პსპ“-ს წარმომადგენელმაც დაურეკა ვანოს და მიიღო მითითება, ბოლომდე იბრძოლეო. საბოლოოდ, მიწა, რომელიც 250 ათასად იყო შეფასებული და, ახალაიას მტკიცებით, ამ ფასად უნდა ეყიდა თემურს, 475 ათასად შეიძინა.**

**— რისთვის უნდოდა ეს ობიექტი ახალაიას?**

— არ ვიცი. როცა არჩევნები მორჩა, მიშას კარზე მერაბიშვილი დაწინაურდა. **დაიბარა როლანდმა თემური და გამოუცხადა — ეგ მიწა აღარ მჭირდება, შენი იყოს, სანაცვლოდ კი სუპერმარკეტი „ბორჯომი“, რესტორანი ზუგდიდსა და თბილისში, წერეთლის პროსპექტზე ოროთახიანი ბინა მინდაო.** რა გამოვიდა ხვდებით?! თემურს მისივე კრედიტით ნაყიდი მიწა „აჩუქა“ და სანაცვლოდ ამდენი რამ მოითხოვა. ზემოჩამოთვლილი ყველა ობიექტი თემურმა ახალაიას დისშვილ ბესო ცხადაიას სახელზე გადააფორმა, წერეთლის პროსპექტზე კი ბინა 60 ათასად უყიდა.

**— რატომ არაფერს ამბობდა და, თუ ვერ ამბობდა, ამ სიტუაციას რატომ არ გაერიდა?**

— ვერ გაერიდა, უთვალთვალებდნენ. ერთხელ ისიც კი მითხრა, ციხეში ჩავჯდები, მაგრამ დამპირდნენ, თუ დაგიჭირეთ, ციხიდან ცოცხალი ვერ გამოხვალ, ჩამოგკიდებთო. **თემური აშკარად გრძნობდა, რომ მოკვლას უპირებდნენ. სწორედ ამის გამო ის წერილებსაც წერდა და ვიდეოსაც იღებდა, სადაც დეტალურად ყვებოდა ყველაფერს.**

**— სად არის ახლა ეს ვიდეოფირები?**

— რამდენიმე ასლი არსებობს. სახლშიც გვაქვს და პროკურატურაში რომ სარჩელი შევიტანეთ, იქაც არის საქმეში.

**— მერე რა მოხდა?**

— 2008 წლის 23 ნოემბერს თემურმა პატრიარქთან იმსახურა სტიქაროსნად. ეკლესიიდან გამოსულს უთხრეს, შენი ლიკვიდაციის ბრძანება არის გაცემულიო და გაიქცა. მას თვალი ჰქონდა საოპერაციო, გაიკეთა ოპერაცია მოსკოვში, შემდეგ კი პოლიტიკური თავშესაფარი ითხოვა. მისცეს დროებითი თავშესაფარი, მეორედაც მიიღო, ოღონდ ისევ დროებითი. მერე კი, მესამედ რომ მივიდა საბუთის ასაღებად, ანუ 2011 წლის 27 იანვარს, დააკავეს.

**— თუ არ იძებნებოდა, რატომ დააკავეს?**

— სამეგრელოს სამხარეო პოლიციის ტელეფონოგრამის საფუძველზე. მათ რუსებს აუწყეს, რომ ჩემი ქმარი საშიში დამნაშავე იყო. რუსებმა საბუთების გადაცემა მოითხოვეს ექსტრადაციის პროცედურის დასაწყებად. ქართულმა მხარემ საბუთების შესაგროვებლად ორი თვე ითხოვა და თემურს ორთვიანი შეუფარდეს. იქაურ ადვოკატს უთხრეს, რომ ორთვიანი ვადის გასვლის შემდეგ, თუ ქართული მხარე საბუთებს ვერ წარმოადგენდა, თემურს გაუშვებდნენ.

**— იმხანად მასთან კავშირი თუ გქონდათ?**

— ციხიდან ხშირად რეკავდა. 2011 წლის 14 თებერვალს ჩემი მამამთილი თემურზე ნერვიულობას გადაჰყვა და გარდაიცვალა. დასაფლავების დღეს ზუგდიდში თქვეს, თემურმა თვითმკვლელობა სცადაო. მაშინვე ადვოკატს დავურეკე, შევიდა ციხეში და დამალაპარაკა თემური. ისიც გაოცდა, თავის მოკვლაზე ქრისტიანი კაცი როგორ ვიფიქრებ, აქედან რომ გამოვალ, ბერად უნდა აღვიკვეცოო. **მოსკოვში, ძირითადად, მონასტერში ცხოვრობდა. სტიქაროსანი იყო, 2000 წელს უწმინდესმა გაბრწყინებული ჯვრითა და სიგელით დააჯილდოვა. დიდი კანდელიც აჩუქა პატრიარქმა და, როცა მოსკოვში, მონასტერში იყო, მირეკავდა და მეუბნებოდა, ლოცვაზე ვდგები და პატრიარქის კანდელი დავინთეო. ახლა კიდევ ასეთ კაცზე მეუბნებიან, თავი მოიკლაო...**

**— მეუღლის სიკვდილი ვინ შეგატყობინათ?**

— დეპეშა გამომიგზავნეს. ეწერა, რომ 25 მარტს მორგში შევიდა საქართველოს მოქალაქის — თემურ ყორშიას გვამი. სამ დღეში, ანუ 28 მარტს კაცი ციხიდან უნდა გამოეშვათ, რადგან 2-თვიანი ვადა გასდიოდა, მაგრამ... მანამდე ციხიდან თემური საავადმყოფოში გადაიყვანეს, აქაოდა, ფსიქიკურად ჯანმრთელი არ არისო. **ციხეში არაერთი ზუგდიდელი იჯდა, მათ შორის, ჩვენი ნათესავიც, და გამორიცხული იყო, იქ თემურისთვის რამე დაეშავებინათ.**

**— ჩამოსვენების შემდეგ ექსპერტიზა თუ ჩაუტარეთ?**

— ახალაიების შიშით ვერც ერთმა ექსპერტმა ვერ გაბედა დამოუკიდებელი ექსპერტიზის ჩატარება. რად უნდოდა ექსპერტიზა? **კაცზე თქვეს, თავი ჩამოიხრჩოო, არადა, ხელები დამტვრეული და დალურჯებული ჰქონდა, ყბის ძვალი — ჩამტვრეული, ყური — გახეთქილი, წელს ქვემოთაც ნაცემი იყო...**

**— ქალბატონო ლალი, როლანდ ახალაიამ რომ თქვას, მოსკოვში კაცმა თავი მოიკლა და მე რა შუაში ვარო?**

— ერთადერთი კაცი, რომელსაც თემურის ცოცხლად ყოფნა ხელს არ აძლევდა, როლანდ ახალაიაა. ერთადერთი კაცი, რომელმაც ახალაიას შესახებ ყველაფერი იცოდა, თემური გახლდათ. ერთი ეგაა: ახალაია ვერ წარმოიდგენდა, რომ თემური ჩანაწერებს გააკეთებდა, რომლებშიც ის პირდაპირ ამბობს, — თუ დამიჭირეს, ციხიდან ცოცხალს არ გამომიშვებენო. კაცი 57 დღე ელოდა თავისუფლებას და, როცა სამი დღე იყო დარჩენილი თავისუფლებამდე, თავი მოიკლა?!

**— პროკურატურას თუ მიმართეთ?**

— კი, 2012 წლის 1 ოქტომბრის შემდეგ, რადგან მანამდე აზრი არ ჰქონდა. თავდაპირველად აქტიურად დაიწყო გამოძიება, მაგრამ შემდეგ მინელდა, ახლა კი საერთოდ შეწყდა. ასე მითხრეს, პირდაპირ მტკიცებულებებს ვეძებთო. გაოცებული ვარ, **მეტი რა პირდაპირი მტკიცებულება უნდათ, თემურის ბიზნესი ახალაიას დის შვილს, ბესო ცხადაიას, აქვს გადაფორმებული. 1993 წლიდან ბიზნესში იყო თემური და 2008 წელს გაგიჟდა თურმე და ყველაფერი ახალაიებსა და მათ ნათესავებს გადაულოცა. ოთხმილიონიანი ბიზნესი 18 ათას ლარად გაასხვისა თურმე...**

სარჩელს დისკებიც მივაყოლეთ. ვიდეო იქ აქვთ, ბეჭდიანი დოკუმენტები... მეტი რა ვქნა?! **ახალაიამ კაციც მოგვიგზავნა, თუ სურვილი ექნებათ, ქონებას დავუბრუნებო. ქმარი მომიკლა და ახლა ჩემივე ქონებაზე მეუბნება, თუ გინდა, დაგიბრუნებო?! მე მინდა, სამართალმა იზეიმოს — ახალაია ციხეში ჩაჯდეს და სახელმწიფომ დამიბრუნოს, რაც მეკუთვნის.**

**— ახალაიებს რის საფუძველზე აქვთ თქვენი ქონება?**

— პოლიციის შენობა რომ აყიდვინეს, მაშინ ხომ მთელი ქონება ბანკში ჩადო. ჰოდა, მთელი ქონება ბანკიდან 18 ათას ლარად გამოისყიდა როლანდის დისშვილმა ბესო ცხადაიამ, თანაც ისე, რომ ჩემი მეუღლის თანხმობა არ ყოფილა. ყველას ვთხოვ, გამოიძიონ ეს საქმე. მესმის, რომ, როცა სახელმწიფო ქონებაზეა საუბარი, შეიძლება ძნელი იყოს დაბრუნება, მაგრამ სახელმწიფოს ხომ არაფერს ვედავები?! ვისაც როგორ უნდა, ისე გაიგოს, მაგრამ, **თუ სამართლიანობა არ აღდგა, ქრისტიანი ვარ, ღმერთი მწამს, მაგრამ ჩემი ქმრის სისხლს არავის შევარჩენ!**

**სენაკში რომ სამარხები აღმოაჩინეს, მეგის ქარდავას რვეულიც რომ იყო, ხომ გახსოვთ? დასასჯელთა სიაში პირველი ჩემი შვილის სახელი და გვარი ეწერა. საბოლოოდ მიპირებდნენ გაუბედურებას და ჩემი ერთადერთი შვილის მოკვლას.** ესეც არ არის მტკიცებულება? ამჟამინდელ ხელისუფლებას მხარში ვედექით და კიდევ ერთხელ გავიარეთ ბეწვის ხიდზე. ან აღადგინეთ სამართლიანობა, ან ხალხი თავად დაიწყებს სამართლის ძებნას, მათ შორის — მეც!

ესაუბრა
**დავით მინდიაშვილი**

**ფამუქმა არ დამალა, რომ ქართულ მწერლობაზე წარმოდგენა არ აქვს, — ყველა რუსთაველზე მეკითხება, მე კიდევ არ ვიცი, ვინ არისო. ეს ისეთი სიამაყით განაცხადა, აშკარად ჩანდა, მე უნდა მიცნობდეთ და მაღიარებდეთ, ხოლო თუ რუსთაველი არ ვიცი, არაფერი დაშავდებაო. და ამას ტაში დავუკარით, ტაში დავუკარით მის „გულახდილობას“, რომელიც რეალურად უვიცობა უფრო იყო, მაგრამ პრინციპით „დღეს სტუმარია ეგ ჩემი“ არაფერი ვაკადრეთ.**

ვაი ქვეყნისაგან

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ორჰან ფამუქის უმანკოების მუზეუმი... ქართულად

## ორჰან ფამუქი



- არ იცის, ვინ არის რუსთაველი,
- ვერ იტანს ქართველებს,
- ქართველ ქალებს ბოზებს ეძახის,
- ლანძღავს ქართველ კაცებს...

**მისაღებია!**
**ახალი საყვარელი მწერალია**

## სერგეი ბეზრუკოვი



ბეზრუკოვმა იცის, ვინ არის რუსთაველი და არასდროს მისცემს თავს უფლებას, ქართველ ქალებს ბოზები ეძახოს, ქართველი კაცი კი ისე გალანძღოს, როგორც ფამუქმა...

**მიუღებელია!**
**არ შემოვუშვათ ქვეყანაში**

**1203 წელს ბასიანის ბრძოლა გაიმართა ქართველთა ლაშქარსა და თურქ-სელჩუკთა ურდოს შორის. ამ ბრძოლამდე თურქთა სულთანმა რუქნადინმა თამარ მეფეს მორჩილება მოსთხოვა და ელჩის პირით შემოუთვალა, თუ დამნებდები, წყალობას გავიღებ და ხარჭად დაგისვამო. იმ ელჩს ზაქარია მხარგრძელმა ისეთი სილა გააწნა, კარგა ხანს აზრზე ვერ მოიყვანეს, ბრძოლა კი ქართველებმა მოიგეს და თურქებს შეურაცხყოფა არ აპატიეს.**

ამ ამბიდან რვა საუკუნეზე მეტი გავიდა და, სიმართლე გითხრათ, არ გვეგონა, თუ ქართველთა შეურაცხმყოფელ თურქს საქართველოში ასეთი ზარ-ზეიმით დახვდებოდნენ. **გარდა იმისა, რომ ფეხქვეშ ფიანდაზად გაეგნენ, საინფორმაციო საშუალებებმაც იმდენი დრო დაუთმეს, ბევრ გამოჩენილ ქართველს რომ არ ღირსებია.** თურქ მწერალ ორჰან ფამუქზე მოგახსენებთ და, ვიდრე მის შესახებ მოგითხრობთ, გეტყვით, რას წერს ნობელის პრემიის ლაურეატი ფამუქი და როგორ აცნობს ქართველებს მსოფლიოს. აი, ამონარიდი მისი ერთ-ერთი წიგნიდან:

**„ნახშირისა და ბინძური თეთრეულის სუნით აქოთებულ სარდაფში ჩავიდნენ. კაცი, რომელიც წინ მიუძღოდათ** (იგულისხმება შემოწმების მიზნით გაყოლილი სამხედრო და წიგნის მთავარი პერსონაჟი) **გათბობის ქვაბის გვერდით მუყაოს ცარიელი კოლოფებისა და ბოსტნეულის ყუთებისგან შეკოწიწებულ კუთხეს მიადგა. იქ სახელდახელოდ მოწყობილ საწოლზე ახალგაზრდა ქალს ეძინა. თეთრი ფითქინა კანი ჰქონდა და არაჩვეულებრივად ლამაზი იყო.**

**იმ ქალს ჭლექი აქვს, მაგრამ მაინც ბოზობს და ქალაქში ჩამოსულ მესაქონლეებსა და ტყავის ვაჭრებთან ცხოვრობს. კაცი კი, დანარჩენი ქართველების მსგავსად, ნახევარ ფასად მუშაობს და შედეგად მუშების ბაზარზე ორმოც წელიწადში ერთხელ გამოჩენილ სამუშაო ადგილს თურქეთის მოქალაქეებს ცხვირწინ აცლის.**

**ეს ცოლიცა და ქმარიც იმდენად ღატაკები და წუწურაქები იყვნენ, რომ სასტუმროს ფულსაც არ იხდიდნენ, წყლის სამმართველოს უფროსს თვეში ხუთ ამერიკულ დოლარს უკუჭავდნენ და ამ საქვაბეში ცხოვრობდნენ. თურმე ამბობდნენ, სამშობლოში დაბრუნების შემდეგ სახლს ვიყიდით და სიცოცხლის ბოლომდე აღარ ვიმუშავებთო. ყუთებში თურქეთში იაფად ნაყიდ ტყავეულს ინახავდნენ, რომელსაც თბილისში დაბრუნების შემდეგ სარფიანად გაყიდნენ. მიუხედავად იმისა, რომ უკვე ორჯერ იყვნენ დეპორტირებულები, „თავიანთ“ საქვაბეში დაბრუნებას რაღაც მანქანებით მაინც ახერხებდნენ. ამგვარი წურბელები, რომელთა მოშორებას მექრთამე პოლიცია ვერ ახერხებდა, ყარსში სამხედრო ხელისუფლებას უნდა მოესპო“.**

ასე გააცნო ფამუქმა ქართველები მსოფლიოს და ეს არც აქ ჩამოსვლისას უარუყვია. ამ თემას კიდევ დავუბრუნდებით, მანამდე კი იმას გეტყვით, როგორ დახვდნენ მსოფლიოს მასშტაბით ქართველების მლანძღავ-მაგინებელ მწერალს. **გარდა იმისა, რომ ფამუქს სპეციალური გიდი მიუჩინეს, სასტუმროც უქირავეს, თავისუფალ უნივერსიტეტში ლექციაც წააკითხეს და მომავალ თაობას ტაშიც დააკვრევინეს იმ ადამიანისთვის, რომელმაც თავი მოგვჭრა და ისე ხატოვნად გვლანძღა, უარესს ვერავინ მოიფიქრებდა. ისე როგორ იქნებოდა, ფამუქისთვის ქართული სამზარეულო არ ენახვებინათ და კარგი პასუხიც მიიღეს, — როცა შესთავაზეს, ხინკალი მოახვიეო, — უარი თქვა, ამის კეთება ნებისმიერმა თურქმა იცის და ვერ გამაკვირვებთო.** სხვათა შორის, ხინკლის დაძალება უცნაურ ჩვევად გვაქვს და ისიც მახსოვს, თავის დროზე საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელ ალან ჟირესს პირველ პრესკონფერენციაზე ჟურნალისტებმა პირველი კითხვა ხინკალზე დაუსვეს — ხინკალი თუ მოგეწონათო?..

მერე ფამუქს წარჩინებული ქართველი გვამები შეხვდნენ, — წინა რიგში კულტურის ყოფილი მინისტრი ნიკა რურუა იყო გამოჭიმული, უკან — დავით-დეფი გოგიბედაშვილი. **ფამუქმა არ დამალა, რომ ქართულ მწერლობაზე წარმოდგენა არ აქვს, — ყველა რუსთაველზე მეკითხება, მე კიდევ არ ვიცი, ვინ არისო. ეს ისეთი სიამაყით განაცხადა, აშკარად ჩანდა, მე უნდა მიცნობდეთ და მაღიარებდეთ, ხოლო თუ რუსთაველი არ ვიცი, არაფერი დაშავდებაო. და ამას ტაში დავუკარით, ტაში დავუკარით მის „გულახდილობას“, რომელიც რეალურად უვიცობა უფრო იყო, მაგრამ პრინციპით „დღეს სტუმარია ეგ ჩემი“ არაფერი ვაკადრეთ.**

ფამუქი ყოველთვის ამტკიცებს, პოლიტიკაში არ ვერევიო და ამაზე არც ვსაუბრობო, მაგრამ მის შესახვედრად მისულმა ქართულმა „ბომონდმა“ მაინც ჰკითხა, უკრაინაში მიმდინარე მოვლენებზე რას იტყვითო.

**„მე პატივს ვცემ უკრაინელ ხალხს და მათ არჩევანს, მაგრამ არ შემიძლია პატივი არ ვცე ისეთ სახელმწიფოს, როგორიც რუსეთია, თუმცა ყირიმში მცხოვრები თათრებისაც მესმის და იქ მცხოვრები რუსებისაც. ზოგადად, მე დემოკრატიის მომხრე ვარ“,** — განაცხადა ფამუქმა.

ორჰან ეფენდის, ალბათ, არც ჭაბუა ამირეჯიბი გაუგონია და არც „დათა თუთაშხია“ წაუკითხავს. ხომ გახსოვთ, დათა ურმიდან პირდაპირ წყალში რომ ჩააგდებს მამასახლისს, ბიკი ყუფარიას შვილს, რომელიც ამტკიცებდა, მთელი ცხოვრება მამაჩემი იმას მასწავლიდა, არც მწვადი დაწვა და არც შამფურიო. სწორედ მამაძაღლი ყუფარიასავით პასუხი გასცა დასმულ კითხვას ფამუქმა და ახლა არ დამიწყოთ, მამამაღლს ნუ ეძახი, მსოფლიო დონის მწერალიაო. **კაცი, რომელმაც ქართველებს შეაგინა და თავის წიგნში ეს ამბავი ისე აღწერა, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ნობელის პრემიის ლაურეატი კი არა, ნობელიც რომ იყოს, მაინც ისეთივე მიუღებელი იქნება ჩემთვის, როგორიც ფამუქია. მაგრამ ქართველებმა ხომ ყველაფერი მოდის გამო ვიცით** — მოდის გამო ვიცვამთ იმ სამოსს, რომელიც არ გვიხდება, მოდის გამო ვყიდულობთ ისეთი შესაძლებლობების ტელეფონს, რომელიც არ გვჭირდება, მოდის გამო ვმარხულობთ კიდეც, თორემ სინამდვილეში ერთი სული გვაქვს, ისე მოვიქცეთ, როგორც გვინდა, მაგრამ არ ვიქცევით, ემანდ ვინმემ არ გამკიცხოსო. **იმ ადამიანების დიდ ნაწილს, რომლების ფამუქთან ავტოგრაფებზე რიგში იდგნენ, მისი წიგნი, შესაძლოა, წაკითხული არც ჰქონდა, მაგრამ მოდაა, — ფამუქი უნდა გქონდეს სახლში და, თუ მისი ავტოგრაფიც გექნება, ხომ საერთოდ თანამედროვეობის კივილია.**

აბა, როგორ არ გავიხსენოთ ის, რომ რამდენიმე დღის წინ რუსი მსახიობი სერგეი ბეზრუკოვი ერის მოღალატედ გამოვაცხადეთ მხოლოდ იმიტომ, რომ მან პუტინისადმი გაგზავნილ პეტიციას ხელი მოაწერა და ყირიმში რუსეთის პრეზიდენტის ქმედებებს მხარი დაუჭირა. მგონი, დაგვავიწყდა ის წითელი ინტელიგენცია, საბჭოთა კავშირის დროს ერთი მედლის გულისთვის მოსკოვში რომ მიფრინავდა. ფორთხვით შედიოდნენ რუსულ კაბინეტებში და მერე მთელი ცხოვრება ჭკუას გვარიგებდნენ, ზემოდან გვიყურებდნენ და ეს წითელი ინტელიგენცია ახლა პატრიოტობაზე დებს თავს. **ბეზრუკოვს არ დაუმალავს ის, რასაც ფიქრობს და ისიც თქვა, ქართველები ძალიან მიყვარსო. ბეზრუკოვმა იცის, ვინ არის რუსთაველი და არასდროს მისცემს თავს უფლებას, ქართველ ქალებს ბოზები ეძახოს, ქართველი კაცი კი ისე გალანძღოს, როგორც ფამუქმა.** ბეზრუკოვზე საშიში ის ინტელიგენციაა, რომელიც არ ამბობდა და არც ახლა ამბობს, რას ფიქრობდნენ და ვის მხარეს იყვნენ, რადგან მკვდარი თევზებივით მუდამ დინებას მიჰყვებოდნენ და ახლაც მიჰყვებიან. ის, რაც ვაპატიეთ ფამუქს, თურქები არ გვაპატიებდნენ და ამიტომაც არის, არავინ არაფერს რომ არ მოგვიტევებს და იმ დღეში ვართ, როგორშიც ვართ. **იცოდა ფამუქმა, ქართველები პასუხს რომ არ მოსთხოვდნენ, თორემ, როცა თურქებზე დაწერა ცუდი, ნობელის პრემიის დიპლომი კინაღამ თავზე დაახიეს. ქართველებს კი ხინკალიც არ გაგვისინჯა, მაგით ვერ გამაკვირვებთო, და მართალიც არის — მაგისთვის სხვა ხორცი უნდა შეგვეთავაზებინა. ახლა არ მითხრათ, „უმანკოების მუზეუმის“ (ფამუქის ნაწარმოებია) მეპატრონე ფამუქს ხორცი გაუკვირდებაო. მაგას არაფერი უკვირს... ხინკალიც კი!**

**დავით მინდიაშვილი**

პოზიცია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ერთი კაცი მაინც თუ არის დღევანდელ უმრავლესობაში ხალხის მიერ არჩეული?! საქართველომ ივანიშვილის ხათრით მისცა „ქართულ ოცნებას“ ხმა. თვითონ ივანიშვილი კი შეძვრა თავის მინის სასახლეში და სამოქალაქო სექტორის დაარსება მომინდომა. მაგან რა სექტორი უნდა გახსნას, რა ენაზე მეტყველებს? „ჩაგეკითხები“, „მიგჯირყვნი“... რა არის ეს?“**



# მალხაზ გველუკაშვილი: მოვითხოვ, დამაბრუნოთ ციხეში!

**მეტაფიზიკოსი მალხაზ გველუკაშვილი, რომელიც რამდენიმე წელი უკანონოდ იჯდა ციხეში, წელიწადზე მეტია, გათავისუფლდა, თუმცა გარეთ გამოსულს ქვეყანაში შექმნილი ვითარება გაუსაძლისად ეჩვენება. თუ რატომ არის უკმაყოფილო დღევანდელი ხელისუფლების მოქმედებით, ამაზე თვითონ გვესაუბრება.**

— ბოლოს და ბოლოს, სამართალი უნდა აღდგეს. **თუ დაუსჯელობის სინდრომი იმეფებს ქვეყანაში, ეს და მომდევნო ხელისუფლებები უარესს ჩაიდენენ.**

ქვეყანაში ყველაზე მწვავედ მაინც სოციალური პრობლემა დგას, ამიტომ, პოლიტპატიმრების პრობლემას რომ მიება რეპრესირებულთა პროტესტიც, კარგია. იქნებ, ადრე თუ გვიან, ყურები გამოიბერტყოს ამ მთავრობამ. ბანკების მიერ გაძარცვულია 70 ათასი იპოთეკარი, გაძარცვულია ბიზნესმენები, რომლებსაც ქონებას არც არავინ უბრუნებს და არც არავინ ფიქრობს დაბრუნებას. რა ჰქვია ამ ყველაფერს, თუ არა ფეხებზე დაკიდება?!

**— რატომ არ ზრუნავს ხელისუფლება ამ ხალხზე?**

— არ სურთ თავის ატკიება. ძალიან მარტივად დგას საკითხი: როდესაც რომელიმე ბიზნესმენს აქვს მონოპოლია, ცხადია, თავის სფეროში ფეხს არავის მოაკიდებინებს. **როდესაც დღევანდელი ენერგეტიკის მინისტრი — ბატონი კალაძე არის ჰესების მფლობელი, შეეცდება, რომ ქვეყანაში ელექტროენერგიის საფასური გააიაფოს?**

**როგორც ვიცი, კალაძე 7 ჰესის მფლობელია და, რა თქმა უნდა, არ გააიაფებს ელექტროენერგიას და შემოსავალს არ შეიმცირებს.** თანაც, საქართველოში გაცილებით მაღალია ელექტროენერგიის საფასური, ვიდრე სხვა განვითარებად ქვეყნებში და ცხადია, ტარიფი ხელოვნურადაა გაზრდილი. არადა, **კოალიციის ერთ-ერთი დაპირება სწორედ ელექტროენერგიის გადასახადის გაიაფება იყო.**

მართალია, სამართლიანობის აღდგენის გაჭიანურება ძალიან აწუხებს ჩვენს მოსახლეობას, მაგრამ **ძალიან მალე, 1-2 თვეში, ქვეყანაში სოციალურ საკითხებზე დაიწყება პროტესტი, რადგან ხალხს ძალიან შია. დღეს გაცილებით უარეს მდგომარეობაშია ქართველი ხალხი, ვიდრე იყო.** არ მაინტერესებს, „ქართული ოცნება“ ციფრებით და სტატისტიკით რას ამტკიცებს, რადგან, სტატისტიკას რომ აყალბებენ, დიდი ხანია, ვიცით. ყველაზე ზუსტი სტატისტიკაა, როდესაც ქუჩაში გადიხარ. **გავიდნენ და ნახონ, რა დღეშია ხალხი, გამათხოვრებულია. მეტროპოლიტენის სადგურებში უამრავი ადამიანი დადის გამჭვირვალე ყუთებით ხელში და მძიმე ავადმყოფი ბავშვისთვის მოწყალებას ითხოვს.**

ნუთუ ქვეყანაში არ უნდა იყოს უფასო სამედიცინო მომსახურება თუნდაც მხოლოდ ბავშვებისთვის? ბავშვები ხომ ჩვენი ქვეყნის მომავალია? ეს ნიშნავს, რომ ამჟამინდელი ხელისუფლება ქვეყნის მომავალზე არ ზრუნავს.

ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ციხეში კვლავაც ზის უამრავი უკანონო პატიმარი. ზოგს 2 წელი ეკუთვნის და 24 წელი აქვს მისჯილი, ზოგის საქმე გამოუძიებელია და ისე იხდის სასჯელს. **ან ეს სოზარ სუბარი რას აკეთებს, თუმცა რისი გამკეთებელია?! ან მაგას ვინ რას ეკითხება?**

**ვინც დასაჭერია, სააკაშვილის თამადობით, თავისუფლად დააპარაშებენ, უდანაშაულო ხალხს კი სული ამოჰხადეს...** ციხეში ყოფნისას ვიცოდი, რაც მოხდებოდა. ბიძინა ივანიშვილს ხელისუფლებაში მოსვლა არ ჰქონდა გადაწყვეტილი, ამიტომ იძლეოდა ასე უაზროდ წინასაარჩევნო დაპირებებს, რადგან შეთანხმებულნი იყვნენ „ნაცებთან“, რომ საკანონმდებლო ორგანოში ოპოზიციის სახით 30-პროცენტიანი კვოტით მოვიდოდნენ. მოლაპარაკებული იყვნენ, ახალი პოლიტიკური ძალა „გაპრავებულიყო“ და პრემიერმინისტრად დარჩენილიყო მიხეილ სააკაშვილი.

**ივანიშვილის გუნდი არ ელოდა, რომ ციხის ამბავი გისოსებს გარეთ გამოვიდოდა და არც ის უარყოს ვინმემ, რომ ლადო ბედუკაძეს ამ ფირებში არაფერი გადაუხადეს.**

მოკლედ, „ქართული ოცნება“ პარლამენტში შევიდოდა 30 პროცენტით და შემდეგ იტყოდნენ, რა ვქნათ, არ ვართ უმრავლესობა და ამიტომაც ვერ ვასრულებთ დანაპირებსო. **ციხის კადრების გამომზეურების შემდეგ კი ქვეყანაში დაიწყო შეუქცევადი პროცესი და არჩევნებში ავტომატურად გაიმარჯვა „ოცნებამ“.**

დაიბნენ და აღარ იციან, რა გააკეთონ. **ვერც ერთ დანაპირებს ვერ ასრულებენ და ვერც შეასრულებენ, რადგან არ იციან საქმის კეთება და ეს არც ჰქონდათ გეგმაში,** ამიტომაც მიმართეს კოაბიტაციას. არადა, წესით, 2013 წლის 5 იანვარს უნდა შეეჩერებინათ სააკაშვილისთვის პრეზიდენტობა, რადგან ამ დღეს ამოეწურა ვადა, მაგრამ ოქტომბრამდე გაუხანგრძლივეს.

**ან ივანიშვილი რომელ დემოკრატიაზე მელაპარაკება? ერთი კაცი მაინც თუ არის დღევანდელ უმრავლესობაში ხალხს მიერ არჩეული? მთელმა საქართველომ ივანიშვილის ხათრით მისცა „ქართულ ოცნებას“ ხმა. თვითონ ივანიშვილი კი შეძვრა თავის მინის სასახლეში და სამოქალაქო სექტორის დაარსება მომინდომა. მაგან რა სექტორი უნდა გახსნას, რა ენაზე მეტყველებს? „ჩაგეკითხები“, „მიგჯირყვნი“... რა არის ეს?**

ჟურალისტებიც დამნაშავენი არიან, თავს რომ „აჯირყვნინებენ“ და შემდეგ თავიანთ გადაცემებში ივანიშვილის ლექსიკონით საუბრობენ, ყველას პირზე აკერია სიტყვა „ჩაგეკითხები“. ერთი კაცი არ შეხვდა ისეთი, რომელიც მოაკეტინებდა. კითხვის შებრუნების ეშინიათ.

**ივანიშვილის როგორ უნდა ეშინოდეთ, მაგის შეშინებულები, დიდი ხანია, ჩავლილები არიან. ან ივანიშვილს ვიღაც ფრანგი ოკულტისტი ქალი რომ უზის, ხომ არ ჰქონია, რომ ამის შესახებ არაფერი ვიცით?**

მიატოვა ყველაფერი და წავიდა. გაცემულ დაპირებებს შესრულება რომ უნდა, ფეხებზე ჰკიდია. კი, იძახის, რომ საწარმოებიც გავხსენი და იმაზე მეტიც გავაკეთე, რასაც დაგპირდითო, მაგრამ ფაქტები სხვა რამეზე მეტყველებს. **ყოველდღე იხურება მაღაზიები, საწარმოები, უმუშევართა რაოდენობა კი იზრდება.** იმიტომ იხურება, რომ ქვეყანაში ფული აღარ ტრიალებს და ფასებიც გაორმაგდა, ველარაფერს ყიდულობენ.

**საქართველოს არაფერი ეშველება, ვიდრე ხალხი არ მიხვდება: ხელისუფლება იმიტომ კი არ უნდა აირჩიოს, რომ კიდევ ერთი მილიარდერი გაზარდოს, არამედ ხელისუფლებამ ხალხს სოციალური მდგომარეობა უნდა გაუუმჯობესოს და ქვეყანა წინ წაიყვანოს.** ჩვენთან კი ასე ხდება: ყოველი ახალი ხელისუფლების არჩევისთანავე ახალი მილიონერები ჩნდებიან. და კიდევ — **ვიდრე არ მოვიშლით კერპთაყვანისმცემლობას, იმ მდგომარეობაში ვიქნებით, როგორშიც ახლა ვართ.** უკვე გაზაფხულია, აი ნახავთ, ძალიან მალე რამდენი ხალხი გამოვა ქუჩაში. მშიერი ხალხი, რომლის გაჩერებაც შეუძლებელი იქნება. **ან ხალხს რატომ ეგონა, რომ ივანიშვილი ოცნების კოშკებს აუშენებდა? ვინ მოიყვანა ხელისუფლებაში სააკაშვილი თავისი გუნდით? ვინ აფინანსებდა მათ? რესპუბლიკელები ვინ შემოგვტენა?** რატომ გატენა პარლამენტი ერთპროცენტიანი პარტიებით, გინდათ, რესპუბლიკელებით, გინდათ — სამტრედიელი ძიძიგურებით?

**რომ გაიძახის, საქართველოზე ფულს ვხარჯავდიო, რაში ხარჯავდა? მსახიობებს რომ აფინანსებდა? მსახიობი არ არის ქვეყანა, არც პოლიციაა ქვეყანა და არც „ნაციონალები“. აი, ამაში ხარჯავდა თურმე ფულს. ეკლესია რომ ააშენა?** — კი, ბატონო, მაგრამ არც ეკლესიაა ქვეყანა. ქრისტემ თქვა, ეკლესიას ერთ დღეში დავანგრევ და სამ დღეში ახალს ავაშენებ, ღვთის სულის ტაძარი ადამიანიაო. ეს ყველას დაავიწყდა, სამწუხაროდ.



**«ძალიან მალე სოციალური პრობლემებით გულშეწუხებული და მშიერი ხალხი «ნაცებსაც» და «ოცნებასაც» საიქიოსკენ გაუყენებს გზას, რადგან მათ შორის განსხვავება არ არის. თანაც ეს ძალიან მძიმე ფორმით მოხდება, რადგან ხალხი გამწარებულია და გამწარებულ ხალხს წინ ვერაფერი დაუდგება!»**

**ძალიან მალე სოციალური პრობლემებით გულშეწუხებული და მშიერი ხალხი „ნაცებსაც“ და „ოცნებასაც“ საიქიოსკენ გაუყენებს გზას, რადგან მათ შორის განსხვავება არ არის. თანაც ეს ძალიან მძიმე ფორმით მოხდება, რადგან ხალხი გამწარებულია და გამწარებულ ხალხს წინ ვერაფერი დაუდგება.**

ეს კარგად იცის „ოცნებამ“ და ამიტომაც გადააქვთ ჩვენი ყურადღება სხვა საკითხებზე, ავღანეთსა და უკრაინას უნდა დავეხმაროთო. მორჩნენ რაა... ქართველი ბიჭები ავღანეთში ლუკმაპურის საშოვნლად მიდიან და, როგორც კი რამე მოხდება საქართველოში, ამერიკა ერთ გემ ბოთლის წყალს გვიგზავნის, ევროპა კი აღშფოთდება ხოლმე. ან უკრაინას რატომ უნდა დავეხმარო, როდესაც ქვეყანაში ამდენი მშიერი მყავს, სად მცხელა უკრაინისთვის?

**ამ ხელისუფლებას ურჩევნია, ახალქალაქით და ახალციხით დაინტერესდეს. სომხებს ისევ აქვთ პრეტენზიები, აღარ სურთ სკოლებში ქართული ენის სწავლა და იგივე სიტუაციაა, როგორიც ადრე იყო.** შე დალოცვილო, ხომ ხედავ, რომ ქვეყანა ყარს, სახლი, რომელიც ასე მოგწონს, ნაგავში დგას და სუნი მაინც არ გაწუხებს? შე დალოცვილო, ამდენი მილიონი გაქვს და ელექტროენერგია მაინც გააიაფე, ხალხმა რომ ამოისუნთქოს. მაგრამ სად აქვს ამის შეგნება? **შეგნება რომ ჰქონოდა, პატრიარქზე ასეთ რამეს იტყოდა?** მაგრამ ამათ ხელს არ აძლევთ ქვეყანაში ორი ავტორიტეტი. ვიდრე პატრიარქს თავს არ ესხმოდნენ, „ოცნების“ მიმართ ხალხის განწყობა უკეთესი იყო. **უნდათ თუ არა, პატრიარქი საქართველოში პირველი ავტორიტეტია და ივანიშვილმა მისი აუგად მოხსენიებით საკუთარ თავს ავნო.** ეს იმის ბრალია, რომ თავი კერპად წარმოიდგინეს და ამიტომაც ველარ აიტანეს პატრიარქი.

ყველაზე საშიში, საშუალო ნიჭის მქონე პრეტენზიული ადამიანია, პრეტენზია პირველობაზე რომ აქვს და ნიჭი რომ ვერ უქაჩავს. ასეთები, ძირითადად, პოლიტიკაში მიდიან ან ბიზნესმენები ხდებიან, თორემ, გენიოსს რომ უთხრა, პოლიტიკაში წადიო, დაგცინებს. **ეს ხელისუფლება არც განათლებაზე ზრუნავს. არ მინდა, ჩემმა შვილმა ისეთ უნივერსიტეტში ისწავლოს, რომელშიც პროფესორი თეა თუთბერიძეა, ხოლო რექტორი — გიგი თევზაძე.**

**სააკაშვილის მიერ განადგურებულ ენის პალატაზე ამათაც არ შეიბერტყეს ყური, არც ამათ სჭირდებათ განათლებული და კარგი ქართულის მცოდნე ერი. ამათთვისაც მთავარია, გეების აღლუმი და ლგბტ-ს უფლებების დაცვა.** საინტერესოა, ამ ხელისუფლებამ თუ იცის, რომ ავსტრალიაში, რომელიც დემოკრატიის განვითარების თვალსაზრისით მე-5 ადგილზეა, აკრძალულია ერთსქესიანთა ქორწინება. **მთელი ევროპა კი ამ კანონის მიღების წინააღმდეგ გამოდის და ჩვენს ხელისუფლებას რა ღმერთი გაუწყრა, რომ რესპუბლიკელების ჭკუაზე დადის?**

მაგრამ რესპუბლიკელებს და ლგბტ-ს დამცველებს მხოლოდ თავიანთი კუჭის დარდი აქვთ და ამიტომაც გაჰყვირიან ბევრს, ვერ ხედავთ, როგორ გასუქდნენ? მთელი საქართველო ფინანსთა მინისტრს დასცინის, — ჭამე, ნოდარიო! ეს ხომ სირცხვილია?!

**— რომ არ შეცვლილიყო ხელისუფლება, როდის მოგიწევდათ ციხის დატოვება?**

— ახლა, მარტის ბოლოს. ნეტა, ასე მომხდარიყო. როგორც კი გამოვიდოდი ციხიდან, ამერიკის საელჩის მოვადგებოდი და პოლიტიკურ თავშესაფარს მოვითხოვდი, რადან **ამ ქვეყანაში ცხოვრება აღარ შეიძლება.** 2009 წლის აგვისტოში ამერიკულმა ორგანიზაციამ „ჰუმან რაითს ვოთჩმა“ პოლიტპატიმრად მაღიარა და ამერიკაში წასვლა არც ახლაა ჩემთვის პრობლემა... **ციხიდან გამოსულს უარესი საქართველო დამხვდა, ვიდრე დაპატიმრებამდე იყო. გარეთ უარესი ხდება, ვიდრე ციხეში და მოვითხოვ, დამაბრუნოთ ციხეში!** დიახ, დამაბრუნეთ ციხეში, იმას მაინც ვერ დავინახავ, თუ რა საშინელ დღეშია ხალხი გარეთ!

ესაუბრა
**ნინო მაისურაძე**

**ისევე, როგორც საპრეზიდენტო არჩევნებზე არაერთი ამომრჩეველი, სავარაუდოდ, ჩათვლის, რომ მისი მისვლა უბანზე საჭირო არაა და „ისედაც ცნობილი“ შედეგის დაფიქსირებას მის ნაცვლად სხვები უზრუნველყოფენ. „ნაციონალები“, დიდი ალბათობით, ისევ მოახდენენ მხარდამჭერების ტოტალურ მობილიზებას და, „ოცნების“ ამომრჩევლების შედარებით დაბალი აქტიურობის პირობებში, ისეთივე გამაოგნებლად მაღალ პროცენტს მიიღებენ, როგორც გასული წლის 27 ოქტომბერს.**



დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ეროვნული იმედგაცრუების სინუსოიდა

**დაეტყო! აშკარად დაეტყო უკრაინის ახალ ხელისუფლებას კონსულტანტ მიხეილ სააკაშვილის ხელი — იკარგება ყირიმი, აღმოსავლეთ უკრაინა ბეწვზე კიდია, ქვეყნის დანარჩენ ტერიტოტიაზე კი ნაკლები წესრიგია ვიდრე ცეცხლმოკიდებულ ბორდელში, „პოსტრევოლუციური ქაოსი“, უკრაინის ახალი შს მინისტრის არსენ ავაკოვის აღიარებას თუ დავეყრდნობით. ასე თუ გაგრძელდა, მალე, ალბათ, ჰალსტუხების ღეჭვასაც დაიწყებენ. კაცმა რომ თქვას, კიევის მთავრობის ერთადერთი შანსი ქვეყნის ტერიტორიიდან კონსულტანტ სააკაშვილის სასწრაფო გაძევებაა, თუმცა ეს უკვე მათი პრობლემაა და არა ჩვენი. ვერაფრით დავეხმარებით, მაქსიმუმ ჰუმანიტარული მისიით რამდენიმე გამოცდილი ფსიქიატრი გავუგზავნოთ; საყოველთაო აღიარებით ქართველმა ფსიქიატრებმა თავისი საქმე რუს სპეცრაზმელებზე უკეთ იციან. ხოლო სანამ კიევი დახმარების თხოვნით მოგვმართავს, ალბათ, აჯობებს, ჩვენ სამამულო ჰალსტუხებს და მხიარულ მამიდებს მივხედოთ, რადგან უკრაინაზე ამ დღეებში ისედაც საკმარისზე მეტი იწერება.**



გლობალური გეოპოლიტიკური დებოშის ფონზე ადგილობრივი ახალი ამბები შეიძლება ერთობ მოსაწყენად მოგვეჩვენოს. არის მხოლოდ რამდენიმე ცვლილება, რომლებიც ყურადღებას იმსახურებს. მაგალითად, **პროკურატურამ, ასე თუ ისე, აკრიფა ტემპი და სააკაშვილის რეჟიმის რამდენიმე მაღალჩინოსანს, მათ შორის სოდ-ის ყოფილ უფროს ერეკლე კოდუას, ბრალი წარუდგინა. მართალია, ტემპი თავისთავად არაფერს ნიშნავს, რადგან ეს არაა სირბილი ბარიერებით და მხოლოდ სასამართლოში გამოჩნდება, რამდენად კარგად მოემზადა პროკურატურა, მაგრამ ფაქტია, რომ უკმაყოფილო საუბრები იმასთან დაკავშირებით, რომ ხელისუფლება სამართლიანობის აღდგენასა და დამნაშავეთა დასჯაზე უარს ამბობს, ბოლო პერიოდში აშკარად შემცირდა.** მაგრამ მთავარი საკითხი, რომელიც ვანო მერაბიშვილისთვის 26 მაისის საქმეზე განაჩენის გამოტანის შემდეგ განსაკუთრებით აქტუალური გახდა, კვლავინდებურად ღიაა: **თუ ისჯებიან შემსრულებლები, რატომ არ დაისაჯა ან, როგორც მინიმუმი, არ დაიკითხა დამკვეთი და დანაშაულებრივი სისტემის მთავარი არქიტექტორი? გაბედავს თუ არა პროკურატურა** (და დასავლელი მოკავშირების „დაჟინებულ რჩევებზე“ დამოკიდებული ხელისუფლება) **თქვას, რომ მიხეილ სააკაშვილთან კითხვები აქვს?** ყველაზე საინტერესო, ალბათ, სწორედ ესაა და არა სკანდალური ნიუანსები მერაბიშვილის, კოდუას თუ როლანდ ახალაიას საქმეებში.

რაც შეეხება ეკონომიკას, საქსტატის მონაცემები მეტ-ნაკლებად დამაიმედებელია: **„იანვარ-თებერვალში საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ (არაორგანიზებული ვაჭრობის გარეშე) 1567 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებელზე 17 პროცენტით მეტია. აქედან, ექსპორტი 440 მლნ აშშ დოლარი იყო (23 პროცენტით მეტი), ხოლო იმპორტი 1127 მლნ აშშ დოლარი (15 პროცენტით მეტი)“.** მიუხედავად ამისა, სავაჭრო ბალანსი მთლიანობაში მაინც კოშმარულად გამოიყურება, ხოლო მოსაზრება „მაინც არაფერი გვეშველება“ საზოგადოებაში კვლავინდებურად დომინირებს. წინასაარჩევნოდ მას ტრადიციულად ცვლის მოსაზრება „იქნებ გვეშველოს რამე“, შემდეგ კი ყველაფერი ჩვეულ კალაპოტს უბრუნდება. ამ პროცესის გრაფიკულ გამოსახულებას, ალბათ, შეიძლება **„ეროვნული იმედგაცრუების სინუსოიდა“** ვუწოდოთ.

გასულ კვირას საქართველოს უგვირგვინო მენეჯერის, ბიძინა ივანიშვილის, მიერ დაარსებულმა ორგანიზაცია „მოქალაქემ“ სთხოვა მედიასაშუალებების ხელმძღვანელებს, წერილობით აცნობონ, რა კონკრეტული მიმართულებით სჭირდებათ ტრენინგების ჩატარება მათ მედიასაშუალებაში დასაქმებულ ჟურნალისტებს: **„მიუხედავად იმისა, რომ ორგანიზაციას აქვს საკუთარი შეხედულება, თუ რა მიმართულებით იქნება ტრენინგების ჩატარება მნიშვნელოვანი, საჭიროდ მიიჩნევს, მიიღოს დამატებითი ინფორმაცია თავად მედიასაშუალებების ხელმძღვანელებისგან, კონკრეტულად, რომელ საკითხებს თვლიან ისინი აქტუალურად და რაში საჭიროებენ მათდამი დაქვემდებარებული მედიაორგანიზაციების თანამშრომლები ცოდნის გაღრმავებას“.** გამორიცხული არაა, რომ მასმედიის ზოგიერთ წარმომადგენელს ამ განცხადების შემდეგ გაუჩნდა დაუოკებელი სურვილი, სპონტანურად ეპასუხა: **„გირჩევნიათ, თავიდან ტრენინგი თქვენ მიერ შერჩეულ პოლიტიკოსებს და ჩინოვნიკებს ჩაუტაროთ, თორემ გაუმაძღრობითა და არაპროფესიონალიზმით მალე წინამორბედებს დაჩრდილავენ“.** პრინციპში, რას ვერჩით, თავის ფულს, როგორც უნდა, ისე დახარჯავს. **პინგვინების ფერმის პროექტმა, როგორც ჩანს, არ გაამართლა და ახლა ჟურნალისტებისა და სამოქალაქო აქტივისტების მომზადებით დაკავდება.** ისე, ურიგო არ იქნებოდა, ვინმეს „ოლიგარქების სკოლა“ (საბავშვო ბაღი ნამეტანია) გაეხსნა, სადაც მილიარდერებს ტრენინგებს ჩაუტარებდა და მათ დაახლოებით ასეთ წერილებს მისწერდა: **„ძვირფასო ოლიგარქებო, გთხოვთ, წერილობით გვაცნობოთ, რა კონკრეტული მიმართულებით გჭირდებათ გადამზადება“.** ვინ თქვა, რომ ამ ქვეყანაში ოლიგარქებს გადამზადება არ სჭირდებათ?

სიტყვამ მოიტანა და კახა ბენდუქიძე პროკურატურაში დაიბარეს. მართალია, ავთანდილოვიჩი არ არის ოლიგარქი, კლასიკური გაგებით, ისევე, როგორც ვასილ ჩაპაევი არ იყო ბოდჰისატვა, მაგრამ სიტყვამ მაინც მოიტანა. მთავარი პროკურატურა, „მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე“ (ეს მაგარი იციან), განმარტავს, რომ **„საქმე ეხება სსიპ „საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის“ ბალანსზე რიცხული დიდი ოდენობით უძრავი ქონების პრივატიზებისას „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების გვერდის ავლით, სსიპ „სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის“ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირად რეორგანიზაციასა და მასთან შერწყმული საქართველოს სხვადასხვა ტერიტორიაზე განთავსებული 14 კვლევითი-სამეცნიერო ინსტიტუტის ბალანსზე არსებული უძრავ-მოძრავი ქონების შპს „აგრომეტის“ კაპიტალში წინასწარ შემცირებული ღირებულებით შეტანას, შემდეგ კი შპს „აგრომეტის“ 100% წილის 5150000 აშშ დოლარად პრივატიზებას 8000000 ლარის საინვესტიციო ვალდებულებით. მაშინ, როდესაც შპს „აგრომეტის“ საწესდებო კაპიტალში შეტანილი უძრავ-მოძრავი ქონების მხოლოდ საბალანსო ღირებულება 65 მილიონ ლარს შეადგენდა, ხოლო საბაზრო ღირებულება რამდენიმე ასეულ მილიონ ლარზე მეტია. ცნობისათვის, პრივატიზებული ქონების მხოლოდ ერთი ნაწილი თბილისში ალმაშენებლის ხეივნის მე-12 კმ-ზე განთავსებული 59 ჰექტარი მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება შეფასებულია 10790000 ლარად, რომელიც კაპიტალში შეიტანეს 59000 ლარად (1 კვადრატული მეტრი 10 თეთრად), ანალოგიური გზით შემცირდა სხვა ქონების ღირებულებებიც“.**

გამორიცხული არაა, რომ ამ ინფორმაციამ ფართო მასებში გამოიწვია კლასიკური რეაქცია, რომელსაც საზოგადოებასთან ურთიერთობის ცნობილი უკრაინელი ექსპერტი გიორგი პოჩეპცოვი შემდეგნაირად აღწერს: **„ან მან მოიპარა, ან მას მოჰპარეს, მაგრამ რაღაც ნამდვილად იყო“.** აქვე აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ „ნაციონალების“ „ლიბერალური“ ფრთა (აქ სიტყვა „ლიბერალური“, იდეაში, სამმაგ ბრჭყალებში უნდა ჩავსვათ) კახა ბენდუქიძეს უყურებს სწორედ როგორც ბოდჰისატვას, რომელიც ოდნავ ზემოთ ესოდენ უადგილოდ ვახსენეთ. სანსკრიტის ლექსიკონს თუ მოვიშველიებთ, **ბენდუქიძე მათთვის არის „ის, ვისი არსებაც არის სრულყოფილი ცოდნა, მომავალი ბუდა, ადამიანი, რომელმაც მიაღწია შინაგან სრულყოფას, მაგრამ ნირვანის დამკვიდრებამდე თავგამოდებით ეხმარება კაცთა მოდგმას“.** მარტივად რომ ვთქვათ, ისინი, ყოფილი მაღალჩინოსნების დაკითხვა-დაპატიმრების მიუხედავად, ვერასოდეს წარმოიდგენდნენ, რომ პროკურატურა ავთანდილოვიჩს შეეხებოდა და მომხდარი მათთვის, სავარაუდოდ, (მათი) სამყაროს მოახლოებული აღსასრულის ერთ-ერთ უტყუარ ნიშნად იქცა. ამ შემთხვევაში **„ნაციონალების“ წინააღმდეგ მათ მიერვე დამკვიდრებულმა სტერეოტიპებმა იმუშავა — ზოგადად, ამა თუ იმ პიროვნების დაბარება დაკითხვაზე არანაირად არ ნიშნავს, რომ ის დამნაშავეა, მაგრამ საქმე ისაა, რომ სააკაშვილის მმართველობის წლებში პროპაგანდისტული მანქანა დაკითხვას ბრალეულობის და გარდაუვალი დასჯის ნიშნად წარმოაჩენდა. ამ ნიადაგზე ჩამოყალიბდა მანკიერი სტერეოტიპი, რომელმაც ამ შემთხვევაში მისი შემქმნელების წინააღმდეგ იმუშავა და** (სოცქსელებში გაკეთებული კომენტარების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ) **არაერთმა მათგანმა ჩათვალა, რომ ბენდუქიძე უკვე ეშაფოტზე აჰყავთ.** სინამდვილეში საქმე სხვაგვარადაა — ახსნის, რა მოხდა აგრარული უნივერსიტეტის ქონებასთან დაკავშირებით და ისევ შინაგან სრულყოფას დაუბრუნდება; ან ვერ ახსნის და, შესაბამისად, ვერ დაუბრუნდება. ხანდახან ასეც ხდება.

«ნაციონალების» «ლიბერალური» ფრთისთვის ბენდუქიძე არის «ის, ვისი არსებაც არის სრულყოფილი ცოდნა, მომავალი ბუდა, ადამიანი, რომელმაც მიაღწია შინაგან სრულყოფას, მაგრამ ნირვანის დამკვიდრებამდე თავგამოდებით ეხმარება კაცთა მოდგმას»

წინასაარჩევნო პრობლემატიკა ნელ-ნელა წინა პლანზე გამოდის, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ საზოგადოებაში დომინირებს განწყობა „ყველაფერი ისედაც გადაწყვეტილია“. აქედან გამომდინარე, **ისევე, როგორც საპრეზიდენტო არჩევნებზე არაერთი ამომრჩეველი, სავარაუდოდ, ჩათვლის, რომ მისი მისვლა უბანზე საჭირო არაა და „ისედაც ცნობილი“ შედეგის დაფიქსირებას მის ნაცვლად სხვები უზრუნველყოფენ. „ნაციონალები“, დიდი ალბათობით, ისევ მოახდენენ მხარდამჭერების ტოტალურ მობილიზებას და, „ოცნების“ ამომრჩევლების შედარებით დაბალი აქტიურობის პირობებში, ისეთივე გამაოგნებლად მაღალ პროცენტს მიიღებენ, როგორც გასული წლის 27 ოქტომბერს.** თუმცა იმაში, რომ მმართველი კოალიცია დამაჯერებელ გამარჯვებას მიაღწევს, ეჭვი ჯერჯერობით არც ერთ სერიოზულ კომენტატორს არ ეპარება და ყველაზე საინტერესო ამ სიტუაციაში, ალბათ, ისაა, სად წავა „ოცნებაზე“ განაწყენებული იმ ამომრჩევლების ხმები, რომლებიც „ნაციონალებს“ ვერ იტანენ და ხმას ცოცხალი თავით არ მისცემენ. საპრეზიდენტო არჩევნებში მათმა ნაწილმა მხარი ნინო ბურჯანაძეს დაუჭირა, ნაწილმა კი „ჩუმი ბოიკოტი“ არჩია. ვიხილავთ თუ არა მერობის ისეთ კანდიდატებს, რომელნიც ამ ხალხის მობილიზებას შეძლებენ? მათ გარეშე არჩევნები ძალზე უინტერესო იქნება, რადგან **ბიპოლარული დაყოფა „ოცნება“-„ნაციონალები“ უკვე აშკარა ანაქრონიზმად იქცა და ახალ რეალობაში ადეკვატური აღარ არის.** ხატოვნად (და ოდნავ არაკორექტულად) რომ ვთქვათ, **ერთნი წარმოადგენენ ბნელ, სააკაშვილის რეჟიმთან დაკავშირებულ წარსულს, მეორენი — უკეთეს, მაგრამ მაინც ძალზე პრობლემურ აწმყოს.** ამ ამომრჩევლებს კი ისეთი კანდიდატები სჭირდებათ, რომელთაც მომავლის იმედს დაუკავშირებენ. სასურველია, დღეს არსებული სიტუაცია შეიცვალოს, წინააღმდეგ შემთხვევაში **წარსულსა და აწმყოს შორის გაჭედილი ქვეყანა ისევ უფსკრულისკენ წავა, რომელსაც ჯერჯერობით ორიოდე ნაბიჯით თუ დაშორდა.**

მთლიანობაში კი გასულ კვირას საქართველოში სიმშვიდე და ცვალებადი მოღრუბლულობა სუფევდა. ალბათ, ისღა დაგვრჩენია, უკრაინის ამბებს მივუბრუნდეთ და მთელი გულით ვუგულშემატკივროთ ერს, რომელმაც ჯერ კიდევ არ იცის, რა შარში გაყო თავი მისმა ახალმა მთავრობამ, როდესაც მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით (თანაც სრული სერიოზულობით!) მიხეილ სააკაშვილის მოსაზრებებით დაინტერესდა და მასთან ერთად, არც მეტი არც ნაკლები, ყირიმის კრიზისის დაძლევის სცენარებს განიხილავდა (რასაც უკრაინის უშიშროების საბჭოს ახალი მდივანი ანდრეი პარუბი ადასტურებს). მედიცინა მსგავს შემთხვევებში უძლურია, უბრალოდ, ხალხია ცოდო და ამიტომ ამ დიდი გაუგებრობიდან თავის დაღწევა მთელი გული უნდა ვუსურვოთ.

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**რუსეთი გააკეთებს ყველაფერს, რათა ალიანსში უკრაინის და საქართველოს გაწევრიანება დაბლოკოს. თუ ყირიმში ჩატარებულ ელვისებურ ოპერაციას ამ კონტექსტში განვიხილავთ, ვნახავთ, რომ ის, პერსპექტივაში, უკრაინისთვის ე. წ. „მოუგვარებელ ტერიტორიულ პრობლემას“ შექმნის, რაც ნატოში გაწევრიანების გზაზე ძალზე სერიოზულ წინაღობას წარმოადგენს, ისევე, როგორც აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის პრობლემა საქართველოსთვის.**

# რას მოუტანს საქართველოს «ახალი ცივი ომი»?

**გასულ კვირას კრემლმა მთელ მსოფლიოს დაანახა, რომ პოსტსაბჭოთა სივრცეს გავლენის სფეროდ განიხილავს, ხოლო კონფრონტაცია და „ახალი ცივი ომი“ დასავლეთთან არ აშინებს. ყოფილი სსრკ-ის ტერიტორიაზე საკუთარი პოლიტიკის დაგეგმვისას უკლებლივ ყველა სახელმწიფოს ამ ფაქტორის გათვალისწინება მოუწევს. რას მოუტანს ახალი რეალობა საქართველოს? მიიღებს ის დასავლეთ-აღმოსავლეთის დაპირისპირების პირობებში იმდენივე ბონუსს, რამდენიც ორივე მხარისგან „ძველი ცივი ომის“ დროს ფინეთმა მიიღო, თუ სისხლიანი დაპირისპირების არენად გადაიქცევა, როგორც ვიეტნამი, ავღანეთი, ნიკარაგუა, სალვადორი თუ ანგოლა იმავე წლებში? ძალიან ბევრი რამ დამოკიდებული იქნება საქართველოს ხელისუფლებისა და საზოგადოების კეთილგონიერებასა და უნარზე, რომ ემოციებზე მაღლა ეროვნული ინტერესები დააყენოს, რათა გაუმკლავდეს იმ საფრთხეებს, რომელთაც საქართველოს ახალი, პატარა ქვეყნებისთვის ფრიად არაკომფორტული ეპოქა უქადის.**




## ცივი ომი და ცხელი თავები

**დღეს დასავლეთის, უპირველესად კი, შეერთებული შტატების ელიტა მერყეობს და „ახალი რუსული პოლიტიკის“ ფორმირებას ცდილობს. განიხილება უამრავი ვარიანტი, რომელთა დაყვანა ორ ძირითად მიდგომამდე შეიძლება.** ერთ-ერთი (თუნდაც დროებით) დეესკალაციასა და მოსკოვისთვის გარკვეული გარანტიების მიცემას ითვალისწინებს და მის მთავარ გამხმოვანებლად **ზბიგნევ ბჟეზინსკი** გვევლინება, რომელიც **უკრაინას სთავაზობს, XXI საუკუნის ფინეთად გადაიქცეს, „შეინარჩუნოს ეკონომიკური ურთიერთობების ფართო სპექტრი რუსეთთან და ევროკავშირთან, მაგრამ ამავე დროს არ გაწევრიანდეს არც ერთ სამხედრო ალიანსში, რომელთაც მოსკოვი საკუთარი თავის წინააღმდეგ მიმართულად ჩათვლის“.** არც ისე შორს ბჟეზინსკის მოსაზრებისგან „ცივი ომის“ პერიოდის კიდევ ერთი ლეგენდარული ფიგურის — **ჰენრი კისინჯერის** კომენტარები დგას, რომელიც მიიჩნევს, რომ **დასავლეთს, შესაძლოა, მოუწევს ისეთი შედეგის აღიარება, რომელთა ფარგლებში უკრაინა ნატოს შემადგენლობაში არ შევა.** ამასთანავე, **კისინჯერმა** (შესაძლოა, ბევრისთვის მოულოდნელად) **განაცხადა, რომ „დასავლეთისთვის ვლადიმერ პუტინის დემონიზაცია არ არის პოლიტიკური კურსი, არამედ ალიბი მსგავსი კურსის არარსებობისთვის“.** არც ერთი და არც მეორე ვლადიმერ პუტინის გულშემატკივარი ნამდვილად არ არის, თუმცა, როგორც ჩანს, ორივე ვეტერანი კარგად აცნობიერებს საფრთხეებს, რომლებიც გამომდინარეობს რუსეთის გარდაუვალი სამობილიზაციო ტრანსფორმაციიდან „ახალი ცივი ომის“ პირობებში და მისი ალიანსიდან ჩინეთთან.

თუ დასავლეთის ლიდერები ამ მოსაზრებებს გაიზიარებენ, **გამორიცხული არაა, რომ იდეა უკრაინის ნეიტრალიტეტის თაობაზე პროეცირებული იქნება საქართველოზეც და ნატოში გაწევრიანებასთან დაკავშირებული ეპოპეა დასრულდება.** მაგრამ არის სხვა მიდგომაც, რომლის ფარგლებში დასავლეთი რუსეთს სანქციებს დაუწესებს, უკან ერთი ნაბიჯითაც არ დაიხევს, ხოლო პოსტსაბჭოთა ქვეყნებს ყველა საშუალებით დაეხმარება, დასავლეთის საიმედო პლაცდარმებად გადაიქცნენ — საქართველოს მისცემენ მაპს, უკრაინას — შეიარაღებას და ა. შ.

გასულ კვირას რუსულმა „კომერსანტმა“ საინტერესო ინფორმაცია გამოაქვეყნა: **„თუ 16 მარტის რეფერენდუმის შედეგით ყირიმი რუსეთის შემადგენლობაში შევა, საქართველოს სექტემბერში ნატოს სამიტზე დიდ ბრიტანეთში შეიძლება წევრობის სამოქმედო გეგმა (მაპი) მიანიჭონ. ეს ინფორმაცია „კომერსანტს“ დაუდასტურეს წყაროებმა ნატოს შტაბ-ბინაში და აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტში“.** ცხადია, მსგავს პუბლიკაციებზე დაყრდნობით გლობალური დასკვნების გაკეთება არ შეიძლება და ჯერჯერობით არაფერი მიუთითებს იმაზე, რომ ნატოს „ძველევროპელმა“ წევრებმა, მათ შორის გერმანიამ, „ქართულ მაპთან“ დაკავშირებით პოზიცია შეცვალეს, თუმცა, დიდი ალბათობით, დასავლელი დიპლომატები ამ ვარიანტზე მართლაც საუბრობენ.

კრემლი სასიკვდილო საფრთხედ განიხილავს უკრაინისა და საქართველოს გაწევრიანებას ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში; ნატოს საზღვაო ძალები ყირიმში და (მაგალითად) რაკეტსაწინააღმდეგო სისტემები ხარკოვსა და ლუგანსკში მნიშვნელოვანწილად გააბათილებს რუსეთის სტრატეგიულ პოტენციალს, ხოლო ნატოს დამკვიდრებას სამხრეთ კავკასიაში ის არამხოლოდ სომხეთიდან წასვლას, არამედ ჩრდილოეთ კავკასიაში დესტრუქციული პროცესების დაწყებას უკავშირებს. ასე რომ, **რუსეთი გააკეთებს ყველაფერს, რათა ალიანსში ამ ორი ქვეყნის გაწევრიანება დაბლოკოს. თუ ყირიმში ჩატარებულ ელვისებურ ოპერაციას ამ კონტექსტში განვიხილავთ, ვნახავთ, რომ ის, პერსპექტივაში, უკრაინისთვის ე. წ. „მოუგვარებელ ტერიტორიულ პრობლემას“ შექმნის, რაც ნატოში გაწევრიანების გზაზე ძალზე სერიოზულ წინაღობას წარმოადგენს, ისევე, როგორც აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის პრობლემა საქართველოსთვის.** ამასთანავე, სტრატეგიული თვალსაზრისით, ისედაც არეული აღმოსავლეთ უკრაინა ერთგვარ „ტომარაში“ მოექცა — მის სამხრეთ ფლანგზე ყირიმია, ჩრდილოეთ ფლანგზე კი — რუსეთის მოკავშირე ბელარუსი. საკუთრივ აღმოსავლეთ უკრაინაში კი ნებისმიერ წამს შეიძლება (რუსეთის მიერ მხარდაჭერილი) კიევის საწინააღმდეგო ამბოხება დაიწყოს. ყოველივე ეს, ამ ეტაპზე, ხელს უშლის უკრაინის ნატოში გაწევრიანებას და პრაქტიკულად გამორიცხავს ფიქრს ამ რეგიონში დასავლეთის ქვეყნების სამხედრო ძალების გადასროლაზე.

**ბოლო კვირებში რუსეთმა ხელში ჩაიგდო უკრაინის მომავალზე ზემოქმედების ძალზე სერიოზული ბერკეტები და, დიდი ალბათობით, ამ მომენტისთვის მიღწეული შედეგით არ დაკმაყოფილდება.** რაც შეეხება ჩვენს სიტუაციას, სააკაშვილის პროპაგანდა ცდილობდა, დაემკვიდრებინა მოსაზრება, რომ აფხაზეთისა და ცხინვალის აღიარების შემდეგ კრემლს საქართველოზე გავლენის საშუალებები აღარ დარჩა და იმავეს თუთიყუშივით იმეორებს ახალი ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენელი. **საინტერესოა, რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ კრემლი მივა დასკვნამდე, რომ დასავლეთი სრული სერიოზულობით აპირებს, საქართველო ნატოში გააწევრიანოს, ხოლო ოფიციალური თბილისი ჩათვლის, რომ შეიქმნა ხელსაყრელი მომენტი იმისთვის, რომ რუსეთთან მზარდი რიტორიკული დაპირისპირების ფონზე ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში შეაღწიოს?**

## ვარიანტი „ომეგა“

წარმოვიდგინოთ საქართველოს ერთ-ერთი, ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლებით დასახლებული რეგიონი (დაკონკრეტებისგან, ალბათ, თავი უნდა შევიკავოთ, რათა კონფლიქტის გაღვივებაში არ დაგვადანაშაულონ). აგრეთვე, წარმოვიდგინოთ მძიმე ინციდენტი, რომლის პროვოცირება ძლიერი სპეცსამსახურებისთვის არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს, და ადგილობრივი მოსახლეობის საპროტესტო მიტინგი, რომელიც თანდათან რადიკალიზაციას განიცდის და ადმინისტრაციული შენობების დაკავებით სრულდება. პოლიცია არეულობას ვერ უმკლავდება, რადგან „აჯანყებული ხალხის“ მხარეს მოქმედებენ უცნობი სპეცრაზმელები, ყირიმში რომ იტყვიან, „ზრდილობიანი ადამიანები“. აჯანყებულები ქმნიან აღმასრულებელ სტრუქტურებს და ნიშნავენ რეფერენდუმს ავტონომიის ან სულაც გამოყოფის თაობაზე (პლუს ამას აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში შეიძლება დაინიშნოს რეფერენდუმი რუსეთის შემადგენლობაში შესვლასთან დაკავშირებით; ეს პროცედურა რუსეთის პარლამენტმა სულ ახლახან გაამარტივა). **დღის წესრიგში პრობლემურ რეგიონში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებისა და ჯარების შეყვანის საკითხი დგება. ამ დროს რუსეთმა და მისმა მოკავშირე სახელმწიფომ, რომელიც ზემოთ ნახსენები ეროვნული უმცირესობის დამცველად მოგვევლინება, შეიძლება წაუყენონ საქართველოს ხელისუფლებას ულტიმატუმი იმის თაობაზე, რომ „მშვიდობიანი ხალხის წინააღმდეგ შეიარაღებული ძალა არ გამოიყენოს“.**

**რას გააკეთებს ოფიციალური თბილისი ასეთ ვითარებაში და რამდენი დასავლელი ჯარისკაცი დაიძვრება მის დასახმარებლად? მოლოდინი ამასთან დაკავშირებით საქართველოში საკმაოდ პესიმისტურია** და, ყირიმის კრიზისის ფონზე, სულ უფრო ხშირად გაისმის კითხვა **„რა შეუძლია საერთოდ ამ თქვენს დასავლეთს?“.** ნატოს ზოგიერთი გულმხურვალე მხარდამჭერიც კი უკვე მივიდა საკმაოდ უხეშ, თუმცა, ალბათ, ლოგიკურ ფორმულირებამდე: **„ან სასწრაფოდ მიგვიღონ ალიანსში, ან დაგვეხსნენ!“.** ყველა პასუხი მსგავს რეპლიკებზე, პრინციპში, ერთ წინადადებამდე დაიყვანება: **„დაელოდეთ და ნახავთ, რა შეუძლია დასავლეთს“.** მაგრამ აუდიტორიის დიდი ნაწილი ლოდინით დაიღალა, რადგან ის, როგორც მინიმუმ, 2008 წლის აგვისტოდან გრძელდება და ამ ფონზე მკვეთრად იზრდება იმედგაცრუება დასავლეთით. **გამორიცხული არაა, ზემოთ განხილული სცენარის ფარგლებში დამანგრეველი პროცესები საქართველოს სხვა რეგიონებშიც დაიწყოს, სადაც დაპირისპირება შეიძლება რელიგიურ ან პოლიტიკურ ნიადაგზე აღმოცენდეს, რის პროვოცირებაც პოსტსაბჭოთა საქართველოში, აგრეთვე, არ წარმოადგენს განსაკუთრებულ პრობლემას.** ამ არეულობის დროს რუსეთი და მისი მოკავშირეები, დიდი ალბათობით, შეეცდებიან, საქართველოს ტერიტორიაზე ჩრდილოეთ-სამხრეთის დერეფანი გაჭრან და იმოქმედებენ ამ სტილში მანამ, სანამ საქართველოს ხელისუფლება არ დაივიწყებს, როგორ გამოითქმის და იწერება სიტყვა „ნატო“.

**სწორედ ნატოში გაწევრიანების საკითხი წარმოადგენს „განხეთქილების ვაშლს“, თორემ საქართველო-ევროკავშირის ხელშეკრულება ასოცირების თაობაზე კრემლს დიდად არ აინტერესებს, რადგან ქართული ეკონომიკის „ევროასოცირებას“, უკრაინულისგან განსხვავებით, რუსეთის ეკონომიკაზე არანაირი ნეგატიური გავლენის მოხდენა არ შეუძლია.**

**„ყირიმის შემდგომ რეალობაში“ რუსეთი, სავარაუდოდ, გაცილებით ხისტად იმოქმედებს, ვიდრე 2008-ში და, საერთოდ, ახლო მომავალში საერთაშორისო არენაზე ახალ რუსეთს ვიხილავთ. დაპირისპირება დასავლეთთან მისგან სრულ მობილიზებას მოითხოვს, რომელიც ბუნებრივად გამოიწვევს ფუნდამენტურ ცვლილებებს და ურთიერთობა ასეთ რუსეთთან მცირე მოსაზღვრე ქვეყნებისგან განსაკუთრებულ სიფრთხილეს მოითხოვს.**

ყურადღება მივაქციოთ ორ პერიფერიულ ეპიზოდს: რუსეთი, როგორც ჩანს, აპირებს, უარი თქვას პოლონეთიდან ღორის ხორცის შემოტანაზე და ლიტვის კლაიპედის პორტს სურსათის ტრანზიტისთვის აღარ გამოიყენებს, რაც ორივე ქვეყნის ეკონომიკისთვის საკმაოდ უსიამოვნო იქნება. თუ პოლონეთი შეიძლება განვიხილოთ, როგორც (თუნდაც მეორეხარისხოვანი) მოთამაშე უკრაინულ არენაზე და რუსეთის მოწინააღმდეგე, ლიტვა, მისი სისუსტიდან გამომდინარე, კრიზისის დროს პრაქტიკულად მხოლოდ მკვეთრი რიტორიკით შემოიფარგლებოდა, მაგრამ რუსეთისთვის ესეც საკმარისი აღმოჩნდა.

**ნიშნავს თუ არა ეს, რომ ყველა პოსტსაბჭოთა ქვეყანა უნდა შეშინდეს და კრემლის დაკრულზე ცეკვა დაიწყოს? რა თქმა უნდა, არა, მაგრამ წინდახედულობის გამოვლენა ნამდვილად მოგვიწევს, ისევე, როგორც იმის გააზრება, თუ რას წარმოადგენს ეს ახალი, მობილიზებული რუსეთი.**

## ახალი ეპოქა იწყება

**რუსეთის დაახლოება ჩინეთთან მყისიერი არ იქნება და ამ პერიოდში დასავლეთის სანქციებმა შეიძლება სერიოზული ზიანი მიაყენონ** (ენერგომატარებლების ექსპორტიდან მიღებული შემოსავლის შემცირება, ელექტრონიკა, მანქანათმშენებლობა, ფარმაცევტიკა და ა. შ.), **მაგრამ რუსებმა საუკუნეების განმავლობაში დაამტკიცეს, რომ მსგავსი სირთულეების დაძლევა შეუძლიათ.** კაცმა რომ თქვას, გასული საუკუნის ოციან წლებში, როდესაც ბოლშევიკურმა რუსეთ- ▶

**„ყველას ახსოვს ის ფარული ჩანაწერი, რომელშიც ღარიბაშვილი თინა ხიდაშელს აგინებს. ამ ჩანაწერიდან ნათლად ჩანს, რომ არც პრემიერს ეხატება გულზე რესპუბლიკელები.“**

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



ლადო სადღობელაშვილი:

# სააკაშვილი, CNN-იდან BBC-ში კი არა, სასამართლოდან სასამართლოში უნდა დარბოდეს

**არასამთავრობო ორგანიზაციის „მამული, ენა, სარწმუნება“ ხელმძღვანელი ლადო სადღობელაშვილი, სამი წელია, საფრანგეთში ემიგრაციაში იმყოფება, მაგრამ საქართველოში მიმდინარე პროცესებს აქტიურად ადევნებს თვალს და თვალსაზრისს ხმამაღლა გამოხატავს. ლადო სადღობელაშვილს საფრანგეთში დავუკავშირდით. ის სამშობლოში დაბრუნებასა და ქვეყანაში გამეფებული უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლას გეგმავს.**

— ახალმა ხელისუფლებამაც არ გაამართლა. უმოქმედო რომ არის, საფრანგეთიდანაც კარგად ვხედავ. **ყველაზე დიდი უმაქნისი კი საპარლამენტო უმრავლესობაა.** მას უამრავი ჩავარდნა ჰქონდა ბოლო წელიწად-ნახევრის განავლობაში. **ხელისუფლებაში არიან ისეთი სუბიექტები, რომლებიც ცდილობენ „ნაციონალური მოძრაობის“ რეანიმაციას. ეს სუბიექტები კი რესპუბლიკელები არიან.** ცოტა ხნის წინ თვალი გადავავლე ჩემს განაჩენს, რომელიც 2010 წელს არის გამოტანილი. სწორედ იმ წელს ლგბტ-ს მხარდასაჭერად სასამართლოში მიჩივლა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ — საიამ, კერძოდ, ამ ორგანიზაციის წარმომადგენლებმა — გიორგი გოცირიძემ და თამარ კორძაიამ. კორძაია, რომელიც 4 წლის წინ საიაში მუშაობდა, დღეს პარლამენტში ზის. რა უნდა ვიფიქრო, როდესაც ცხადად ჩანს, რომ საია ყველანაირად ცდილობს, „ქართულ ოცნებას“ ხელი შეუშალოს და ხელი შეუწყოს „ნაციონალურ მოძრაობას“? **რესპუბლიკური პარტია კი მფარველობს და კვებავს საიას, ამიტომაც შეყარეს პარლამენტში კორძაია და მისთანეები. ხომ ყველაფერი ნათელია? საია იცავს „ნაცებს“, საიას კი იცავს და კვებავს რესპუბლიკური პარტია. ეს ხომ გარიგებაა?**

თუნდაც ამის გამო მაქვს ნეგატიური დამოკიდებულება დღევანდელი ხელისუფლებისადმი, რომ აღარაფერი ვთქვათ მის არაპროფესიონალიზმზე. **დღევანდელ პარლამენტართა უმრავლესობას კანონების არსი არ ესმის, შემთხვევით არიან პარლამენტში მოხვედრილნი.**

**— ვის გულისხმობთ?**

— რა დასახელება სჭირდება? მსახიობს, სპორტსმენს და რეჟისორს რომ პარლამენტში არაფერი ესაქმება, ეს ჩემგან უნდა ესწავლებოდეთ? **ისეთებს, წლების წინათ ნარკოტიკების მოხმარებისთვის რომ იყვნენ დაკავებულნი, დღეს პარლამენტში რა უნდათ?** ან ფინანსთა სამინისტროში რა ხდება? ქვეყანაში, სადაც ამდენი გაჭირვებული და გაუბედურებული ადამიანი ცხოვრობს, ფინანსთა მინისტრი ყოველდღიურად რესტორნებში ათასებს რატომ ხარჯავს? ცნობილია, რომ ნოდარ ხადური შეხვედრებს მართავს რესტორნებში. შეხვედრა გამიგია კაბინეტში და არა — რესტორანში. თონეში რომ ციკნებს აწვევინებს, ამაზე მთელი თბილისი ლაპარაკობს. ეს სასაცილო კი არა, ამორალურობაა. „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში მოსვლამდე სამართლანობის აღდგენაზე ლაპარაკობდა და მუშტებს იქნევდა. **ერთი ფაქტი მაინც გამახსენეთ, რომელ სფეროში აღდგა სამართალი. არ არის რთული იმის მიხვედრა, რატომ არაფერი გააკეთეს ამ მხრივ. ეს ყველაფერი რესპუბლიკელების ოინებია.** ამ ხელისუფლებაში ყველაზე მეტად ირაკლი ღარიბაშვილი მომწონს. **ალბათ, ყველას ახსოვს ის ფარული ჩანაწერი, რომელშიც ღარიბაშვილი თინა ხიდაშელს აგინებს. ამ ჩანაწერიდან ნათლად ჩანს, რომ არც პრემიერს ეხატება გულზე რესპუბლიკელები.**

**— თუმცა რესპუბლიკელები ხელისუფლებაში წამყვან პოზიციებს იკავებენ...**

— ეს იმიტომ, რომ საქართველოს საკადრო დეფიციტი აქვს. დროთა განმავლობაში ეს პრობლემაც აღმოიფხვრება. იმედი მაქვს, მომდევნო არჩევნებზე ბევრ რამეს ფარდა აეხდება და კოალიცია გაიცხრილება. **რაც შეხება ბიძინა ივანიშვილს, იგი დიდებული აფერისტი აღმოჩნდა.** მისი დაპირებებიდან ერთიც არ შესრულებულა. მხოლოდ ის გააკეთა, რომ პოლიტპატიმრები გამოუშვა ციხიდან, თუმცა მათ ნაწილს ნასამართლეობა არ მოუხსნა, ნაწილს კი პოლიტპატიმრის სტატუსი არ მიანიჭა. **ამიტომაც ვუწოდებ ივანიშვილს გადამგდებს, მატყუარასა და აფერისტს. ბიძინა ივანიშვილი დაპირებებით მოვიდა, მაგრამ არაფერი შეასრულა, შემდეგ გაიპარა და თავისი ხელქვეითები, რომელთა უმრავლესობაც პოლიტიკური სანაგვიდან ამოიყვანა, ჩვენ შემოგვაჩეჩა.** არადა, ივანიშვილი, ვიდრე ხელისუფლებაში მოვიდოდა, გაიძახოდა, სააკაშვილს და მის ამალას გავასამართლებო. როგორც კი მოვიდა ხელისუფლებაში, ეს ყველაფერი რაღაც ხრიკებით გადაფარა, — ევროპა ვერ გაგვიგებს, თუ სააკაშვილს არ მივცემთ ხელისუფლებიდან მშვიდად წასვლის საშუალებასო.

**სწორედ ივანიშვილის დამსახურებაა, რომ დღეს სააკაშვილი, რომელიც კრიმინალური ბანდფორმირების შეფია, თავისუფლად დგას კიევის მეიდანზე და თავისუფლად დანავარდობს აქეთ-იქით.** სააკაშვილი, CNN-დან BBC-ში კი არა, სასამართლოდან სასამართლოში უნდა დარბოდეს. **ივანიშვილი სამსახურებსა და კარგ ცხოვრებას გვპირდებოდა, რეალურად კი მივიღეთ უმუშევრობა, უსამართლობა და უამრავი სისაძაგლე.**




ყველაზე დიდი საშინელება კი არის ის, რომ თურმე ადეიშვილი უნდა დაჰკითხონ „სკაიპით“. არადა, ვიცოდი, რომ ამ ადამიანზე ძებნა იყო გამოცხადებული. ხალხნო, სად ვცხოვრობთ, ვის ხელში ვართ და რა უბედურება გველის წინ, იქნებ ამაზე დავფიქრდეთ! სამი წელი გავატარე საფრანგეთში, სულ არ მსიამოვნებს აქ ცხოვრება. ახლა უკვე ვიბარგები და 3 კვირაში სამშობლოში დავბრუნდები, თუმცა არ მსურს, რომ ისევ მახინჯ სისტემაში ვიცხოვრო.

**— ლადო, ერთ-ერთი პირველი იყავი, ვინც ლგბტ საზოგადოებას საჯაროდ დაუპირისპირდა. ახლა რას აპირებთ?**

— ეს ყველაფერი 2010 წლის მარტში დაიწყო, როდესაც შევიტყვე, რომ თბილისში იგეგმებოდა გეიაღლუმის ჩატარება გიგი უგულავასა და მისი გუნდის თაოსნობით. უგულავას გუნდი კი დღევანდელ „ტაბულა ტივის“ შეადგენს. სწორედ ჩერგოლეიშვილი და უგულავა იყვნენ ამ ყველაფრის ორგანიზატორები. იმხანად ჩერგოლეიშვილი თავის ჟურნალ „ტაბულაში“ გვერდებს უთმობდა გეების დაცვას და პროპაგანდას. ეს ინფორმაცია რომ გავავრცელე, თბილისს ცეცხლივით მოედო და ხალხი დაირაზმა, ამიტომ გეიაღლუმის ჩაშლა ბათუმში გადაწყვიტეს. ეს ინფორმაციაც მე გავავრცელე და ბათუმში სამღვდელოება დაირაზმა. 17 მაისამდე 2-3 თვით ადრე იწყებენ გეების დაცვაზე საუბარს. **ბოკერიებს, ჩერგოლეიშვილებსა და მათნაირებს, არატრადიციული ორიენტაციის ადამიანების დარდი კი არა, გრანტების დარდი აქვთ, რომელთაც უხვად იჯიბავენ.**

კი, ბატონო, ვიცი, რომ არის და იქნება ლგბტ საზოგადოება საქართველოში და ამის წინააღმდეგი არ ვარ, მაგრამ მათი არსებობის პროპაგანდას ყოველთვის შევეწინააღმდეგები. სამი წელია, საფრანგეთში ვცხოვრობ, სადაც ერთსქესიანთა ქორწინება ოფიციალურად დააკანონეს და ამ თემის პოპულარიზაციას ფრანგებიც კი ერიდებიან. ისინი მახინჯ სისტემას ებრძვიან და მათ წინააღმდეგ გამოსვლებიც კი დაიწყო. **ფრანგები ვერ იტანენ ლგბტ-ს პოპულარიზაციას და ქართველები ავიტანოთ?** მაგრამ არსებობს ორგანიზაციები, რომლებსაც საქართველოში სურთ ამის დამკვიდრება, რომ საქართველოს სარწმუნოებას და მენტალობას ძირი გამოუთხარონ. **17 მაისი ახლოვდება და მოვუწოდებ ხელისუფლებას, ამ დღეს დაგეგმილი ლგბტ ღონისძიება აღკვეთოს, რადგან რუსთაველზე გეების გასეირნება ქართველთა 99 პროცენტს აღიზიანებს.** ხელისუფლების ვალია, მხოლოდ იმ ერთი პროცენტის კი არა, 99 პროცენტის უფლებები დაიცვას.

რაც მთავარია, ამ ყველაფერს პროპაგანდა არ უნდა გაუწიოს ტელევიზიებმა. რა თქმა უნდა, ამ დღეს გამოვლენ გეებისა და ლესბოსელების დამცველი, კარგად დაფინანსებული ორგანიზაციები, იქნება პროვოკაციაც, შეიძლება ვიღაცას თავში რაღაც მოხვდეს, მაგრამ არ უნდა გაგვიკვირდეს, რადგან ეს ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში ხდება. ამიტომ **ლგბტ-ს დამცველებს ვაფრთხილებ, შეელიონ გრანტებს და გონს მოეგონ, თორემ ძალიან მალე ქარიშხალს მიიღებენ!** ამ მხრივ, სიტუაცია ყველაზე კარგად პუტინმა მოაგვარა. უნაკლო კანონი მიიღო. მან არათუ ერთსქესიანთა ქორწინება, არამედ გეების პროპაგანდაც კი აკრძალა და მინდა, რომ ეს ვალდებულება ჩვენმა ხელისუფლებამაც დაიკისროს — ლგბტ საზოგადოების მოქმედების აგიტაცია- პროპაგანდის აკრძალვის კანონის მიღებაზე იფიქროს და არა ბუსუსიან თუ უბუსუსო პრეზერვატივებზე.

**— ცოტა ხნის წინათ კოკო გამსახურდიას დაუპირისპირდით, რა იყო ამის მიზეზი?**

— ის ამბობდა, კონსერვატორი ვარო, რაზეც **დავწერე, რომ კოკო გამსახურდია კონსერვატორი კი არა, ჩვეულებრივი ლიბერასტია, რომელიც თანამდებობის გამო ჩუმად არის და იდეებს თმობსმეთქი.**

ამის გამო მან სოციალური ქსელის საშუალებით გეი მიწოდა და უნიჭო ლექსი მომიძღვნა. შემდეგ რაღაცები დამაბრალა, თითქოს გია მაისაშვილის პარტიიდან გამომაგდეს და მან მიმიღო. მის პარტიაში მართლაც ვმუშაობდი პრესმდივნად. იქ მას შემდეგ მივედი, რაც მაისაშვილის პარტია დაიხურა. კოკოს კარგად ვიცნობ და მინდა, ამ ადამიანს ნიღაბი ჩამოვხსნა — **კოკო და მისნაირები, სააკაშვილით დაწყებული, რიგითი კოკოებით დამთავრებული, პიარს ეროვნულობის იარლიყითა და რუსების ლანძღვით იკეთებენ.**

სააკაშვილი 9 წლის განმავლობაში რუსებს დედას აგინებდა. ეს ყველაფერი ახალი თაობის ტვინში ჩაიბეჭდა და რუსეთს უპირობო აგრესორად აღიქვამს, მაგრამ **არ მესმის, რატომ ვერ ხვდებიან ახალგაზრდები, რომ რუსეთი ჩვენი მეზობელია, დიდი ქვეყანა, რომლის ბაზრის გარეშეც საქართველოს არსებობა ძალიან გაუჭირდება. ჩვენმა ხელისუფლებებმა კი რუსეთი მტრად გადაგვკიდეს.** სადარბაზოს მეზობელს კარს რომ მიუხურავ და სამი კვარტლის იქით მცხოვრებს დაუწყებ მეზობლობას, ისეა ჩვენი საქმე.

ესაუბრა
**ნინო მაისურაძე**

---

მა ძველი იმპერიის ტერიტორიის დიდ ნაწილზე კონტროლი აღადგინა, რუსეთის ეკონომიკა, ფაქტობრივად, არ არსებობდა. ზოგი იტყვის, რომ მაშინ მოსკოვის აქტივში იყო უდიდესი სამობილიზაციო პოტენციალის მქონე წითელი იდეა, მაგრამ მსგავსი (შესაძლოა, სხვა ფერის მქონე) იდეების გაჩენა, ალბათ, არც XXI საუკუნეში უნდა გამოვრიცხოთ. „ახალი ცივი ომის“ პირობებში კრემლი, სავარაუდოდ, შეეცდება, სწრაფად აღადგინოს კონტროლი ყოფილი სსრკ-ის ტერიტორიაზე და (ჩინეთთან ალიანსზე დაყდნობით) ქვეყნის გარდაქმნა და მოდერნიზაცია მოახდინოს, რაც პირველ ეტაპზე რუსეთზე დასავლეთის ეკონომიკური და იდეოლოგიური გავლენის მკვეთრ შემცირებას გულისხმობს. ხოლო **ის, რომ რომელიმე რუს ოლიგარქს შეიძლება ანგარიშები გაუყინონ, იახტა ან საფეხბურთო კლუბი წაართვან, არც ვლადიმერ პუტინს, არც რუსეთის მოსახლეობის 99%-ს საერთოდ არ აღელვებს.**

**წაგებული არც ვაშინგტონი დარჩება, რადგან „ახალი ცივი ომი“, დიდი ალბათობით, ევროპაზე მკაცრი კონტროლის აღდგენას მოუტანს მას. წააგებს მხოლოდ ევროპა, თუ ბერლინი სასწრაფოდ არ შეიმუშავებს პოლიტიკას, რომელიც თავისუფალი მანევრისა და კომფორტული ეკონომიკური გარემოს შენარჩუნების შესაძლებლობას მისცემს.** აგრეთვე, ძალიან სერიოზული პრობლემები შეიძლება შეექმნათ პოსტსაბჭოთა ქვეყნებს, რასაც დღეს უკრაინის მაგალითზე ვხედავთ. ხოლო **ორი გიგანტი, ისევე, როგორც გასული საუკუნის 70-იან წლებში, განსაკუთრებულს არაფერს დაკარგავს.** რაოდენ პარადოქსულადაც უნდა გაიჟღეროს, **„ახალმა ცივმა ომმა“ ორივეს შეიძლება გაცილებით დიდი ბონუსები მოუტანოს, ვიდრე დღევანდელმა „ნელ-თბილმა მშვიდობამ“.**

ბოლო დროს განვითარებული მოვლენები, დიდი ალბათობით, აიძულებს ვლადიმერ პუტინს, მისი ევრაზიული პროექტის პრეზენტაცია დააჩქაროს და იგი, მარტივად რომ ვთქვათ, აუხსნის ყოფილი სსრკ-ის ტერიტორიაზე მცხოვრებ ერებს, თუ როგორ წარმოუდგენია მათი თანაცხოვრება XXI საუკუნეში და სსრკ-ის დაშლის შემდეგ დაწყებული კონფლიქტების მოგვარება. ხანგრძლივი პაუზა და გაურკვევლობა ამასთან დაკავშირებით, სავარაუდოდ, მალე დასრულდება და ჩვენ საბოლოოდ გავიგებთ, რა უნდა ამ კაცს საქართველოსგან და რას სთავაზობს მას. თავის ახალ წინადადებებს პოსტსაბჭოთა ქვეყნების მიმართ მალე დასავლეთიც (ამ შემთხვევაში უფრო კორექტულია, გავყოთ ის აშშ-ად და ევროკავშირად) ჩამოაყალიბებს. **ალბათ, საქართველოს ინტერესებშია, ამ პაუზის დასრულებას მკვეთრი მოძრაობების გარეშე დაელოდოს და შუალედში საგარეო პოლიტიკაში უაღრესად ფრთხილად და პრაგმატულად იმოქმედოს.**

**დიმიტრი მონიავა**

## საზოგადოებრივი აზრი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„არც ნატო, არც ევროკავშირი და არც რომელიმე სხვა მსგავსი ორგანიზაცია ჩვენთვის ცალსახად კეთილდღეობის გზა ვერ იქნება. ჩვენი მომავალი შეიძლება იყოს მხოლოდ გონივრულად დაბალანსებული — პოლიტიკაში და დიალოგში, როგორც რუსეთთან, ისე პარალელურ რეჟიმში იმ გეოპოლიტიკურ სივრცესთან, რომლისკენაც დღეს ერთმნიშვნელოვნად მივისწრაფვით...“**

# რას მოითხოვს ჩვენგან ევროინტეგრაცია და რას მოგვიტანს რეალურად ევროკავშირი

**უკრაინაში განვითარებული მოვლენების ფონზე საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესი „განსაკუთრებულ“ მნიშვნელობას იძენს. რას მოუტანს ჩვენს ქვეყანას არჩეული კურსი და რას მივიღებთ რეალურად იმ შემთხვევაში, თუკი ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების გაფორმებას მივაღწევთ, — ამ საკითხთან დაკავშირებით „საქართველო და მსოფლიომ“ აზრის გამოთქმა საზოგადოებისთვის ცნობილ ადამიანებს სთხოვა.**



**ელიზბარ ჯაველიძე**, პუბლიცისტი, მეცნიერი:

— ჩემთვის ეს ე. წ. ევროინტეგრაციის პროცესი შემაშფოთებელია იმდენად, რამდენადაც საზოგადოების უდიდესმა ნაწილმა საერთოდ არ იცის, რას გულისხმობს ის. მეტიც, დასავლეთის ფსევდოლიბერალური ძალების პროპაგანდისტული მანქანა იმდენად მძლავრია, ადამიანების ტვინზე სერიოზულად მუშაობს და ხალხს არც კი უჩნდება შეკითხვა, საით მივდივართ. ახლა ნახეთ, რა ხდება: მოვაწერეთ ხელი რაღაც დოკუმენტს, რომელიც სამასზე მეტი პუნქტისგან და, შესაბამისად, ამდენივე ვალდებულებისგან შედგება, კაციშვილი არ კითხულობს, რა წერია მასში. რომ ჰკითხო, ყველა პროდასავლურია, ყველას ევროპა უნდა, ამ დროს წარმოდგენაც არ აქვთ არც ევროპულ კულტურაზე, არც ცივილიზაციაზე. **ჩვენდა საუბედუროდ, მგონია, რომ ჩვენ ისევ ვართ პოლიტიკური მუხანათობის მსხვერპლნი და, რაც ყველაზე სამწუხაროა, მას ჯერ ვერ ვხვდებით. როცა მივხვდებით, ძალიან გვიანი იქნება, რადგან იმ დროს უკვე ამათ საკანონმდებლო დონეზე ექნებათ უფლება, განახორციელონ ყველა ის ქმედება, რომელიც პირდაპირ ეწინააღმდეგება ქართულ ცნობიერებას, ზნეობასა და მორალს.**

**— ევროპულ ოჯახში შესვლა დღეს ისტორიულ არჩევნადაა გამოცხადებული. თქვენი აზრით, ეს მიდგომა საფუძველს მოკლებულია?**

— ევროპა თვითონ არაა ის ევროპა, როგორიც ისტორიულად იყო. ესენი რომელ არჩევანზე მელაპარაკებიან?! სხვათა შორის, იმ დოკუმენტში, ფანჯიკიძემ რომ მოაწერა ხელი, 17 პუნქტადაა სექსუალური უმცირესობების უფლებები განსაზღვრული და მკაფიოდ წერია, რომ ეს უნდა იყოს მკაცრად დაცული. ახლა გეკითხებით: **რა არის ჩვენი ისტორიული არჩევანი — გეიაღლუმები?! ერთსქესიანთა ქორწინებები?! თუ რელიგიისა და ეკლესიის შეურაცხყოფა, რაც უკვე ჩვეულებრივ მოვლენაა ევროპაში?!** მე კიდევ ვიმეორებ იმას, რაც არაერთხელ მითქვამს თქვენი გაზეთის საშუალებითაც: **რასაც ესენი ევროპულ ღირებულებებს ეძახიან, ეს არ არის ჩვენი კულტურის, ჩვენი ცივილიზაციის ბუნებრივი სივრცე და, თუ იქ შევალთ, აღმოვჩნდებით სრული გადაგვარების, გადაშენების საფრთხის წინაშე.**



**ზვიად ირემაძე**, ანტიგლობალიზაციის ცენტრ „ივერიელების“ წარმომადგენელი:

— პირველ რიგში, ყოველგვარი ხატოვანი შედარების გარეშე უნდა ვთქვათ სიმართლე, — „ხე ნაყოფით შეიცნობა“. დავაკვირდეთ, რა მიიღეს პოსტსაბჭოთა სივრცის იმ ქვეყნებმა, რომლებიც ევროკავშირში შევიდნენ წლების წინ და ამის შემდეგ შეიძლება ვისაუბროთ, რა ბედი გვეწევა ჩვენ.

ჯერ ერთი, არ მგონია, რომ საქართველო ევროკავშირის წევრი გახდება, მაგრამ, თუ მოხდა რაღაც სასწაული და მიგვიღეს, ვფიქრობ, ეკონომიკური თვალსაზრისით ბალტიისპირეთის ბედს გავიზიარებთ, უარესს თუ არა. აქ საუბარია იმაზე, რომ სოფლის მეურნეობა, რომელიც ისედაც სულს ღაფავს, საბოლოოდ ჩაკვდება, ფასები, როგორც საკვებზე, ისე ყველა სხვა სახის პროდუქციაზე გაიზრდება, იქნება ინფლაცია, მაღალი მიგრაცია და ა. შ. მოკლედ, **ევროკავშირი საქართველოს ვერ მოუტანს ვერანაირ სიკეთეს, გარდა იმისა, რომ ქვეყანა დაიცლება მოსახლეობისაგან. ცალკე საკითხია კიდევ ღირებულებით ნაწილში რა წერია ამ დოკუმენტში, რომელიც ვილნიუსის სამიტზე გაფორმდა.**

**— თქვენი აზრით, რა წერია?**

— მე ვიცი მარტო ორი პუნქტი: ერთი, რომელშიც ლაპარაკია სამცხე-ჯავახეთისთვის გარკვეული სტატუსის მინიჭებაზე და მეორე, რომელიც ეხება უმცირესობების უფლებების დაცვას. ორივე მხრივ ისეთ რაღაცებზეა საუბარი, რომ წარმოდგენაც არ მინდა, რა შეიძლება ამას მოჰყვეს. უბრალოდ, მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მივმართო საზოგადოებას: ნუ გავაკეთებთ არჩევანს ბრმად. ამას ვამბობ ძალიან მარტივი მიზეზის გამო, იმის გამო, რომ დარწმუნებული ვარ, საზოგადოების 60-70 პროცენტს მაინც ზუსტად ეცოდინება, რა ე. წ. ცვლილებებს მოითხოვს ჩვენგან ევროკავშირის თუნდაც ასოცირებული წევრობა, ეს 60-70 პროცენტი კატეგორიული წინააღმდეგი იქნება ევროინტეგრაციის.



**ვალერიან დოლიძე**, პროფესორი:

— ვინც ამბობს, რომ საქართველოს მომავალი დაკავშირებულია არამარტო ევროკავშირთან, არამედ თურმე მთლიანად ევროატლანტიკურ სტრუქტურებთან. მათ ან, უბრალოდ, არ ესმით, რა არის ეს სტრუქტურა, ან ესმით და მოქმედებენ გარე ძალების მითითებით საკუთარი სახელმწიფოს წინააღმდეგ. ახლა რატომ ვამბობ ამას: ყველაფერს თავი დავანებოთ და **ერთ მშვენიერ დღეს მართლა რომ დადგება ჩვენი იქ შესვლის საკითხი, როგორ მიგვიღებენ — ტერიტორიულად მთლიანს თუ დაშლილს, როგორც დღეს ვართ?! თუ დაშლილს მიგვიღებენ, მაშინ ხომ უნდა დავფიქრდეთ, გვაძლევს ეს ხელს თუ არა?! რას გვთავაზობს სანაცვლოდ დასავლეთი ან როგორ უზრუნველყოფს ის ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოებას?!**

— ზოგიერთი ექსპერტი ვარაუდობს, **რომ უკრაინის მოვლენების ფონზე დაჩქარდება საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესი.**

— ჰოდა, მაგ ვარაუდით ეგ ექსპერტები იმას ამტკიცებენ, რომ ექსპერტობის არაფერი გაეგებათ. უკრაინის მოვლენებმა საქართველოს ევროინტეგრაციის პერსპექტივა კი არ ცხადყო, პირიქით, აშკარად წარმოაჩინა, რომ კრემლი ამ პროცესის სერიოზული ხელისშემშლელი ფაქტორია. ახლა რაც შეეხება იმას, თუ რას მოგვცემს ეს ინტეგრაცია ეკონომიკური თვალსაზრისით: თუ მოხდება ის საერთოდ, უმჯობესია მაგალითებით ვიმსჯელოთ: ნახეთ, რა ხდება ბულგარეთში, რუმინეთში ან თუნდაც საბერძნეთში, რომელიც ამ ორგანიზაციის ერთ-ერთი ძირძველი წევრია, და დასკვნების გამოტანა იოლია...

**— რას გულისხმობთ?**

— ჩვენ არ გვაქვს წარმოება, არ გვაქვს სამრეწველო ინდუსტრია და არც განვითარებული სოფლის მეურნეობა. ამის გავალისწინებით კი, უბრალოდ, გაუგებარია, რას გვაძლევს ევროკავშირის წევრობა. **საუბარია იმაზე, რომ ნახევარმილიარდიანი ბაზარი გაგვეხსნება. კი, ბატონო, გაგვეხსნება, მაგრამ რა მიგაქვს იმ ბაზარში? ციტრუსი, რომელიც ევროსტანდარტებს ვერ აკმაყოფილებს, თუ ღვინო, რომელიც თავზესაყრელად აქვთ ევროპელებს?!** მე იმის თქმა მინდა, რომ **ევროპული ოჯახისკენ სწრაფვა არ არის საქართველოს გამოსა-** ▶

## სიმონ კილაძე: ჩვენ გამო ნატოს სახელმწიფოები რუსეთს ომს გამოუცხადებენ, ატომურ ბომბებს დააყრიან?

**უკრაინაში განვითარებული პროცესების შემდეგ, უკვე მერამდენედ გამოგვიცხადეს, რომ, შესაძლოა, საქართველომ წელსვე მიიღოს მაპი. საინტერესოა, რამდენად რეალურია ეს დაპირება და იქნება კი ეს დაცულობის საკმაო გარანტია თუ პირიქით — გაართულებს ქვეყნის მდგომარეობას? — ამ თემაზე ვესაუბრებით პოლიტოლოგ სიმონ კილაძეს.**

— მაპის შესაძლო მიღებაზე საუბარი საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ ეს თემა წამოიწია უკრაინის კრიზისული სიტუაციის დროს, რუსეთის გასაფრთხილებლად: თუ კრემლი არ გაჩერდება, პასუხს მიიღებს — ბრიუსელი საქართველოს სექტემბრისთვის ნატოში გაწევრიანების სამოქმედო გეგმაში, მაპში, ჩართავსო. თუმცა ერთია სურვილი და მეორეა, სურთ თუ არა ნატოელებს საქართველოს თავიანთ ოჯახში მიღება. გავიხსენოთ, რომ ნატოში მიღება თითოეული წევრის თანხმობაზეა დამოკიდებული. ისმის კითხვა: რატომ არ სურთ ევროპელ წევრებს საქართველოს ნატოში მიღება?

მოდით, გავაანალიზოთ, რა არის ჩვენი მთავარი მიზანი, რატომ გვინდა ნატოში შესვლა?

მთავარი მიზანია, რომ ნატო პრობლემების მოგვარებაში დაგვეხმაროს. დავუშვათ, საქართველო გახდა ნატოს წევრი და კვლავ კონფლიქტური სიტუაცია შეექმნა რუსეთთან ან თავად გადავწყვიტეთ ოკუპირებული ტერიტორიების ისევ სამხედრო გზით დაბრუნება. ამ შემთხვევაში ამოქმედდება თუ არა ალიანსის წესდების მე-5 და მე-6 მუხლები, რომლებიც კოლექტიურ თავდაცვას გულისხმობს, ანუ **ჩვენ გამო ნატოს სახელმწიფოები რუსეთს ომს გამოუცხადებენ, ატომურ ბომბებს დააყრიან? ვთქვათ, გამოუცხადეს და დააყარეს, ჰიპოთეტური სცენარი წარმოვიდგინოთ**



**— ეს ხომ აპოკალიფსია? სწორედ ამიტომ ერიდება ალიანსი საქართველოს გაწევრიანებას.** დღემდე მსგავსი პრეცედენტი, ანუ საქართველოს მსგავსი სიტუაციის მქონე ქვეყნის მიღება, რომელსაც საზღვრებიც მორღვეული აქვს და ტერიტორიასაც ვერ აკონტროლებს, ნატოს არსებობის ისტორიაში არ დაშვებულა. ჩამოვთვალოთ, ვინ გაწევრიანდა 1997 წლიდან ნატოში: ჩეხეთი, უნგრეთი, პოლონეთი, ბულგარეთი, ესტონეთი, ლატვია, ლიტვა, რუმინეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, ალბანეთი და ხორვატია. განა, რომელიმეს აქვს მსგავსი ტერიტორიული პრობლემები მეზობლებთან? — არც ერთს. ერთადერთი მაკედონიაა, რომელმაც თითქმის ყველა პირობა შეასრულა, მაგრამ მაინც ვერ გახდა ნატოს წევრი, რადგან, ერთი შეხედვით სასაცილო მიზეზით, საბერძნეთი არ თანხმდება მის მიღებას, სანამ მაკედონია სახელს არ შეიცვლის. ჩვენ კი გვგონია, რომ, რადგან მსოფლიოში ყველაზე სტუმართმოყვარე და ამაყი ხალხი ვართ, ულაპარაკოდ უნდა მიგვიღონ. ეს ასე არ არის.

**— საქართველომ ერთხელ უკვე სცადა მაპის მიღება, თუმცა გერმანია და საფრანგეთი წავიდნენ კატეგორიული წინააღმდეგნი. საბოლოოდ, მაპის მიღების მცდელობა საქართველოს 2008 წლის ომად დაუჯდა, არსებობს თუ არა რაიმე გარანტია, რომ იგივე გერმანია და საფრანგეთი ამჯერად ხმას მისცემენ რუსეთის ინტერესების წინააღმდეგ?**

— არ არის გამორიცხული, რომ საქართველოს, როგორც 2008 წლის ბუქარესტის სამიტის დროს, კვლავ ჰყავდეს მოწინააღმდგე და ჩვენს განაცხადს იმავე გერმანიამ და საფრანგეთმა ვეტო დაადოს. ყველაფერი დამოკიდებულია პოლიტიკურ კონიუნქტურაზე. მაგრამ მაპი, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს საბოლოო გაწევრიანებას. მაკედონიამ მაპი მიიღო 1999 წელს, ჩერნოგორიამ — 2009 წელს, მაგრამ ურემი ისევ იქ დგას, არაფერი შეცვლილა. შეიძლება მაპი მიიღოს სახელმწიფომ, მაგრამ წლობით გაგრძელდეს გაწევრიანების პროცესი.

**— დავუშვათ, მართლაც მივიღეთ მაპი, მაპიდან ნატოში შესვლამდე პერიოდში რა საფრთხეებს უნდა ველოდოთ?**

— მაპი რომ მოგვცენ, ჩვენ მაინც არ ვიქნებით ნატოს წევრი და ჩვენზე არ გავრცელდება წესდების ის მე-5 და მე-6 მუხლები, რომლებიც კოლექტიურ თავდაცვას ითვალისწინებს, დაახლოებით იგივე სიტუაცია შეიძლება განმეორდეს, როგორიც 2008 წელს, რადგანაც არ ხარ ნატოს წევრი, ნატოს წევრები ვერ მიიღებენ ისეთ სამხედრო ზომებს ჩვენს დასახმარებლად, რომ უცხო ქვეყნის ქმედება აღკვეთონ. ასე რომ, **მაპი ჩვენ ვერ გვიხსნის, ის, მგონი, უფრო ფიქციაა, რაც რუსეთს ჩვენთან დაკავშირებით კიდევ უფრო გაალიზიანებს და რასაც კიდევ უფრო არასასურველი მოვლენები განვითარდება.**

ჩემი ინფორმაციით, ჯერჯერობით, დღის წესრიგში საქართველოსთვის მაპის მინიჭების საკითხი არ არის შეტანილი. სხვათა შორის, არც მაკედონიისა და ჩერნოგორიის ნატოში მიღების საკითხი დგას, რომელთაც მაპი, დიდი ხანია, მიღებული აქვთ. მე თუ მკითხავთ, თუ დადგება ისეთი ჰიპოთეტური მომენტი, რომ მოლაპარაკების დროს რუსეთმა რაღაც კომპ- ▶

**„ადეიშვილი, მერაბიშვილი, სააკაშვილი და ახალაია არიან, ფაქტობრივად, იგივე ხროვა, როგორიც იყო გებელსი, კალტენბრუნერი, ჰიმლერი, ბორმანი და ჰიტლერი. როგორც ამ ადამიანებს მოექცა სასამართლო (ამ ხალხმა ერთმანეთი ჩაუშვა, ბორმანმა მთელი დოსიები დადო, მაგრამ არაფერმა უშველა, მაინც ჩამოახრჩეს), ასევე ამ ხროვის წევრებიც უნდა გასამართლდნენ კანონის მთელი სიმკაცრით. არავითარი შეღავათი არ უნდა იქნას გამოყენებული ვინმეს ჩაშვების სანაცვლოდ.“**

საზოგადოებრივი აზრი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ვალი;** ამიტომ, კიდევ ვიმეორებ, ვინც არას ამბობს, ან არ ესმის, ეს რას ნიშნავს, ან მათთვის უმთავრესი არაა სახელმწიფოს ინტერესები და მოქმედებენ გარე ძალთა მითითებებით.



**ჰამლეტ ჭიპაშვილი, პოლიტოლოგი:**

— ახლა ისეთი სიტუაციაა, ვიღაცეებს ჰგონიათ, რომ რუსეთის ჯინაზე დაჩქარებულად მიგვიღებენ ევროკავშირშიც და ნატოშიც, მაგრამ ეს არ მოხდება. მერწმუნეთ, აღშფოთების პერიოდი დასავლეთს გაუვლის დაახლოებით ერთ კვირაში, შეიძლება უფრო ადრეც, და დაიწყება ჩვეულებრივი ცხოვრება, როგორიც იყო მანამდე საერთაშორისო პოლიტიკურ ასპარეზზე. ახლა თუ მაინცდამაინც განვიხილავთ იმ სასწაულებრივ ალბათობას, რომ ერთ მშვენიერ დღეს შესაძლოა მართლა მიგვიღონ ევროპულ ოჯახში, გეტყვით, რომ საქართველოს ეს ჩააგდებს უმძიმეს მდგომარეობაში. მიზეზი ძალიან მარტივია, — **ჩვენ არ ვართ მზად იმისთვის, რომ ფეხი ავუწყოთ ევროპული დონის ცხოვრების რიტმს, ან ვიღაცამ უნდა შეგვინახოს, ან აღმოვჩნდებით უმწვავესი კრიზისის ზღვარზე.**

**— თუ ასეა, რატომ სურს თვითონ ევროპას ჩვენი დაახლოება?**

— ეკონომიკური თვალსაზრისით რომ მათ საქართველო არ აინტერესებთ, ამაში ყველა დამეთანხმება; რაც შეეხება მიმზიდველობას, **2008 წლის აგვისტოს მოვლენები იყო კულმინაცია და მაშინ ყველაზე ნათლად გამოჩნდა, რა პოლიტიკური ფასი აქვს საქართველოს დასავლეთისთვის.** ანუ ის რიტორიკა, რომ ჩვენ ვართ სტრატეგიული პარტნიორები და ნატოს ქოლგაში თავს თუ შევყოფთ, ბუზს ვერ აგვიფრენს ვერავინ, აღმოჩნდა ბლეფი. სამაგიეროდ, დავინახეთ, რა დანიშნულება გვაქვს ჩვენ ამერიკისთვის და კიდევ რა ფორმით შეიძლება მან გამოგვიყენოს კრემლის წინააღმდეგ.

**— რა ფორმით, როგორ ფიქრობთ?**

— მეცინებოდა ხოლმე, როდესაც ამბობდნენ, რომ, თუკი რუსეთი საქართველოს დაარტყამდა, რუსეთს მოაქცევდნენ მკაცრ ეკონომიკურ ბლოკადაში. ახლა საქართველოზე ათჯერ უფრო დიდ უკრაინას ურტყამს და თითის განძრევას ვერ ბედავს ვერავინ. ამით იმის თქმა მინდა, რომ **არც ნატო, არც ევროკავშირი და არც რომელიმე სხვა მსგავსი ორგანიზაცია ჩვენთვის ცალსახად კეთილდღეობის გზა ვერ იქნება.** ჩვენი მომავალი შეიძლება იყოს მხოლოდ გონივრულად დაბალანსებული — პოლიტიკაში და დიალოგში, როგორც რუსეთთან, ისე პარალელურ რეჟიმში იმ გეოპოლიტიკურ სივრცესთან, რომლისკენაც დღეს ერთმნიშვნელოვნად მივისწრაფვით...

ესაუბრა **ჯაბა ჭვანია**

**P.S. „ქართული ოცნების“ „ულტრალიბერალური ფრთის“ თვალსაჩინო წარმომადგენლები ბოლო დროს სულ უფრო ხშირად გვახსენებენ ხოლმე, რომ აგვისტომდე, ანუ ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ხელმოწერამდე ერთობ რთული ეტაპი გვაქვს გასავლელი. ჰოდა, სანამ ეს „რთული“ ეტაპი დასრულებულა, „მარტივი“ დაწყებულა და თავი შარში გაგვიყვია, იქნებ კარგად გავიაზროთ, რა წერია იმ 350-პუნქტიან დოკუმენტში...**

# რატომ არ აწვდიან ევროპას ადეიშვილის მამხილებელ დოკუმენტებს და რაზე ევაჭრებიან ადეიშვილს?

**ორმაგი სტანდარტები, რომ ჩვენი ცხოვრების ყოველდღიური ნაწილი გახდა, ამაში, ალბათ, ახალი არაფერია. ,,ბებერი მეძავი“ ევროპა რამდენადაც მკაცრი და შეუპოვარია სამართლიანობის სადარაჯოზე თავის საკუთარ ტერიტორიაზე (ნიურნბერგის პროცესი, ნაპოლეონის გადასახლება, ჩაუშესკუ, მილოშევიჩი და ა. შ.), იმდენად უგულისყუროა და წაყრუებისა თუ წათამამების მეთოდებს იყენებს სააკაშვილისა და მისთანების რეჟიმებთან დაკავშირებით. გაუჩნდება თუ არა ხელისუფლებას თუნდაც იმისი თქმის სურვილი, რომ პატიმრების მკვლელები კანონის წინაშე დამნაშავეები არიან, ოდესმე გასამართლდება ვინმე რეალურად თუ ყველას სასაცილო 2-3-წლიანი მუხლები შეეფარდება, „საქართველო და მსოფლიოს“ პოლიტოლოგი ვახტანგ მაისაია ესაუბრა.**



## ვახტანგ მაისაია:

# გავიხსენოთ მამუკა ზერეკიძე, როინ შავაძე, სერგო თეთრაძე, რომლებიც დახოცეს. კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულია, აბა, რა არის?!

**— ბატონო ვახტანგ, თქვენ ხართ „ნაცების“ რეჟიმის მსხვერპლი. ერთი უპირველესი არქიტექტორთაგანი ამ რეჟიმისა, ანუ ადეიშვილი დემოკრატიულ ევროპაში პოლიტიკური თავშესაფრით სარგებლობს; მეტიც, ითქვა, პრეზიდენტის მრჩეველიაო, მაშინ, როცა საქართველოში 200-მდე პოლიტპატიმარი გამოუშვა ციხიდან „ნაცების“ შემდგომმა ხელისუფლებამ, როგორ ფიქრობთ, ევროპული დემოკრატია ორმაგ სტანდარტს ხომ არ იყენებს საქართველოსთან დაკავშირებით? და რა განცდა გაქვთ, როცა სადიზმის იდეოლოგი და დამაარსებელი ადეიშვილი დღეს თურმე სკაიპით უნდა დაიკითხოს, მაშინ, როცა ის უკვე კარგა ხნის წინ უნდა ყოფილიყო გასამართლებული და მისჯილი ჰქონდეს უვადო პატიმრობა?**

— ადეიშვილის, ამ პოლიტიკური დამნაშავისა და, თქვენი თქმის არ იყოს, იმ პოლიტიკური რეჟიმის ერთ-ერთი არქიტექტორის სკაიპით დაკითხვა, მართლაც, უპრეცედენტო და ამაზრზენი ფაქტია. შეიძლება იყოს რაღაც ძალიან სერიოზული საქმე, რომელიც მოითხოვდეს ადეიშვილთან სკაიპით დაკავშირებას, მაგრამ ეს პრინციპულად არასწორია (მხოლოდ მოწმის სახით თუა, მაინც არ უნდა ხდებოდეს ასე, არ აქვს მნიშვნელობა). დიახ, **არსებობს კიდევ მორალური და ფორმალური-სამართლებრივი მხარე და, ორივედან გამომდინარე, ადეიშვილის სკაიპით დაკითხვა, სულ მცირე, ამორალური ქმედებაა.** ეს ერთი.

მეორე, — რადგან ასეთი ადამიანის მიმართ არ არის წაყენებული ბრალდება, მაშინ, როცა ყველაფერი ზედაპირზე დევს, ეს საქართველოს ახალი პროკურატურის არაპროფესიონალიზმსა და გულგრილობას ნიშნავს.

მესამე — რაც შეეხება ევროპას. რა თქმა უნდა, ევროპას გააჩნია თავისი ორმაგი სტანდარტები, ამაზე ორი აზრი არ არსებობს. მაგრამ აქ ერთი მომენტია ისიც, რომ ურბანს, მის პიროვნებას თვითონ უნგრეთში უწოდებენ არაორდინალურს. ურბანი არის იქაური მიხეილ სააკაშვილის ფენომენი, ოღონდ ოდნავ რბილი ვარიანტი, მაგრამ დიდად არ განსხვავდება სააკაშვილისგან. ზოგადად, უნგრეთი დემოკრატიული ქვეყანაა, მაგრამ მისი დღევანდელი ხელისუფლების მმართველობის სტილი არ იძლევა იმის საფუძველს, რომ უნგრეთში დემოკრატიის ის ნიშან-წყალი, რომელიც არსებობდა მანამდე, კიდევ უფრო განმტკიცებულიყო. აი ეს, ბუნებრივია, ადეიშვილის მომენტზეც აისახა. როგორც იტყვიან, ძაღლი ძაღლის ტყავს არ დახევს.

მეოთხე, — **თუ ჩვენს ხელისუფლებას არ აქვს იმის საშუალება, რომ ურბანს და ევროკავშირს დაუმტკიცოს, რომ ეს ადამიანი არის კრიმინალი და პოლიტიკური დამნაშავე, სულ მცირე, ეს კიდევ იმას ნიშნავს, რომ ჩვენმა ხელისუფლებამ დაუშვა ძალიან დიდი შეცდომა, თავიდანვე რომ არ გააკეთა ამ პოლიტიკური რეჟიმის შეფასება.** რას ვგულისხმობ, როცა ვამბობ, პოლიტიკური შეფასება არ მისცამეთქი, მოგახსენებთ. საკმარისი იქნებოდა, გაეკეთებინა ეს პარლამენტის დონეზე დეკლარაციის ან რეზოლუციის სახით, სადაც დაიწერებოდა, რომ წინა ხელისუფლების სისტემა იყო ავტორიტარული, ანუ რეჟიმს შეფასება უნდა მისცემოდა რაიმე დოკუმენტის სახით. და აი, ამ შეფასების შედეგად, ბუნებრივია, შესაძლებელი იქნებოდა უფრო მყარი არგუმენტების წარდგენა ევროპელი კოლეგებისთვის, რომლის საფუძველზეც, მერწმუნეთ, ადეიშვილს არავინ მისცემდა პოლიტიკურ თავშესაფარს. იმედია, ახლაც არ არის დაგვიანებული ასეთი დოკუმენტის მიღება და მე ყველას, ვისთვისაც დემოკრატიული და ჩვენი ეროვნული ფასეულობები ძვირფასია, მოვუწოდებ, მოვთხოვოთ ხელისუფლებას ამ დოკუმენტის აუცილებლად მიღება.

**— მართლა გჯერათ, რომ კოაბიტაციის, საარჩევნო დაპირებების შეუსრულებლობის ფონზე ასეთ დოკუმენტს მიიღებენ? ვხედავთ, რომ ამ ყველაფრის გასაკეთებლად პოლიტიკური ნება არ არსებობს...**

— შეიძლება პოლიტიკური ნება არ არის, მაგრამ უნდა ვაიძულოთ ხელისუფლება, რომ პოლიტიკური ნება გაჩნდეს. ხალხი თუ სერიოზულად მოითხოვს, ცხადია, „ოცნებაც“ დათანხმდება. **რაც შეეხება სამართლიანობის აღდგენას, რომ აცხადებენ, დასავლეთი გვაიძულებსო, ეს არის ტყუილი, დასავლეთი არის მითი, დამიჯერეთ. მე სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებთანაც მქონდა ურთიერთობები და იქ არავინ ამბობს, რომ „ნაცმოძრაობას“ ნაფტალინი მოაყარეთ და შეინახეთო. პირიქით, ბევრს უკვირს, რატომ არ ხდება იმ რეალური სურათის წარმოდგენა, რომელიც იყო წინა რეჟიმის პერიოდში.** ისეთი ფაქტები წარმოჩინდა ნავთლუღის ბაზრის ინციდენტთან დაკავშირებით (ადამიანები ჩახოცეს ვიღაც ნაძირლებმა მაზმიშვილმა, დათა ახალაიამ და ქარდავამ), მე თუ მკითხავთ, ეს სამი ნაძირალაა დასახვრეტი; იმედია, უვადო პატიმრობა მაინც არ ასცდებათ.

**— დოკუმენტი არ აჩვენესო, აცხადებთ, თუმცა ციხის კადრები მთელმა მსოფლიომ ნახა, ანუ ადეიშვილი უკვე უნდა იყოს პასუხისგებაში მიცემული და არა სკაიპით იკითხებოდეს, როგორც მოწმე... ...**

— როგორც ვთქვით, პოლიტიკური ნება არ არსებობს. გარდა ამისა, ასეთი მომენტია მოგონილი: ვაითუ რამე გავაფუჭოთ გაუთვალისწინებელი მოქმედებითო. ამ დროს ნებისმიერი მოქმედების ეშინიათ და ეს სრულიად ზედმეტი სიფრთხილე და პოლიტიკური სინაზე, ალბათ, კარგ შედეგებამდე არ მიგვიყვანს.

**— იქნებ მარტო ეს არ არის და სხვა ფაქტორიც მუშაობს? ხომ არ ევაჭრებიან ადეიშვილს და იმ შემთხვევაში, თუ ის სააკაშვილის კრიმინალურ საქმეებს თავის თავზე არ აიღებს და დადებს მიშაზე კომპრომატებს, მას სრული ხელშეუხებლობის გარანტიას მისცემენ?**

— შეიძლება ევაჭრებიან კიდეც. ამასაც არ გამოვრიცხავ, მაგრამ ადეიშვილს არავითარ შემთხვევაში არ უნდა მიეცეს ხელშეუხებლობის გარანტია. **ადეიშვილი, მერაბიშვილი, სააკაშვილი და ახალაია არიან, ფაქტობრივად, იგივე ხროვა, როგორიც იყო გებელსი, კალტენბრუნერი, ჰიმლერი, ბორმანი და ჰიტლერი. როგორც ამ ადამიანებს მოექცა სასამართლო** (ამ ხალხმა ერთმანეთი ჩაუშვა, ბორმანმა მთელი დოსიები დადო, მაგრამ არაფერმა უშველა, მაინც ჩამოახრჩეს), **ასევე ამ ხროვის წევრებიც უნდა გასამართლდნენ კანონის მთელი სიმკაცრით. არავითარი შეღავათი არ უნდა იქნას გამოყენებული ვინმეს ჩაშვების სანაცვლოდ.**

**— საქართველოს რომ შეეფარებინა უნგრეთის სისხლის სამართლის დამნაშავე, ძალიან დიდი ამბავი ატყდებოდა არა მარტო ევროპის, არამედ მთელი ცივილიზებული სამყაროს მხრიდან, ადეიშვილს კი ძალიან წყნარად მისცეს პოლიტიკური თავშესაფარი...**

— რა თქმა უნდა, ერთი ამბავი ატყდებოდა, თუ ჩვენ მოგვივიდოდა ამის დამადასტურებელი საბუთები და ის წამების კადრები ან ის ამბავი, რომელიც ნავთლუღის ბაზართან მოხდა. ეს არ არის მარტო ეროვნული დანაშაული, ეს არის საერთაშორისო დანაშაული. და **როცა ადამიანი ჩაიდენს კაცობრიობის წინაშე დანაშაულს, ის უნდა დაისაჯოს. როცა შენ ადამიანს ხვრეტ ქუჩაში, როცა შენ ადამიანს დანით კლავ სასაფლაოზე, იმისთვის, რომ მან თავისი პოზიცია გამოხატა, როცა შენ ციხეებში ადამიანებს აწამებ, აუპატიურებ და პლუს ადამიანების მკვლელობას გეგმავ, გავიხსენოთ, მამუკა ზერეკიძე, როინ შავაძე, სერგო თეთრაძე, რომლებიც დახოცეს** (ეს იყო პოლიტიკური მკვლელობები), **კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულებია, აბა, რა არის!** სერგო თეთრაძე, მამუკა ზერეკიძე და როინ შავაძე პოლიტიკური მოტივებით დახოცეს ციხეებში ამ სიკვდილის ესკადრონებმა, მაგრამ არავინ დასჯილა. აქვე გეტყვით, გამომძიებელმა და პროკურორმა გამოკვეთეს, რომ ჩემი ლიკვიდაციის ბრძანებაც არსებობდა. მოწმეც არსებობს, რომელსაც უშუალოდ დაავალა „ქილერამ“, ალექსანდრე მუხაძემ, ჩემი მოკვლა და მე გონივრულ ეჭვს გამოვთქვამ, რომ ეს ბრძანება გასცა გიორგი მაზმიშვილმა, კონტრდაზვერვის დეპარტამენტის ყოფილმა უფროსმა.

იმედია, დღევანდელი ხელისუფლება სამართლიანობას აღადგენს, ამ სიტუაციას გამოასწორებს, რადგან მოვიდა საზოგადოების დაკვეთით, რათა დაისაჯა ის ადამიანები, რომლებმაც ჩაიდინეს დანაშაული კაცობრიობის წინაშე.

ესაუბრა
**ქეთი ხომერიკი**

რომისი მოითხოვა და ნატოში გაწევრიანებაზე უარის სანაცვლოდ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით დიალოგი შემოგვთავაზა, ამ შემთხვევაში, ჩემის აზრით (შეიძლება ბევრი სხვაგვარად ფიქრობს), შეიძლება ამაზე დაფიქრება. ბოლოსდაბოლოს, **თუ ჩვენ მთავარი მიზნის მიღწევა გვინდა — ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, მაშინ რაღაც-რაღაცებზე უარიც უნდა ვთქვათ და ეს შანსი გამოვიყენოთ.**

**— საქართველოს ხელისუფლება უკვე ხვეწნაზეა გადასული, ძალიან უნდა, რომ მალე მოხდეს საქართველოს ნატოში მიღება...**

— ჩვენი საგარეოპოლიტიკური კურსი პროდასავლურია, მაგრამ ყველაფერი საბოლოო ჯამში მაინც რუსეთთან ურთიერთობას უკავშირდება. რაღაც მომენტებში უნდა დავფიქრდეთ, ზოგჯერ დიპლომატიაში რაღაც გონივრულ კომპრომისებზე წავიდეთ, თორემ სხვაგვარად არაფერი გამოვა. **ჩემთვის სოხუმსა და ცხინვალში უპრობლემოდ ჩასვლა უფრო პრიორიტეტულია, ვიდრე ბრიუსელსა და სტრასბურგში უვიზოდ სიარული. მე რიწის ტბის დანახვა უფრო მინდა, ვიდრე ჟენევის ტბის დათვალიერება. ილორსა და ბედიის მონასტერს უფრო ვნახავდი, ვიდრე პარიზის ღვთისმშობლის ტაძარს.** რატომ? იმიტომ, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა მინდა. ჩვენი ზოგიერთი პოლიტიკოსი და ექსპერტი კი იმდენად მიეჩვია დასავლეთში სიარულს ვითომდა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის პრობლემის გადაჭრის მიზნით, რომ უკვე პარიზი და ბრიუსელი უკეთ იცის, ვიდრე თბილისი და, რასაკვირველია, იქ ურჩევნია სიარული. ჩვენ, ალბათ, უნდა გავიაზროთ, რომ მუდმივად მთხოვნელის როლში ყოფნა სახელმწიფოს იმიჯს მაინცდამაინც არ უხდება.

**— ახლახან „აირაის“ მიერ ჩატარებულ კვლევას თუ დავუჯერებთ, ნატოს სავარაუდო მხარდამჭერთა და ნატოში გაწევრიანების მსურველთა რაოდენობამ იკლო.**

— არ არის გამორიცხული, რომ ჩვენი მოსახლეობა უკვე სხვაგვარად ფიქრობდეს. ზუსტი მონაცემები არ მაქვს, თუმცა ვიცი, რომ ის განწყობა, როგორიც ადრე იყო, უკვე აღარ არის. ამდენი წელი გავიდა ევროპის მოიმედედ, მაგრამ მნიშვნელოვანი ცვლილება ჩვენ სასარგებლოდ არ მომხდარა; პირიქით, შემოდის ისეთი ფასეულობები (იგივე ლგბტ), რომლებიც მისაღები არ არის. მეტიც, ამაზრზენია.

ესაუბრა
**ქეთი ხომერიკი**

საზოგადოება
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„არც ერთი ორგანიზაცია, რომელთა წევრებიც რეგულარულად დადიან აშშ-სა და ევროპის ქვეყნებში, არ ინტერესდება უმუშევართა პრობლემებით. ეს ყველაფერი იმიტომ ხდება, რომ ჩვენ არ ვართ იმ არასამთავრობო ორგანიზაციების ნუსხაში, რომლებიც ქვეყანაში პრივილეგირებულ მდგომარეობაში არიან. ესენი არიან ის ორგანიზაციები, რომლებიც ადრე „ნაციონალურ მოძრაობასთან“ ასოცირდებოდნენ, ახლა კი რესპუბლიკურ პარტიასთან მოიაზრებიან.“**



# ორი არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელ ქალბატონზე არსებობდა ფარული ვიდეოჩანაწერი

**არასამთავრობო ორგანიზაციის „უმუშევართა კავშირი დასაქმებისთვის“ წარმომადგენლები ამერიკაში საქმიანი ვიზიტით გამგზავრებას აპირებდნენ, მაგრამ აშშ-ის საკონსულოდან მოულოდნელად უარით გამოისტუმრეს. როგორც ორგანიზაციის ხელმძღვანელი თამარ იოვაშვილი აცხადებს, მათ ორგანიზაციას სპეციალურად ავიწროებენ და პროექტების განხორციელების საშუალებას არ აძლევენ.**

**— ქალბატონო თამარ, კონკრეტულად რა მიზნით მიდიოდით ამერიკის შეერთებულ შტატებში?**

— ჩვენი არასამთავრობო ორგანიზაციის „უმუშევართა კავშირი დასაქმებისთვის“ მისია უმუშევართა უფლებების დაცვა და სოციალურად დაუცველი ადამიანების დახმარებაა. სწორედ ამ მიზნების განსახორციელებლად მიდიოდა ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩვენი ორგანიზაციის 7-კაციანი დელეგაცია, რომელსაც ჩემი თანათავმჯდომარე, იურისტი დავით ჩიხლაძე ხელმძღვანელობდა.

ჩვენი ორგანიზაცია მჭიდროდ თანამშრომლობს ამერიკაში არსებულ ქართულ დიასპორასთან, რადგან ამ ადამიანებმა გულთან მიიტანეს საქართველოში მცხოვრები გაჭირვებული ადამიანების მდგომარეობა და მუდმივად გვეხმარებოდნენ. 2012 წელს, სწორედ ნიუ იორკის ღვთისმშობლის საფარველის ამერიკული მართლმადიდებელი ეკლესიის მრევლის, ამ ეკლესიის არქიმანდრიტის, ქრისტეფორ კალინის დახმარებითა და ფულადი სახსრებით, თბილისში გრანდიოზული — „სურვილების ასრულების აქცია“ ჩავატარეთ და უამრავ გაჭირვებულ და უსახლკარო ოჯახს დავეხმარეთ. გარკვეული თანხა მამა სერაფიმე ჩეკურიშვილმა ამერიკიდან პირადად ჩამოგვიტანა.

**ამჟამად ვმუშაობთ „შემწეობის კალათის“ პროექტზე, რომლის განხორციელებაც ჯერ ვერ მოვახერხეთ, ვინაიდან, საქართველოში ვისაც მივმართეთ, ყველამ უარი გვითხრა. „ვისოლ ჯგუფს“, „ქართუ ჯგუფს“, ბიზნესმენ ლევან ვასაძეს გავაცანით ეს პროექტი, ყველამ უარი გვითხრა დახმარებაზე. ყველა გვეუბნება, ძალიან კარგი იდეა გაქვთ, მაგრამ გვაცადეთ, არ გვცალიაო.** ყველა ევროპულ ქვეყანაში არსებობს მსგავსი „შემწეობის კალათები“, მაგრამ საქართველოში პროექტის პოპულარიზაციაა საჭირო. როდესაც აშშ-ში საქართველოს დიასპორას გავაცანით პროექტი, ისინი დაგვთანხმდნენ, მაგრამ გვთხოვეს ამერიკაში ჩავსულიყავით, ჩაგვეტანა ვიდეო და ფოტო მასალა, მოგვეწყო გამოფენა, რათა არამარტო მრევლს, არამედ ამერიკელებსაც გასჩენოდათ დახმარების სურვილი. ჩვენი მიზანი იყო ამ საქველმოქმედო პროექტების პოპულარიზაცია, რასაც სამწუხაროდ, ამ ეტაპზე ველარ ვახორციელებთ.

## «მსგავსი არასამთავრობო ორგანიზაციები აშშ-ის სადაზვერვო სამმართველოს მიერ მოგონილი, ძალიან ეფექტური იარაღია «ნარინჯისფერი» თუ «ხავერდოვანი» რევოლუციებისთვის»

**— უარის მიზეზად რა დაგისახელეს?**

— მიზეზი არ უთქვამთ, ერთადერთი, ჩემს თანათავმჯდომარეს, დავით ჩიხლაძეს უთხრეს, რომ ძალიან კარგები ხართ, ნამდვილად საჭირო საქმეს აკეთებთ, მაგრამ არ გვჯერა, რომ ამ მიზნების განსახორციელებლად მიდიხართ ამერიკაშიო. **თუ ამერიკის შეერთებული შტატები ჩვენი სტრატეგიული პარტნიორი და მეგობარი ქვეყანაა, როგორც გვეუბნებიან, რატომ ბლოკავენ და უღობავენ გზას ისეთ ქმედით არასამთავრობო ორგანიზაციას, როგორიც „უმუშევართა კავშირია“?** მით უმეტეს, საქმიანი ვიზიტისთვის ისეთი თანამშრომლები შევარჩიეთ, რომლებიც თავდაუზოგავად მუშაობდნენ ორგანიზაციაში და მათი ფინანსური მდგომარეობაც იძლეოდა იმის საშუალებას, რომ მგზავრობის ყველა ხარჯი საკუთარ თავზე აეღოთ, თუმცა ვიზის გაცემაზე ყველას უარი უთხრეს.

„უმუშევართა კავშირი დასაქმებისთვის“ ერთადერთი ორგანიზაციაა, რომელიც უმუშევართა უფლებებს იცავს. სხვა **არც ერთი ორგანიზაცია, რომელთა წევრებიც რეგულარულად დადიან აშშ-სა და ევროპის ქვეყნებში, არ ინტერესდება უმუშევართა პრობლემებით. ეს ყველაფერი იმიტომ ხდება, რომ ჩვენ არ ვართ იმ არასამთავრობო ორგანიზაციების ნუსხაში, რომლებიც ქვეყანაში პრივილეგირებულ მდგომარეობაში არიან. ესენი არიან ის ორგანიზაციები, რომლებიც ადრე „ნაციონალურ მოძრაობასთან“ ასოცირდებოდნენ, ახლა კი რესპუბლიკურ პარტიასთან მოიაზრებიან.**

ყველა ორგანიზაცია, რომლებიც მათი ხელიდან არ იკვებება და დასავლეთიდან არ ფინანსდება, იბლოკება. არც ერთი ჩვენი პროექტი არ დაფინანსდა; ვერც ერთი ფონდიდან ვერ მივიღეთ გრანტი, როცა ძალიან კარგი პროექტები და იდეები გვაქვს. ზოგიერთ არასამთავრობო ორგანიზაციას კი მოგონილ, სულელურ პროექტებს უფინანსებენ. ვფიქრობ, ამით უბრალოდ დიდი „ფულის ▶






# ადრე სოციალიზმს გიშენებდით, ახლა გიმღერებთ!

**რჩეულიშვილებმა კიდევ ერთხელ გადაწყვიტეს ზედაპირზე ამოსვლა და, რადგანაც „ნაციონალური მოძრაობა“ და მისი ერთ-ერთი სახე, რუსუდან კერვალიშვილიც, წარსულს ჩაბარდა, მესამე წრეზე წავიდნენ და ისევ ტუი წამოწიეს.**

**ჩემს ბავშვობაში ანეკდოტი იყო ასეთი: ბავშვი შინ ბრუნდება და სიმღერის გარდა ყველა საგანში ორიანი ჰყავს. მამა ეკითხება, ყველამ თუ ორიანი დაგიწერა, რა გემღერებოდა, შენი დედაცო...**

ეს ანეკდოტი კი მაშინ გამახსენდა, როცა ამღერებული ტუი დავინახე. ვინც არ იცის, ვეტყვი, რომ ტუი ვახტანგ რჩეულიშვილია და ბავშვობაში შერქმეული მეტსახელი დიდობაშიც შერჩა. სხვათა შორის, ერთხელ ჯაბას ჰკითხეს, იოსელიანს, ახალგაზრდობაში ტუის თუ იცნობდი, როგორი ბიჭი იყოო და ჯაბამაც ჩვეული პირდაპირობით უპასუხა, — ტუი და ხ..ი არ ვიცი მეო.

ახლა საინტერესო ის არის, **რა ემღერება რჩეულიშვილს მაშინ, როცა ნახევარი საქართველო თალლითობაში ადანაშაულებს, მეორე ნახევარი — ბინების წართმევაში** (ასეთებიც არიან რჩეულიშვილთაგან დაზარალებულთა სიაში და ისეთებიც, რომელთაც რჩეულიშვილებმა ბინა, რომელიც დღემდე არ აქვთ, ორჯერ აყიდინეს).

არადა, იყო დრო, რჩეულიშვილი პოლიტიკოსობდა, პარლამენტის ვიცესპიკერიც იყო და სოციალისტური პარტიის თავმჯდომარეობით სოციალიზმს აშენებდა. ეს შევარდნაძის პრეზიდენტობის პერიოდში იყო და ბაბუც მშვიდად უყურებდა ტუის შემოქმედებას, იმასაც, როგორ ასხამდა რჩეულიშვილი ბორჯომს ნოდარ ნათაძეს და პრინციპით — გიჟი მიუშვი ნებასა, მოვლენების განვითარებას ელოდა. **რჩეულიშვილის ხელში სოციალიზმი ვერ აყვავდა და მართალია, „ვარდების რევოლუციის“ დროს თავი გაუტეხეს, მაინც მოახერხა და ახალ ხელისუფლებასაც შეუძვრა. მერე რა, რომ ამისთვის ხან თავი გაუტეხეს, ხან ცარიელ აუზში ახტუნავეს და კისერშეხვეული ატარეს; მთავარი მიზანი, რომელიც ხალხის მოტყუების ხარჯზე ბიზნესის აყვავებასა და სოციალიზმის მშენებლობას გულისხმობდა, უკვდავი იყო.** ▶

**„ერთხელ და სამუდამოდ უნდა დასრულდეს ამ კოაბიტაციაზე საუბარი და საბოლოოდ გაირკვეს, ვინ ვინ არის, ვინ რა დანაშაული ჩაიდინა. მოკლედ, ყველაფერს უნდა დაერქვას თავისი სახელი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ვერც მეორე, ვერც მესამე, მეოთხე და მეათე წელიც საქართველოსთვის, ეკონომიკური თვალსაზრისით, წარმატებული ვერ იქნება. პირიქით, ჩვენ მივიღებთ უმწვავეს კრიზისს და მერე იქიდან გამოსვლის პოვნა მართლა გაგვიჭირდება.“**

სამართალი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ გათეთრება“ ხდება. ასეთი პრივილეგიებით 7 არასამთავრობო ორგანიზაცია სარგებლობს საქართველოში.

**— რომელ არასამთავრობო ორგანიზაციებს გულისხმობთ?**

— ახლა მათ გარკვეული მიზეზების გამო არ დავასახელებ, მაგრამ ყველა იცნობს მათ საქმიანობას, ისინი „გრანტიჭამია“ ორგანიზაციების სახელით კარგად არიან ცნობილი. ეს არასამთავრობო ორგანიზაციები უხვად ფინანსდებიან დასავლეთიდან და მათ საქმეს აკეთებენ. **უმუშევრებისა და ღატაკი ხალხის პრობლემები მათ არ აინტერესებთ, აფინანსებენ მხოლოდ იმ ორგანიზაციებს, რომლებიც იქადაგებენ და ხალხს თავს მოახვევენ ვითომდა დემოკრატიულ პრინციპებს. ვისაც ანალიზის უნარი აქვს, ამ ყველაფერს ადვილად მიხვდება, მაგრამ არიან ადამიანები, რომლებსაც მათი სჯერათ. სწორედ ეს დასავლეთიდან მართული და დაფინანსებული ორგანიზაციები აქტიურობენ უკრაინაშიც და ხალხს აწვდიან ვითომდა სიმართლეს, რომელიც სინამდვილეში დასავლეთს სჭირდება. მსგავსი არასამთავრობო ორგანიზაციები აშშ-ის სადაზვერვო სამმართველოს მიერ მოგონილი, ძალიან ეფექტური იარაღია „ნარინჯისფერი“ თუ „ხავერდოვანი“ რევოლუციებისთვის.** თუ ხვდებიან, რომ მართლაც ეროვნული სულისკვეთების ხალხია და არსაიდან იმართება, ყველას ბლოკავენ, როგორც ეს ჩვენ შემთხვევაში მოხდა.

ამ ორგანიზაციების ხელმძღვანელები გარყვნილებისა და უმსგავსობის პროპაგანდას პრესითა და ტელევიზიის საშუალებითაც ეწევიან, რომელსაც დემოკრატიული ღირებულებებითა და თავისუფლებაზე საუბრებით ნიღბავენ. ეს ორგანიზაციები, რომლებიც რელიგიური თუ სექსუალური უმცირესობების დაცვაზე გაჰყვირიან, ხელოვნურად ქმნიან პრობლემებს და შემდეგ ამაში ფულს იღებენ. ამას ისიც ადასტურებს, რომ გარდა ამ სექსუალური თუ რელიგიური უმცირესობებისა, არავისი უფლებები არასდროს დაუცავთ. უამრავი გაჭირვებული ადამიანია, უამრავი უსამართლობის მსხვერპლი, მაგრამ მათი ბედი ამ არასამთავრობო ორგანიზაციების მესვეურებს არ ადარდებთ.

**— ფარული ვიდეოჩანაწერების გამომზეურების შემდეგ გავრცელდა ინფორმაცია, რომ რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელზეც ჰქონდა ყოფილ ხელისუფლებას მსგავსი კომპრომატი და მათი მართვისა და დაქვემდებარების მიზეზიც ეს იყო...**

— ადამიანი, რომელიც ნამუსს ყიდის, ადვილი სამართავია. ჩემი ინფორმაციით, ორი არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელ ქალბატონზე არსებობდა ფარული ვიდეოჩანაწერი.

ესაუბრა **შორენა ციქარაშვილი**

---

◀ ვახოს ცემით რომ დაიღალა ყოფილი ხელისუფლება, რჩეულიშვილმა ჭკუა იხმარა და მათთან ცოლისდა შეაგზავნა. **„ბარბი“ კერვალიშვილი თვალების ფახულით ცდილობდა მოტყუებული ხალხის შეკავებასა თუ „დაბოლებას“, მაგრამ ბოლოს მასაც აღარ მოუთმინეს და მერე იყო, სადაც კერვალიშვილი გამოჩნდებოდა, უბინაოდ დარჩენილი ხალხი მაშინვე იქ მიდიოდა და ისეთ რალაცებს ეძახდა, არც ერთ ყურში რომ არ შეიშვება.**

ამის მიუხედავად, **რჩეულიშვილებმა კიდევ ერთხელ გადაწყვიტეს ზედაპირზე ამოსვლა და, რადგანაც „ნაციონალური მოძრაობა“ და მისი ერთ-ერთი სახე რუსუდან კერვალიშვილიც წარსულს ჩაბარდა, მესამე წრეზე წავიდნენ და ისევ ტუი წამოწიეს.**

ახალი პროექტი „ორი ვარსკვლავი“ როცა დაანონსდა და გაირკვა, რომ მასში მონაწილეობას ვახტანგ რჩეულიშვილიც მიიღებდა, მეგონა, დუეტში მეუღლესთან ერთად იმღერებდა. ჯერ ერთი, შეხმატკბილებულად ატყუებენ, ამდენი წელია, ხალხს და ხმის შეწყობა არ გაუჭირდებოდათ და ვახტანგ და მაია რჩეულიშვილებზე მეტი ვარსკვლავები რა გინდათ! არ გამართლდა ჩემი ვარაუდი, ვახო ნინა წკრიალაშვილთან ერთად მღერის და რა ქნას, თუ ემღერება!

**ტუის ემღერება იმიტომ, რომ, რაც შევარდნაძის დროს ჭამა, შერჩა; იმიტომ, რომ, რაც სააკაშვილის დროს ჭამა, ისიც შერჩა და ისიც, ახლა რომ ჭამს (თან დიდი კოვზით), ესეც შერჩება.** სხვაგვარად რომ იყოს საქმე, არ იქნებოდა რჩეულიშვილი სიმღერის განწყობაზე და თავის ფიზიონომიას არ აუფრიალებდა გამწარებულ ხალხს ისე, როგორც ესპანეთში ხარებს უფრიალებენ წითელ ნაჭერს. თუმცა, **სოციალიზმის მშენებელი ვახოსთვის წითელი ნაჭრის ფრიალი უცხო არ არის, დაუსჯელობის სინდრომი კი, როგორც ჩანს, მხოლოდ ყოფილ ხელისუფლებას კი არა, მასაც შეჰყრია და ამიტომაც დასცინის გამწარებულ ხალხს ტელეეკრანიდან.** სწორედ ხელისუფლების შეცვლის შემდეგ დაიბრუნეს რჩეულიშვილებმა სამშენებლო ბიზნესი და ისევ „საქმეში“ არიან.

ისე, ამ გადაცემაში რჩეულიშვილის სიმღერას ერთი პლუსი მაინც აქვს — გამწარებულ ხალხს მისი სახის წარმოდგენა აღარ დასჭირდება, გადართავენ კონკრეტულ დროს კონკრეტულ არხზე და კონკრეტულად აგინებენ. ვერ დაგპირდებით, რჩეულიშვილს ეს ყველაფერი შეაწუხებს-მეთქი, მაგრამ...

**თუ ყველაფერში ორიანი გყავს, მართლა რა გემღერება?!**

**დავით მინდიაშვილი**

---

## ნუგზარ დვალი: ვითხოვ დანგრეულ ბიზნესს, ჩამოჭრილ თანხას, წართმეულ ქონებას...

**სააკაშვილის ცხრაწლიანი მმართველობის პერიოდში ბიზნესი და პირადად ბიზნესმენები „ნაცხროვისგან“ რა ტერორსაც განიცდიდნენ, ფართო საზოგადოებისთვის კარგადაა ცნობილი. მით უფრო, რომ 1 ოქტომბრის შემდეგ დაზარალებულთა უმრავლესობამ ხმის ამოღება გაბედა და ზეწოლაზე საჯაროდ დაიწყო საუბარი. მიუხედავად ამისა, ივანიშვილის დაპირება, რომ მათ უფლებებს მოსვლისთანავე აღადგენდა, ისეთივე წმინდა წყლის სიცრუე აღმოჩნდა, როგორც დაპირება 220-ლარიანი პენსიის, საწვავის გაიაფებისა და კომუნალური გადასახადების შემცირების, დამნაშავეთა დასჯის, 100 ახალი ქარხნის ამუშავების, იპოთეკით დაზარალებულთა დახმარების შესახებ და ა. შ.**



მოკლედ, „ქართული ოცნების“ მოსვლიდან თითქმის წელიწად-ნახევარი გავიდა, რეჟიმის მიერ გაკოტრებული ბიზნესმენები კი ხელისუფლებისგან შველას კვლავ ამაოდ ელიან; მეტიც, ყოფილმა პრემიერმა, ბიძინა ივანიშვილმა მათ იმედი საბოლოოდ გადაუწურა და ერთ-ერთ კონფერენციაზე პირდაპირ განაცხადა: ბიუჯეტში ფული არ არის, ამიტომ წართმეული ქონების დაბრუნებაზე ამ ეტაპზე ლაპარაკიც ზედმეტიაო (უცნაურია, მაგრამ ამ რიტორიკის ფონზე ხელისუფლებამ გადაწყვიტა, რელიგიური კონფესიები 4,5 მილიონი ლარით დაეფინანსებინა. არაფერს ვამბობ 80 მილიონზე, რომელიც ივანიშვილმა სასწრაფო წესით დაიბრუნა).

„საქართველო და მსოფლიო“ სამშენებლო კომპანია „ალიონი 99“-ის დამფუძნებელს, ბიზნესმენ **ნუგზარ დვალს** შეხვდა და იმ პრობლემებზე ესაუბრა, რომელთა წინაშე დღეს წინა რეჟიმის მიერ დაზარალებული კერძო ორგანიზაციები დგანან.

**— ბატონო ნუგზარ, თქვენ ერთ-ერთი ხართ იმ ბიზნესმენებს შორის, რომელთაც არა მხოლოდ ბიზნესის დონეზე, არამედ პირადად შეგეხოთ სააკაშვილის ავტორიტარული მმართველობის მწარე ხელი, — იმის გამო, რომ „ნაცმოძრაობის“ „ნებაყოფლობით“ დაფინანსებაზე უარი თქვით, დაგაპატიმრეს და ვიდრე ხელისუფლება არ შეიცვალა, ციხეში იჯექით. 1 ოქტომბრის არჩევნებიდან წელიწად-ნახევარი გავიდა, რა შეიცვალა თქვენთვის და რამდენად იგრძენით საკუთარ თავზე სამართლიანობის აღდგენა?**

— საერთოდ არაფერი მიგრძვნია, პირიქით, პირდაპირ შემიძლია ვთქვა, რომ **ჩემი ყველა მცდელობა, დახმარებისთვის მიმემართა შესაბამისი უწყებებისთვის და როგორმე გამოვსულიყავი ამ მდგომარეობიდან, კრახით დამთავრდა. აბსოლუტურად არანაირ რეაგირებას არ ახდენს არც ერთი ინსტანცია, არც ერთი სტრუქტურა.** აქედან გამომდინარე, ფაქტობრივად, ვერ ვხედავ გამოსავალს. ჩამორთმეული მაქვს ქონება, მათ შორის ბინაც, და ქირით ვცხოვრობ. ადამიანი, რომელსაც მქონდა უზარმაზარი ბრუნვები და ვიყავი ერთ-ერთი ცნობილი ბიზნესმენი, დღეს, ფაქტობრივად, ქუჩაში ვარ...

## «მივმართავ შესაბამის სტრუქტურებს, თუ მათთვის სულერთი არაა ქვეყანა და მოქალაქე, ზნეობა და მორალი, მომაქციონ ყურადღება»

**— რომელ ინსტანციებს მიმართეთ და კონკრეტულად რა პასუხები მიიღეთ?**

— მივმართე პროკურატურას და ფინანსურ პოლიციას, ანუ ვისაც პირველ რიგში ეხებოდა ამ საკითხის მოგვარება. პროკურატურიდან მომივიდა ისეთი სასაცილო პასუხი, რომ, მგონი, არც გაცნობიან, რას ვითხოვდი, ხოლო ფინანსური პოლიციიდან მხოლოდ დამკითხეს, დამეთანხმნენ, რომ მართალი ვარ, და მორჩა.

**— როგორ ფიქრობთ, რა უშლის ხელს ან პროკურატურას, ან ფინანსურ პოლიციას, რომ უფრო ქმედითი იყოს?**

— **პროკურატურაშიც და სასამართლოშიც 70-80% ჯერ კიდევ „ნაციონალური მოძრაობის“ კადრებია. სხვათა შორის, ამ ხელისუფლებისგან განსხვავებით, „ნაციონალები“ ძალიან კარგად იცავენ ერთმანეთს.** რაც მართალია, მართალია, მიუხედავად იმისა, რომ 1 ოქტომბრის შემდეგ ყველას ეგონა, ამ პარტიიდან ბუნდლაც არ დარჩებოდა, არ გამართლდა — ეს არის ერთ მუშტად შეკრული გუნდი, რომელსაც ჯერჯერობით ძვრას ვერ უშვება ვერავინ.

**— რას ითხოვთ სახელმწიფოსგან? რამდენად შესაძლებელია, თქვენი საქმის ობიექტურად გამოძიება ვინმეს მიმართ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებამდე მივიდეს?**

— ამას, რა თქმა უნდა, ვერ გამოვრიცხავ. მე სასჯელს ვიხდიდი სრულიად უსაფუძვლოდ, შეთითხნილი ბრალდებით და ამაში კონკრეტული ადამიანები მონაწილეობდნენ. ცხადია, მათ კანონის წინააღმდეგ იმოქმედეს, მაგრამ რა სახის პასუხისმგებლობა შეიძლება ამ ხალხს დაეკისროს, ეს სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს. რაც შეეხება შეკითხვას, რას ვითხოვ, ვითხოვ იმას, რაც კანონით მეკუთვნის: წართმეულ ქონებას, დანგრეულ ბიზნესს, ჩამოჭრილ თანხებს... **როდესაც მივმართე ფინანსურ პოლიციას და პროკურატურას, ჩემთვის არ უთქვამთ, რომ ჩემი მოთხოვნები უსაფუძვლო იყო, პირიქით, ყველაფერში დამეთანხმნენ. თუ ასეა, მაშინ იქნებ კეთილი ინებონ, შეიწუხონ თავი და მომაქციონ ელემენტარული ყურადღება. ის მაინც ხომ შეიძლება, რომ მითხრან, მქონდეს სიმართლის დადგენის იმედი თუ არა?!**

**— მოდი ვთქვათ პირდაპირ: რა უშლის დღეს ხელისუფლებას ხელს, რომ გაწმინდოს მთელი რიგი სტრუქტურები, მათ შორის, ეროვნული ბანკიც, იმ ადამიანებისგან, რომლებიც რეჟიმთან ასოცირდებიან?**

— ამის არც ნება არსებობს და არც გამკეთებელია ვინმე. ეს უკვე თავიდანვე ჩანდა, როცა კოაბიტაციაზე დაიწყეს საუბარი. სხვათა შორის ამ ე. წ. კოაბიტაციამ იმდენად გაართულა და დაამძიმა საინვესტიციო გარემო, რომ, შეიძლება ითქვას, უკვე სავალალო მდგომარეობაა. ინვესტორები არაფერს აკეთებენ, ყველა მოლოდინის რეჟიმშია და აკვირდება, რა იქნება. ვფიქრობ, ეს ხელისუფლებისთვის უნდა იყოს მკაფიო სიგნალი, რომ რამე შეიცვალოს, თორემ ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიცით, რა გველის წინ. ჩემი აზრით, **ერთხელ და სამუდამოდ უნდა დასრულდეს ამ კოაბიტაციაზე საუბარი და საბოლოოდ გაირკვეს, ვინ ვინ არის, ვინ რა დანაშაული ჩაიდინა. მოკლედ, ყველაფერს უნდა დაერქვას თავისი სახელი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ვერც მეორე, ვერც მესამე, მეოთხე და მეათე წელიც საქართველოსთვის, ეკონომიკური თვალსაზრისით, წარმატებული ვერ იქნება. პირიქით, ჩვენ მივიღებთ უმწვავეს კრიზისს და მერე იქიდან გამოსვლის პოვნა მართლა გაგვიჭირდება.**

ჩვენთან ყოველთვის ასე ხდება, წინასაარჩევნოდ ფეხქვეშ გეგებიან, მთავრდება არჩევნები და მორჩა, აღარავის ახსოვხარ. მერე მიდის გარჩევები: მე ეს არ მითქვამს, ამას არ გპირდებოდით და ა.შ. ხალხი კიდევ მშიერია. ისე, მე სულ მიჩნდება კითხვა: რატომ ვართ ჩვენ ღარიბები? იმიტომ ხომ არა, რომ ყველა მთავრობა იპარავს?! ან როგორ შეიძლება, სოფლის მეურნეობა, წარმოება მკვდარი იყოს... აბა, რა არის ცოცხალი?! საერთოდ ვინმეს აინტერესებს, რით არსებობს ეს ქვეყანა, რით გააქვს სახელმწიფოს თავი?!

**— დავუბრუნდეთ თქვენს საკითხს, აქამდე ვერც ერთ ინსტანციაში ვერაფერს მიაღწიეთ, რას აპირებთ მომავალში?**

— საკითხი ასე დგას: ან ინტერესდება სახელმწიფო ამ პრობლემით, რომლის მსგავსი პრობლემაც უამრავ ადამიანს აქვს, ან ის რჩება გადაუჭრელი, როგორც დღესაა. ასეთ შემთხვევაში პირდაპირ გეტყვით, რომ გამოსავალს ვერ ვხედავ, ამიტომ კიდევ ერთხელ მივმართავ ყველა შესაბამის სტრუქტურას: თუ მათთვის ქვეყანა და მოქალაქე, წესრიგი და სამართალი, ზნეობა და მორალი სულერთი არ არის, მომაქციონ ყურადღება. თუ არა და რა სამართალგამრუდებულ სახელმწიფოშიც დღეს ვცხოვრობთ, ეს შეგვრჩება ბოლომდე და მერწმუნეთ, ასეთ სახელმწიფოს მომავალი არ აქვს.

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

მრგვალი მაგიდა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„საქართველოში ჯერ კიდევ მოდაშია ამერიკა, მაგრამ ხუთივე კონტინენტზე ამერიკის დროშებს სიამოვნებით წვავენ. ჩვენ უნდა ამოვიდეთ იქიდან, თუ რასთან გვაქვს საქმე. ორი გლობალური ინტერესი ეჯახება ერთმანეთს — დასავლურ-ამერიკული და რუსული, რომელიც არის საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრე და რომელსაც სრულიად სამართლიანად აქვს პრეტენზია იმაზე, რომ იყოს ზესახელმწიფო. თუკი რუსეთი ზესახელმწიფო ვერ იქნება, მაშინ ის, როგორც სახელმწიფო, ვეღარ იარსებებს.“**

# საქართველო და გლობალური პროცესები ყირიმის ნახევარკუნძულზე

**12 მარტს თბილისში უკრაინის კრიზისთან დაკავშირებით „გლობალიზაციის პრობლემების კვლევის“ ცენტრის მიერ ორგანიზებული მრგვალი მაგიდა გაიმართა. შეხვედრაზე გლობალურ კონტექსტში განიხილეს უკრაინაში მიმდინარე მოვლენები, საქართველოსთვის შესაძლო შედეგები აღნიშნული მოვლენების სხვადასხვა სცენარით განვითარების შემთხვევაში, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა, რუსეთის როლი უკრაინის მოვლენებში, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროპის ქვეყნების ჩართულობა უკრაინაში განვითარებულ მოვლენებში და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.**
**შეხვედრაზე მოწვეულმა სტუმრებმა ვრცლად ისაუბრეს ზემოთ აღნიშნულ საკითხებზე. დისკუსიამ 2 საათზე მეტ ხანს გასტანა. შეხვედრის მონაწილეები შეთანხმდნენ, რომ უკრაინაში განვითარებული მოვლენები გლობალურ კონტექსტში უნდა იქნეს განხილული, შესაბამისად, რა სცენარითაც უნდა განვითარდეს ისინი, დიდ ზეგავლენას მოახდენს საქართველოზე და ქართულ-რუსულ ურთიერთობაზე.**





ვიქტორ ცაავა:

## სხვადასხვა საფრთხის თავიდან ასაცილებლად საქართველოს დიდი ძალისხმევა, სიფრთხილე და გონიერება დასჭირდება

**ვიქტორ ცაავა, „გლობალიზაციის პრობლემების კვლევის ცენტრი“:**
— ბოლო დროს უკრაინის ირგვლივ განვითარებული მოვლენები უმნიშვნელოვანესია ყველა მეზობელი ქვეყნისთვის, განსაკუთრებით საქართველოსთვის. ეს პროცესები სარკისებურად აისახება ჩვენი ქვეყნის მომავალზე. ამიტომაც მიზანშეწონილად მივიჩნიეთ ქართველ ექსპერტებთან და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად აღნიშნულ საკითხებზე ფართო მსჯელობა გაგვემართა.

ჩემი აზრით, **უკრაინის მოვლენები გლობალურ ასპექტში უნდა იქნეს განხილული და უნდა გვესმოდეს, რომ აღნიშნულ კრიზისთან დაკავშირებით რა სცენარითაც უნდა განვითარდეს მოვლენები, საქართველოს სხვადასხვა საფრთხის თავიდან ასაცილებლად დიდი ძალისხმევა, სიფრთხილე და გონიერება დასჭირდება.**

მიმაჩნია, რომ მსგავსი მსჯელობა აუცილებელია იმისთვის, რომ ამ გლობალურ პროცესებში საქართველო უვნებლად გადარჩეს.



ზვიად მირგატია:

## უკრაინაში მიმდინარე მოვლენები ყველა ასპექტში საქართველოზეც აისახება

**ზვიად მირგატია, „გლობალიზაციის პრობლემების კვლევის ცენტრი“:**
— საქართველოში ცხოვრობენ ადამიანები, რომელთაც მიაჩნიათ, რომ ჩვენი ქვეყანა ევრაზიულ კავშირში უნდა იყოს, რადგან ევროპული ღირებულებები ხელოვნურია, ჩვენ ვეკუთვნით ევრაზიას. **მართლმადიდებლური ღირებულებების შენარჩუნებას მხოლოდ ევრაზიულ კავშირში ყოფნით ვხედავთ. რუსეთი არის მართლმადიდებლური ცივილიზაციის წამყვანი ძალა ყველა პარამეტრებით — ტერიტორიით, სიმდიდრით, ბირთვული იარაღით, მაგრამ რუსეთს, სამწუხაროდ, თითი თითზე არ დაუკარებია იმისთვის, რომ ქართველების ელემენტარული სიმპათია დაემსახურებინა.**

ახლა უკრაინაში მიმდინარე პროცესებზე გეტყვით. რუსული და უკრაინული ეთნოსის განცალკევება წარმოუდგენელია, ისინი დიდ კავშირში არიან ერთმანეთთან. ყირიმი რუსეთს შეუერთდება, მაგრამ მთავარია, ამის მერე რა მოხდება? ხომ არ დაიწყება ტერორისტული აქტები, ზიზღი რუსეთის მიმართ? ხომ არ დამთავრდება ეს იმით, რომ დანარჩენ უკრაინას რუსეთი სამუდამოდ დაკარგავს? უკრაინაში მიმდინარე მოვლენები ყველა ასპექტში საქართველოზეც აისახება. საქართველო ჩიხშია მოქცეული. გამოსავალს ვერ ვხედავ. სწორედ ამიტომაც შევიკრიბეთ, ამიტომაც ვცდილობთ, ვიმსჯელოთ და ვისაუბროთ უკრაინაში მიმდინარე პროცესების მიზეზებსა და შედეგებზე.



ნანა დევდარიანი:

## ისტორიულ ასპექტში რუსეთი მართალია

**ნანა დევდარიანი, „გლობალური კვლევების ცენტრის“ ხელმძღვანელი:**
— გლობალიზაცია შემდგარი პროცესია და, როცა დასავლეთმა გაფართოება გადაწყვიტა, ეგონათ, რომ წარმატებას მიაღწევდნენ, მაგრამ პირიქით აღმოჩნა. პოპულისტურ განცხადებებს იმასთან დაკავშირებით, რომ მაინცდამაინც სექსუალური და რელიგიური უმცირესობების მხარდაჭერაა აუცილებელი, თავი დავანებოთ, გლობალიზაცია არის ფინანსური ნაკადების შეუზღუდავი გადაადგილება, რამაც უკრაინის პროცესები გამოიწვია. **დასავლეთი, რომელიც გლობალიზაციას განიხილავდა, როგორც წყალს, რომელშიც კარგად ცურავს, წამოკიდებული აღმოჩნდა, რადგან გლობალურ პროცესებში რუსეთიც ისევეა ჩართული, როგორც ყველა სხვა დანარჩენი სახელმწიფო. სწორედ ამიტომაც უჭირს დღეს მთელ მსოფლიოს რუსეთის წინააღმდეგ სანქციების გამოცხადება. ეს იგივეა, რომ საკუთარ თავს სანქციები დაუწესონ.** თუ ისინი გადაწყვეტენ, რომ გაზი გადაიკეტონ და ამით საკუთარი თავი დააზარალონ, არ ვიცი, ასეა ბევრ სხვა ეკონომიკურ საკითხებთან დაკავშირებით. ამ დღეებში ძალიან საინტერესო რამ მოხდა, როგორც კი რუბლის კურსი დაეცა, საგრძნობლად მოიმატა ფასმა ნავთობზე, გაზზე და, ფაქტობრივად, რუსეთმა დიდი ზარალი ვერ ნახა. ამბობენ, რომ იმ პერიოდში, როდესაც რუბლი მინიმალურ ზღვარზე დავიდა, უცხოელმა აქციონერებმა პანიკისგან კუთვნილი აქციების გაყიდვა დაიწყეს იაფად, რუსეთმა კი დამატებით საკუთარი დიდი კორპორაციების 30% უკან დაიბრუნა.

გლობალიზაცია მისი ავტორების წინააღმდეგ მუშაობს.

**ყირიმის საქმეში რუსეთის გამტყუნება არაფრით შეიძლება, რადგან ის მჭიდრო კავშირშია რუსეთთან. ყირიმის აღებით მოსკოვმა თავის დროზე ევროპა ისლამიზაციისგან იხსნა.** თურქები ვენამდე იყვნენ ჩასულები. ისტორიულ ასპექტში რუსეთი მართალია.



როლანდ ჯალაღანია:

## რუსეთს სურს, რომ საზღვართან ჰყავდეს ისეთი სანდო მეზობელი, რომელიც ცეცხლს არ გაუხსნის

**როლანდ ჯალაღანია, გაზეთ „ილორის“ მთავარი რედაქტორი:**
— თუ საკითხს დავსვამთ ასე — რა უნდა რუსეთს ყირიმში? მაშინ ამას აქვს მეორე მხარეც, რა უნდა ამერიკას ყირიმში? რუსეთს არ აქვს გახსნის უნარი და რაციონალურად ჩამოყალიბების კულტურა, თორემ ამის უნარი რომ ჰქონდეს, მის სიმართლეს ყველა ნათლად დაინახავდა. რუსეთს სურს, რომ საზღვართან ჰყავდეს ისეთი სანდო მეზობელი, რომელიც ცეცხლს არ გაუხსნის და ამაში მიუღებელი არაფერია.

**საქართველო ამ სიტუაციით სარგებელს ეძებს, ხელისუფლება ამბობს, რომ, თუ რუსეთი კიევში შეიჭრება, საქართველოს მაპს აუცილებლად მისცემენო. მოლოდინის რეჟიმში ვიმყოფებით ყველანი და რაიმეს განსაზღვრა ასეთ ვითარებაში ძალიან ძნელია.** რაც შეეხება ყირიმელ თათრებს, 1609 წელს ტაშისკართან ბრძოლისას საქართველოს ასაოხრებლად შემოვიდნენ.

**ტარიელ გაგნიძე, სსიპ „ისტორიული მემკვიდრეობის“ ხელმძღვანელი:**
— მას შემდეგ, რაც იანუკოვიჩი პრეზიდენტი გახდა, დასავლეთისკენ ილტვოდა, მაგრამ არჩევნებიდან ერთი თვის თავზე უკრაინა ნატოსთან ინტეგრაციის მიმართულებით მუშაობის გამოცდილების შეძენისთვის გამართულ შეხვედრას არ დაესწრო. გარეშე თვალისთვის ის მაინც სულ ტოვებდა შთაბეჭდილებას, რომ დასავლეთის მომხრე იყო. თუმცა, საქმე საქმეზე რომ მიდგა, იანუკოვიჩმა მიიღო გადაწყვეტილება და მან ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულებას ხელი არ მოაწერა. მოგვიანებით კი რუსეთთან ეკონომიკურ თანამშრომლობაზე ხელის მოწერამ ყველას დაანახა მისი რეალური პოლიტიკის სახე.

იანუკოვიჩის არჩევანი ასეთი იყო — ერთი მხრივ, ევროინტეგრაცია, რაც ნიშნავდა ეკონომიკურ კრახს, რუსეთისგან კი მიიღო 15-მილიარდიანი კრედიტი, იაფი გაზი, წარმოების განვითარება და რუსეთში პროდუქციის გასაღების ბაზარი. ჭკუათმყოფელი ხელმძღვანელი ასეთ არჩევანს გააკეთებდა. ამის მერე არეულობა დაიწყო. ნოემბერში ხელშეკრულებაზე უარის თქმამ ხალხი ქუჩაში გამოიყვანა, ხოლო დეკემბერში რუსეთთან ხელმოწერამ ვითარება გაამძაფრა. რა ხდება ამის შემდეგ? იანუკოვიჩი ცდილობს, სისხლისღვრამდე არ მიიყვანოს საქმე, ის არ აკეთებს ამას, მაგრამ **იმის გამო, რომ უკრაინაში სისხლიანი რეჟიმის არსებობა დაედასტურებინათ, დაიქირავეს სნაიპერები, დაახოცინეს ხალხიც, პოლიციაც... სნაიპერები ვისი დაქირავებულებიც იყვნენ, ყველამ იცოდა, მაგრამ ხმამაღლა ამის თქმას ერიდებოდნენ.**

უკრაინაში რუსეთის როლზე და მისი ქმედებების მიზანშეწონილობაზე გავამახვილებ ყურადღებას. უკრაინა პოლონეთს ესაზღვრება, პოლონეთი გადის ბალტიის ზღვაზე, არ არის შემთხვევითი, რომ პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ყველა პროცესში მონაწილეობს. ამის უკან დგას ის, რომ დასავლეთს სურს, უკრაინას მართავდეს ტერორისტულ-ფაშისტური რეჟიმი, რომელიც ახლა უკვე სახეზეა და სწორედ მასთან გაერთიანდება პოლონეთი არა ტერიტორი-

**„ერდოღანს რომ ახლა გაახსენდა თავისი ქართველობა, ეს ისე, უბრალოდ არ მომხდარა. მას სურს, ასეთი გზით თავი მოგვიქონოს და საქართველომ ვერ გაიგოს, გარშემო რა პროცესები მიმდინარეობს. საქმე იქამდე მივიდა, რომ თურქეთმა და აზერბაიჯანმა ცოტა ხნის წინ გამოაცხადეს — ორი ქვეყანა, ერთი ხალხი, ერთი არმია. რა მდგომარეობაშია საქართველო? პროცესები შეუქცევადი თუ გახდებოდა, იქ უკვე ქართველის, როგორც მართლმადიდებლისა, და საქართველოს, როგორც მართლმადიდებლური ქვეყნის ადგილი აღარ იქნებოდა.“**

მრგვალი მაგიდა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



ტარიელ გაგნიძე:

# ერთადერთი ქვეყანა, რომელსაც გლობალური ომი ხელს არ აძლევს, რუსეთია

ულად, არამედ პოლიტიკურად და იდეოლოგიურად, რითიც იკვრება ჯაჭვი ბალტიისპირეთიდან შავ ზღვამდე რუსეთის მიმართ მტრულად განწყობილი ვექტორისა. შავ ზღვაზე საქართველოა.

2010 წელს სააკაშვილმა ჩერქეზების გენოციდი აღიარა. რა მიზანს ემსახურებოდა მისი ეს აღიარება? შავი ზღვისპირეთის პატარა, მოკლე მონაკვეთი, რომელიც რუსეთს რჩება, კრასნოდარზე გადის. ზუსტად ამ მონაკვეთზე აცხადებენ პრეტენზიას გენოციდმოწყობილი ჩერქეზები, რომ შემდეგ შეიქმნას იდეოლოგიური საფუძველი ამ ტერიტორიის ანექსიისთვის. მაგრამ ვისი ხელით? **ერდოღანს რომ ახლა გაახსენდა თავისი ქართველობა, ეს ისე, უბრალოდ არ მომხდარა. მას სურს, ასეთი გზით თავი მოგვიქონოს და საქართველომ ვერ გაიგოს, გარშემო რა პროცესები მიმდინარეობს. საქმე იქამდე მივიდა, რომ თურქეთმა და აზერბაიჯანმა ცოტა ხნის წინ გამოაცხადეს — ორი ქვეყანა, ერთი ხალხი, ერთი არმია. რა მდგომარეობაშია საქართველო? პროცესები შეუქცევადი თუ გახდებოდა, იქ უკვე ქართველის, როგორც მართლმადიდებლისა, და საქართველოს, როგორც მართლმადიდებლური ქვეყნის ადგილი აღარ იქნებოდა.**

რუსეთის არასწორ პოლიტიკაზე საუბარი უკრაინასთან მიმართებაში უხერხულია, რადგან ხშირ შემთხვევაში თავად ხელისუფალნი აკეთებენ საკუთარი ქვეყნისთვის ცუდს და მხოლოდ იმისთვის, რომ რუსეთი დააზარალონ, რაც უზნეობად მიმაჩნია. რუსეთი მართალია და, თუკი ის ასე არ მოიქცეოდა, გლობალურ ომს მართლაც ვერ ავცდებოდით, რუსეთის ყველა ნაბიჯი უსაფრთხოებისკენ არის გადადგმული. ერთადერთი ქვეყანა, რომელსაც გლობალური ომი ხელს არ აძლევს, რუსეთია.

**ვალერი კვარაცხელია, პარტია „ნეიტრალური საქართველოს“ ლიდერი:**

— ამერიკელებმა გლობალიზმის მცნება ძალიან ოსტატურად გამოიყენეს. გლობალიზაცია მიისაკუთრეს და ამერიკანიზაციასაც გლობალიზაცია დაარქვეს. ამერიკანიზაცია კი, გლობალიზაციისგან განსხვავებით, ბუნებრივი პროცესი ნამდვილად არ არის. ერთპოლუსიანი სამყარო ამერიკის პოლიტიკური სამხედრო დოქტრინაა, რომელიც ჯერ კიდევ ცოცხალია და ნიშნავს მსოფლიოზე ერთპიროვნული ჰეგემონიის დამყარებას. ამერიკელებმა მოხერხებულად ამოაფარეს საკუთარი სურვილი გლობალიზაციას, მაგრამ ამ ყველაფრისთვის რამდენად ჰყოფნით რესურსი, ამას დღევანდელობა გვიჩვენებს. მიუხედავად იმისა, რომ მწვანე ქაღალდს ყოველდღიურად ქრიან, მაინც არ ჰყოფნით არც ფინანსური, არც სამხედრო და არც იდეოლოგიური რესურსი.

**საქართველოში ჯერ კიდევ მოდაშია ამერიკა, მაგრამ ხუთივე კონტინენტზე ამერიკის დროშებს სიამოვნებით წვავენ. ჩვენ უნდა ამოვიდეთ იქიდან, თუ რასთან გვაქვს საქმე. ორი გლობალური ინტერესი ეჯახება ერთმანეთს — დასავლურ-ამერიკული და რუსული, რომელიც არის საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრე და რომელსაც სრულიად სამართლიანად აქვს პრეტენზია იმაზე, რომ იყოს ზესახელმწიფო. თუკი რუსეთი ზესახელმწიფო ვერ იქნება, მაშინ ის, როგორც სახელმწიფო, ვეღარ იარსებებს.** ასეთ ვითარებაში კი მოწინააღმდეგის რესურსი გაათმაგდება იმისთვის, რომ შეტევა განხორციელდეს როგორც გარედან, ისე შიგნიდან. არ ვგულისხმობ სამხედრო შეტევას, ეს იქნება ფინანსური, იდეოლოგიური, დივერსიულ-ტერორისტული; მთელი არსენალი არსებობს იმისათვის, რომ რუსეთი გახადონ დაშლადი. ასეთ ვითარებაში კი რუსეთი თუ თავს იცავს, მას ამის სრული უფლება აქვს. რამდენიც უნდა იძახონ, რომ უზნეოდ იქცევა, ის მაინც ისე მოიქცევა, როგორც ჩათვლის მიზანშეწონილად.

ვიფიქროთ იმაზე, თუ რა არის რუსეთის ინტერესი, მაგრამ რამდენად შეგვიძლია მის ინტერესებში ჩავეწეროთ, ეს არავის უცდია, დამოუკიდებელი საქართველოს არც ერთ ხელისუფალს არ უფიქრია. რუსეთთან უნდა მივსულიყავით და პირდაპირ დაგვესვა შეკითხვა: რა არის თქვენი ინტერესი საქართველოსთან მიმართებაში? ორი რამ არის ისეთი, რაზეც თანხმობას ვერ ვიტყვით — ტერიტორიული ერთიანობის და პოლიტიკური სუვერენიტეტის ხელყოფა. ეს არის ისეთი წითელი ხაზი, რომლის ხელის ხლებაზეც ვერც ერთი მთავრობა საზოგადოებისგან თანხმობას ვერ მიიღებს. სხვა დანარჩენზე რუსეთთან დალაპარაკება შესაძლებელი იყო. თუ რუსეთი იტყოდა, რომ არა, ეს ტერიტორიები ჩემთან უნდა დარჩეს, მაშინ უკან უნდა გამოვბრუნებულიყავით. თუ იტყოდა, რომ საქართველომ პოლიტიკური სუვერენიტეტი უნდა დაკარგოს და გუბერნიად უნდა შემოვიერთოო, ასევე გამოვტრიალდებოდით, მაგრამ თუ ის იტყოდა, რომ საქართველო არ უნდა შევიდეს იმ სამხედრო ბლოკში, რომელიც რუსეთის მიმართ მტრულად არის განწყობილი, მაშინ შევთანხმდებოდით. ეს საკითხი განსახილველად ყოველთვის იდგება. **ინტერესთა კონფრონტაციიდან ინტერესთა შეჯერებაზე არ გადავსულვართ, არც გვიცდია. არადა, ამისთვის უამრავი რესურსი არსებობს. რატომ არ შეიძლება იმ საკითხის განხილვა, რომ საქართველო საბაჟო კავშირის წევრი გახდეს? ყველა ქართველი თანხმდება იმაზე, რომ რუსეთის ბაზარი ყველაზე ხელმისაწვდომია ჩვენთვის.**

ინტერესთა შეჯერების რეჟიმზე თუ არ გადავედით, რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირების ყველა მცდელობა ნულის ტოლი იქნება. ასევე იქნება უშედეგო საქართველოს გამთლიანებაც. ამ მოლაპარაკებების დაწყება რუსეთთან აუცილებლად მოგვიწევს, ოღონდ არ ვიცი, ამას ჩვენი გონიერება გადაგვაწყვეტინებს თუ რუსეთი გვაიძულებს.

**ყირიმის საკითხი ლეგიტიმურად წყდება. უკრაინაში მიმდინარე მოვლენები გვიბიძგებს იქითკენ, რომ ვიყოთ გონივრულები და პრაგმატულები, მაგრამ ჩვენი პოლიტიკური სპექტრის წარმომადგენლებიდან არც ერთი გონიერებასთან ახლოს არ არის.** ვინ ეკითხება საქართველოს ამ უზარმაზარ გეოპოლიტიკურ გადანაწილებაში თავისი აზრის გამოთქმას?

ქართველი პოლიტიკოსები ერთმნიშვნელოვნად დგანან დასავლეთის მხარეს, დასავლეთის, რომელიც მალე ისე გაშიშვლდება თავისი დამპყრობლურ-მტაცებლური პოლიტიკით, რომ ამ რეგიონში გამოსახედი აღარ დარჩებათ.

დიდი ომი არ მოხდება, რადგან აშშ-მა ვერსად ვერაფერი გააკეთა და არა მგონია, რუსეთთან ომის მოგებას შეეცადოს. რუსეთი შესანიშნავ მდგომარეობაში აღმოჩნდება.



ვალერი კვარაცხელია:

# მოლაპარაკებების დაწყება რუსეთთან აუცილებლად მოგვიწევს, ოღონდ არ ვიცი, ამას ჩვენი გონიერება გადაგვაწყვეტინებს თუ რუსეთი გვაიძულებს



თამარ კიკნაძე:

# უკრაინაში განვითარებული მოვლენები შემთხვევითი არ არის, ყველაფერი დანაწილებულია

**თამარ კიკნაძე, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი, საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტის თავმჯდომარე:**

— რა არის გლობალიზაცია? ფინანსური ნაკადების მოძრაობა. გლობალიზაცია თავისი არსით ძალიან მარტივია. 300-400 ოჯახი ინაწილებს მსოფლიოს.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ხშირად გაგვიგია, რომ ამბობენ: რა უნდოდათ, რატომ დაშალეს აშენებული ქვეყანა, ვერ გავიგეთო... ვერც გაიგებდნენ, რადგან ამ პროცესებსაც გარეშე ძალები მართავდნენ. ელცინი იყო ფინანსური კლანის წარმომადგენელი, რომელსაც გვერდით გამუდმებით, ორი ამერიკელი მრჩეველი ედგა. თუ ვინმეს ჰგონია, რომ ობამა რამეს ბედავს, ტყუილია. ბოლო დამოუკიდებელი პრეზიდენტი, რომელსაც შეეძლო რაღაც ეთქვა, კენედი იყო.

**დასავლური ელიტა მსხვილი ფინანსური კლანების შექმნილია. ის 300-400 წლის განმავლობაში ყალიბდებოდა, დედოფალ ვიქტორიას სიკვდილის შემდეგ, რომელიც ფინანსური კლანების სასტიკი წინააღმდეგი იყო, პროცესები უფრო განვითარდა და ისინი არისტოკრატიას დაუკავშირდნენ.**

როგორ მუშაობს დასავლური ელიტა? 1949 წელს მათ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ შეიმუშავეს გეგმა სახელწოდებით — „ლიოტე“. ვინ იყო ლიოტე? ის იყო ფრანგი მარშალი, რომელიც ალჟირში აწარმოებდა საბრძოლო მოქმედებებს, სადაც ძალიან ცხელოდა. მან იკითხა: — რა არის, ერთი ხე არ გაქვთ დარგული? იქაურებმა უპასუხეს, რომ ხის გაზრდას 50 წელი სჭირდება. მაშინ, ხე ახლავე დარგეთო! — გასცა ბრძანება ლიოტემ. ასე რომ, **მათი პროექტები გათვლილია 50-100 წელიწადზე. საქართველოში გვეგონა, რომ ქუჩაში თუ მილიონი ადამიანი გამოვიდოდა, რეჟიმი შეიცვლებოდა, არ შეიცვლებოდა იმიტომ, რომ ყველაფერს თავისი დრო აქვს.**

დღეს ყველაფრის შეთანხმება ხდება არა სახელმწიფოების დონეზე, არამედ ზენაციონალურ სტრუქტურებთან. მაგალითად, ბიძინა ივანიშვილის დანიშვნა „ბილდერბერგის კლუბში“ დაგაწყდა.

**დასავლური „ელიტა“ შემთხვევით არაფერს აკეთებს. უკრაინაში განვითარებული მოვლენებიც შემთხვევითი არ არის, ყველაფერი დანაწილებულია, უბრალოდ, ამის გაფორმება ხდება. უკრაინა დაიყოფა.**

ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ ბრძოლა მართლმადიდებლობის წინააღმდეგ მიმდინარეობს. გლობალიზაციის სულიერი გამაერთიანებელი კათოლიკური ეკლესიაა, რომელიც ურთიერთობს ებრაელებთან; როტშილდები კათოლიკური ეკლესიის უდიდესი დამფინანსებლები არიან.

ის, რაც დღეს საქართველოში ხდება, პირდაპირ მათ გეგმაში ჯდება.

ახალგაზრდებს სჯერათ, რომ, ევროპაში თუ შევლენ, მაშინვე აშენდებიან. ამის პროპაგანდა ძალიან სერიოზულად მიდის. რეფორმები, რომლებიც უნივერსიტეტებში გატარდა, ემსახურება ახალგაზრდების ტვინის გამორეცხვას. ბავშვებს აჯერებენ, რომ საბჭოთა კავშირის დროს მონები ვიყავით და რუსეთს ჩვენი სიმდიდრე მიჰქონდა, თან ამას ვერაფრით გადაათქმევინებ.

საბჭოთა კავშირი პარტიული ელიტის წარმომადგენლებმა დაანგრიეს, რომლებიც შემდეგ უმდიდრესი ადამიანები გახდნენ. დასავლეთმა ისინი მოატყუა და უთხრა, რომ, თუ დაანგრევთ საბჭოთა კავშირს, თქვენ გახდებით დასავლური ელიტის წევრები, მათ შორის იყო შევარდნაძეც, მაგრამ დასავლეთმა ელიტაში ესენი არ შეუშვა. გორბაჩოვი საერთოდაც „მოიხმარეს“ და გადააგდეს.

**ირაკლი უბილავა, „გლობალიზაციის პრობლემების კვლევის ცენტრი“:**

— ყირიმი ერთ-ერთი სტრატეგიული რეგიონია როგორც რუსებისთვის, ისე ანგლოსაქსებისთვის. მათ ყირიმი სჭირდებათ იმისთვის, რომ საზღვაო სივრცე მთლიანად გააკონტროლონ, ამით ისინი ცდილობენ, საზღვაო-საკომუნიკაციო სივრცე გადაუკეტონ რუსეთს. ეს არის დაპირისპირება ზღვასა და ხმელეთს შორის.

არსებობს ასეთი ავტორი ბრუკ ადამსი, ის პირდაპირ ამბობს: „ჩვენი მოწინააღმდეგეა რუსეთი და ის უნდა მოვსპოთ. დედამიწაზე ორი იმპერიის ადგილი არ არის, არსებობს ერთი იმპერია და ეს ვაშინგტონია“.

**უკრაინაში მიმდინარე პროცესები ამერიკული თამაში იყო, დასავლეთ უკრაინა ისტორიულად პროდასავლური იყო, რაც ამერიკელებმა შესანიშნავად გამოიყენეს, მაგრამ არსებობს აღმოსავლეთ უკრაინაც, რაც ვეღარ გათვალეს. რუსეთი ყირიმს არ დათმობდა, რადგან ეს ნიშნავს რუსეთის განდევნას შავი და ხმელთაშუაზღვის აკვატორიიდან.**

დღეს საინფორმაციო საშუალებები აქცენტს აკეთებენ იმაზე, თითქოს უკრაინა და სხვა პოსტსაბჭოთა სივრცის რესპუბლიკები დამოუკიდებლობისა და პოლიტიკური სუვერენიტეტის განმტკიცებისთვის იბრძვიან. ეს ფიქციაა, რადგან, თუ ამერიკელ ავტორებს დავესესხებით, ერი-სახელმწიფოს დრო წარსულს ბარდება. **დღეს დაპირისპირება ცივილიზაციებს შორის მიმდინარეობს, უკრაინაში მიმდინარე პროცესები უნდა დავუკავშიროთ მინიმუმ ახალი რეგიონული წესრიგის შექმნას, მაქსიმუმ შესაძლებელია ეს აღმოჩნდეს მომავალში ახალი მსოფლიო წესრიგის შექმნის წინაპირობა.** როდესაც ესა თუ ის წესრიგი იცვლება, იცვლება სახელმწიფოთა საზღვრებიც. საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემა ვესტფალის ზავიდან იწყება, მას შემდეგ გადანაწილება რამდენიმეჯერ მოხდა. წესრიგის ხელახალ ცვლას თან ახლავს საზღვრების ცვლილებაც, ამ პროცესს გადის უკრაინაც. როგორ დასრულდება ყველაფერი, ამის განსაზღვრა ჯერ შეუძლებელია, მაგრამ, დიდი ალბათობით, უკრაინის საზღვრები შეიცვლება.



ირაკლი უბილავა:

# უკრაინაში მიმდინარე პროცესები ამერიკული თამაში იყო

მოამზადა ეკა ნასყიდაშვილმა

ცნობისათვის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**65 წლის ანესთეზიოლოგი სარგებლობდა იმით, რომ ოპერაციის მსვლელობისას პაციენტების სხეულის ზედა და ქვედა ნაწილები გადატიხრული იყო სქელი და მკვრივი მასალით. ვიდრე ქირურგები და მედდები ოპერაციას აკეთებდნენ, მათი ცინიკოსი კოლეგა, რომელიც ტიხრის მეორე მხარეს იმყოფებოდა, პაციენტს ორალურ სექსს აიძულებდა. პაციენტები ხვდებოდნენ, რაც ხდებოდა, მაგრამ ნარკოზის გამო ვერაფერს ახერხებდნენ.**



## ვაშინგტონის მერი თაღლითობაში დაადანაშაულეს

**პროკურატურამ ბრალდება წაუყენა ვინსენტ გრეის, რომელიც ადრე თავისი საარჩევნო კამპანიის არაკანონიერი გზით დაფინანსებაში იყო ეჭვმიტანილი.**

ვაშინტონის მერს ბრალდება ბიზნესმენ ჯეფრი ტომპსონის სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას წაუყენეს, რომელსაც ამერიკელი პოლიტიკოსების საარჩევნო კამპანიის უკანონო გზით დაფინანსების გამო 6-თვიანი პატიმრობა ემუქრება. გასულ კვირას ტომპსონმა აღიარა დანაშაული ბრალდების ორ ეპიზოდში.

ვინსენტ გრეი კი, თავის მხრივ, დანაშაულს უარყოფს და ამბობს, რომ არ იცოდა, დაფინანსების ნაწილს „სალაროს გვერდის ავლით“ თუ იყენებდნენ. თუმცა, როგორც გამოძიებამ დაადგინა, ჯეფრი ტომპსონმა ვინსენტ გრეის 425 ათასი დოლარი შემოვლითი გზებით გადაურიცხა.

აღსანიშნავია, რომ ტომპსონი 2 მილიონით დაეხმარა 9 ცნობილ პოლიტიკოსს, მათ შორის, ჰილარი კლინტონს (2008 წელს 608 750 დოლარი ჩაურიცხა).



## ბერლუსკონის ყოფილ მდივანს 24 კგ კოკაინი უპოვეს

**იტალიის პოლიციამ ქვეყნის ექსპრემიერის ყოფილი მდივანი ფედერიკა გალიარდი დააკავა. სამართალდამცველებმა 30 წლის ქალი რომის აეროპორტში, ვენესუელის დედაქალაქ კარაკასიდან ჩამოფრენისას დააკავეს, რადგან მის ბარგში 24 კგ კოკაინი იპოვეს. პოლიციელთა განცხადებით, კონტრაბანდული კოკაინის ღირებულება 13 მლნ დოლარია.**

„ქალი თეთრებში“ — ასე ეძახიან ფედერიკა გალიარდის აპენინის ნახევარკუნძულზე. ადრე უცნობმა სიმპათიურმა ქერა ქალმა იტალიური მედიის ყურადღება 2010 წელს მიიპყრო, როდესაც ის, თეთრ ბლუზასა და შარვალში გამოწყობილი, ტორონტოს აეროპორტში ბერლუსკონის თვითმფრინავიდან გამოსვლისას ფოტოზე აღბეჭდეს. იმხანად პრემიერის კანცელარიის წარმომადგენლებმა ჟურნალისტებს განუცხადეს, რომ ფედერიკა გალიარდი სინიორ ბერლუსკონის მდივნად მუშაობდა.



# ობამას რეიტინგი მინიმუმამდე დაეცა

**ბოლო სოციოლოგიური გამოკვლევის მიხედვით, აშშ-ის პრეზიდენტ ბარაკ ობამას რეიტინგი 41 პროცენტია. ეს ყველაზე დაბალი მაჩვენებელია ხელისუფლების სათავეში ობამას მოსვლის დღიდან.**

ჯერ კიდევ იანვარში ობამას აშშ-ის მოქალაქეთა 43% უჭერდა მხარს, მარტში კი მათი რაოდენობა 2%-ით შემცირდა. **აშშ-ის პრეზიდენტის მოღვაწეობით უკმაყოფილება გამოხატა მოსახლეობის 54 %-მა**. ობამას ყველაზე ცოტა მხარდამჭერი ქვეყნის სამხრეთ და დასავლეთ ნაწილში ჰყავს.

გამოკითხულთა 65 პროცენტი მიიჩნევს, რომ ქვეყანა არასწორ გზას ადგას.

ობამას რეიტინგის დაცემა დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლებს კარგს არაფერს უქადის 2014 წლის კონგრესის არჩევნებში. რესპონდენტთა მხოლოდ 34%-მა განაცხადა, რომ კმაყოფილია თავისი შტატის კონგრესმენის მუშაობით, 54% კი თანახმაა, ყველა კონგრესმენი შეცვალოს, თუკი ასეთი შესაძლებლობა ექნება.

**გამოკითხვაში, რომელიც 5-9 მარტს ჩაატარა Wall Street Jornal-მა NBS Mews-თან ერთად, 1000 კაცი მონაწილეობდა.**




# აშშ-ის ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოს კონგრესის კომპიუტერებში შეღწევაში ადანაშაულებენ





დაიენ ფაინსტაინი

**კონფლიქტი კომიტეტსა და სადაზვერვო სამმართველოს შორის 2009 წელს დაიწყო, როდესაც ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს თანამშრომლები ეჭვმიტანილთა დაკითხვისას წამების სასტიკ მეთოდებს იყენებდნენ, კერძოდ — დახრჩობის იმიტაციას**

**აშშ-ის სენატის დაზვერვის კომიტეტის თავმჯდომარემ დაიენ ფაინსტაინმა განაცხადა, რომ სპეცსამსახურების წარმომადგენლებმა კონგრესის ზედა პალატის დახურულ კომპიუტერულ ქსელში შეაღწიეს.**

ინციდენტი, რომელზეც სენატორი ლაპარაკობს, 2014 წლის იანვარში მოხდა — სპეცსამსახურის თანამშრომლები კონგრესის საზედამხედველო კომიტეტის დოკუმენტებში იქექებოდნენ. **კონფლიქტი კომიტეტსა და სადაზვერვო სამმართველოს შორის 2009 წელს დაიწყო, როდესაც ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს თანამშრომლები ეჭვმიტანილთა დაკითხვისას წამების სასტიკ მეთოდებს იყენებდნენ, კერძოდ — დახრჩობის იმიტაციას.**

ცენტრალური სამმართველოს ხელმძღვანელებმა სენატის მოხსენებაში მოყვანილი ფაქტები უარყვეს. გამოძიება მიმდინარეობდა ცსს-ს შტაბ-ბინაში, სადაც სენატის კომიტეტის თანამშრომლებს სპეციალური კაბინეტი გამოუყვეს და უფლება მისცეს, საიდუმლო დოკუმენტებს გაცნობოდნენ. თუმცა ცსს-ს ეჭვი გაუჩნდა, რომ კომიტეტმა ხელში ჩაიგდო სამსახურებრივი მონაცემები, რომელთა გასაჯაროებას არ აპირებდნენ. ფაინსტაინის აზრით, სწორედ ამან უბიძგა აგენტებს, სენატის თანამშრომელთა კომპიუტერებში შეღწევისკენ.

ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორმა ჯონ ბრენანმა უარყო ფაინსტაინის ბრალდება და განაცხადა, რომ მას საერთო არაფერი აქვს რეალობასთან. „თუკი რამე ისე არ გავაკეთე, მივმართავ პრეზიდენტს, მხოლოდ მას შეუძლია, მომთხოვოს გადადგომა ან პოსტზე დარჩენა“, — მოჰყავს ბრენანის ფრაზა გაზეთ The Washington Post-ი.

**2013 წელი ამერიკული სპეცსამსახურებისთვის საბედისწერო აღმოჩნდა. ინფორმაციის გაჟონვასთან დაკავშირებული სკანდალების აპოთეოზი იყო ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ყოფილი თანამშრომლის, ედვარდ სნოუდენის, მიერ გამოქვეყნებული დოკუმენტები. სნოუდენმა მსოფლიოს ამცნო, რომ აშშ ტოტალურად უსმენდა მსოფლიოს ყველა ქვეყნის წარმომადგენლებს, როგორც რიგით ადამიანებს, ისე სახელმწიფო ლიდერებს.**

# ანესთეზიოლოგმა 21 პაციენტი გააუპატიურა

**კანადის პროვინცია ონტარიოში სასჯელი შეუფარდეს ექიმს, რომელიც პროფესიას ქალების გასაუპატიურებლად იყენებდა. გარყვნილმა ექიმმა გააუპატიურა 21 პაციენტი, რომლებსაც ოპერაციის წინ ნარკოზით აძინებდა. უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით, ანესთეზიოლოგ ჯორჯ დუდნოტს 10 წლით აღუკვეთეს თავისუფლება.**

ჯორჯ დუდნოტი 26 წლის განმავლობაში მუშაობდა ანესთეზიოლოგად ტორინტოს ჰოსპიტალ North York Ceneral Hospital-ში. გასული წლის ნოემბერში ის დამნაშავედ ცნეს ბრალდების 21 ეპიზოდში — 25-დან 75 წლამდე 21 პაციენტის გაუპატიურებაში.

65 წლის ანესთეზიოლოგი სარგებლობდა იმით, რომ ოპერაციის მსვლელობისას პაციენტების სხეულის ზედა და ქვედა ნაწილები გადატიხრული იყო სქელი და მკვრივი მასალით. ვიდრე ქირურგები და მედდები ოპერაციას აკეთებდნენ, მათი ცინიკოსი კოლეგა, რომელიც ტიხრის მეორე მხარეს იმყოფებოდა, პაციენტს ორალურ სექსს აიძულებდა. პაციენტები ხვდებოდნენ, რაც ხდებოდა, მაგრამ ნარკოზის გამო ვერაფერს ახერხებდნენ.

გამოძიების პროცესში გაირკვა, რომ ვიდრე მოძალადე ექიმზე სისხლის სამართლის საქმე აღიძრებოდა, საავადმყოფოს ხელმძღვანელობას სამმა პაციენტმა მიმართა საჩივრით, მაგრამ ანესთეზიოლოგიის განყოფილებამ ამ საჩივრებს მსვლელობა არ მისცა და თანამშრომლის მიერ ჩადენილ დანაშაულზე თვალი დახუჭა.



ცნობისათვის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ცოტა ხნის წინათ დაიწყო სასამართლო პროცესი 38 წლის სერჟანტის — რობერტ ბეილსის წინააღმდეგ, რომელიც ავღანეთში მსახურობდა. 2013 წლის მარტში ბეილსმა 16 მშვიდობიანი ადამიანი დახვრიტა, მათ შორის 9 ბავშვი.**

# აშშ-ის არმია — ძალადობა და გახრწნილება

**ვიდრე აშშ მსოფლიოში „თანასწორობისა და დემოკრატიისთვის“ იბრძვის, მისი არმია მორალურად იხრწნება. ჯარისკაცები, რომლებიც სახელმწიფოს გარეთ მსახურობენ, სჩადიან მძიმე დანაშაულებს: აუპატიურებენ, კლავენ, ძარცვავენ, თუმცა მათ უმრავლესობას ბევრ რამეს მიუტევებენ. რით არიან დაკავებულნი ამერიკელი ჯარისკაცები უცხოეთში?**

## ვიდრე აშშ «თანასწორობისა და დემოკრატიის» იდეებისთვის იბრძვის, სახელმწიფოს საფუძველი — არმია — გიგანტური ტემპით იხრწნება



ამერიკის შეერთებულ შტატებს უამრავი ბაზა აქვს უცხოეთში და რაოდენობა იმ სამხედრო მოსამსახურეებისა, რომლებიც იქ მსახურობენ, ძალიან დიდია. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით დროდადრო ჟონავს ინფორმაცია ამერიკელი სამხედრო მოსამსახურეების საძრახისი საქციელის შესახებ. ლოთობა, ჩხუბი და აყალმაყალი, დარბევა და გაუპატიურება — აი, მათ მიერ ჩადენილი დანაშაულების არასრული ჩამონათვალი. **2012 წლის აპრილში გაზეთ Los Angeles Times-ში დაიბეჭდა ფოტოები, რომლებზეც ასახული იყო, როგორ პოზირებდნენ აშშ-ის ჯარისკაცები მოკლული ტერორისტების სხეულის ნაწილებთან**. სულ გამოქვეყნდა 18 ფოტო, რომლებიც გაზეთს 82-ე საჰაეროსადესანტო დივიზიის ოფიცერმა მიაწოდა. გაზეთი იუწყებოდა, რომ 2 წლის წინათ ამ ქვედანაყოფის ჯარისკაცები ტერორისტების ვინაობის გასარკვევად ტერაქტის ადგილას გაგზავნეს, სადაც გადაიღეს ეს სკანდალური ფოტოები.

**მსოფლიოს ბევრმა გამოცემამ აღნიშნა, რომ ეს შოკისმომგვრელი ფოტოები AაშშIs-ის არმიის კულტურისა და ზნეობის დონეზე მიუთითებს.**

**ერთი წლის წინათ ინტერნეტში ატვირთეს ვიდეო, რომელშიც ასახულია როგორ შეურაცხყოფენ ამერიკელი ჯარისკაცები ავღანეთში მოკლული თალიბების ცხედრებს.**

**ამა წლის თებერვალში კი ცნობილი გახდა, რომ ავღანეთის ტერიტორიაზე განლაგებულ ავიაბაზა ბაგრამში მოაწყვეს „შოუ“, რომლის დროსაც 100-მდე რელიგიური შინაარსის წიგნი დაწვეს, მათ შორის ყურანიც**.

2012 წლის მაისში აგორდა სკანდალი გენერალ სინკლერის შესახებ, რომელიც ავღანეთში მსახურობდა. **გენერალ სინკლერს მრავალი ბრალდება წაუყენეს, მათ შორის იყო სექსუალური ძალადობა ხელქვეით ქალებზე, სოდომია, ცინიზმი.** გენერალი დაადანაშაულეს პორნოგრაფიის და ალკოჰოლური სასმელების შენახვაში, აგრეთვე, ზემდგომის ბრძანებების შეუსრულებლობაში. ყველაზე მსუბუქი ბრალდება კი ხელქვეითებისადმი სასტიკი მოპყრობა იყო. **აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს ექსპერტები აღნიშნავენ, რომ დანაშაულებმა, რომლებიც სამხედრო მოსამსახურის 27-წლიანი სტაჟის მქონე გენერალმა ჩაიდინა, აშშ-ის არმიის სულისკვეთება ძლიერ შეარყია.**

სააგენტო „ალ-ჯაზირა“ აღნიშნავს, რომ სინკლერის შემთხვევა ერთადერთი არ არის. **2011 წელს სხვადასხვა ქვეყანაში ამერიკელთა ძალადობის შედეგად 3,2 ათასი ქალი დაზარალდა. პენტაგონი იძულებული შეიქნა, ეღიარებინა, რომ ეს მხოლოდ მცირე ნაწილია — დაზარალებულთა უმრავლესობა ანგარიშსწორების შიშის გამო უფრთხის საჩელის შეტანას.** ერთ-ერთი მედდა აღნიშნავს, რომ მოწინააღმდეგის თავდასხმაზე მეტად საკუთარი თანამებრძოლების მხრიდან ძალადობის ეშინოდა.

**ცოტა ხნის წინათ დაიწყო სასამართლო პროცესი 38 წლის სერჟანტის — რობერტ ბეილსის წინააღმდეგ, რომელიც ავღანეთში მსახურობდა. 2013 წლის მარტში ბეილსმა 16 მშვიდობიანი ადამიანი დახვრიტა, მათ შორის 9 ბავშვი.** ბრალდება ბეილსის სიკვდილით დასჯას მოითხოვს, თუმცა ჯერჯერობით უცნობია, დაეთანხმება თუარა მას სასამართლო — ბოლო 50 წლის განმავლობაში სიკვდილის განაჩენი არც ერთი ამერიკელი ჯარისკაცისთვის არ გამოუტანიათ.

**გასული წლის ოქტომბერში კუნძულ ოკინავაზე (იაპონია) განლაგებული ამერიკული ბაზის ორმა სამხედრო მოსამსახურემ ადგილობრივი გოგონა გააუპატიურა, მანამდე კი, როგორც International Herald Tribune წერს, ერთმა ამერიკელმა ოფიცერმა ორ ქალზე იძალადა. აღსანიშნავია, რომ სამხედრო მოსამსახურეებმა დანაშაულების უმრავლესობა ალკოჰოლური ან ნარკოტიკული თრობის დროს ჩაიდინეს**.

რაც უფრო მეტია ასეთი შემთხვევა, მით უფრო ცდილობს პენტაგონი მათ მიჩქმალვას. და **ვიდრე აშშ „თანასწორობისა და დემოკრატიის“ იდეებისთვის იბრძვის, სახელმწიფოს საფუძველი — არმია — გიგანტური ტემპით იხრწნება.**





## ამერიკელების მიერ განხორციელებული ინტერვენციები XX საუკუნის დასაწყისიდან:

1901 წ. — ჯარები შეიყვანა კოლუმბიაში;
1902 — შეიჭრა პანამაში;
1903 — ჯარები შეიყვანა ჰონდურასში, დომინიკის რესპუბლიკასა და სირიაში;
1904 — ჯარები შეიყვანა კორეასა და მაროკოში;
1904-1905 — ამერიკელი სამხედროები ჩაერივნენ რუსეთ-იაპონიის ომში;
1905 — ამერიკელი სამხედროები ჩაერივნენ ჰონდურასის რევოლუციაში;
1906 — შეიჭრნენ ფილიპინებზე და ჩაახშეს განმათავისუფლებელი მოძრაობა;
1907 — ამერიკელი სამხედროები ჩაერივნენ დომინიკის რესპუბლიკის რევოლუციაში;
1910 — ამერიკული ქვედანაყოფები შეიჭრნენ ნიკარაგუის პორტებში ბლუფილდზსა და კორინთოში;
1911 — ამერიკელებმა ჯარი შეიყვანეს ჩინეთში;
1912 — შეიჭრნენ ჰონდურასში;
1912-1933 — ამერიკელებმა მოახდინეს ნიკარაგუის ოკუპაცია;
1914 — შეიჭრნენ დომინიკის რესპუბლიკაში;
1914-1918 — რამდენჯერმე შეიჭრნენ მექსიკაში;
1914-1934 — ჰაიტიზე ამერიკელებმა ჯარები შეყვანეს. ოკუპაცია 19 წელს გაგრძელდა;
1916-1924 — დომინიკის რესპუბლიკის 2-წლიანი ოკუპაცია;
1917-1933 — კუბის სამხედრო ოკუპაცია, ეკონომიკური პროტექტორატი;
1917-1918 — მონაწილეობა I მსოფლიო ომში. აშშ თავდაპირველად „ნეიტრალიტეტს იცავდა“. ანუ, ჰყიდდა იარაღს ასტრონომიულ ფასად და მდიდრდებოდა, ომში კი 1917 წელს ჩაერთო, დაკარგა 40 ათასი კაცი (რუსებმა — 200 ათასი), თუმცა ომში თავი მთავარ გამარჯვებულად გამოაცხადა;
1917 — ამერიკელები აფინანსებდნენ რუსეთის სოციალისტურ რევოლუციას;
1918-1922 — ინტერვენცია რუსეთში;
1919 — კოსტა-რიკა. ამერიკელები ქვეყანაში „აშშ-ის ინტერესების დასაცავად“ შეიჭრნენ;
1920 — გვატემალა. 2-კვირიანი ინტერვენცია;
1922 — ინტერვენცია თურქეთში;
1932 — შეჭრა სალვადორში;
1936 — ესპანეთი. ჯარები შეიყვანა სამოქალაქო ომის დროს;
1937 — ნიკარაგუა. აშშ-ის ჩარევით, ქვეყნის ხელისუფლების სათავეში მოვიდა სამოსა, რომელმაც 40-წლიანი დიქტატურა დაამყარა;
1939 — ჯარები შეიყვანა ჩინეთში;
1945 — ატომური ბომბები ჩამოაგდო ჰიროსიმასა და ნაგასაკიში (იაპონია);
1950-1953 — ომი კორეაში. საომარ მოქმედებებში მონაწილეობდა 350 ათასი კაცი, 1000 ტანკი და 300 ხომალდი;
1961 წლის აპრილი — კუბაზე შეჭრისა და ფიდელ კასტროს ხელისუფლების დამხობის მცდელობა;
1964-1973 — სამხედრო ოპერაციები ლაოსში;
1965-1973 — ომი ვიეტნამში;
1983-1985 — სამხედრო ოპერაცია გრენადაზე ამ ქვეყნის ხელისუფლების დამხობის მიზნით;
1986 — სამხედრო ოპერაციები ლიბიაში. დაბომბა ტრიპოლისა და ბენგაზის საცხოვრებელი კვარტლები;
1989 — სამხედრო ოპერაცია პანამაში;
1991 —ქუვეითი. სამხედრო ოპერაცია “ქარიშხალი უდაბნოში“;
1991-1995 და 1998-1999 — სამხედრო ოპერაციები იუგოსლავიაში;
1993 წლის 17 იანვარი — რაკეტები დაუშინეს ბაღდადიდან (ერაყი) 20 კმ-ით დაშორებულ ობიექტს;
1998 წლის 20 აგვისტო — დაარტყეს ავღანეთსა და სუდანს;
1999 წლის 24 მარტი — სერბეთი. ოპერაცია „მოკავშირეების ძალა“. ეს ისტორიული მოვლენა საინტერესოა იმით, როგორ მოქმედებდნენ აშშ და მისი მოკავშირეები იმ ვითარებაში, როდესაც ერთი დამოუკიდებელი ქვეყანა შეეცადა თვითგამოცხადებული რესპუბლიკის გონზე მოყვანას.
2001 წლის 7 ოქტომბერი — ავღანეთი. აშშ-მა დაიწყო სამხედრო ოპერაცია თითქოსდა 2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტული აქტის საპასუხოდ.
2003 წლის 20 მარტი — ომი ერაყში;
2011 წლის 19 მარტი. ომი ლიბიაში;
2011 — შეჭრა ეგვიპტესა და ტუნისში — „არაბული გაზაფხული“.
ახლა დღის წესრიგში უკრაინაა.

ისტორია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ერთმა ბანდიტმა მოზარდს დანა ყელში მიაბჯინა მოსაკლავად, მაგრამ ბოლო წამს მის გონებაში ახალი იდეა გაჩნდა: „იცოცხლე სტეპან ბანდერას სადიდებლად! ჩვენ შენ პროდუქტებს დაგიტოვებთ. აბა, ბიჭებო, დაკალით ღორები!..“ და ამ საშინელებისგან გაშეშებული გოგონას თვალწინ სისხლისგან დაცლილი დედისა და მამის ხორცის გორა დადგა“.**

**უკრაინის ნაციონა-ლისტური ორგანიზაციის წევრები სტეპან ბანდერას ТРИ Ж-ს ეძახდნენ: ЖАДНЫЙ, ЖАЛКИЙ, ЖЕСТОКИЙ (ხარბი, საწყალი, სასტიკი)**

# სამი ასო, ანუ ვინ იყო სინამდვილეში სტეპან ბანდერა?



**„დიდება უკრაინას! დიდება გმირებს! ბანდერას გამოსახულებიან მაისურებს ხომ არ შეიძენთ? 50 გრივნა (დაახლოებით 5 დოლარი — რედ.) ძვირი არ არის უკრაინის ყველაზე ძვირფასი ადამიანისთვის!“ — მიმდინარეობს ვაჭრობა კიევის მაიდანზე. „ჯალათი ლენინის“ ძეგლების ჩამოგდების შემდეგ, უკრაინელები (ძირითადად, დასავლეთ ოლქებიდან ჩამოსულები) ქება-დიდებას არ იშურებენ „მართალი ბელადის“ — სტეპან ბანდერას მიმართ.**
**ვინ იყო სინამდვილეში სტეპან ბანდერა?**
**ამის გარკვევას გაზეთი „არგუმენტი ი ფაქტი“ კიეველი ისტორიკოსის — დენის ბესტუჟენკოსა და დასავლეთ უკრაინაში სტეპან ბანდერას სახლ-მუზეუმის თანამშრომლების დახმარებით შეეცადა.**

## ქრისტე შარვალში

სტეპან ბანდერას მშობლების — უნიატი (ბერძნული კათოლიკური ეკლესია — რედ.) მღვდლის — ანდრეი ბანდერასა და მისი მეუღლის — მიროსლავა გლოძინსკაიას სახლში მუდამ ტრიალებდა „უკრაინოფილური სული“.

**პატარა სტეპანის ოთახის კედლებზე ეკიდა გეტმანების (მხედართმთავრისა და სახელმწიფოს პირველი პირის წოდება უკრაინაში 1648-1764 წლებში და 1918 წელს — რედ.) — დოროშენკოსა და მაზეპას — პორტრეტები, მათ შუაში კი — ყვითელ-ცისფერკანტიან კაზაკურ შარვალში გამოწყობილი იესო ქრისტეს სურათი.**

**გასაკვირი არ არის, რომ სტეპან ბანდერა ნაციონალისტი უფრო ადრე გახდა, ვიდრე მამაკაცი.**

**უკრაინის ნაციონალისტური ორგანიზაციის წევრები სტეპან ბანდერას იმ დ-ს ეძახდნენ: ЖАДНЫЙ, ЖАЛКИЙ, ЖЕСТОКИЙ (ხარბი, საწყალი, სასტიკი).**

1934 წელს სტეპან ბანდერა პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრის — ბრონისლავ პერაცკის მკვლელობის გამო დააპატიმრეს. 1941 წელს კი მან უკრაინის ნაციონალური ორგანიზაციის „ალტერნატიულ ლიდერ“ მელნიკთან ერთად ფაშისტური გერმანიისგან 2,5 მილიონი მარკა მიიღო და ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომამდე ჩამოყალიბებული პრინციპების (პოლონელების, ებრაელებისა და რუსების განადგურება, საკონცენტრაციო ბანაკების შექმნა „არალოიალური ელემენტებისთვის“) ცხოვრებაში განხორციელება დაიწყო.

**1941 წლის ზაფხულში დასავლეთ უკრაინას ბანდერას მიერ მოწყობილმა მკვლელობებისა და დარბევის ტალღამ გადაუარა.**

„დიდება ჰიტლერს! დიდება ბანდერას!“ — ასეთი წარწერები ამშვენებდა ჟოლკოვსკის ციხესიმაგრის კარიბჭეს გლინსკში. 1941 წლის ზაფხული




**აპოგეა კი იყო 1943 წელს, როდესაც უკრაინელმა ნაცისტებმა 150 სოფელში 35 ათასი პოლონელი დახოცეს.** უკრაინის ნაციონალისტური ორგანიზაციის არმიის ჯარისკაცებმა, არმიის შექმნის ერთი წლისთავის აღსანიშნავად, თავიანთ „გენერალს“, სტეპან ბანდერას უახლოეს თანამებრძოლ რომან შუხევიჩს 5 პოლონელის მოკვეთილი თავი მიართვეს. ასე უსწორდებოდნენ უკრაინელებსაც. ამაზე წერს მწერალი იაროსლავ გალანიი: **„14 წლის გოგონა ხორცს მშვიდად ვერ უყურებს. რამდენიმე თვის წინათ ქალაქ სარნის მახლობლად გლეხის ქოხში შეიარაღებული პირები შეიჭრნენ და ოჯახის ყველა წევრი დანებით აკუწეს, გოგონას გარდა, რომელიც გაფართოებული თვალებით უყურებდა მშობლების აგონიას. ერთმა ბანდიტმა მოზარდს დანა ყელში მიაბჯინა მოსაკლავად, მაგრამ ბოლო წამს მის გონებაში ახალი იდეა გაჩნდა: „იცოცხლე სტეპან ბანდერას სადიდებლად! ჩვენ შენ პროდუქტებს დაგიტოვებთ. აბა, ბიჭებო, დაკალით ღორები!..“ და ამ საშინელებისგან გაშეშებული გოგონას თვალწინ სისხლისგან დაცლილი დედისა და მამის ხორცის გორა დადგა“.**

გაიხსენეთ ბაბიი იარი, სადაც 1500 ჯალათს შორის მხოლოდ 300 იყო გერმანელი. გაიხსენეთ მკვლელობები და გაუპატიურებები. „უკრაინის ნაციონალური ორგანიზაციისა და არმიის წევრებს წამების 136 მეთოდი ჰქონდათ შემუშავებული. მათ შორის, თავის ქალაში დიდი ლურსმნის ჩაჭედება; თავის ნელ-ნელა გაჭყლეტა გირაგში; ფეხმძიმე ქალისთვის მუცლის გაჭრა და იქ, ამოღებული ნაყოფის ნაცვლად, ცოცხალი კატის ჩასმა, შემდეგ კი მუცლის გაკერვა...“

**«უკრაინის ნაციონალური ორგანიზაციისა და არმიის წევრებს წამების 136 მეთოდი ჰქონდათ შემუშავებული, მათ შორის, თავის ქალაში დიდი ლურსმნის ჩაჭედება; თავის ნელ-ნელა გაჭყლეტა გირაგში; ფეხმძიმე ქალისთვის მუცლის გაჭრა და იქ, ამოღებული ნაყოფის ნაცვლად, ცოცხალი კატის ჩასმა, შემდეგ კი მუცლის გაკერვა...»**

## ოღონდ გადაიხადონ

**„პროდასავლური“ ისტორიკოსები ამტკიცებენ, რომ 1943 წელს ბანდერა „ფაშისტურ საწამებლებში“ იტანჯებოდა, თუმცა როგორ „იტანჯებოდა“ — ეს ცალკე თემაა. აბვერის — ფაშისტური გერმანიის დაზვერვის — პოლკოვნიკ ერვინ შტოლცეს თქმით, ბანდერა დროის დიდ ნაწილს ატარებდა ბერლინში, სადაც მას საშინაო პატიმრობა ჰქონდა მისჯილი.**

ბანდერა და მისი 300 თანამზრახველი 1944 წელს გაათავისუფლეს. „სტეპანს დაავალეს, ყველა უკრაინელი ნაციონალი შეეკრიბა ბერლინთან ახლოს და დაეცვა გერმანიის დედაქალაქი წითელი არმიისგან. ბანდერამ რაზმები კი შექმნა, მაგრამ თვითონ... გაიქცა (დოკუმენტების კრებული — „მიწა ბრალს სდებს“)! ანუ უღალატა „თავისიანებსაც და სხვისიანებსაც“.

**რამდენიმე წლის წინათ ამერიკულ პრესაში გამოქვეყნდა შოკისმომგვრელი დოკუმენტები, როგორ ამზადებდა ფაშისტური გერმანიის სპეცსამსახურის დავალებით, „უკრაინის №1 გმირი“ აშშ-ის პრეზიდენტის — ფრანკლინ რუზველტის მკვლელობას, ანუ, ოღონდ კარგად გადაეხადათ და, მზად იყო, მოეკლა ყველა — პოლონელები, რუსები, ებრაელები და, როგორც გაირკვა, აშშ-ის პრეზიდენტიც.**

* * *

**ცნობისთვის:** სტეპან ბანდერა დაიბადა 1909 წლის 1 იანვარს სტარი უგრინოვში (გალიციისა და ლოდომერიის სამეფო, ავსტრია-უნგრეთი) გარდაიცვალა 1959 წლის 15 ოქტომბერს მიუნხენში (გფრ). უკრაინული ნაციონალიზმის იდეოლოგი, რომლის ფსევდონიმებიც იყო: „ლის“ „სტეპანკო“, „მალიი“, „სერიი“, „რიხ“; „მატვეი გორდონი“, კაგე-ბეს აგენტმა ბოგდან სტაშინსკიმ მოკლა.



უკრაინელი ნაციონალისტების მსვლელობა კიევის ცენტრალურ პროსპექტ კრეშჩატიკზე სტეპან ბანდერას დაბადების დღის აღსანიშნავად



სტეპან ბანდერას ოჯახი. მარცხნიდან. სხედან: ანდრეი ბანდერა, დარია პიშჩინსკაია, როზალია ბანდერა (ბებია მამის მხრიდან). დგანან: მარტა-მარია, ვლადიმირა, ბოგდანი, სტეპანი და ოქსანა. 1933 წ.

**1945 წლის 4-11 თებერვალს სწორედ ყირიმში, იალტის კონფერენციაზე, სსრკ-ის, აშშ-ის და დიდი ბრიტანეთის ლიდერების — იოსებ სტალინის, ფრანკლინ რუზველტისა და უინსტონ ჩერჩილის მიერ განისაზღვრა ომისშემდგომი მსოფლიოს მომავალი.**



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# როგორ აჩუქა ნიკიტა ხრუშჩოვმა ყირიმი უკრაინას



**კიევის ცენტრალურ მოედანზე განვითარებული ტრაგიკული მოვლენების შემდეგ, რომელსაც 100-ზე მეტი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა, უკრაინას ახალი, ნაციონალისტური სულისკვეთებით გაჟღენთილი და მეორე მსოფლიო ომში გერმანელი ფაშისტების დამხმარე, უამრავი სისასტიკის ჩამდენი სტეპან ბანდერას იდეოლოგიის მიმდევარი ხელისუფლება ჰყავს.**
**ახალმა ხელისუფლებამ, რომლის ლეგიტიმურობაც ძალიან საეჭვოა, ბევრი ისეთი გადაწყვეტილება და კანონი მიიღო, რომლებმაც უკრაინაში მცხოვრები რუსულენოვანი მოსახლეობის გაღიზიანება და პროტესტი გამოიწვია. შედეგად, არეულობები დაიწყო უკრაინის სამხრეთ აღმოსავლეთ ნაწილში (დონეცკში, ხარკოვში) და ყირიმის ნახევარკუნძულზე. უკრაინის შემადგენლობაში შემავალმა ყირიმის ავტონომიურმა რესპუბლიკამ კი 16 მარტს რეფერენდუმი ჩაატარა უკრაინიდან გამოყოფისა და რუსეთთან მიერთების თაობაზე, რომელსაც რეფერენდუმში მონაწილეთა 96 პროცენტმა დაუჭირა მხარი.**
**დღეს, როდესაც ვითარება უკრაინისა და რუსეთის საზღვრებზე ძალიან დაძაბულია, დიდია სამხედრო დაპირისპირების საფრთხე, საინტერესოა, გავიხსენოთ ყირიმის ისტორია უძველესი დროიდან დღემდე.**

სხვადასხვა დროს ყირიმი იყო რუსეთის იმპერიის გუბერნია, ავტონომიური სოციალისტური რესპუბლიკა რსფსრ-ს (რუსეთის სოციალისტურ-ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკა) შემადგენლობაში, ოლქი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ავტონომიური რესპუბლიკა უკრაინის შემადგენლობაში. ასე რომ, ყირიმი ხშირად იცვლიდა სტატუსს და სახელწოდებას, მაგრამ ყოველთვის რუსულ მიწად რჩებოდა.

ყირიმი უძველესი დროიდან თამაშობდა უმნიშვნელოვანეს როლს რუსეთის ისტორიასა და კულტურაში. **სწორედ ყირიმში, ხერსონესში, მიიღო თავადმა ვლადიმირმა ქრისტიანობა 988 წელს და მართლმადიდებლობა რუსეთის სახელმწიფოს რელიგიად აქცია — ყირიმი რუსული მართლმადიდებლობის აკვანია.** ყირიმის სამხრეთ სანაპიროებზე პირველი რუსული დასახლებები XII-XIII საუკუნეებში გაჩნდა, X და XI საუკუნეებში კი ასეთი დასახლება საკმაოდ ბევრი იყო. ეს ისტორიული ფაქტები იმაზე მიუთითებს, რომ ყირიმი ოდითგანვე რუსეთის სოციალურ-კულტურული სივრცის, რუსული ცივილიზაციის ნაწილი იყო.

**XIII საუკუნეში** ყირიმი მონღოლთა „ოქროს ურდოს" ნაწილი გახდა და დაიწყო ყირიმის სახანოს ჩამოყალიბება. **XV საუკუნეში** კი ნახევარკუნძულს თურქები დაეპატრონნენ, თუმცა რუსეთი არასოდეს ივიწყებდა ამ ნახევარკუნძულის მნიშვნელობას და ცდილობდა მის გათავისუფლებას.

**XVIII საუკუნეში** ყირიმისთვის ბრძოლა ახალი ძალით გაჩაღდა, გამოჩენილი მხედართმთავრების — ალექსანდრე სუვოროვისა და მიხეილ კუტუზოვის — ხელმძღვანელობით რუსებმა თურქები სასტიკად დაამარცხეს, ხოლო ჩესმენსკის ბრძოლაში თურქეთის ფლოტი სრულიად გაანადგურეს.

**ყირიმი რუსეთს 1783 წელს შეუერთდა, ერთი წლის შემდეგ კი დაიწყო მშენებლობა ციხესიმაგრისა, რომელსაც ეკატერინე II-მ სევასტოპოლი უწოდა.**

ყირიმის მიერთებით დასრულდა რუსეთის, როგორც იმპერიის, ჩამოყალიბება. რუსეთისთვის ყირიმი უმნიშვნელოვანესი ფორპოსტი გახდა შავ ზღვაზე. ეს ნახევარკუნძული რუსეთის ფლოტის ბაზად იქცა. შავი ზღვა კი XIX საუკუნეში უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული ადგილი იყო მსოფლიო ოკეანეში. აქ თავისი ინტერესები ჰქონდა ავსტრო-უნგრეთის სამეფოს, საფრანგეთსა და იმჟამინდელ ზესახელმწიფოს — დიდ ბრიტანეთს. **1853-1856 წლების ყირიმული სამხედრო კამპანია ერთ-ერთი იყო დიდი სახელმწიფოების მრავალრიცხოვანი დაპირისპირებიდან, რომლებიც მიმართული გახლდათ რეგიონში გავლენის მოსაპოვებლად.**

**მეორე მსოფლიო ომში ყირიმი ფაშიზმთან ბრძოლის ბასტიონად იქცა.** სევასტოპოლის გმირული დაცვა, რომელიც 349 დღეს გრძელდებოდა, ყირიმის ფრონტის ტრაგედია, საპუნ-გორის შტურმი რუსეთის ისტორიის ნაწილია. **1945 წლის 4-11 თებერვალს სწორედ ყირიმში, იალტის კონფერენციაზე, სსრკ-ის, აშშ-ის და დიდი ბრიტანეთის ლიდერების — იოსებ სტალინის, ფრანკლინ რუზველტისა და უინსტონ ჩერჩილის მიერ განისაზღვრა ომისშემდგომი მსოფლიოს მომავალი.** ექსპერტები ისტორიულ კაზუსად მიიჩნევენ 1954 წელს ყირიმის გადაცემას უკრაინისთვის. ეს მოხდა ნიკიტა ხრუშჩოვის გადაწყვეტილებით, რუსეთისა და უკრაინის გაერთიანების 300 წლისთავის აღსანიშნავად. **მიუხედავად იმისა, რომ უკრაინის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვებიდან 23 წელი გავიდა, ადგილობრივი მოსახლეობის უმრავლესობა ყირიმს მაინც რუსულ მიწად მიიჩნევს.**




## საინტერესო ფაქტები ყირიმის ნახევარკუნძულის შესახებ

● **ყირიმის ნახევარკუნძული:** ფართობი — 27 ათასი კვ.კმ. დასავლეთიდან, აღმოსავლეთიდან და სამხრეთიდან გარს აკრავს შავი და აზოვის ზღვები. მატერიკთან დაკავშირებულია პერეკოპის ყელით. ყირიმის აღმოსავლეთ კიდეზე, შავ და აზოვის ზღვებს შორის მდებარეობს ქერჩის ნახევარკუნძული. ნახევარკუნძულის ჩრდილოეთი ნაწილი ველებია, სამხრეთი ნაწილი — მთიანი. კლიმატი ჩრდილოეთ ნაწილში ზომიერად მშრალია, სამხრეთში — ხმელთაშუაზღვისპირეთის მსგავსი. საშუალო ტემპერატურა: ზამთარში — 1-40C.

● ანტიკური ხანიდან მოღწეული ცნობების თანახმად, ყირიმის პირველი მცხოვრებნი იყვნენ კიმერიელები (XII საუკ. ჩვ.წ.აღ-მდე) — ინდოევროპელი ტომები, რომლებიც სახლობდნენ კავკასიის ჩრდილოეთით. მათ ჩვ.წ.აღ-მდე პირველ ათასწლეულში კოლხეთის დაპყრობაც მოახერხეს.

ყირიმის ნახევარკუნძულიდან კიმერიელები სკვითებმა გააძევეს.

● **ჩვ.წ.აღ-მდე VIII-IV საუკუნეებში ბერძენმა კოლონისტებმა დააარსეს ქალაქები პანტიკაპეა, ფეოდოსია და ხერსონესი.**

● ჩვ.წ.აღ-მდე I საუკუნეში ყირიმი დაიპყრეს რომაელებმა.

● **III-IX საუკუნეში ყირიმის ნახევარკუნძულზე შეიჭრნენ მომთაბარე ტომები; IX-V საუკუნეებში კი ბიზანტიის ექსპანსიის ობიექტი გახდა.**

● X საუკუნეში ყირიმის აღმოსავლეთი ნაწილი ტმუტარაკანის სამთავროს (ძველი რუსეთის სათავადო) შემადგენლობაში მოექცა.

● **XIII საუკუნეში ყირიმში თათარ-მონგოლები შეიჭრნენ და იქ ოქროს ურდოს ყირიმის ულუსი შექმნეს.**

● ოქროს ურდოს დაშლის შემდეგ, 1443 წელს, წარმოიქმნა ყირიმის სახანო.

● **1768-74 წლების რუსეთ-თურქეთის ომმა ბოლო მოუღო თურქეთის ბატონობას ყირიმის ნახევარკუნძულზე; 1774 წელს ოსმალებმა უარი თქვეს ყირიმზე.**

● 1783 წელს ყირიმი რუსეთს შეუერთდა.

● **1784 წელს ყირიმი შევიდა ტავრიდის ოლქში (1787 წლიდან გუბერნია), რომლის ცენტრი იყო ქალაქი სიმფეროპოლი.**

● 1917 წელს შეიქმნა ყირიმის სახალხო რესპუბლიკა, რომელმაც არსებობა შეწყვიტა 1918 წლის იანვარში საბჭოთა წყობილების დამყარების შემდეგ.

● **1920 წელს ყირიმი შევიდა რსფსრ-ს შემადგენლობაში.**

● მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანელი ფაშისტების მიერ დაპყრობილი ყირიმი 1944 წლის მაისში გაათავისუფლა საბჭოთა არმიამ.

● **1954 წლის 19 თებერვალს სსრკ-ის კომუნისტური პარტიის ცკ-ის იმჟამინდელი გენერალური მდივნის — ნიკიტა ხრუშჩოვის გადაწყვეტილებით, ყირიმი რსფსრ-ს შემადგენლობიდან გამოიყვანეს და გადასცეს უკრაინის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას.**

● **ყირიმის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობა 2013 წლის 1 მარტს შეადგენდა 1,9 მილიონ ადამიანს (ქ. სევასტოპოლის გარეშე). ყირიმის უდიდესი ქალაქია სევასტოპოლი — 390 ათასი მცხოვრები. ყირიმში ცხოვრობენ: რუსები, უკრაინელები, ყირიმელი თათრები, პოლონელები, ბულგარელები, გერმანელები, ებრაელები, ბოშები, სომხები, ბერძნები, ბელარუსები და მოლდოვები.**

● დიდმა რუსმა მწერალმა ლევ ტოლსტოიმ, რომელიც ყირიმს ხშირად სტუმრობდა, ყირიმს მიუძღვნა ნაწარმოები „სევასტოპოლის მოთხრობები".

● **ანტონ ჩეხოვმა, რომელიც ყირიმში დასახლდა, იალტაში დაწერა თავისი ყველაზე ცნობილი ნაწარმოები „ქალი ძაღლით".**

● მსოფლიოში ყველაზე გრძელი, 95 კმ-ს სიგრძის სატროლეიბუსო გზა ერთმანეთთან აკავშირებს იალტასა და სიმფეროპოლს.

**ყირიმში, ხერსონესში, მიიღო თავადმა ვლადიმირმა ქრისტიანობა 988 წელს და მართლმადიდებლობა რუსეთის სახელმწიფო რელიგიად აქცია — ყირიმი რუსული მართლმადიდებლობის აკვანია!**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ძმები კლიჩკოები თავიანთი შემოსვლით 50 პროცენტს ქურდული სამყაროს წარმომადგენელ ვიქტორ რიბალკოს ურიცხავდნენ, თუმცა 2002 წელს გადარიცხვები შეწყვიტეს და დაედოთ თავიანთი მფარველის ვალი — 40 მილიონი დოლარი. კრიმინალური ავტორიტეტი შეეცადა ვალის დაბრუნებას, მაგრამ ამაოდ. 2005 წელს კი ვიქტორ რიბალკო მოკლეს.**



## ებრაელები ნიუ იორკის ქუჩებში გამოვიდნენ

**50 ათასი ულტრაორთოდოქსი ებრაელი ნიუ იორკის ქუჩებში გამოვიდა. შავ ტანსაცმელში გამოწყობილმა ადამიანებმა ისრაელის არმიაში რელიგიური სასწავლებლების მოსწავლეთა გაწვევა გააპროტესტეს. მათ მხარი დაუჭირეს ისრაელში მცხოვრებ თანამოძმეთა გადაწყვეტილებას, რომლებსაც სურთ, შეისწავლონ თორა და არა — გარნიზონის დარაჯის წესდება.**

ისრაელის იუდეური რელიგიური სკოლების მოსწავლეები დღემდე სარგებლობდნენ არმიაში გაწვევის გადავადების უფლებით, მაგრამ ახლა ქნესეთში (ისრაელის საკანონმდებლო ორგანო) განიხილება კანონპროექტი, რომელიც მნიშვნელოვნად შეამცირებს არმიაში მსახურებისგან თავის არიდების მსურველებს. ქნესეთის ეს გადაწყვეტილება შეეხება ულტრაორთოდოქსულ საზოგადოებასაც.

რა თქმა უნდა, შეძლებული ოჯახების ყმაწვილებს არ აქვთ სურვილი, თბილი კლასები ყაზარმაზე გაცვალონ და თავიანთი უფლებების დასაცავად და პაციფისტური თვალსაზრისის გამოსახატად აშშ-ში მოაწყვეს ორგანიზებული აქცია, რომელიც მშვიდობიანად დასრულდა, თუმცა მისი მონაწილეები დაიმუქრნენ, რომ, თუკი კვლავაც შეეცდებიან, თორას სწავლებას მოწყვიტონ, სიტყვიდან საქმეზე გადავლენ და ყველას აჩვენებენ, რა შეუძლია გამოიწვიოს მათმა მრისხანებამ.



## ნიუ იორკში ბუნებრივი გაზის აფეთქებას ნგრევა და მსხვერპლი მოჰყვა

ნიუ იორკში ბუნებრივი გაზის აფეთქების შედეგად ორი ხუთსართულიანი სახლის ჩამონგრევა და 6 ადამიანის დაღუპვა მოჰყვა. კრიტიკულია ჯანმრთელობის მდგომარეობა 10 ადამიანისა, რომლებიც საავადმყოფოში მოათავსეს. ისინი აფეთქების ტალღამ, მინის ნამსხვრევებმა და ჩამოცვენილმა აგურებმა დააზიანეს.

# პუტინმა დასავლელი «ფინანსური ზვიგენები» პირში ჩალაგამოვლებული დატოვა

**რუსეთმა გამოიყენა გენიალური ეკონომიკური ტაქტიკა — 2 დღეში 20 მილიარდი დოლარი გამოიმუშავა, პლუს თავისი მონოპოლიების აქციათა 30%-იც დაიბრუნა. პუტინმა პირში ჩალაგამოვლებული დატოვა ევროკავშირი და აშშ. და ეს ყველაფერი მსოფლიოს თვალწინ ლამაზად გაითამაშა.**





ადრე ენერგეტიკული კომპანიების აქციათა ნაწილი ეკუთვნოდა უცხოელ ინვესტორებს — ამერიკელებსა და ევროპელებს, ანუ გაზისა და ნავთობის მრეწველობიდან შემოსავლების თითქმის ნახევარი რუსეთის ხაზინაში კი არა, დასავლელი „ფინანსური ზვიგენების“ ჯიბეში ხვდებოდა. ყირიმის მოვლენების გამო რუბლის კურსმა დაცემა დაიწყო, მაგრამ მის შესაჩერებლად რუსეთის ცენტრალური ბანკი არაფერს აკეთებდა. ხმებიც კი ვრცელდებოდა, რომ რუბლის კურსის დაცემის შესაჩერებლად რუსეთს სავალუტო რეზერვი არ ჰყოფნიდა.

**ამ ხმებმა და პუტინის განცხადებამ, რომ მზად არის უკრაინის რუსულენოვანი მოსახლეობის დასაცავად, რუსეთის ენერგეტიკული კომპანიების აქციების გაუფასურება გამოიწვია და „ფინანსურმა ზვიგენებმა“ აქციების დაბალ ფასში გაყიდვა დაიწყეს. პუტინი ერთი კვირის განმავლობაში ელოდა და, როდესაც აქციების ფასი თითქმის ნულამდე დაეცა, გასცა ბრძანება ამერიკელებისა და ევროპელების ხელთ არსებული ყველა აქციის შესყიდვის შესახებ.**

**როცა დასავლელმა „ფინანსურმა ზვიგენებმა“ გააცნობიერეს, რომ გააცურეს, უკვე გვიან იყო — აქციები უკვე რუსეთმა ჩაიგდო ხელთ.**

უფრო მეტიც — **ამ დღეებში რუსეთმა 20 მილიარდი დოლარიც გამოიმუშავა და აქციებიც დაიბრუნა.** ამიერიდან გაზისა და ნავთობის წარმოებით მიღებული შემოსავალი მთლიანად რუსეთში დარჩება, რუბლის კურსი კი თავისთავად დაიწყებს ალმასვლას, ოქროს რეზერვის დაუხმარებლად.

ასე რომ, **დასავლელ „ფინანსურ ზვიგენებს“ სულ რამდენიმე დღეში ცხვირწინ ააცალეს აქციები, რომლებსაც მილიარდობით დოლარი მოჰქონდა.**

ასეთი ბრწყინვალე ოპერაცია საფონდო ბირჟის ისტორიას არ ახსოვს.

# უკრაინის ახალი ლიდერები — გეები და შარაგზის ყაჩაღები

**უკრაინის შს ახალი მინისტრი არსენ ავაკოვი გარეული აღმოჩნდა სისხლის სამართლის კიდევ ერთ საქმეში — მცირეწლოვანთა გარყვნაში. ავაკოვის გაცნობის მომენტში მისი „მეგობარი“ მაქსიმი არასრულწლოვანი იყო. მაქსიმის მომსახურებით ავაკოვი 2 წლის განმავლობაში სარგებლობდა, იტალიაში გაქცევის წინ კი მაქსიმი თავის თანამოსანგრეს „ბატვიკშჩინადან“ — ალექსანდრე კირშს გადაულოცა.**



ძმები კლიჩკოები და ვიქტორ რიბალკო



**უნიკალური კადრები სამართალდამცველების არქივებიდან, მაიდანის ლიდერების საიდუმლო მიდრეკილებები და საშინაო ვიდეოები — ეს ყველაფერი ტელეკომპანია ენ-ტე-ვეს სკანდალურ გადაცემაში აჩვენეს.**

ვიტალი კლიჩკო, მოკრივე და კიევის მაიდანის ყველაზე ცნობილი გმირია. მაგრამ რა გზით მიაღწია მან ასეთ წარმატებას, ცოტამ თუ იცის.

**ძმებმა ვიტალი და ვლადიმერ კლიჩკოებმა** თავიანთი კარიერა დამნაშავეთა სამყაროში ავტორიტეტულ პირთან, 1990-იანი წლების ერთ-ერთი მსხვილი კრიმინალური დაჯგუფების ლიდერ ვიქტორ რიბალკოსთან, მეტსახელად „რიბკასთან“, თანამშრომლობით დაიწყეს.

„რიბკას“ დაჯგუფებამ „მოღვაწეობა“ შეკვეთილი მკვლელობებით, დარბევითა და ძარცვით დაიწყო, შემდეგ კი ნავთობისა და საბანკო ბიზნესის გაკონტროლებაზე გადავიდა, იქამდეც კი მივიდა, რომ „რიბკა“ შოუბიზნესში ჩაერთო და თავისი მოკრივეები აშშ-ში წაიყვანა — პროდიუსერ დონ კინგთან. პრესაში დაიწერა, რომ **ძმები კლიჩკოები თავიანთი შემოსავლით 50 პროცენტს ქურდული სამყაროს წარმომადგენელ ვიქტორ რიბალკოს ურიცხავდნენ, თუმცა 2002 წელს გადარიცხვები შეწყვიტეს და დაედოთ თავიანთი მფარველის ვალი — 40 მილიონი დოლარი. კრიმინალური ავტორიტეტი შეეცადა ვალის დაბრუნებას, მაგრამ ამაოდ. 2005 წელს კი ვიქტორ რიბალკო მოკლეს.**

ახალი უკრაინის კიდევ ერთი კაშკაშა პოლიტიკოსია „რადიკალური პარტიის“ ლიდერი **ოლეგ ლიაშკო**. 1993 წელს ის სახელმწიფო ქონების ქურდობისთვის დააპატიმრეს, 1994 წელს კი თაღლითობისთვის 6 წელი მიუსაჯეს. სხვათა შორის, **ლიაშკო კიევის გეისაზოგადოების მთავარი ვარსკვლავია. უკრაინული პრესა წერდა, რომ ლიაშკომ, უკვე დეპუტატმა, 16 წლის გოგონას დასაძინებელი წამალი დაალევინა და გააუპატიურა.**

**არსენ ავაკოვი — უკრაინის შინაგან საქმეთა ახალი მინისტრი, უკრაინული პრესის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, 1990-იანი წლების დასაწყისიდან მკვლელობებსა და სახელმწიფო ქონების დატაცების საქმეებში ფიგურირებდა.** ავაკოვის გუბერნატორობის პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებმა 120 მილიონი გრივნა შეადგინა. სამაგიეროდ, მისი პირადი ქონება გაიზარდა 400 მილიონამდე. ჟურნალისტური გამოძიების მიხედვით, სახელმწიფო მიწები გაყალბებული დოკუმენტების საფუძველზე გადაეცა ავაკოვის ფირმებს... ციხეში რომ არ ჩაესვათ, ავაკოვი იტალიაში გაიქცა.

**უკრაინის შს ახალი მინისტრი არსენ ავაკოვი გარეული აღმოჩნდა სისხლის სამართლის კიდევ ერთ საქმეში — მცირეწლოვანთა გარყვნაში. ავაკოვის გაცნობის მომენტში მისი „მეგობარი“ მაქსიმი არასრულწლოვანი იყო. მაქსიმის მომსახურებით ავაკოვი 2 წლის განმავლობაში სარგებლობდა, იტალიაში გაქცევის წინ კი მაქსიმი თავის თანამოსანგრეს „ბატვიკშჩინადან“ — ალექსანდრე კირშს გადაულოცა.**

**უკრაინის ახალგაზრდობისა და სპორტის ახალი მინისტრი დიმიტრი ბულატოვი საზოგადოებისთვის ცნობილი თავისი ყურის წყალობით გახდა.** ამა წლის იანვრის ბოლოს „ავტომაიდანის“ ლიდერი ვითომ უცნობმა პირებმა მოიტაცეს და ყური მოაჭრეს. ბულატოვმა სამართალდამცველებისთვის ჩვენების მიცემაზე უარი განაცხადა. „მოჭრილი ყური“ კი თავის ადგილზე აღმოჩნდა, გაქრა „სასტიკი ცემის“ კვალიც. ოპოზიციონერმა ვერც თავისი გამტაცებლები გაიხსენა. **ახლა ბულატოვი სამინისტროს ხელმძღვანელობს, მანამდე კი ღამის კლუბის უბრალო ადმინისტრატორი იყო და პარასკევობით გეისაღამოების ორგანიზებას ეწეოდა.**

რაც უფრო მაღალია ოქროს ფასი, მით უფრო დაბლა ეცემოდა დოლარის ღირებულება. და პირიქით, ოქროს ფასის შემცირებისას დოლარზე მოთხოვნა იზრდებოდა, მისი სავალუტო კურსი და მსყიდველუნარიანობა იზრდებოდა. 1980-იან წლებში დაიწყო გლობალიზაცია, რომლის არსიც მთელ მსოფლიოში ამერიკის ინტერესების გატარებას წარმოადგენდა. ამგვარი გლობალიზაციისთვის აუცილებელი იყო ძლიერი დოლარი, ოქრო კი თავისი მუდმივად მზარდი ფასით მას ხელს უშლიდა.

მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ოქროს მანიპულაციები

**ოქროს ბაზარი ერთ-ერთი ყველაზე დახურული ბაზარია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, სულ უფრო მეტი მტკიცებულება გროვდება იმისა, რომ მსოფლიოს უდიდესი ბანკები აშშ-ის ფულად ხელისუფლებასთან არიან შეკრულნი და დიდი ხანია, ოქროსთან დაკავშირებულ თაღლითურ ოპერაციებს ახორციელებენ.**

## ფედერალურ სარეზერვო სისტემას ამერიკული დოლარის უზრუნველსაყოფად ოქრო არ გააჩნია

პირველი მინიშნებები იმის შესახებ, რომ აშშ-ის ხაზინა, უოლ-სტრიტის ბანკები და ზოგიერთი ლონდონური ბანკი ყვითელი ლითონით უკანონო მაქინაციებში არიან გარეულნი რაღაც „ოქროს ტრესტის“ წინააღმდეგ საბრძოლველად, 1990-იან წლებში შექმნილი ორგანიზაცია GATA-სგან წამოვიდა. **GATA-ს ძირითადი მონაწილეები არიან ოქროს ექსპერტები და ოქროსმომპოვებელი მცირე კომპანიები. GATA-ს მიზანია იმ ბანკების ქმედებების გამოაშკარავება, რომლებიც ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე მონაწილეობდნენ ყვითელ ლითონზე ფასის შემცირებისაკენ მიმართულ ოპერაციებში.**

მას შემდეგ, რაც 1970-იან წლებში ოქროს დოლარის სტანდარტი მოიხსნა, გარკვეული დროის მანძილზე ოქროს ფასი გაშმაგებით იზრდებოდა (ბრენტ-ვუდის სისტემის ფარგლებში ყვითელი ლითონის ფასი დაფიქსირდა და უნციისთვის 35 დოლარი შეადგინა). 1980-იანი წლების იანვრისთვის ამ ფასმა 800-დოლარიან ნიშნულს გადააჭარბა და XX საუკუნისთვის ეს აბსოლუტური რეკორდი იყო.

**იმ ფინანსურ წრეებს, რომელთა მიერაც იყო ინიცირებული ოქროს დოლარის სტანდარტის სისტემის დემონტაჟი და ქაღალდის დოლარზე ბაზირებულ მსოფლიო სავალუტო სისტემაზე გადასვლა, ოქროს ფასის ზრდა ხასიათს უფუჭებდა. ოქროს ფორმალური დემონეტიზაციის პირობებში ყვითელი მეტალი დე ფაქტო მწვანე ქაღალდების კონკურენტად რჩებოდა.** ამასთან, კანონზომიერება შემდეგნაირი იყო: **რაც უფრო მაღალია ოქროს ფასი, მით უფრო დაბლა ეცემოდა დოლარის ღირებულება. და პირიქით, ოქროს ფასის შემცირებისას დოლარზე მოთხოვნა იზრდებოდა, მისი სავალუტო კურსი და მსყიდველუნარიანობა იზრდებოდა.**

**1980-იან წლებში დაიწყო გლობალიზაცია, რომლის არსიც მთელ მსოფლიოში ამერიკის ინტერესების გატარებას წარმოადგენდა. ამგვარი გლობალიზაციისთვის აუცილებელი იყო ძლიერი დოლარი, ოქრო კი თავისი მუდმივად მზარდი ფასით მას ხელს უშლიდა.** აშშ-ის ხელისუფლება უმსხვილეს ბანკებთან ერთად შეუდგა ყვითელი მეტალის ფასის ზრდის ხელოვნურად შეჩერების პროექტის რეალიზაციას. ამან მტკივნეული დარტყმა მიაყენა მრავალი ქვეყნის ოქროს მოპოვების მრეწველობას. განსაკუთრებით დაზარალდნენ დარგის მომცრო კომპანიები, რომელთაც წარმოების დაბალი რენტაბელობა ჰქონდათ. სწორედ მაშინ შეიქმნა ოქროს მომპოვებელი ზოგიერთი კომპანიის მიერ დარგის ინტერესების დასაცავად ორგანიზაცია GATA.

ორგანიზაციამ დაიწყო ოქროს ბაზარზე ათასგვარი მაქინაციების გამოაშკარავება. ირიბი ნიშნებით მოხერხდა იმის დამტკიცება, რომ **მსოფლიოში მოქმედება დაიწყო კარტელმა (ტრესტმა), რომელიც ბაზარზე დიდი რაოდენობით ოქროს ისროდა. საიდან გაჩნდა ამდენი ოქრო? GATA-ს ვერსიით, აშშ-ის ხაზინის მარაგებიდან და, შესაძლოა, ზოგიერთი სხვა ქვეყნის ცენტრალური ბანკებიდანაც.** საცავებიდან ოქროს ამოღების ოპერაციები მანკიერი ბუღალტერიით ინიღბებოდა. ბალანსებში ფიგურირებდა „ფიზიკური ოქრო“, სინამდვილეში კი სტანდარტული ზოდების ნაცვლად ხაზინებსა და ცენტრალურ ბანკებს ხელში მხოლოდ ჩანაწერები რჩებოდათ. ეს ჩანაწერები „ფიზიკურ ოქროს“ გაუთანაბრეს.

**1990-იან წლებში ყვითელი ლითონის ფასმა, ყველა ლოგიკის საწინააღმდეგოდ, კლება დაიწყო. ეს ვარდნა განსაკუთრებით უცნაურად გამოიყურებოდა სხვა რეალური და ფინანსური აქტივებისა თუ საქონლის ფასების ზრდის ფონზე. აშშ-ის დოლარის კურსი, ცხადია, მაღალი იყო, რაც გლობალიზაციის პროცესს აჩქარებდა. იგივე პრივატიზაცია დოლარის გამოყენებით ხორციელდებოდა და ცხადია, რაც უფრო მაღალი იყო დოლარის კურსი ეროვნულ ვალუტებთან შედარებით, მით მეტის ყიდვა შეიძლებოდა მისი საშუალებით პრივატიზაციისას.**

ამავე დროს, ვიღაც ახერხებდა, დაბალ ფასად შეეძინა ყვითელი ლითონი, გეგმაზომიერად დაეგროვებინა ის და დალოდებოდა მომენტს, როდესაც გლობალიზაციის პროცესი დასრულდებოდა. ახლა სწორედ ეს დრო დგება, რადგან სულ უფრო ხშირად ისმის ოქროს სტანდარტზე დაბრუნების მოწოდებები. თუ დაბრუნება მართლაც მოხდება, **მოიგებს ის, ვინც ამერიკის ხაზინის და ზოგიერთი ქვეყნის ცენტრალური ბანკის სარდაფების გამოცარიელების პერიოდში ყველაზე ბევრი ძვირფასი ლითონი დააგროვა. უნდა ვივარაუდოთ, რომ, პირველ რიგში, ესენი არიან ბანკები, რომლებსაც როტშილდები აკონტროლებენ, რადგან ოქრო ყველაზე მეტად მათ უყვართ.** როტშილდები იმიტომაც იქცნენ როტშილდებად, რომ ნაპოლეონის დროინდელი ომების დროს მათ მოახერხეს ევროპული ოქროს დიდი ნაწილის ხელში ჩაგდება.



## დღეისათვის ფორტ-ნოქსისა და ამერიკის ხაზინის სხვა საცავები პრაქტიკულად ცარიელია. საუკეთესო შემთხვევაში ისინი სავსეა ვოლფრამის ზოდებით, რომლებსაც ნამდვილ ოქროდ ასაღებენ

ასეთია ყველა იმ ინტრიგის საერთო მოხაზულობა, რომლებიც ოფიციალური დემონეტიზაციის შემდეგ ოქროს ირგლივ იხლართებოდა. GATA-ს მიერ შესწავლილი ყველა ისტორიის მშრალი ნაშთი შემდეგი დასკვნაა: **დღეისათვის ფორტ-ნოქსისა და ამერიკის ხაზინის სხვა საცავები პრაქტიკულად ცარიელია. საუკეთესო შემთხვევაში ისინი სავსეა ვოლფრამის ზოდებით, რომლებსაც ნამდვილ ოქროდ ასაღებენ.**

როგორც ჩანს, კერძო ბანკმა „ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ“ აშშ-ის ხაზინას მთელი ოქრო მოჰპარა და ახლა ცდილობს, ყველა დაადუმოს, არ დაუშვას აღნიშნული საქმის ხმაურიანი გამოძიება.

**2009 წლის ოქტომბერში აშშ-ის ფინანსთა სამინისტრომ საცავებიდან, რომლებიც ფორტ-ნოქსშია განლაგებული, ჩინეთში ოქროს ზოდების პარტია გაგზავნა. ქვეყნები მუდმივად უგზავნიან ერთმანეთს ოქროს, რათა გადაუხადონ ვალი ან გაასწორონ სავაჭრო ბალანსი.** მსოფლიოში ოქროს დიდი ნაწილი იცვლება და ინახება სპეციალური ორგანიზაციის — ძვირფასი მეტალების ბაზრის მონაწილეთა ლონდონის ასოციაციის (London Bullion Market Association — LBMA) მეთვალყურეობის ქვეშ.

**როდესაც ამერიკული ოქრო მიიღო, ჩინეთის მთავრობამ ბრძანა ოქროს სისუფთავისა და წონის სპეციალური შემოწმების ჩატარება,** რადგან ჩინეთი ამერიკის ხაზინის ფასიანი ქაღალდების უმსხვილესი მფლობელია საზღვარგარეთ. **ჩინელ ჩინოვნიკებს თავზარი დაეცათ, როდესაც გაირკვა, რომ ოქროს ზოდები ყალბი იყო.** პარტია მთლიანად ვოლფრამის ზოდებისგან შედგებოდა, ნამდვილ ოქროს მხოლოდ თხელი ზედა ფენა წარმოადგენდა. ეს „ოქროს“ ზოდები აშშ-ში იქნა დამზადებული და ფორტ-ნოქსში მრავალი წლის მანძილზე საგულდაგულოდ ინახებოდა.

აღმოჩნდა, რომ ეს ზოდები მიღებული იყო ფედერალური სარეზერვო სისტემის ბანკებისგან კლინტონის პრეზიდენტობისას. სწორედ მაშინ დაამზადა ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ ბანკირების დაკვეთით 400-უნციიანი 1,3-დან 1,5-მდე მილიონი ვოლფრამის ზოდი. 640 ათასი ვოლფრამის ზოდი ოქროთი დაიფარა და გაიგზავნა ფორტ-ნოქსში, სადაც ამ დრომდეც საგულდაგულოდ ინახება.

**ჩინური გამოძიების მონაცემების თანახმად, ამ 1,3-1,5 მილიონი ვოლფრამის ზოდიდან დარჩენილი ნაწილიც ოქროს თხელი ფენით დაიფარა და საერთაშორისო ბაზარზე გაიყიდა. ასე რომ, არა მხოლოდ აშშ-ის საცავებში მოხვდა გაყალბებული ოქრო, არამედ მსოფლიო ბაზარიც მოტყუებულ იქნა ფედერალური სარეზერვო სისტემის ბანკირების მიერ. კლინტონის ოქროს აფერის ღირებულება 600 მილიარდ დოლარს შეადგენს.**

ნიუ იორკის სავაჭრო ბირჟის ოპერაციების უფროსი ვიცეპრეზიდენტის ოფისი არის ის ადგილი, რომელშიც ინახება ყველა ანგარიში ოდესმე საბირჟო ოპერაციებში მონაწილე ყველა ზოდის შესახებ. ეს ანგარიშები აჩვენებდა ბაზარზე მოხვედრილი მთელი ფიზიკურად არსებული ოქროს წარმომავლობას და დაამტკიცებდა, რომ ოქროს მომპოვებლების მიერ მოპოვებული ოქროს რაოდენობაზე გაცილებით მეტი ზოდი ფიგურირებდა ოპერაციებში.

იმისათვის, რომ ყალბი ფული დაიბეჭდოს, საჭიროა სპეციალური ქაღალდი, რომ ადვილად ვერ აღმოაჩინონ გაყალბება. ზუსტად ანალოგიურად, ოქროს გაყალბების დროს აუცილებელია ისეთი შემცვლელის მოძებნა, რომელსაც ნამდვილი ოქროს თვისებები და წონა ექნება.

**კარგი ყალბი ზოდის დამზადების პრობლემა ისაა, რომ ოქროს ძალიან მაღალი სიმკვრივე აქვს. ის ტყვიაზე ორჯერ და ფოლადზე ორნახევარჯერ უფრო მკვრივია, ამიტომ ოქროს ზოდი ძალიან მძიმეა. London good delivery bar-ის სახელით ცნობილი სტანდარტული ზოდი, რომლითაც ბანკებს შორის ვაჭრობა ხორციელდება, დაახლოებით 12,5 კილოგრამს იწონის და თხელკანიანი მომცრო წიგნის ზომისაა.**

**იგივე სიმკვრივე აქვს გაღარიბებულ ურანს, მაგრამ კერძო პირი მას ძალიან ძნელად თუ იშოვის, თანაც ის რადიაქტიულია. მეორე მსგავსი სიმკვრივის ლითონი კი ვოლფრამია და ოქროზე ბევრად უფრო იაფი ღირს. განსხვავება არის ფერსა და სიმყარეში. ნამდვილ ოქროს ფრჩხილითაც კი გაკაწრავ, ვოლფრამი კი ძალიან მყარი ნივთიერებაა.**

უმაღლეს დონეზე გაყალბებული ოქროს ზოდი სრულად უნდა შეესაბამებოდეს ნამდვილს ფერით, სიმკვრივით, სიმყარით, ფიზიკური და ქიმიური თვისებებით. ამგვარი ყალბი ზოდის დასამზადებლად საჭიროა ნამდვილ ოქროს ზოდზე ყველა განზომილებაში 1/8 დიუმით ნაკლები ვოლფრამის ნამზადი, რომელიც 1/16 დიუმის სისქის ოქროთი დაიფარება. ასეთ ზოდს ხელში აღებით ნამდვილისგან ვერავინ გაარჩევს, წონა ნამდვილის ანალოგიური იქნება და ქიმიური ანალიზიც ოქროს აჩვენებდა.

ამგვარი „ოქროს“ ზოდები ფორტ-ნოქსში ამ დრომდეც ინახება და მათ დღემდე ავრცელებენ მთელ მსოფლიოში.

კონგრესმენ რონ პოლისა და ფედერალური სარეზერვო სისტემის წარმომადგენლის სკოტ ალვარესის საუბრიდან დამტკიცდა, რომ **ფედერალურ სარეზერვო სისტემას** ამერიკული დოლარის უზრუნველსაყოფად ოქრო არ გააჩნია. ეს ამბავი ალტერნატიულ მედიასაშუალებებში ადრეც მრავალჯერ გაჟღერდა, მაგრამ ახლა ეს უკვე ფაქტია.

შესაბამისად, **დოლარის მსყიდველუნარიანობა ბევრად უფრო დაბალია, ვიდრე ჩვეულებრივ მიიჩნევენ, ფაქტობრივად, ის ნულს უტოლდება. ერთადერთი, რაც ახლა დოლარს ზურგს უმაგრებს, ბაზარზე არსებული ნდობაა. როდესაც ნდობა გაქრება, გაქრება სხვა ყველაფერიც...**

გასულ წელს ფინანსურ სამყაროში მთელი რიგი სკანდალები მოხდა. მსოფლიო ბრენდის მრავალი ბანკი ათასგვარ მანიპულაციაში აღმოჩნდა ჩართული და ეს მანიპულაციები ფინანსურ ბაზრებზე მანკიერებებს ბადებდა. ყველაზე მსხვილი სკანდალები საკრედიტო ბაზრებზე პროცენტებით და სავალუტო კურსებით მანიპულირებას უკავშირდება. აშშ-ის, ბრიტანეთისა და ევროკავშირის ფინანსური მეთვალყურეობის ორგანოებმა უზარმაზარი ჯარიმები დააკისრეს უოლ-სტრიტის, ლონდონ სიტისა და შვეიცარიის ბანკებს, მაგრამ იმავე ფინანსური კონტროლის ორგანოები საგულდაგულოდ უვლიდნენ გვერდს ოქროს მანიპულაციებს.

2014 წლის დასაწყისში ოქროს მანიპულაციებთან დაკავშირებით დუმილის მრავალწლიანი შეთქმულება, როგორც იქნა, დაირღვა. **გერმანიის ფინანსური ზედამხედველობის ფედერალური სამმართველოს მეთაურმა ელკე კიონიგმა განაცხადა, რომ ძვირფასი ლითონით მანიპულირების მასშტაბები უფრო მეტია, ვიდრე LIBOR-თან დაკავშირებული სკანდალი.** მისმა თანამშრომლებმა უკვე ჩაატარეს გასაუბრებები Deutsche Bank-ის თანამშრომლებთან. **ოქროს ექსპერტები ამბობენ, რომ გერმანიის ფინანსური კონტროლი ზუსტად იქ თხრის, სადაც საჭიროა.**

ღრმა გამოძიებამ, შესაძლოა, გამოავლინოს არამხოლოდ „ოქროს ტრესტის“ მონაწილეები, არამედ ის „ბენეფიციარებიც“, რომლებმაც საკუთარ ხელში მოუყარეს თავი უდიდესი რაოდენობით ოქროს და ახლა ოქროს სტანდარტის შემოღებისათვის ამზადებენ მსოფლიოს...

fondsk.ru

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ამერიკელი კონსერვატორებისთვის ძლიერ კანდიდატებთან დაკავშირებული სიტუაცია იმდენად რთულია, რომ, ზოგიერთი ანალიტიკოსის აზრით, მათ 2008 და 2013 წლების დამარცხებული მიტ რომნის მესამედ გაკანდიდატება მოუწევთ. რომნი, ალბათ, უარს იტყვის, რადგან ახალგაზრდა აღარაა, პარტიას კი აშკარად ესაჭიროება ახალი ადამიანები და ახალი სახეები.**

# ამერიკულმა ელიტამ ახალი პრეზიდენტის შერჩევა დაიწყო

**ბარაკ ობამას პრეზიდენტობის მეორე წლის დაწყებისთანავე ამერიკულ მასმედიაში დაიწყო გაცხარებული დისკუსია იმის შესახებ, თუ ვის წარმოადგენენ წამყვანი პარტიები მის შემცვლელად. თუ დემოკრატების შემთხვევაში ყველაფერი მეტ-ნაკლებად ნათელია — არავის ეპარება ეჭვი, რომ მათი კანდიდატი ჰილარი კლინტონი იქნება, რესპუბლიკელების შემთხვევაში მოსალოდნელია დაძაბული შიდა დაპირისპირებები, რადგან ცალსახა ლიდერი მათ რიგებში არ ჩანს.**

## აშშ-ის პრეზიდენტად გახდომა სოლიდური ფინანსური მხარდაჭერის გარეშე პრაქტიკულად შეუძლებელია

მიუხედავად იმისა, რომ აშშ-ის ახალი პრეზიდენტის არჩევამდე ორწელიწად-ნახევარზე მეტი დროა, პირველი ვარაუდები უკვე ისმის, რადგან ქვეყანაში ეგრეთ წოდებული ფარული პრაიმერიზი დაიწყო. პროცესი ასე ხორციელდება: პოტენციური სპონსორები აკვირდებიან შესაძლო კანდიდატებს, ეცნობიან მათ და მათ გუნდებს, აფასებენ პარტიისგან პრეზიდენტობის კანდიდატად წარდგენის და გამარჯვების შანსებს.

ამგვარი დახურული შემოწმებები მუდამ ტარდება არჩევნებამდე დიდი ხნით ადრე. **ოფიციალური წარდგინების მომენტისთვის კანდიდატებმაც და სპონსორებმაც რაც შეიძლება ნათლად უნდა წარმოიდგინონ, თუ ვისთან მოუწევთ საქმის დაჭერა საარჩევნო კამპანიის დროს და რა პირობებში.** პოლიტიკოსები, რომლებიც ვერ მოახერხებენ გავლენიანი შემომწირავების გულის მოგებას, უკვე ამ ეტაპზევე იფილტრებიან: **აშშ-ის პრეზიდენტად გახდომა სოლიდური ფინანსური მხარდაჭერის გარეშე პრაქტიკულად შეუძლებელია.** ისინი, ვინც მოახერხებენ, დონორები საკუთარ პერსპექტიულობაში დაარწმუნონ, იწყებენ იმ აქტიური მხარდამჭერების ქსელის შექმნას, რომლებიც თავიანთ კანდიდატს გაუწევენ აგიტაციას და კამპანიის ოფიციალურად დაწყების შემდეგ შემოწირულობების შეგროვებას შეუდგებიან.

**„ფარული პრაიმერიზის“ ჩატარების ვადებს ყველა თავისთვის ადგენს, მაგრამ, როგორც წესი, ეს პროცესი რამდენიმე თვეს გრძელდება ხოლმე. კანდიდატებს ეს შესაძლებლობას აძლევს, საკუთარ თავს რეკლამა გაუწიონ რაც შეიძლება მეტ სპონსორთან, ეს უკანასკნელნი კი პოლიტიკოსებზე ხანგრძლივი დაკვირვების შედეგად შეძლებენ დასკვნების გამოტანას.**

„ფარული პრაიმერიზი“, როგორც სახელწოდებიდან ჩანს, სახალხო პროცესი არ არის, მოლაპარაკებები დახურულ კარს მიღმა იმართება. მაგრამ ამ პროცესს ძალზე დიდი ყურადღებით ადევნებს თვალს როგორც რესპუბლიკური, ასევე დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობა. შედეგად, **პარტიული სტრუქტურები თავიანთი აქტივების ორიენტირებას ახდენენ კანდიდატობის იმ წარმომადგენლებზე, რომლებიც დონორებში მეტ სიმპათიას იმსახურებენ.** შედეგად, ყოველი პარტიის სიაში არჩევნების წინ უნდა დარჩეს ერთი უძლიერესი და ფინანსურად მდგრადი პოლიტიკოსი.

**აშშ-ის პრეზიდენტის მორიგი არჩევნები 2016 წლის 8 ნოემბერს გაიმართება. პოლიტიკური პარტიები კანდიდატებს ოფიციალურად წარადგენენ ყრილობებზე, რომლებიც, როგორც წესი, ზაფხულის შუა პერიოდში იმართება ხოლმე. ყრილობებს წინ უსწრებს წინასწარი შიდა არჩევნების პროცესი — „პრაიმერიზი“. პარტიის წარმომადგენლები ყველა შტატში ირჩევენ დელეგატებს, რომლებიც ყრილობაზე ამა თუ იმ კანდიდატს დაუჭერენ მხარს. პირველი პრაიმერიზები ტარდება ნიუ-ჰემპშირისა და აიოვას შტატებში საპრეზიდენტო არჩევნების წლის დასაწყისშივე.**

გარდა ფინანსური და პოლიტიკური განზომილებებისა, „ფარულ პრაიმერიზს“ მედიური განზომილებაც აქვს. პრესა განსაკუთრებული გულისყურით ადევნებს თვალს იმ პოლიტიკოსებს, რომლებიც საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვაში ლიდერობენ და იყენებენ რა ინფორმაციის საკუთარ წყაროებს, ამ ადამიანების წარმატებებსა და პარტიულ დამსახურებებს დონორებთან მოლაპარაკებებში განიხილავს. **პოლიტიკოსები, რომელთა მიზანიც არჩევნებში მონაწილეობაა, ახლავე, საარჩევნო კამპანიის გამოცხადებამდე, ათმაგად ყურადღებიანნი უნდა იყვნენ რაიმეს თქმისას ან გაკეთებისას, რადგან მასმედია ყოველ მათ ნაბიჯს მიკროსკოპის ქვეშ განიხილავს.**

ახლა რესპუბლიკელებისა და დემოკრატების კანდიდატები აბსოლუტურად სხვადასხვა მდგომარეობაში არიან. **საზოგადოებრივი აზრის მრავალრიცხოვანი კვლევების თანახმად, ყოფილი სახელმწიფო მდივნის, ჰილარი კლინტონის, რეიტინგი გაცილებით მაღალია, ვიდრე ყველა მისი პოტენციური დემოკრატი კონკურენტისა ერთად. მის ქმედებებს ამართლებს ხმის უფლების მქონე დემოკრატთა 70%.** რეიტინგით მეორე ადგილზეა ვიცეპრეზიდენტი ჯო ბაიდენი, რომელსაც მხარს ამომრჩეველთა სულ 10-15% უჭერს, მესამე შესაძლო კანდიდატის, მასაჩუსეტსის სენატორის, ელიზაბეტ უორენის, რეიტინგი კი ათ პროცენტსაც ვერ აღწევს. ამასთან, თავად უორენმა უკვე განაცხადა, რომ 2016 წელს საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას არ აპირებს, მიუხედავად იმისა, რომ „ბურჟუაზიული“ კლინტონის ალტერნატივის არარსებობით უკმაყოფილო პროგრესული ლიბერალები სთხოვენ ამას.

**ჯო ბაიდენს სახალხოდ ჯერ არ უთქვამს უარი საპრეზიდენტო ამბიციებზე, მაგრამ სპეციალისტების უმეტესობა ვარაუდობს, რომ მას არ გააჩნია რეალური შანსი, კონკურენცია გაუწიოს ჰილარი კლინტონს, რომელიც, სავარაუდოდ, დემოკრატიული პარტიის ერთიანი კანდიდატი გახდება.**

ამგვარი სიტუაცია კლინტონს პრივილეგირებულ მდგომარეობაში აყენებს. გადადგომისას მან ოფიციალურად განაცხადა, რომ ერთი წლით ტოვებდა პოლიტიკას. ამან საშუალება მისცა, მონაწილეობა მიეღო მხოლოდ იმ ღონისძიებებში, რომლებიც კარგად აისახებოდა მის იმიჯზე; აერჩია, რომელ ჟურნალისტებთან დათანხმებოდა საუბარს და რა თემებზე. ამის პარალელურად კლინტონის გარემოცვას შეუძლია, ახლავე შეუდგეს სახსრების შეგროვებას. მსხვილ დონორებს მშვენივრად ესმით, რომ, თუ რესპუბლიკელების მხარეს ჯერ კიდევ გამოსაცნობია, ვინ გახდება შიდა რბოლის გამარჯვებული, ყოფილმა პირველმა ლედიმ უკვე იზრუნა ფინალში ადგილის უზრუნველსაყოფად.



**ჯო ბაიდენს სახალხოდ ჯერ არ უთქვამს უარი საპრეზიდენტო ამბიციებზე, მაგრამ სპეციალისტების უმეტესობა ვარაუდობს, რომ მას არ გააჩნია რეალური შანსი, კონკურენცია გაუწიოს ჰილარი კლინტონს, რომელიც, სავარაუდოდ, დემოკრატიული პარტიის ერთიანი კანდიდატი გახდება**

**რესპუბლიკელებს პრინციპულად განსხვავებული მდგომარეობა აქვთ. 2012 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ მათ რიგებში შფოთვაა. მიტ რომნის დამარცხებამ გამოავლინა პრობლემა, რომელზეც, დიდი ხანია, ლაპარაკობდნენ და რომლის აღიარებისაც ეშინოდათ: ნაციონალურ დონეზე რესპუბლიკური პარტია მუდამ ოპოზიციაში ყოფნისთვისაა განწირული წმინდა დემოგრაფიული მიზეზების გამო.** საქმე ისაა, რომ თეთრკანიანების, ამერიკის საზოგადოების შედარებით უზრუნველყოფილი და რელიგიური ნაწილის წილი საზოგადოებაში განუხრელად მცირდება. ნაციონალური უმცირესობების, ათეისტებისა და იმ ადამიანების წილი, რომლებიც სახელმწიფოს სოციალური უზრუნველყოფის პროგრამებზე არიან დამოკიდებულნი, დღითიდღე იზრდება, ისინი კი, ტრადიციულად, დემოკრატებს აძლევენ ხმას. რაც კიდევ უფრო უარესია, **ზოგიერთი ტრადიციულად რესპუბლიკური შტატი, მაგალითად, ტეხასი, იმავე დემოგრაფიული მიზეზების გამო ნელ-ნელა სადავო ხდება — დემოკრატები იქ სულ უფრო მეტ არჩევით თანამდებობას ისაკუთრებენ.**

ერთიანი თვალსაზრისი, თუ როგორ შეიძლება სიტუაციის შემოტრიალება, რესპუბლიკელებს არ გააჩნიათ.

**საზოგადოებრივი აზრის უკანასკნელი გამოკითხვების თანახმად, ახლა ყველაზე პოპულარული რესპუბლიკელი, არკანზასის ყოფილი გუბერნატორი მაიკ ჰაკაბია. იგი ცნობილია რადიკალური პოზიციით უმნიშვნელოვანეს სოციალურ საკითხებზე: უმცირესობათა უფლებებზე, იარაღის ტარების უფლებაზე, აბორტებზე და არალეგალურ იმიგრაციაზე. ყოფილი გუბერნატორის რეიტინგი 15%-იან ნიშნულთან მერყეობს, მაგრამ ზრდის დიდი პერსპექტივები მას არ აქვს — თავისნაირი რადიკალების გარდა ბევრი არავინ მისცემს ხმას.** საზოგადოებრივი აზრის ზოგიერთ გამოკითხვაში მას პოტენციური კანდიდატების სიაშიც კი არ მოიაზრებენ მისი ელექტორატული ბაზის შეზღუდულობის გამო.

რესპუბლიკელების სავარაუდო სიაში მეორე ადგილზე არის ნიუ-ჯერსის გუბერნატორი კრის კრისტი (13%). ჯერ კიდევ 2014 წლის დასაწყისში ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ კრისტი არა მხოლოდ იბრძოლებდა პრეზიდენტობისთვის, არამედ იოლად გაუმკლავდებოდა პრაიმერიზზე თავისივე თანაპარტიელების კონკურენციას. 2013 წლის გაზაფხულზე გუბერნატორმა მოახერხა საერთო ენის გამონახვა ყველა პოლიტიკურ ძალასთან თავის შტატში და ხელახლა მოიგო არჩევნები გუბერნატორის თანამდებობაზე. **რესპუბლიკელებისთვის, რომლებიც მთელი ქვეყნის მასშტაბით კარგავენ ამომრჩევლებს, ეს ნამდვილი იმედის სხივი იყო. მაგრამ კრისტის რეიტინგი დაჩრდილა ნიუ იორკის ხიდის გადაკეტვასთან დაკავშირებულმა სკანდალმა, რომელიც 2014 წლის იანვარში გაჩაღდა. ენერგიული და ხანდახან უხეში გუბერნატორი ამომრჩევლის წინაშე ახალი** ►

სნოუდენის მხილებების შემდეგ გერმანელთა მხოლოდ 3% მიიჩნევს, რომ აშშ შეიძლება კვლავაც დარჩეს გერმანიის მოკავშირე, 60% კი თვლის, რომ ამერიკის ნდობა არ შეიძლება. გერმანელთა ნახევარი არ ენდობა ამერიკის პრეზიდენტს და 82% დარწმუნებულია, რომ ამერიკული სპეცსამსახურები გერმანელების თვალთვალს განაგრძობენ.

მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ამერიკის პოლიტიკურ არენაზე გამოდიან ახალი მოთამაშეები, რომლებიც საკუთარ დროშებქვეშ აერთიანებენ მათ, ვინც რესპუბლიკელების მიმართაც დაკარგეს ნდობა და დემოკრატების მიმართაც

◀ **სახით წარსდგა. გაირკვა, რომ იგი ან მეწვრილმანე და შურისმაძიებელი ადამიანია, ან არაკომპეტენტური ლიდერი, რომელსაც ირგვლივ მეწვრილმანე და შურისმაძიებელი თანამშრომლები ახვევია. კრისტის თუ კიდევ დარჩა რაიმე შანსი, დაიბრუნოს ამომრჩევლის სიმპათია, ეს შანსი ძალზე უმნიშვნელოა.**

მესამე ადგილს სამი ადამიანი ინაწილებს და თითოეული მათგანი რესპუბლიკელთა ელექტორატის დაახლოებით 11%-ის სიმპათიას იმსახურებს. კონგრესმენმა რაიანმა ნაციონალურ დონეზე სახელი გაითქვა 2012 წელს, როდესაც აშშ-ის ვიცეპრეზიდენტად კენჭისყრას დასთანხმდა პრეზიდენტობის კანდიდატ მიტ რომნისთან ერთად. იგი მოითხოვდა საბიუჯეტო ხარჯების მკვეთრად შემცირებას ღარიბების მხარდაჭერის შემცირების ხარჯზე და ასევე მხარს უჭერდა მდიდრებისთვის გადასახადების შემცირების პრინციპს.

**გაცილებით უფრო საინტერესოა დანარჩენი ორი პოტენციური კანდიდატი: ფლორიდის ყოფილი გუბერნატორი ჯებ ბუში და კენტუკის სენატორი რენდ პოლი. სხვადასხვა მიზეზის გამო ვარაუდობენ, რომ ისინი მოახერხებენ შემოიკრიბონ არა მხოლოდ გაურკვეველი პრიორიტეტების მქონე ამომრჩეველი, არამედ დემოკრატთა ნაწილიც კი.**

**ჯებ ბუშს „ჭკვიან ძმას" უწოდებენ მისი უფროსი ძმის და ყოფილი პრეზიდენტის, ჯორჯის, მრავალი ამერიკელისთვის საეჭვო ინტელექტუალურ შესაძლებლობებზე მისანიშნებლად. ჯები მშვენივრად ერკვევა ეკონომიკაში, მშვიდ ადამიანად ითვლება.** ფლორიდა არის შტატი, სადაც დემოკრატები ძალზე ძლიერნი არიან. მიუხედავად ამისა, მან იქ საკმაოდ დამაჯერებლად მოიგო მეორე ვადით არჩევა. ოჯახური კუთვნილების გამო მას მნიშვნელოვანი კავშირები აქვს და უცხო არ არის დედაქალაქური ისტებლიშმენტისთვის. მისი არჩევა ქვეყანას მნიშვნელოვანი რყევებით არ ემუქრება, მაგრამ **ბუშების ოჯახის წევრობას მეორე მხარეც აქვს: მრავალი ადამიანი იმდენად ნეგატიურადაა განწყობილი მისი ძმის მემკვიდრეობის მიმართ, რომ, მორიგი ბუშის გარდა, ნებისმიერს მისცემს ხმას.**

რაც შეეხება რენდ პოლს, ის არის „ადამიანი ხალხიდან", განათლებით ექიმია და არა იურისტი, ამერიკელ პოლიტიკოსთა უმეტესობისგან განსხვავებით. და, რაც მთავარია, იგი მუდმივად აკრიტიკებს არა მხოლოდ დედაქალაქელ დემოკრატებს, არამედ თავის თანაპარტიელებსაც, რომლებიც ლობისტებზე უფრო მეტს ფიქრობენ, ვიდრე ამომრჩევლებზე. რესპუბლიკელთა უმეტესობისგან განსხვავებით, ეს ადამიანი სპეცსამსახურების უფლებამოსილებათა მნიშვნელოვნად შემცირებას უჭერს მხარს და მარიხუანის ლეგალიზაციის მიმართაც კი მშვიდი დამოკიდებულება აქვს. ამით იგი იზიდავს მათ, ვინც პირდაპირ არ ემხრობა რესპუბლიკურ პარტიას. მისი აზრით, მკვეთრად უნდა შემცირდეს თავდაცვაზე, სპეცსამსახურებსა და სამართალდამცავ ორგანოებზე გაბერილი ხარჯები. ამან კი, შესაძლოა, ავნოს პრაიმერიზზე, რადგან რესპუბლიკელებისთვის ძლიერი არმია და აგრესიული საგარეო პოლიტიკა უმთავრესია, რომელსაც ჯერჯერობით ვერანაირი არგუმენტი ვერ არყევს.

**დანარჩენ რესპუბლიკელებს ორნიშნა რეიტინგები ჯერჯერობით არ აქვთ. ტეხასელ სენატორ ტედ კრუზსა და ფლორიდელ სენატორ მარკო რუბიოს წარდგენის ძალზე მცირე შანსები აქვთ. ორივე მათგანი ლათინოამერიკული წარმომავლობისაა და გარკვეული პოპულარობით სარგებლობს აშშ-ის სამხრეთში, მაგრამ საერთო ეროვნულ წარმატებას ვერ მიაღწევენ.**

**ამერიკელი კონსერვატორებისთვის ძლიერ კანდიდატებთან დაკავშირებული სიტუაცია იმდენად რთულია, რომ, ზოგიერთი ანალიტიკოსის აზრით, მათ 2008 და 2013 წლების დამარცხებული მიტ რომნის მესამედ გაკანდიდატება მოუწევთ. რომნი, ალბათ, უარს იტყვის, რადგან ახალგაზრდა აღარაა, პარტიას კი აშკარად ესაჭიროება ახალი ადამიანები და ახალი სახეები.**

კლინტონის თავდაჯერებული მარტოობა დემოკრატების კანდიდატის რანგში და ჩაუცხრომელი ბრძოლა რესპუბლიკელთა რიგებში უკიდურესად ცუდად მოქმედებს ამ უკანასკნელთა მდგომარეობაზე. გამოკითხვების მიხედვით, ყოფილი სახელმწიფო მდივანი რესპუბლიკელთა ნებისმიერ კანდიდატს თითქმის ათი პროცენტით უგებს პირდაპირ დაპირისპირებებში. გარდა ამისა, **ამერიკის პოლიტიკურ არენაზე გამოდიან ახალი მოთამაშეებიც, რომლებიც საკუთარ დროშებქვეშ აერთიანებენ მათ, ვინც რესპუბლიკელების მიმართაც დაკარგა ნდობა და დემოკრატების მიმართაც.**

ერთ-ერთი ამგვარი ფიგურა მინესოტას ყოფილი გუბერნატორი ჯესი ვენტურაა. მას ჰყავს უამრავი მომხრე, რომელთაც ოდნავ თავის შეწუხების ხარჯზე მისი რეიტინგის მნიშვნელოვნად გაზრდა შეუძლიათ. ეს ძალზე უსიამოვნო სიურპრიზი იქნება ზოგადად რესპუბლიკელთათვის და კონკრეტულად რენდ პოლისთვის, რადგან ლიბერტარიანული შეხედულებების ვენტურა სწორედ მას წაართმევს ყველაზე ბევრ ხმას. თუმცა ვენტურა ჯერ თავადაც არაა დარწმუნებული, რომ არჩევნებში მიიღებს მონაწილეობას.

ჯერ კიდევ შეიძლება გამოჩნდნენ ახლები; **ახლა ამერიკაში მხოლოდ იკვეთება მომავალი საპრეზიდენტო არჩევნების მონაწილეთა კონტურები და არანაირი გარანტია არ არის, რომ ისინი ნამდვილად გახდებიან წინასაარჩევნო კამპანიის მონაწილენი.** სრულიად უცნობი პრეტენდენტები, მაგრამ მთავარი ბრძოლა, დიდი ალბათობით, ჰილარი კლინტონს ან ბუშთან, ან პოლთან მოუწევს. ჯერჯერობით ყველა დარწმუნებულია, რომ ჰილარი გაიმარჯვებს, რომელიც, დიდი ხანია, თეთრ სახლში დაბრუნებას ნატრობს.



**ჯებ ბუშს «ჭკვიან ძმას» უწოდებენ მისი უფროსი ძმის და ყოფილი პრეზიდენტის, ჯორჯის, მრავალი ამერიკელისთვის საეჭვო ინტელექტუალურ შესაძლებლობებზე მისანიშნებლად**

# ევროპა — ამერიკის წინააღმდეგ



მარინ ლე პენი

უკვე ძალიან მალე, სულ რაღაც სამი თვის შემდეგ, ევროპარლამენტში არჩევნები ჩატარდება. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ სავარძლების მნიშვნელოვან რაოდენობას ულტრამემარჯვენეები დაიკავებენ, რაც განსაკუთრებით საგულისხმოა. ულტრამემარჯვენეებს შორის, უახლესი პროგნოზების თანახმად, ლიდერის პოზიცია მარინ ლე პენის პარტიას ხვდება წილად. „ნაციონალური ფრონტი" საფრანგეთში, შესაძლოა, მანდატების ორი მესამედის მფლობელი გახდეს. მარინ ლე პენის ავსტრიელი, ნიდერლანდელი, ბელგიელი, შვედი და იტალიელი „კოლეგები" შეავსებენ ევროპარლამენტის ულტრამემარჯვენე ჯგუფებს.

## მარინ ლე პენი თავისუფალი ერების ევროპის მომხრეა, რომლის შექმნისკენ მიმავალი გზა მხოლოდ მას შემდეგ გაიზრდება, რაც ევროკავშირი დაიშლება

იანვარში მარინ ლე პენმა კიდევ ერთხელ გააცნო ხალხს მისი პარტიის პოლიტიკა. **„რისი გაკეთება შეიძლება ევროკავშირის გასაუმჯობესებლად? საჭიროა, მივაღწიოთ მის დაშლას". როდესაც „ნაც-ფრონტი" პარლამენტში შევა, „ამ ფედერალისტური ევროკავშირის შემდგომი განვითარების მცდელობები" დაიბლოკება.** როგორც ცნობილია, **მარინ ლე პენი თავისუფალი ერების ევროპის მომხრეა, რომლის შექმნისკენ მიმავალი გზა მხოლოდ მას შემდეგ გაიზრდება, რაც ევროკავშირი დაიშლება.** გამოდის, რომ საჭიროა მისი დაშლა.

ჟან მარი ლე პენის ქალიშვილის მარინ ლე პენის პარალელურად ევროპარლამენტში კიდევ ერთი ნაციონალისტი ავსტრიიდან მიდის. ისიც პარტიული ნაციონალისტის — იორგ ჰაიდერის ქალიშვილია. იგი, მარინისგან განსხვავებით, არა 45-ის, არამედ 37 წლისაა და ულრიკე ჰაიდერ-კვარიკა ჰქვია. ეს ქალი წარმოადგენს პარტიას „ალიანსი ავსტრიის მომავლისთვის" და ირწმუნება, რომ ახალი ფორმაციის პოლიტიკოსია. მისივე აზრით, ძველი პოლიტიკოსები, დროა, პენსიაზე წავიდნენ. ულრიკეს წარმოდგენით, **ახალი ევროპა თანასწორობის და სამართლიანობის პრონციპებზე უნდა აშენდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ევროპულ ქვეყნებს წარმოუდგენელი კრიზისი ელით.**

და აი, კიდევ ერთი მხურვალე ქალბატონი. მისი სახელია ალექსანდრა მუსოლინი და იგი ბენიტოს შვილიშვილია, რომელიც უკვე 51 წლისაა და არაერთხელ აურჩევიათ ევროპარლამენტში. მისი დაარსებული პარტიის სახელია „სოციალური ინიციატივა". სავარაუდოდ, მისი გამოჩენაც დაამშვენებს იმ სხდომათა დარბაზებს, რომლებშიაც „ევროპელი ხალხის" დელეგატები შეიკრიბებიან.

**შარშან ტურინში ჩატარდა პარტია „ჩრდილოეთის ლიგის" კონგრესი და, თუ მის შემადგენლობას გავითვალისწინებთ, ეს 2000 მონაწილით ევროსკეპტიკოსთა უდიდესი შეკრება იყო.** იქ იყო საფრანგეთის წარმომადგენელი ლუდოვიკ დე დანიც, ნიდერლანდური „პარტია თავისუფლებისთვის" ლიდერი გეერტ ვილდერსიც, ავსტრიის, ფლანდრიის, შვედეთისა და ყველა ევროპული ქვეყნის წარმომადგენელიც. „ჩრდილოეთის ლიგას" წარმოადგენდა თავად პარტიის დამაარსებელი უმბერტო ბოსი.

**რაც შეეხებათ იტალიელებს, მათ გადაწყვიტეს, რომ იტალია ევროზონიდან უნდა გავიდეს და ლირას დაუბრუნდეს. ბრიუსელელ ჩინოვნიკებს დიქტატორები უწოდეს. ევროკავშირის ქვეყნებს უდავოდ სჭირდებათ სუვერენიტეტი და კლიტეები საზღვრებზე.**

იტალიელებს მხურვალედ დაუჭირეს მხარი ფრანგმა და ნიდერლანდელმა ნაციონალისტებმა. ისმოდა „ბრიუსელზე წასვლის" მოწოდებებიც კი.

**ექსპერტები ევროპარლამენტის არჩევნებზე ევროატლანტიკური ინტეგრაციის მომხრეთა დამარცხებას ელიან. მათი ვარაუდით, 766 მანდატიდან 40% შეიძლება ერგოთ პარტიებს, რომლებიც ამერიკასთან მეგობრობის წინააღმდეგნი არიან.**

ანტიამერიკანიზმის ლოკომოტივია ფრანგული „ნაციონალური ფრონტი", ნიდერლანდური „პარტია თავისუფლებისთვის" კი — მისი მომხრე. ულტრამემარჯვენეთა ბლოკში ასევე შედის ბელგიური „ფლამანდური ინტერესი" და „ალიანსი ავსტრიის მომავლისთვის".

ანალიტიკოსები მიიჩნევენ, რომ **ნაციონალისტების**



**პარტიებს შეუძლიათ, საერთოევროპულ დონეზე მძლავრი ფრაქციათშორისი დაჯგუფება შექმნან.**

**სნოუდენის მხილებების შემდეგ გერმანელთა მხოლოდ 3% მიიჩნევს, რომ აშშ შეიძლება კვლავაც დარჩეს გერმანიის მოკავშირე, 60% კი თვლის, რომ ამერიკის ნდობა არ შეიძლება. გერმანელთა ნახევარი არ ენდობა ამერიკის პრეზიდენტს და 82% დარწმუნებულია, რომ ამერიკული სპეცსამსახურები გერმანელების თვალთვალს განაგრძობენ.**

Debating Europe-ის თავმჯდომარე ადამ ნაიმანმა ინტერვიუში აღიარა, რომ, თუ ევროსკეპტიკოსი დეპუტატები შეადგენენ პარლამენტში 25%-ზე მეტს, სიტუაცია „საკმაოდ რთული" იქნება.

სხვათა შორის, **ნაციონალისტური ევროპარლამენტი, შესაძლოა, ბრიუსელისთვისაც სერიოზულ თავისტკივილად იქცეს.** დეპუტატები შეძლებენ ბრიუსელის ნებისმიერი გადაწყვეტილების დაბლოკვას. და თუ გავითვალისწინებთ, რომ მარინ ლე პენი ევროპის მხოლოდ ეგრეთ წოდებული ფედერალიზაციის იდეის წინააღმდეგ კი არ გამოდის, არამედ საერთოდ ევროკავშირის წინააღმდეგია, **ევროპარლამენტის ახალი შემადგენლობა, შესაძლოა, პირველ ლურსმნად იქცეს იმ კავშირის კუბოს თავსახურში, რომლის შესახებაც 1990-იანი წლების დასაწყისში ასეთი აღფრთოვანებით იუწყებოდა მასმედია.**

topwar.ru

ბესტსელერი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დღეს ადამიანებს ჰგონიათ, რომ ისინი კარგად ინფორმირებულნი არიან, მაგრამ მათ ვერ წარმოუდგენიათ, რომ აზრი, რომელიც მათ თავისად მიაჩნიათ, ფაქტობრივად, ამერიკის კვლევით ინსტიტუტებსა და გონებრივ ცენტრებში არის შექმნილი და არც ერთ მათგანს არ აქვს უფლება, გააჩნდეს საკუთარი აზრი იმ ინფორმაციულ ნაკადში, რომელსაც ჩვენ მედია და „პოლსტერები“ გვატეხენ თავს.**

ჯონ კოლემანი

# «300-თა კომიტეტი»

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №1-9 (236-244)

**HUMRO-ს საქმიანობის ერთ-ერთი სფეროა სტრესულ სიტუაციებში მცირე ჯგუფების შესწავლა. ის ასწავლის სამხედროებს, რომ ჯარისკაცი, უბრალოდ, თავისი აღჭურვილობის გაგრძელებაა; მან დიდი გავლენა მოახდინა „ადამიანი-იარაღის“ და „ადამიანური თვისებების მართვის“ სისტემების შემუშავებაზე, რომლებიც აშშ-ის ჯარში ფართოდ გამოიყენება.**



**ბევრი რამ, რასაც ჩვენ გაზეთებში ვკითხულობთ ან ტელევიზორში ვხედავთ, თავიდანვე იფილტრება საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელი კომპანიების მიერ. ჩვენ ვხედავთ მხოლოდ იმას, რისი დანახვის უფლებასაც «პოლსტერები» გვაძლევენ. ამას ჰქვია «საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბება»**

HUMRO-ს უძლიერესი გავლენა აქვს ჯარში ქცევაზე. ცნობიერების დათრგუნვის მისი მეთოდები პირდაპირ ტავისტოკიდან იღებს სათავეს. სავარაუდოა, რომ **HUMRO-ს გამოყენებითი ფსიქოლოგიის კურსებმა უნდა შეასწავლოს სამხედრო ხელმძღვანელობას, თუ როგორ აიძულონ ადამიანები, იმუშაონ, როგორც იარაღი.** ამის საჩვენებელ მაგალითად გამოდგება ის ფაქტი, რომ **ერაყთან ომის დროს ჯარისკაცებმა სიამოვნებით გაუწიეს იგნორირება თავიანთ საველე წესდებებს და 12 ათასი ერაყელი ჯარისკაცი ცოცხლად დამარხეს.**

ტვინის გამორეცხვის ეს სახეობა ძალიან საშიშია, რადგანაც დღეს იგი ჯარში გამოიყენება. ჯარი იყენებს მას, რათა მხეცურად გაანადგუროს ათასობით „მტრული“ ჯარისკაცი, ხოლო ხვალ ჯარს ეტყვიან, რომ „მტრებს“ წარმოადგენენ სამოქალაქო მოსახლეობის ჯგუფები, რომლებიც ხელისუფლების პოლიტიკის წინააღმდეგ არიან განწყობილი. **ჩვენ უკვე ახლა წარმოვადგენთ ტვინგამორეცხილი ცხვრების უგონო ფარას და მაინც აღმოჩნდა, რომ HUMRO-ს შეუძლია კიდევ ერთი ნაბიჯით წინ წაიწიოს ცნობიერების დათრგუნვასა და მართვაში. HUMRO არის ტავისტოკის ღირებული დანამატი და მისი ბევრი რეკომენდაცია სპარსეთის ყურეში ომის დროს გამოიყენეს.** ეს მნიშვნელოვნად გვიადვილებს იმის შეგნებას, თუ რატომ იქცეოდნენ ამერიკელი ჯარისკაცები დაუნდობელი და უგულო მკვლელებივით, რაც არანაირად არ ეწერებოდა ამერიკელი მებრძოლის ტრადიციულ კონცეფციაში.

## „კვლევითი და ანალიტიკური კორპორაცია“ (RESEARCH ANALYSIS CORPORATION)

„1984“ წიგნის ჟანრის ეს ორგანიზაცია — HUMRO-ს ტყუპისცალი — მდებარეობს ვირჯინიის შტატის ქალაქ მაკლინში. 1948 წელს დაარსებული, „300-თა კომიტეტის“ კონტროლქვეშ 1961 წელს გადავიდა, როდესაც ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტის ნაწილი გახდა. კორპორაცია 600-ზე მეტ პროექტს ამუშავებდა, მათ შორის, ზანგების ინტეგრაციაზე ჯარში, ბირთვული იარაღის ტაქტიკურ გამოყენებაზე, ფსიქოლოგიური ომის წარმოების პროგრამასა და მოსახლეობის მასების მართვაზე.

რა თქმა უნდა, არსებობს კიდევ ბევრი გონებრივი ცენტრი და მათ უმრავლესობას წიგნში განვიხილავთ. **თანამშრომლობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სფერო გონებრივ ცენტრებსა და იმას შორის, რაც შემდეგ სახელმწიფო და საზოგადოებრივ პოლიტიკად იქცევა, არის „პოლსტერები“ — საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელი კომპანიები.** სწორედ ეს კომპანიები ქმნიან საზოგადოებრივ აზრს იმ სახით, როგორც ეს შეთქმულებს სჭირდებათ. **ტელეკომპანიები — CBS, NBC, ABC, გაზეთები „ნიუ იორკ თაიმსი“, „ვაშინგტონ პოსტი“ მუდმივად ამუშავებენ ამომრჩეველს.** ამ ძალისხმევის უდიდესი ნაწილის კოორდინირებას „საზოგადოებრივი აზრის კვლევითი ეროვნული ცენტრი“ ახდენს, სადაც, ბევრი ჩვენგანის გასაკვირად, შემუშავებულია ფსიქოლოგიური შაბლონი მთელი ერისთვის.

მიღებული ინფორმაცია შედარებითი შეფასებისთვის კომპანიების — „გელაპ პოლისა“ (Gallup Poll) და „იანკელოვიჩ, სკელი და უაიტის“ (Yankelovich, Skelley and White) კომპიუტერებში იტვირთება. **ბევრი რამ, რასაც ჩვენ გაზეთებში ვკითხულობთ ან ტელევიზორში ვხედავთ, თავიდანვე იფილტრება საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელი კომპანიების მიერ. ჩვენ ვხედავთ მხოლოდ იმას, რისი დანახვის უფლებასაც „პოლსტერები“ გვაძლევენ.** ამას ჰქვია **„საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბება“.** ასეთი სოციალური დამუშავების მთელი აზრი იმაშია, რომ გაიგონ, როგორც რეაგირებს საზოგადოება „300-თა კომიტეტის“ მიერ დადგენილ პოლიტიკურ დირექტივებზე. ჩვენ გვიწოდებენ **„მოსახლეობის მიზნობრივ ჯგუფებს“,** ხოლო „პოლსტერები“ აფასებენ ჩვენი წინააღმდეგობის ხარისხს იმის მიმართ, რაც „საღამოს ახალ ამბებში“ გადის. შემდეგში ჩვენ გაჩვენებთ, თუ როგორ იქნა მოყვანილი მოქმედებაში ეს ცრუ პრაქტიკა და ვინ აგებს პასუხს მასზე.

ეს ყველაფერი ტავისტოკში საგულდაგულოდ შემუშავებული საზოგადოებრივი აზრის ფორმირების პროცესის ნაწილია. **დღეს ადამიანებს ჰგონიათ, რომ ისინი კარგად ინფორმირებულნი არიან, მაგრამ მათ ვერ წარმოუდგენიათ, რომ აზრი, რომელიც მათ თავისად მიაჩნიათ, ფაქტობრივად, ამერიკის კვლევით ინსტიტუტებსა და გონებრივ ცენტრებში არის შექმნილი და არც ერთ მათგანს არ აქვს უფლება, გააჩნდეს საკუთარი აზრი იმ ინფორმაციულ ნაკადში, რომელსაც ჩვენ მედია და „პოლსტერები“ გვატეხენ თავს.**

საზოგადოებრივი აზრის ფორმირება ხელოვნებად იქცა აშშ-ის მეორე მსოფლიო ომში ჩართვის წინ. ამერიკელები, რომლებიც საკუთარ თავსაც კი არ იცნობდნენ, აიძულეს, შეეხედათ გერმანიისა და იაპონიისთვის, როგორც საშიში მტრებისთვის, რომელთა შეჩერებაც აუცილებელი იყო. გარკვეულწილად ეს სწორიც იყო და ეს მით უფრო საშიშს ხდის მართვად აზროვნებას, რადგანაც იმ ინფორმაციის შედეგად, რომელსაც ხალხს აწვდიდნენ, გერმანია და იაპონია მართლაც მტრებად იქცნენ. სულ ცოტა ხნის წინათ ჩვენ დავინახეთ, როგორ კარგად მუშაობს ცნობიერების დამუშავების პროცესი, როდესაც ამერიკელები აიძულეს, მიეღოთ ერაყი, როგორც საფრთხე, ხოლო სადამ ჰუსეინი — როგორც შეერთებული შტატების პირადი მტერი.

ცნობიერების დამუშავების ასეთი პროცესი ტექნიკურად შეიძლება აღიწეროს, როგორც **„შეტყობინება, რომელიც აღწევს იმ პირთა აღქმის ორგანოებს, რომლებზეც უნდა მოხდეს ზემოქმედება“.** ერთ-ერთი ყველაზე პატივცემული „პოლსტერი“ გახლავთ „300-თა კომიტეტის“ წევრი დანიელ იანკელოვიჩი, კომპანიიდან „იანკელოვიჩი, სკელი და უაიტი“. **იანკელოვიჩი სიამაყით უცხადებს თავის სტუდენტებს, რომ „საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვები“ საზოგადოებრივი აზრის მანიპულაციის ინსტრუმენტია, თუმცა აქ იგი ორიგინალური არაა. იანკელოვიჩმა ეს იდეა ჯონ ნეისბიტის (Naisbitt) წიგნში „მოხსენება ტენდენციების შესახებ“ (Trend Report) ამოიკითხა, რომელიც „რომის კლუბის“ მიერ იყო შეკვეთილი.**

ამ წიგნში ნეისბიტი აღწერს მეთოდებს, რომლებიც „300-თა კომიტეტისთვის“ სასურველი საზოგადოებრივი აზრის ფორმირებისთვის გამოიყენება. **ახალი საზოგადოებრივი აზრი აბსოლუტურად ყველა საკითხზე შეიძლება შეიქმნას და გავრცელდეს მთელ მსოფლიოში სულ რაღაც ორ კვირაში.**

**სწორედ ეს მოხდა, როდესაც მათ მსახურ, ჯორჯ ბუშს ერაყთან ომის დაწყება უბრძანეს.** ორი კვირის მანძილზე არა მხოლოდ აშშ, არამედ თითქმის მთელი მსოფლიოც მომართულ იქნა ერაყისა და მისი პრეზიდენტის — სადამ ჰუსეინის წინააღმდეგ. **მედიის ეს დირიჟორები და მანიპულატორები პირდაპირ ემორჩილებიან „რომის კლუბს“. იგი, თავის მხრივ, „300-თა კომიტეტს“ ემორჩილება, რომლის სათავეშიც ინგლისის დედოფალია.** ეს უკანასკნელი მართავს ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულ კორპორაციებს, რომლებიც არასოდეს იხდიან გადასახადებს და არავის წინაშე არ არიან ანგარიშვალდებულნი; ისინი აფინანსებენ თავიანთ კვლევით დაწესებულებებს ფონდების მეშვეობით, რომლებიც თითქმის მთლიანად მართავენ ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებას.

**თავის ურთიერთდაკავშირებულ კომპანიებთან, სადაზღვევო ბიზნესთან, ბანკებთან, ფინანსურ კორპორაციებთან, ნავთობის კომპანიებთან, გაზეთებთან, ჟურნალებთან, რადიოსთან და ტელევიზიასთან ერთად, ეს გიგანტური აპარატი, პირდაპირი მნიშვნელობით, კისერზე მოაჯდა შეერთებულ შტატებს და მთელ დანარჩენ მსოფლიოს.** ვაშინგტონში არ არის არც ერთი პოლიტიკოსი, რომელიც ასე თუ ისე არ მიეკუთვნებოდეს მას. მემარცხენეები ლანძღავენ მას და „იმპერიალიზმს“ ეძახიან. ეს მართლაც ასეა, მაგრამ მემარცხენეებს მართავს ის ხალხი, რომელიც მართავს მემარჯვენეებს. ასე რომ, მემარცხენეები ჩვენზე თავისუფლები არ არიან!

მეცნიერებს, რომლებიც დაკავებულები არიან ცნობიერების დამუშავებით, **„სოციალური ინჟინრები“** ან **„ახალი სოციალური მეცნიერების სპეციალისტები“** ჰქვიათ. ისინი საკმაოდ მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ იმაზე, რასაც ჩვენ ვხედავთ, გვესმის და ვკითხულობთ. **სოციალური ინჟინრების ძველ სკოლას წარმოადგენდნენ კურტ კ. ლევინი, პროფესორი ჰედლი კანტრილ (Hadley Cantril), მარგარეტ მიდი (Margaret Meade), პროფესორი დერვინ კარტრაიტი (Derwin Cartwright) და პროფესორი ლიპსიტი (Lipssitt), რომლებმაც ჯონ როულინგზ რიზთან ერთად, „ტავისტოკის ინსტიტუტში“ „ახალი მეცნიერების სპეციალისტების“ ბირთვი შეადგინეს.**

მეორე მსოფლიო ომის დროს კურტ ლევინის ხელმძღვანელობით 100 მკვლევარზე მეტი მონურად აკოპირებდა ესესელი რეინჰარდ გეიდრიჰის მეთოდებს. უსს გეიდრიჰის მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით შეიქმნა და, როგორც ვიცით, უსს ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს წინამორბედი იყო. ამ ყველაფრის აზრი ისაა, რომ **ბრიტანეთისა და აშშ-ის მთავრობებს უკვე გააჩნიათ მექანიზმი, — ჩვენი მხრიდან დიდი წინააღმდეგობის გარეშე მიგვიყვანონ ახალ მსოფლიო წესრიგამდე და ეს მექანიზმი ჯერ კიდევ 1946 წლიდან არსებობს, უბრალოდ, ყოველწლიურად უმჯობესდება.**

სწორედ „300-თა კომიტეტმა“ შექმნა კონტროლის აქამდე არნახული მექანიზმები და ქსელები. ჩვენი მორჩილებაში ყოფნისთვის არაა საჭირო ჯაჭვი და თოკი. ჩვენი შიში იმისა, თუ რა შეიძლება მოხდეს, ბევრად უფრო ▶

**ახალი საზოგადოებრივი აზრი აბსოლუტურად ყველა საკითხზე შეიძლება შეიქმნას და გავრცელდეს მთელ მსოფლიოში სულ რაღაც ორ კვირაში. სწორედ ეს მოხდა, როდესაც მათ მსახურ, ჯორჯ ბუშს ერაყთან ომის დაწყება უბრძანეს**

**„რომის კლუბმა“ უკვე დაასრულა ბარბაროსობაზე გადასვლა. იმის ნაცვლად, რომ ველოდოთ, თუ როდის „აგვამაღლებენ ცაში“, ჩვენ უნდა შევაჩეროთ „300-თა კომიტეტი“, ვიდრე იგი თავის მიზანს მიაღწევს და „ახალი ბნელი საუკუნის“ პატიმრებად გვაქცევს. არ უნდა გვქონდეს ღმერთის იმედი, საკუთარი თავის იმედად უნდა ვიყოთ. ჩვენ აუცილებელი ზომები უნდა მივიღოთ.**

ბესტსელერი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# ერაყთან ომის დროს ჯარისკაცებმა სიამოვნებით გაუწიეს იგნორირება თავიანთ საველე წესდებებს და 12 ათასი ერაყელი ჯარისკაცი ცოცხლად დამარხეს

◀ ეფექტურია, ვიდრე შეზღუდვის ნებისმიერი ფიზიკური ხერხი. ჩვენ ტვინი გამოგვირეცხეს, რათა უარი გვეთქვა იარაღის ტარების კონსტიტუციურ უფლებაზე; იმისთვის, რომ გველალატა თვით ჩვენი კონსტიტუციისთვის; რათა გაეროსთვის ჩვენი საგარეო პოლიტიკის, ხოლო საერთაშორისო სავალუტო ფონდისთვის ჩვენი საგადასახადო და მონეტარული პოლიტიკის კონტროლის უფლება მიგვეცა; რათა ჩვენ უფლება მიგვეცა პრეზიდენტისთვის, დაუსჯელად დაერღვია კანონი, შეჭრილიყო სხვა ქვეყანაში და გაეტაცებინა მისი სახელმწიფოს მეთაური. მოკლედ, **იმდენად გამოგვირეცხეს ტვინი, რომ ჩვენ, როგორც ერი, შეკითხვის გარეშე გადავყლაპავთ ყველანაირ უკანონო აქტს, რომელსაც ჩვენი ხელისუფლება შექმნის.**

რაც შემეხება მე, ვიცი, რომ მალე მოგვიწევს ბრძოლა იმისთვის, რომ კომიტეტის კლანჭებს ჩვენი ქვეყანა გამოვგლიჯოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში მას სამუდამოდ დავკარგავთ. მაგრამ, როდესაც საქმე აქამდე მივა, ბევრი აიღებს ხელში იარაღს? 1776 წელს მოსახლეობის მხოლოდ 3%-მა აიღო იარაღი მეფე გეორგ მესამის წინააღმდეგ. დღეს 3% სრულიად არ იქნება საკმარისი. **ჩვენ არ უნდა მივცეთ უფლება, შეგვიყვანონ ჩიხში, რადგანაც ზუსტად ამას გეგმავენ ჩვენთვის ისინი, ვინც მანიპულირებს ჩვენი გონებით, გვაჯახებს ისეთ რთულ პრობლემებს, რომ ჩვენ, უბრალოდ, ველარ ვუძლებთ და ვუთმობთ ყველგან შეღწევად ზეწოლას და საერთოდ გავურბივართ ბევრი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტას.**

ჩვენ დავასახელებთ მათ, ვინც შედის „300-თა კომიტეტში“, მაგრამ მანამდე აუცილებელია კომიტეტის კონტროლქვეშ მყოფი ყველა მნიშვნელოვანი დაწესებულების, კომპანიისა და ბანკის მჭიდრო და რთული ურთიერთკავშირების განხილვა. ჩვენ მკაფიოდ უნდა მივუთითოთ მათზე, რადგან სწორედ ეს ხალხი წყვეტს, ვინ იცოცხლოს და ვინ განადგურდეს, როგორც „უსარგებლო მუქთამჭამელი“; ისინი წყვეტენ, სად ვილოცოთ, რა ჩავიცვათ და რა ვჭამოთ. **ბჟეზინსკის თანახმად, ჩვენ უნდა ვიყოთ მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ 365 დღე წელიწადში დღეიდან უკუნისამდე.**

ყოველწლიურად სულ უფრო მეტი ხალხი ხვდება, რომ ჩვენ შიგნიდან გვიღალატეს და ეს კარგია, რადგანაც მხოლოდ ცოდნის (knowledge) წყალობით, ხოლო ეს სიტყვა რწმენიდან (belief) მოდის, ჩვენ შევძლებთ კაცობრიობის მტრის დამარცხებას. **ვიდრე ჩვენი ყურადღება კრემლის აჩრდილებზე გადაჰქონდათ, „ტროას ცხენმა“ ვაშინგტონში დაიკავა პოზიცია. დღეს ყველაზე დიდი საფრთხე თავისუფალ ხალხს არა მოსკოვიდან, არამედ ვაშინგტონიდან ემუქრება.** ჩვენ ჯერ შიდა მტერი უნდა დავამარცხოთ და მხოლოდ ამის შემდეგ ვიქნებით საკმაოდ ძლიერი იმისთვის, რომ ორგანიზება გავუწიოთ კომუნიზმისა და მთელი მისი თანმხლები „იზმების“ პირისაგან მიწისა აღსაგველად.

კარტერის ადმინისტრაციამ დააჩქარა ჩვენი ეკონომიკისა და სამხედრო ძლიერების ნგრევა; ეს უკანასკნელი „რომის კლუბისა“ და „ლუცის ტრასტის“ (Lucis Trust) წევრმა, რობერტ ს. მაკნამარამ წამოიწყო. თავისი დაპირებების მიუხედავად, რეიგანმა გააგრძელა ჩვენი ინდუსტრიული ბაზის ნგრევა იმ ადგილიდან, სადაც კარტერმა დაასრულა. თუმცა აუცილებელია ჩვენი თავდაცვითი პოტენციალის სათანადო დონეზე შენარჩუნება, ჩვენ ვერ შევძლებთ ამის გაკეთებას სუსტი ინდუსტრიული ბაზის პირობებში; **კარგად განვითარებული სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის გარეშე ჩვენ ვერ შევძლებთ, ვიქონიოთ სიცოცხლისუნარიანი თავდაცვის სისტემა. „300-თა კომიტეტს“ ესმის ეს და 1953 წლიდან აამოქმედა ნულოვანი ზრდის პოსტინდუსტრიული პოლიტიკა, რომელიც ახლა გაფურჩქვნის ხანაშია.**

**„რომის კლუბის“ წყალობით ჩვენი ტექნოლოგიური პოტენციალი იაპონიისა და გერმანიის დონეზე დაბლა დაეცა — იმ ქვეყნების, რომლებიც ჩვენ მეორე მსოფლიო ომში დავამარცხეთ.** როგორ მოხდა ეს? დოქტორ ალექსანდრ კინგის მსგავსი ხალხისა და ჩვენი გონების დაბრმავებული მდგომარეობის გამო ჩვენ ვერ მოვახერხეთ, თავის დროზე გაგვეცნობიერებინა ჩვენი განათლებისა და სწავლების სისტემის ნგრევა. ჩვენი სიბრმავის შედეგად ჩვენ აღარ ვზრდით საკმაო რაოდენობის ინჟინრებსა და მეცნიერებს, რათა მსოფლიოს ინდუსტრიულ ქვეყნებს შორის შევინარჩუნოთ ადგილი. **დოქტორ კინგის, ანუ იმ ადამიანის წყალობით, რომელსაც ამერიკაში ძალიან ცოტა თუ იცნობს, აშშ-ის განათლება 1786 წლიდან ყველაზე დაბალ დონეზეა.**

ის, რასაც ჩვენ ახლა ვაწყდებით, არის იმ საფუძვლების ნგრევა, რომლებზეც დგას ჩვენი რესპუბლიკა, ქმნის სიცარიელეს, რომელსაც ყველა ჯურის ოკულტისტი და სატანისტი თავისი სულიერი სუროგატებით შესავსებად მიეტანენ. ეს ჭეშმარიტება რთული აღსაქმელი და შესაფასებელია, იმიტომ, რომ ეს უეცრად არ მომხდარა. ჩვენ რომ უეცარი დარტყმა, კულტურული და რელიგიური შოკი მიგველო, ჩამოვიფერთხავდით საკუთარ აპათიას.

მაგრამ ეტაპობრიობა — და ამაშია ფაბიანისტობის არსი — არ იძლევა განგაშის ატეხვის შესაძლებლობას. მას შემდეგ, რაც ამერიკელების უდიდეს უმრავლესობას არ შეუძლია ჩემ მიერ აღწერილში მოტივაციის დანახვა, ამიტომაც შეთქმულებას უყურადღებოდ და ხშირად დამცინავადაც ეპყრობიან. ქვეყანაში დამაბნეველი სიტუაციაა, შექმნილია ადამიანებისთვის ყოველდღიურად ასობით შესაძლებლობის შეთავაზების გზით, რომელთაგანაც მათ ყველაზე სარფიანი უნდა აირჩიონ. ჩვენ მივედით ისეთ სიტუაციამდე, რომ, **თუ მოტივაცია არ იქნება საკმაოდ ნათლად გამოხატული, ყველანაირი ინფორმაცია უარყოფილი იქნება.**

ეს ერთდროულად შეთქმულთა ჯაჭვის სუსტი და ძლიერი რგოლია. **ადამიანების უმრავლესობა უარყოფს ყველაფერს, რაშიც არ იგრძნობა გასაგები მოტივები, ამიტომ შეთქმულები თავს სრულიად უსაფრთხოდ გრძნობენ და დასცინიან მათ, ვინც მიუთითებს მომავალ კრიზისზე ჩვენს სახელმწიფო და პირად ცხოვრებაში.** თუმცა, თუ ჩვენ შევძლებთ სიმართლის მიტანას საკმაოდ ბევრ ადამიანამდე, ცნობიერების მოტივაციური ბლოკი შესუსტდება, ვიდრე საბოლოოდ არ განადგურდება, რადგანაც სულ უფრო მეტი ადამიანი ეზიარება სიმართლეს, ხოლო გავრცელებული გამოთქმა, რომ „ამერიკაში ეს შეუძლებელია“, ძალას დაკარგავს.

„300-თა კომიტეტი“ ჩვენს მოუხერხებელ რეაქციაზე აკეთებს გათვლას, მიმართავს მას მის მიერვე შექმნილ მოვლენებზე და მანამ იმედები არ გაუცრუვდება, ვიდრე ჩვენ, როგორც ერი, ისე ვიმოქმედებთ, როგორც ახლა. ჩვენ უნდა ვაქციოთ ჩვენი რეაქცია შექმნილ კრიზისებზე ადეკვატურ პასუხებად შეთქმულთა და მათი გეგმების გამოვლენის გზით, ისე, რომ ყველაფერი საზოგადოებისთვის ცნობილი გახდეს. **„რომის კლუბმა“ უკვე დაასრულა ბარბაროსობაზე გადასვლა. იმის ნაცვლად, რომ ველოდოთ, თუ როდის „აგვამაღლებდნენ ცაში“, ჩვენ უნდა შევაჩეროთ „300-თა კომიტეტი“, ვიდრე იგი თავის მიზანს მიაღწევს და „ახალი ბნელი საუკუნის“ პატიმრებად გვაქცევს. არ უნდა გვქონდეს ღმერთის იმედი, საკუთარი თავის იმედად უნდა ვიყოთ. ჩვენ აუცილებელი ზომები უნდა მივიღოთ.**




# ბრიტანეთისა და აშშ-ის მთავრობებს უკვე გააჩნიათ მექანიზმი, რათა ჩვენი მხრიდან დიდი წინააღმდეგობის გარეშე მიგვიყვანონ ახალ მსოფლიო წესრიგამდე და ეს მექანიზმი ჯერ კიდევ 1946 წლიდან არსებობს, უბრალოდ, ყოველწლიურად უმჯობესდება

მთელი ინფორმაცია, რომელსაც მე ამ წიგნში წარმოგიდგენთ, მიღებულია მრავალწლიანი კვლევების შედეგად, რომლებიც უნაკლო სადაზვერვო წყაროებს ეყრდნობა. აქ არაფერია გაზვიადებული. ყველაფერი სრულიად ზუსტია და ფაქტებით არის გამყარებული, ამიტომ ნუ დაუჯერებთ მტრის ინსინუაციებს, რომ თითქოს ეს „დეზინფორმაციაა“. ბოლო ორი ათწლეულის მანძილზე მე წარმოვადგინე ინფორმაცია, რომელიც აღმოჩნდა გამორჩეულად ზუსტი და ბევრ საიდუმლო მოვლენას ხსნიდა. ვიმედოვნებ, რომ ეს წიგნი შესაძლებელს გახდის შეთქმულთა ძალების ბევრად უკეთეს, ბევრად ნათელ, ბევრად ფართო გაცნობიერებას. ეს იმედი ხორციელდება, რადგანაც სულ უფრო მეტი ახალგაზრდა იწყებს კითხვების დასმას და სიმართლის ძიებას, თუ რა ხდება სინამდვილეში.

ადამიანებისთვის რთული აღსაქმელია, რომ ეს შეთქმულნი რეალურად არსებობენ და ფლობენ იმ ძალაუფლებას, რომელსაც მე და სხვები მათ მივაწერთ. ბევრი წერდა და სვამდა კითხვას, თუ რატომ არ აკეთებს ჩვენი ხელისუფლება არაფერს იმისთვის, რომ აღმოფხვრას ცივილიზაციის ეს საშინელი საფრთხე. **სირთულე იმაშია, რომ ჩვენი ხელისუფლება პრობლემის ნაწილია, შეთქმულების ნაწილია და არსად და არასოდეს ეს არ იყო ისე ნათელი, როგორც ბუშის პრეზიდენტობის დროს. რა თქმა უნდა, პრეზიდენტმა ბუშმა ზუსტად იცის, თუ რას აკეთებს „300-თა კომიტეტი“ ჩვენთვის. ბუში მასზე მუშაობს. სხვები წერდნენ: „ჩვენ გვეგონა, რომ ვებრძოდით ხელისუფლებას“. რა თქმა უნდა, ეს ასეა, მაგრამ ხელისუფლების უკან იმდენად ძლიერი და ყველაფრისმომცველი ძალა დგას, რომ დაზვერვის სამსახურებს „ოლიმპიელების“ ხსენებისაც კი ეშინიათ.**

„300-თა კომიტეტის“ არსებობას ამტკიცებს ის, რომ მასში დიდი რაოდენობითაა გაერთიანებული მძლავრი დაწესებულებები, რომლებიც მის მიერ იმართებიან. აქ რამდენიმე ყველაზე მნიშვნელოვანი მათგანია ჩამოთვლილი; ყველაზე მაღლა დგას ყველა გონებრივი ცენტრისა და კვლევითი დაწესებულების დედა – **„ადამიანურ ურთიერთობათა ტავისტოკის ინსტიტუტი“,** ასობით ფილიალის ფართო ქსელით.

გაგრძელება შემდეგ ნომერში



# «ფეისბუქის» დამფუძნებელმა ბარაკ ობამას სთხოვა, ინტერნეტ-ჯაშუშობას თავი დაანებოს

**სოციალური ქსელის „ფეისბუქის“ დამფუძნებელმა მარკ ცუკერბერგმა აშშ-ის პრეზიდენტ ბარაკ ობამას დაურეკა, რათა უკმაყოფილება გამოეთქვა ამერიკის ხელისუფლების მიერ ინტერნეტში განხორციელებული თვალთვალის გამო.**

ცუკერბერგმა სოციალურ ქსელში დაწერა, რომ აშშ-ის ხელისუფლებამ „საფრთხე კი არ უნდა შეუქმნას ინტერნეტს, არამედ უნდა იზრუნოს მის მომავალზე“.

ცუკერბერგმა ეს განცხადება მას შემდეგ გაავრცელა, რაც ედვარდ სნოუდენმა გამოაქვეყნა კიდევ რამდენიმე სკანდალური დოკუმენტი, რომლებიდანაც ჩანს, რომ აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოების სააგენტომ შექმნა სერვერი, რომელიც შენიღბულია „ფეისბუქის“ სერვერის ნიღბის ქვეშ და რომლის დახმარებითაც ინტერნეტმომხმარებელთა კომპიუტერში შეღწევა შეუძლიათ.

**„როდესაც ჩვენი სპეციალისტები მუხლჩაუხრელად მუშაობენ უსაფრთხოების ზომებზე, წარმოვიდგენთ, რომ თავს ვიცავთ დამნაშავეებისგან და არა ჩვენი ხელისუფლებისგან“,** — წერს მარკ ცუკერბერგი „ფეისბუქში“.



# 2 წლის ბიჭმა საბავშვო ბაღში ჰეროინის 48 პაკეტი მიიტანა

**ნიუ-ჯერსის შტატის ქალაქ პატერსონში უპრეცედენტო შემთხვევა მოხდა: საბავშვო ბაღში 2 წლის ბავშვს ქურთუკში ჰეროინის 48 პაკეტი უპოვეს.**

ამ დღეს ბიჭი საბავშვო ბაღში მამამ, 27 წლის ფილპ იანგმა, მიიყვანა. საბავშვო დაწესებულების თანამშრომელმა, როგორც კი ბავშვის ქურთუკის შიგა ჯიბეში ნარკოტიკი იპოვა, პოლიციაში დარეკა.

ბავშვის მამა დაპატიმრებულია.

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ცხადია, გაცილებით უკეთესი იქნებოდა ნაშრომის განხილვა უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოზე, სადაც გვერდებს მივყვებოდით და ავტორ-რედაქტორისა და გამომცემლობის მესვეურებთან ერთად გავაანალიზებდით ყველა საკითხს, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს არ მოხერხდა.**

# როცა პარლამენტის კულტურის კომიტეტს არ აინტერესებს... კულტურის საკითხები, ანუ ვინ და რატომ ბლოკავს რუსთაველის პრემიის ლაურეატის ნაშრომის საჯარო განხილვას

დასასრული. დასაწყისი იხ. №9 (244)



**ახლა კი შეპირებული მინილექსიკონები და რატომ სწორედ ამ ფორმით? მონოგრაფია ისეა დახუნძლული ორთოგრაფიული შეცდომებითა თუ ხარვეზებით, რომ ყველა მათგანზე ნამდვილად ვერ ვისაუბრებთ, მით უმეტეს, საგაზეთო სტატიის ფორმატში, მაგრამ, ამავე დროს, რაკი აქ მისი უდიდებულესობა სტუდენტის ინტერესი იკვეთება, აუცილებელი იყო მათი სრული (შესაძლებლობის ფარგლებში) აღნუსხვა მაინც და ამაზე ფიქრში ჩემში უცებ იფეთქა გურულმა ხასიათმა (აბა, სერიოზულად მტერმა უყურა თანამედროვე ქართულ თეატრალურ საგამომცემლო სივრცეში დასადგურებულ განუკითხაობას, რომლის ეტალონი შოკის მომგვრელი რეალობაა — ამ სივრცის მეუფეთ რომ აკაკი ხორავა ვერ განურჩევიათ აკაკი ვასაძისაგან, ანუ, უფრო ნათლად, ოტელო — იაგოსაგან!) და გადავწყვიტე, რაკი სხვა გზა აღარაა, მოდი, ამ სიბერისას ბარემ ლექსიკოგრაფიასაც შევეწევი-მეთქი ცოტას. ასე აღმოჩნდა, ძვირფასო მკითხველო, თქვენ წინაშე ჩემი, როგორც „ლექსიკოგრაფის", დებიუტი:**



### „ქართული ენის განმარტებითი მინილექსიკონი"

**რომელსაც საფუძვლად დაედო პროფ. ნ. გურაბანიძის წიგნი „ევროპული დრამატურგია რუსთაველის თეატრის სცენაზე" (რედაქტორი — პროფ. ვ. კიკნაძე). საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა „კენტავრი". 2012 წელი, A4 ფორმატი, 441 გვერდი. ლექსიკონი შეადგინა და კომენტარები დაურთო პროფ. გ. დოლიძემ.**

**ა**

ამ ქვეყნად (298) — **ამქვეყნად**
ამავ (119) — **ამავე**
არა ნაკლებ (435) — **არანაკლებ**
არა თუ (14, 68, 119, 195, 234, 270, 286, 293, 331, 352, 411) — **არათუ**
არცერთხელ (194) — **არც ერთხელ**
არცერთი (7, 13, 89, 97, 102, 126-128, 135, 155, 160, 165, 170, 171, 174, 194-II (ლათინური რიცხვი მიუთითებს, თუ რამდენჯერ მეორდება ეს სიტყვა აღნიშნულ გვერდზე), 198, 245, 261, 291, 327, 377, 396) — **არც ერთი**
არც თუ (88, 128, 286) — **არცთუ**
ასე რიგად (191, 144, 411) — **ასერიგად**
ახლახანს (9, 146) — **ახლახან**
აწი (165) — **ამიერიდან**

**ბ**

ბინდბუნდში (426) — **ბინდბუნდში**
ბოლოსდაბოლოს (23, 58, 86, 94, 99, 120, 134, 139, 140, 145, 165, 184, 229, 293, 324, 341, 373, 378, 441) — **ბოლოს და ბოლოს**
ბრძნეული (159) — **ბრძნული**

**გ**

გავს (19) — **ჰგავს**
გალაქტიონი (128, 205, 345) — **გალაკტიონი**
განმანთავისუფლებელი (67) — **განმათავისუფლებელი**
გმირთა-გმირი (238) — **გმირთაგმირი**
გულ-მკერდი (118) — **გულმკერდი**
„გოლდონიანა" (80) — **„გოლდონიადა"**

**დ**

და ბოლოს (85) — დაბოლოს
დამოკიდებულებამაც (345) — **დამოკიდებულებაც** (კონტექსტის მიხედვით)
დასასრულს (213) — **დასასრულ**
დაჯილდოვებული (39, 42, 118, 124, 400, 405, 411) — **დაჯილდოებული** (ანუ, „ვ" ზედმეტია)
დიდათ (105) — **დიდად**
დის შვილი (59) — **დისშვილი**
დღე და ღამ (49) — **დღედაღამ**

**ე**

ერთერთ (21, 41, 375, 377) — **ერთ-ერთ**
ერთსადაიმავე (99, 126, 201) — **ერთსა და იმავე**
ერთი უშველებელი (40) — **ერთი ვაი-უშველებელი** (კონტექსტის მიხედვით)
ერთს წუთით (48) — **ერთი წუთით**
ეხლა (136, 403) — **ახლა**
ეხლახანს (94) — **ახლახან** (ე. ი. ერთ სიტყვაში 2 შეცდომაა)

**ვ**

ვაი თუ (369, 402) — **ვაითუ**
ვერცერთი (141, 187, 202, 408) — **ვერც ერთი**
ვიღაცეებთან (165) — **ვიღაცებთან**
ვიყოვო (197) — **ვიყოო** (ეკითხება)
ვუყუჟინებთ (186) — **ვუყიჟინებთ**

**თ**

თავით-ფეხებამდე (153) — **თავით ფეხებამდე**
თავის (245) — **თავიანთ** (კონტექსტის მიხედვით)
თავისი (145) — **თავიანთი** (აქაც კონტექსტის მიხედვით)
თვითოეულ (210) — **თითოეული**
თრთოლვა (38, 62, 75, 269) — **თრთოლა** („ვ" ზედმეტია)

**ი**

იყოვოო (88, 221) — **იყოო** („ცოტა პატარა რომ იყოო")

**ლ**

ლანძღვა გინება (188) — **ლანძღვა-გინება**

**მ**

მაგიდათ (432) — **მაგიდად**
მათს (203, 372,) — **მათ**
მამაშვილის (375) — **მამაშვილის**
მეორეს მხრივ (114) — **მეორე მხრივ**
„მეტრფეთა ურთიერთობა..." (275) — რომეოსა და ჯულიეტას ურთიერთობაზეა საუბარი – ისინი, თურმე, **„მეტრფეები"** ყოფილან... **სწორედ ამაზე ხომ არ თქვა ბრძენმა, ილაპარაკე უბრალოდ, შენ ხომ საკმაოდ გონიერი ხარ საამისოდო...**
მთელს (118, 161, 187, 367) — **მთელ** (სცენაზე)
მთელ რიგ (135) — ეს არაა ქართული გამოთქმა. კონტექსტის მიხედვით უნდა შეირჩეს, ვთქვათ, **„მრავალ"** და ა.შ.
მითუმეტეს (131, 230, 275, 291, 298, 302, 329, 331, 380, 427, 437) — **მით უმეტეს**
მთრთოლვარე (22, 46, 62, 74, 171, 220, 221, 269, 275, 302, 357, 398) — **მთრთოლარე** („ვ" აქაც ზედმეტია)
მისსავე (148, 186, 210, 269-II, 353, 371) — **მისივე**
მისსივე (111) — **მისივე**
„მსხვილი პლანი" (252) — **ახლო ხედი** (კინემატოგრაფიული ტერმინია)
მიუძლვოდათ (წინ), გვ. 26 — **მიუძღოდათ** („ვ" ზედმეტია, როგორც საგანგებოდაა მითითებული ორთოგრაფიულ ლექსიკონში გვ. 353)
მოდრეკილობას (80) — **მიდრეკილებას**
მოოახლოოს (269) — **მოაახლოვოს**
მჭერმეტყველურად (405) — **მჭევრმეტყველურად** (როგორც ხაზგასმულია ორთ. ლექს. გვ. 393)

**ნ**

ნათელ-ჩრდილები (13-II) — **შუქ-ჩრდილები**
ნელნელა (392) — **ნელ-ნელა**

**ო**

ორსერიანი (131) — **ორსერიიანი**

**პ**

პირველყოვლისა (95) — **პირველ ყოვლისა**

**ჟ**

ჟრჟოლვა (79) — **ჟრჟოლა** („ვ" აქაც ზედმეტია)

**რ**

რამოდენიმე (7, 92, 117, 118, 129, 161, 240, 285, 296, 299-II, 300, 301, 310-II, 332, 383, 389) — **რამდენიმე**
რაღაცეები (157) — **რაღაცები**
რაღაცეებს (270) — **რაღაცებს**
რიგ-რიგობით (324) — **რიგრიგობით**

**ს**

სათანადოთ (433) — **სათანადოდ**
სიტყვა-სიტყვით (78) — **სიტყვასიტყვით**
სულით-ხორცამდე (79, 412) — **სულით ხორცამდე**
სხვათაშორის (45, 60, 63, 89, 105, 123, 130-II, 131, 177, 190-II, 278, 320, 327, 373, 386, 399, 417) — **სხვათა შორის**

**ტ**

ტიპიური (51) — **ტიპური**
ტყუილ-მართალით (412) — **ტყუილ-მართლით**

**უ**

უდაოდ (156) — **უდავოდ** (როგორც ხაზგასმულია ორთ. ლექს. გვ. 471)
უნებლიედ (115, 260-II, 264, 270, 353, 358, 368) — **უნებლიეთ**
(ეგ) უსინდისოვო (94) — (ეგ) **უსინდისო**
უფროდაუფრო (158) — **უფრო და უფრო**
უშველებელი (40) — **ვაი-უშველებელი** (ამ კონტექსტში)

**ფ**

ფარიკობის (40) — **ფარიკაობის**
ფეხი-ფეხზე (89) — **ფეხი ფეხზე**

**ყ**

ყოფაცხოვრების (351) — **ყოფა-ცხოვრების**
ყულუფი (383) — **ყულფი**

**შ**

შუა ღამეს (69) — **შუაღამეს**

**ჩ**

ჩემის აზრით (375) — **ჩემი აზრით**

**ც**

ცალცალკე (429) — **ცალცალკე**
ცოლქმარი (429) — **ცოლქმარი**
ციხე-სიმაგრე (9, 15, 66, 67, 79, 143, 145, 268, 368, 386) — **ციხესიმაგრე**

**ძ**

ძრწოლვა (390) — **ძრწოლა** („ვ" ისევ ზედმეტია)

**წ**

წარკვეთავენ (299) — წაკვეთავენ (თავის წაკვეთა იგულისხმება); **„წარკვეთა"** მხოლოდ სასოებაზე, იმედის დაკარგვაზე ითქმის...
წინ — 93, 109, 118, 152, 155, 201, 260, 276, 294, 375, 406-II, 412, 427, 431, 435 — როცა დროზეა საუბარი, უნდა იყოს — **„წინათ".**
წინად (117, 404, 407) — **წინათ**
წმინდათა წმინდა (101) — **წმიდათაწმიდა** (ე. ი. 3 შეცდომაა)
წმინდათა-წმინდა (431) — **წმიდათაწმიდა** (აქაც 3 შეცდომაა)
წმინდათაწმინდა (215) — **წმიდათაწმიდა** (აქ 2 შეცდომაა)

**ხ**

ხა ხა ხა! (128) — **„ჰა, ჰა, ჰა!"**
ხო (219, 244) — **„ჰო"**

**ჯ**

ჯანღონით (342) — **ჯანღონით**
ჯერ-ჯერობით (101, 321, 336, 374) — **ჯერჯერობით**
ჯერა (343-II) — **სჯერა**

**ჰ**

ჰკარნახობდა (25, 380) — „ჰ" ზედმეტა. ამას გარდა, ორთ. ლექსიკონში (გვ. 314) ხაზგასმითაა მითითებული: „კარნახობს **მას კი არა** (ხაზგასმა დედნისაა — გ.დ.) — უკარნახებს".
ჰკარგავს (350) — კარგავს.

### „უცხო სიტყვათა მინილექსიკონი"

**რომელსაც საფუძვლად დაედო პროფ. ნ. გურაბანიძის წიგნი „ევროპული დრამატურგია რუსთაველის თეატრის სცენაზე" (რედაქტორი — პროფ. ვ. კიკნაძე). საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა „კენტავრი". 2012 წელი, A4 ფორმატი, 441 გვერდი. ლექსიკონი შეადგინა და კომენტარები დაურთო პროფ. გ. დოლიძემ.**

**ა**

**აბსოლიტური** (319, 342, 425) — **აბსოლუტური**
აბსურდულობასობა (201) — **აბსურდულობა**
აბსტრაქტიული (40) — **აბსტრაქციული**
ავანტურისტი (191) — **ავანტიურისტი**
ავატურისტობისაკენ (145,

**ნატოს გაცილებით ფართო კავშირები გააჩნია როგორც მილიტარულ, ასევე ცივილურ სამყაროში, ვიდრე ეს ჩანს, რასაც ამტკიცებს ნატოს გენერალური მდივნის საუბრის ტონი უკრაინის ჯარებისადმი 20 თებერვალს მიმართვისას. ის მოუწოდებდა ჯარისკაცებს, „ნეიტრალური დარჩენილიყვნენ“, „რათა პირველი ნეგატიური ზემოქმედება არ მოხდეს ჩვენს ურთიერთობებზე“. ნატო ახლა დარწმუნებულია აღმოსავლეთისკენ გადადგმული ნაბიჯის შესაძლებლობაში და პროპაგანდისტულ კამპანიას მოძველებული ცივი ომის სტერეოტიპით აგრძელებს.**

დაიჯესტი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

191) — **ავანტიურისტობისაკენ**
ანტიპატია (175) — **ანტიპათია**
აფიორა (163, 252) — **აფერა**
„აბდერიტებზე" (64) — ეს სიტყვა თავის ბრჭყალებიანად, ანბანის მიხედვით, თავში უნდა ყოფილიყო, მაგრამ რაკი თანამედროვე ლექსიკოგრაფია მასზე დუმს, ბოლოს მივუთითე, ეგებ, მეორე გამოცემისათვის რაიმე გავარკვიო...

**ბ**

ბალანსიოროზს (182) — **ბალანსირებს**
ბალმასკარადი (311-II) — **ბალ-მასკარადი**
ბოტფორდები (122) — **ბოტფორტები**
ბრეტერი (118) — **ბრეტიორი**

**დ**

დალექტიკა (287) — **დიალექტიკა**
დეკლემატურად (122) — **დეკლამაციურად**
დეკორატიური გადაწყვეტა (14, 52, 154) — **დეკორაციული...**
დელ-არტე (41, 225) — იხ. კომედია **დელ არტე**
დიალოგი (391) — **დილოგია** (კონტექსტის მიხედვით)
დინამიური (240, 286, 355, 361, 374, 380, 417) — **დინამიკური**
დინამიურობა (286) — **დინამიკურობა**
დრამატიული (21, 438) — **დრამატული**
დუელიანტი (118, 139) — **დუელანტი**
დუელიანტობა (122, 139) — **დუელანტობა**

**ე**

ეგზემპლიარი (128, 195) — **ეგზემპლარი**
ეკონომიური (98) — **ეკონომიკური**
ელასტიური (222, 400) — **ელასტიკური** (როგორც ხაზგასმულია ორთ. ლექს. (გვ. 265)
ემოციონალური — (403) — **ემოციური**
ეფრეიტონი (289) — **ეფრეიტორი**
ექვივალენტი (75, 404) — **ეკვივალენტი**
ეროტიული (310, 432) — **ეროტიკული**
ექსტატიური (285) — **ექსტაზური**
ექსცენტრიული (191) — **ექსცენტრიკული**
ესსე (124), „ესსეისტი" (161) კი არა, არამედ: **„ესეი"** (157) და შესაბამისად — **„ესეისტი"**

**ი**

იარიუსი (143) — **იარუსი**
ილუზიონერული (187) — **ილუზიური**
ირონული (187) — **ირონიული**
ინფანტელური (185) — **ინფანტილური**
ინსიგნაციები (128) — **ინსიგნიები**
ინტუიტიური (287) — **ინტუიციური**
ისტორია (87, 217, 270, 273, 279, 293, 334-II, 342, 347, 418-II, 434) — **ამბავი** (ცხადია კონტექსტის მიხედვით

**კ**

კავალკადა (150) — უადგილოდაა ნახმარი. **„კავალკადა"** ცხენებით ჯგუფურ გასეირნებას ნიშნავს.
კათარზისი (155, 158, 190, 237) — კათარსისი (104, 158, 161)? — რა თქმა უნდა, ეს უკანასკნელი, მაგრამ ეს კიდევ არაფერი იმასთან შედარებით, თუ როგორაა „კათარსისი" თარგმნილი (გვ. 104) ქართულად — **„გაწმედა"** ანუ ამ ერთ სიტყვაში ორი შეცდომაა: უნდა იყოს **„განწმენდა"** (სულიერ განწმენდაზეა საუბარი და არა ფეხსაცმელების გაწმენდაზე...)
კარნავალური (18, 41, 147, 145, 190, 205, 225, 278-IV, 282, 283, 287, 297, 317-II, 347, 352, 371, 373, 380, 400, 403, 410) — **საკარნავალო, კარნავალისა**
კოკეტობით (287, 290) — ეს არაა ქართული სიტყვა. უნდა იყოს: **კეკლუცობით, კოპწიაობით**
კომენდიანტებისათვის (143) — **კომედიანტებისათვის** (ანუ პირველი „ნ" ზედმეტია)
კონცეტრაციის (214) — **კონცენტრაციის**
კოსმიურ (160, 191, 334, 409) — **კოსმოსურ** (როგორც ხაზგასმულია ორთ. ლექს. გვ. 323)
კოსტუმი (14, 25, 41, 44-46, 52, 91, 103, 164, 170-II, 231, 254, 290, 295, 299, 300, 303-III, 323, 341-II, 398, 404, 409) — მათ შორის ზოგჯერ (299, 303) ერთიც არის და მეორეც, ანუ სწორიც და არასწორიც) — **კოსტიუმი**
კომედია დელ'არტე (26, 41, 43, 44, 98, 100, 101, 403) — კომედია დელ'არტე (commedla dell'arte), ანუ **„ნიღბების თეატრი".**
კრეშჩენდო (55, 143) — **კრეშენდო**

**ლ**

ლაკონური (105, 185-II, 376) — **ლაკონიური**
ლაკონურობა (174, 177-179) — **ლაკონიურობა**
ლირიული (17, 65, 69, 90, 91-II, 128-II, 131, 134-II, 142, 270, 327, 355, 365, 372, 420, 425) — ლირიკული

**მ**

მასიური (31) — **მასობრივი** (კონტექსტის მიხედვით)
მაშიანურად (357) — **მაშინალურად**
მისტერიული (54) — **მისტიკური**
მისტიურ (371-II, 375, 379, 387, 417) — **მისტიკურ**

**ნ**

ნერვასტენული (51) — **ნევრასთენიული**

**პ**

პარადოქსალურობა (124) — **პარადოქსულობა,** (როგორც ხაზგასმულია ორთ. ლექს. გვ.419)
პარადოქსალური (29, 57, 64, 127, 135, 189, 190, 372, 427) — პარადოქსული (ორთ. ლექს. იქვე)
პარადოქსალურად (57, 64, 125, 127, 168, 268) — პარადოქსულად
პლასტიური (74, 96, 411, 427) — **პლასტიკური**
პლაშიანი (414, 417-II) — **პლაშჩიანი** (თეთრპლაშჩიანი)
პლიუს (169) — **პლუს**
პრემიერ მინისტრი (181-III) — **პრემიერ-მინისტრი**
პორტ-სენ-მარტინი (118) — თუ **„პორტ-სენ-მარტენი"** (119)?
პოსტ საბჭოთა (422) — **პოსტსაბჭოთა**

**რ**

რემეგტონი (128, 331) — **რემინგტონი**
რეიხსთაგი (116) — **რაიხსტაგი** (როგორც ხაზგასმულია ორთ. ლექს. გვ. 427)
რელიქვია (105) — **რელიკვია**
რომანტიული (133, 201) — **რომანტიკული**
რექვიემი (217) — **რეკვიემი**

**ს**

სენტენცებმა (215) — **სენტენციებმა**
სენტეციებით (40) — **სენტენციებით**
სიმულიანტობა (313) — **სიმულანტობა**
სუტინიორი (188) — **სუტენიორი**
სტოია (62) — **სტოა**

**ტ**

ტემპო — რიტმი (273) — **ტემპო-რიტმი**
ტიპიური (101, 212, 225, 244-II, 294-II, 381) — **ტიპური**
ტრაქტოვკა (60) — არც ესაა ქართული სიტყვა. უნდა იყოს: **გაგება, გააზრება.**
ტრაგი-კომედია (431) — **ტრაგიკომედია**

**ფ**

ფაბიოს (402) — არ არსებობს ასეთი სიტყვა. აზრობრივად, ალბათ, უნდა იყოს **„ფიაბა"** (იტალიურად — ზღაპარი)
ფამილარული (192, 248) — **ფამილიარული**
ფაქტიურად (323) — **ფაქტობრივად**
ფეერვერკული (187) — **ფეიერვერკული**
ფერიული (402) — **ფეერიული** (ამ შემთხვევაში)
ფორტისსიმო (223) — **ფორტისიმო** (გაიხსენეთ დაუვიწყარი **ეროსი მანჯგალაძის** ასეთი ბრწყინვალე შეძახილი ფილმში — „თოჯინები იცინიან")
ფოტო-სურათი (83, 126) — **ფოტოსურათი**
ფროინალ (236) — **ფროილაინ**
ფუნდამენტალური (5) — **ფუნდამენტური**
ფილოსოფურ-ეთიკური (398) — **ფილოსოფიურ...**

**შ**

შლიაპა (311, 349) — **შლაპა**

**ც**

ცინიკი (375) — არც ესაა ქართული სიტყვა: **ცინიკოსი** (როგორც ხაზგასმულია ორთ. ლექს. გვ. 582)

**ჰ**

ჰეროიკო-რომანტიკული (121) — **ჰეროიკულ...**

**ასეთია ზოგადად, ვიმეორებ, საგაზეთო სტატიის შეზღუდულ ფორმატში შენიშვნები მონოგრაფიის ორთოგრაფიულ პრობლემებზე. ცხადია, გაცილებით უკეთესი იქნებოდა ნაშრომის განხილვა უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოზე, სადაც გვერდებს მივყვებოდით და ავტორ-რედაქტორისა და გამომცემლობის მესვეურებთან ერთად გავაანალიზებდით ყველა საკითხს, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს არ მოხერხდა. რაც შეეხება იმას, თუ ვინ ბლოკავდა ამ ინიციატივას, გვარები უკვე დასახელდა და აღარ გავიმეორებ, მაგრამ რატომ? — ეს დღემდე ვერ გამიგია და მკითხველმა განსაჯოს.**

**გოგი დოლიძე**

**P.S. წინა სტატიაში, ე.წ. ტექნიკური მიზეზების გამო, „ჟანა დ'არკი" (გვ. 27, III სვეტი, აბზ. 15) უაპოსტროფოდ დაიბეჭდა, რისთვისაც უპრიანია ისევ ავტორმა მოიხადოს ბოდიში, რაც ვერაფერი სიამოვნებაა, მაგრამ მოვალეობას სად გაექცევი? — გ.დ.**



# როგორ შეარყია NATO-მ უკრაინა

**ნატოს მიზანია ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში უკრაინის შეყვანა, ამაზე ზრუნვა ნატომ უკვე უკრაინის დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე დაიწყო, საბჭოთა კავშირის დაცემის შემდეგ.**

**„ნაბიჯ-ნაბიჯ ამ მიზნის მისაღწევად ნატოს მიერ მუშავდებოდა ურთიერთობათა სისტემური სვლა, მათ რიცხვს მიეკუთვნება ხუთი ფორმალური ხელშეკრულება. 2014 წლის თებერვლის პუტჩი კი არის ზენიტი 22-წლიანი მომზადებისა",** — აღნიშნავს მალინო დინუცი.

**„კარგად იქექე, ძველო თხუნელავ",** — ასე დაახასიათა მარქსმა დაწყებითი წინასარევოლუციო სამუშაოები მე-19 საუკუნის შუალედში. დღეს იგივე სურათი შეიძლება შებრუნებული მიმართულებით იქნას გამოყენებული ნატოს ოპერატიულ ქმედებაზე უკრაინაში. ეს ოპერაცია იწყება 1991 წლიდან, როცა ვარშავის პაქტის შემდეგ საბჭოთა კავშირიც ინგრევა და, აქედან გამომდინარე, ერთი სახელმწიფო ერთეულის მაგივრად სახეზეა თხუთმეტი, მათ შორის უკრაინაც.

ამერიკის შეერთებული შტატები და მისი ევროპელი მოკავშირეები იმ მომენტიდანვე აქტიურდებიან ახალი გეოპოლიტიკური მოცემულობებიდან პოლიტიკური სარგებელის მოსაპოვებლად. **1999 წელს ნატო აქუცმაცებს იუგოსლავიის ფედერაციას ომის მეშვეობით. ეს იმ სახელმწიფოს, რომელიც ჩრდილოატლანტიკური ალიანსის აღმოსავლეთისკენ ექსპანსიის გეგმებს წინააღმდეგობას შეუქმნიდა, და ამავე დროს იერთებს ვარშავის პაქტის ყოფილ წევრ ქვეყნებს: პოლონეთს, ჩეხეთსა და უნგრეთს. შემდგომში 2004-2009 წლებში გაფართოებას იწყებს და იერთებს ესტონეთს, ლატვიას ლიტვას (ყოფილ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებს), ბულგარეთს, რუმინეთს, სლოვაკიას, სლოვენიას, ხორვატიას (ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკებს) და ალბანეთს.**

უკრაინია, რომლიც მოიცავს 600.000 კვადრატულ კილომეტრს, ბუფერია ნატოსა და რუსეთს შორის და ენერგეტიკული დერეფნებით დახაზულია რუსეთსა და ევროკავშირს შორის. მაგრამ ამავე დროს რჩება ავტონომიური. მაგრამ იგი ინტეგრირდება „ჩრდილოატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოში" და 1994 წელს კი „პარტნიორობა მშვიდობისათვის" მონაწილე ხდება და ამის საფუძველზე ბალკანეთის „სამშვიდობო მისიებში" მონაწილეობს. 2002 წელს მიღებულ იქნება „ნატოსა და უკრაინის სამოქმედო გეგმა" და პრეზიდენტ კუჩმას მიერ განცხადდება სურვილი უკრაინის ნატოში გაწევრიანების თაობაზე.

**2005 წელს „ნარინჯისფერი რევოლუციის" შემდეგ პრეზიდენტ იუშჩენკოს მიიწვევენ ნატოს სამიტზე ბრიუსელში. უშუალოდ ამის შემდგომ იწყება ინტენსიური დიალოგი იმ მიზნის მისაღწევად, რომელსაც უკრაინის ნატოში გაწევრიანება ჰქვია. 2008 წლის სამიტი ბუქარესტში მწვანე შუქს ანთებს გეგმის განსახოციელებლად. 2009 წელს თანხმდება კიევი ხელშეკრულებაზე, რომელიც ითვალისწინებს ნატოს ძალების მომარაგებას ავლანეთში ტრანზიტით უკრაინის გავლით. ამდენად, უკრაინის გაწევრიანება ნატოში უკვე ეჭვგარეშეა, მაგრამ 2010 წელს აცხადებს ახლადარჩეული პრეზიდენტი იანუკოვიჩი, რომ, მიუხედავად EU -სთან თანამშრომლობის გაგრძელებისა, უკრაინის ევროკავშირში გაწევრიანებას ხელისუფლება დღის წესრიგში არ აყენებს. იმავე დროს ნატო ახერხებს მოკავშირეთა ქსელის გაბმას უკრაინის შეიარაღებული ძალების მაღალ წრეებში.** მაღალი რანგის ოფიცრები იღებენ კურსებს ნატოს თავდაცვის კოლეჯში, რომში და ობერამმენგაუში (გერმანიაში) წლების მანძილზე, პროგრამა თემატურად უკავშირდება უკრაინის შეიარაღებული ძალების ინტეგრაციას ნატოში. ზუსტად ამ თემატურ ჩარჩოებში მოქმედებს „მრავალეროვანი ფაკულტეტი" ნატოს მასწავლებლებით უკრაინის სამხედრო აკადემიაში. აგრეთვე, ვითარდება ტექნიკურ-სამეცნიერო თანამშრომლობა იარაღის განვითარების თვალსაზრისით. ამასთან, **„როცა ბევრ უკრაინელს, უბრალოდ, ინფორმაცია არ გააჩნია და ისევე მოძველებული ცივი ომის სტერეოტიპებით საზღვრავს გარემოებებს", ნატომ კიევში დააარსა ინფორმაციის ცენტრი, რომელშიც სემინარები და შეხვედრები იმართება და ბრიუსელში შეხვედრებსაც კი აწყობს.**

და ასეთი სტრუქტურები რომ არსებობს, ეჭვგარეშეა ისიც, რომ **ნატოს გაცილებით ფართო კავშირები გააჩნია როგორც მილიტარულ, ასევე ცივილურ სამყაროში, ვიდრე ეს ჩანს, რასაც ამტკიცებს ნატოს გენერალური მდივნის საუბრის ტონი უკრაინის ჯარებისადმი 20 თებერვალს მიმართვისას. ის მოუწოდებდა ჯარისკაცებს, „ნეიტრალური დარჩენილიყვნენ", „რათა პირველი ნეგატიური ზემოქმედება არ მოხდეს ჩვენს ურთიერთობებზე".** ნატო ახლა დარწმუნებულია აღმოსავლეთისკენ გადადგმული ნაბიჯის შესაძლებლობაში და პროპაგანდისტულ კამპანიას მოძველებული ცივი ომის სტერეოტიპით აგრძელებს.

**მალინო დინუცი**
**Il Manifesto (Italia)**

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## 28 სამსახური 28 კვირაში

**29 წლის ჯუბანაშვა მიშრამ 28 კვირის განმავლობაში 28 სამსახური გამოიცვალა.** იგი მუშაობდა ფოტოგრაფად, მასწავლებლად, გიდად და სხვ. ერთდროულად სახალისო და საინტერესო პროექტი მიშრამ 2013 წლის მაისში დაიწყო. ბოლო პროფესია პროგრამული უზრუნველყოფის ინჟინერი იყო. **„უამრავი პროფესიაა, რომელიც ბავშვობაში მოგვწონს, მაგრამ ახალგაზრდობაში აღარ გვიზიდავს. იმედი მაქვს, ბევრი ახალგაზრდა მომბაძავს და ხვალ საკუთარ ოცნებებს გაჰყვება“,** — ამბობს იგი. ქალაქებსა და პროვინციებში მიშრა თვითმფრინავით, მატარებლით, ავტობუსით, ტაქსითა და მოტოციკლით მგზავრობდა. როგორც ამბობს, განცდილი შთაბეჭდილებები არასდროს დაავიწყდება. ამჟამად საკუთარ სახლში დაბრუნდა და წიგნს წერს.



# ყველაზე პოპულარული ცრურწმენები

**იტალიელები 17 ნოემბერს აღნიშნავენ შავი კატების დაცვის დღეს. ამ დღეს სწორედ იმ ცხოველს ევლებიან თავს, რომელიც მთელ მსოფლიოში ცრურწმენების მთავარ სიმბოლოდ არის მიჩნეული. მიუხედავად იმისა, გჯერათ თუ არა ცუდი ნიშნების, მათ გაჩენას გარკვეული მიზეზები აქვს. ყველაზე პოპულარული ცრურწმენების წარმოშობის მიზეზები კი მართლაც საინტერესოა.**




## პარასკევი, 13

რწმენა საშინელ დღეზე — 13 რიცხვის პარასკევზე — სავარაუდოდ, წარმოიშვა ძველი აღთქმის გადმოცემებისგან. სწორედ ამ დღეს მოკლა კაენმა თავისი ძმა აბელი. დროთა განმავლობაში ამ ლეგენდამ გარს შემოიხვია უამრავი მოსაზრება, რომლებმაც გამოიწვია 13 რიცხვის უბედურებასთან და წარუმატებლობასთან გაიგივება.



## ჩამოჯდომა სახლიდან გასვლამდე

ძველად ხალხს სჯეროდა კეთილი და ავი სულების, რომლებიც ვითომდა მართავდნენ სამყაროს. ითვლებოდა, რომ შინაური სულები ხალხს ეჩვეოდნენ და მათი გაშვება არსად სურდათ, ამიტომ ისინი შეეცდებოდნენ მათ უკან დაბრუნებას და გზა არ იქნებოდა მშვიდობიანი. აქედან გამომდინარე, სახლიდან გასვლისას უნდა ჩამოჯდე, რადგან სულები ამით ტყუვდებიან, ფიქრობენ, რომ არავინ არსად მიდის და ადამიანს თავს ანებებენ.



## დანით ჭამა

ძველად დანა ითვლებოდა არამარტო შრომის, არამედ თავდაცვის იარაღადაც — როგორც რაიმე უბედურებისგან, ასევე ბოროტი ძალებისგან. ასეთი მნიშვნელოვანი, მაგიური ნივთი ითხოვდა განსაკუთრებულ დამოკიდებულებას და მხოლოდ განსაკუთრებული რიტუალების ჩატარების შემდეგ გამოიყენებოდა. თვლიდნენ, რომ დანით ჭამა აღიზიანებდა სულებს, რომლებიც ადამიანს ბოროტად და აგრესიულად განაწყობდა ყველას მიმართ.



## ზღურბლს იქით

როგორც ცნობილია, ზღურბლს მიღმა რაიმეს გადაწოდება ცუდის ნიშანია. საქმე ისაა, რომ ძველად წინაპრების ფერფლი სახლის ზღურბლის ქვემოთ ინახებოდა. აქედან გამომდინარე, მათი შეწუხება იმით, რომ ზღურბლზე რაიმე გადაეწოდებინათ, განსაკუთრებით სახიფათოდ მიაჩნდათ. სწორედ ამიტომ არ შეიძლება ზღურბლზე ჯდომა. ზღურბლი დღემდე მიიჩნევა ორი სხვადასხვა სამყაროს — უსაფრთხო სახლსა და მტრულად განწყობილ სამყაროს, ან სააქაოსა და საიქიოს შორის საზღვრად.




## ორმოცი წლისთავის აღნიშვნა

ძალიან ბევრ კულტურაში რიცხვი 40 საკრალურადაა მიჩნეული. ის ხშირად გვხვდება ბიბლიაში: მოსე 40 წელი ატარებდა ებრაელებს უდაბნოში, 40 დღე გრძელდებოდა დიდი წყალდიდობა, 40 დღე გაატარა იესო ქრისტემ უდაბნოში მონათვლის შემდეგ... რიცხვ 40-თანაა დაკავშირებული უამრავი რიტუალი, რომლებიც ახლავს დაბადებასა და გარდაცვალებას. მაგალითად, ბავშვის უცხოებისთვის ჩვენება არ შეიძლებოდა მისი დაბადებიდან 40 დღის მანძილზე. მე-40 დღეს ბოლოჯერ აცილებენ მიცვალებულს საიქიოში, რადგან ითვლება, რომ ამ დღეს მისი სული სამუდამოდ ემშვიდობება სააქაოს. სწორედ ასეთ ფაქტებზე დაყრდნობით იჩინა თავი ასეთმა ცრურწმენამ.



## ნაგვის გადაყრა მზის ჩასვლის შემდეგ

ეს, სავარაუდოდ, ყველაზე პოპულარული ცრურწმენაა მამაკაცებში. პრინციპში, ეს ყველამ იცის, მაგრამ ცოტას თუ გაუგია მისი წარმოშობის ისტორია. ითვლება, რომ, თუ ნაგავს მზის ჩასვლის შემდეგ გადაყრით, თქვენ შესახებ არასასურველი ჭორები აგორდება, რაც სულაც არაა გასაკვირი — მეზობლებს არავითარ შემთხვევაში არ გამოეპარებათ, რომ, თუ სიბნელეში ყრით ნაგავს, ესე იგი თქვენი ნაგავი ძვირფასი ნივთებისგან შედგება. ასევე ამბობენ, თითქოს ამ დროს ნაგვის გადაყრისას თქვენ სახლიდან გაგაქვთ ბარაქა, მაგრამ ეს უკვე ლოგიკურ ახსნას ძნელად თუ დაექვემდებარება.



## შავი კატა

თუ გზაზე შავმა კატამ გადაგირბინათ, ესე იგი რაიმე უბედურებას უნდა ელოდოთ. ხშირად ღამის წყვდიადში მხედრებს თუ შავი კატა გადაურბენდათ გზაზე, ცხენები ყალყზე დგებოდნენ და მხედარი თავად მას ვერ ამჩნევდა და დაბლა ვარდებოდა.



## საათის ჩუქება

ჩვენს განათლებულ საუკუნეშიც კი საათის ჩუქება არასასურველად მიიჩნევა. რატომ? ეს ცრურწმენა სათავეს იღებს ჩინეთში, სადაც თვლიან, რომ, თუ საჩუქრად მიიღებენ საათს, ესე იგი მათ დაკრძალვაზე ეპატიჟებიან.



## რაიმეს აღება გზაჯვარედინზე

ხალხს სჯერა, რომ, თუ რომელიმე დაავადებას „გადაიტანთ“ რაიმე ნივთზე და დააგდებთ გზაჯვარედინზე, მას რაღაც უწმინდური წაიღებს. ზუსტად იმიტომ, რომ არ წაიღოთ სხვისი უსიამოვნებები თან, არ ღირს გზაჯვარედინიდან რაიმეს წამოღება, თანაც, რაც უფრო ძვირადღირებული იქნება ნივთი, მით უფრო დიდი გასაჭირი ან დაავადება იქნება მასზე „გადასული“.



## ცალი ფეხსაცმლით სიარული

ამ ცრურწმენას იცავდნენ თითქმის ყველა დროს. ძველი ხალხი ამბობს, რომ თუ ადამიანი დადის ცალი ფესაცმლით, იგი მალე დაობლდება.



## კბილებიანი თევზი

**თევზს, სახელწოდებით Pacu, რომელიც მდინარე ამაზონსა და ორინოკოში ბინადრობს, ადამიანის მსგავსი კბილები აქვს.** ის პირანიების ჯგუფს მიეკუთვნება, მაგრამ, მათგან განსხვავებით, ვეგეტარიანულ საკვებს ჭამს. განსხვავებაა სხეულის სტრუქტურაშიც. Pacu-ს, პირანიების მსგავსად, სამართებელივით ბასრი კბილები არ აქვს და მისი პირის ღრუ ადამიანისას ძალიან ჰგავს. მართალია, ისინი ისეთივე აგრესიულები არ არიან, როგორც პირანიები, მაგრამ მათთან „მეგობრობა“ მაინც სარისკოა; მათ აკვარიუმებში ათავსებენ, მაგრამ დიდი ზომის გამო მოგვიანებით ტბებში უშვებენ.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ყველაზე ძველი რესტორანი




**გინესის რეკორდების წიგნის თანახმად, „ბოტინი“ (Sobrino de Botin) მსოფლიოში უძველესი რესტორანია. მისი მდიდარი ისტორია იწყება 1725 წლიდან, როდესაც ცოლ-ქმარმა ბოტინებმა მადრიდში პატარა სასტუმრო გახსნეს, მის პირველ სართულზე კი საზოგადოებრივი კვების დაწესებულება განათავსეს. ამის თაობაზე იუწყება დაფა, რომელიც შენობის შესასვლელთან კიდი. მასზე რესტორნის დაარსების თარიღია მითითებული. იმავე წლით თარიღდება ღუმელი, რომელიც ამ დრომდე ერთგულად ემსახურება რესტორნის მზარეულებს.**

ცნობილია, რომ მე-18 საუკუნის დასაწყისამდე ესპანეთში აკრძალული იყო ხორცის, ღვინისა და სხვა პროდუქტების გაყიდვა საზოგადოებრივი კვების ობიექტებში, რადგან ეს ხელს უშლიდა პროდუქტებით მოვაჭრეებს მუშაობაში. ამიტომ „ბოტინში“ ამზადებდნენ და შემდეგ ყიდდნენ მხოლოდ იმ პროდუქტს, რომელიც თავად დაწესებულების კლიენტებს მიჰქონდათ.



დაახლოებით იმავე პერიოდში, 1765 წელს, „ბოტინში“ ჭურჭლის მრეცხავად მუშაობდა სახელგანთქმული მხატვარი ფრანცისკო გოია, ვიდრე ელოდა გადაწყვეტილებას სან-ფერნანდოს დახვეწილ ხელოვნებათა სამეფო აკადემიაში მისი მიღების შესახებ გადაწყვეტილებას (გოია ამ აკადემიაში არ მიიღეს).

მე-19 საუკუნეში, როდესაც ბოტინების ოჯახიდან პირდაპირი შთამომავალი არ დარჩა, რესტორნის მეპატრონე გახდა ბოლო მფლობელების დისშვილი კანდიდო რემისი, ამიტომაც რესტორნის ახლანდელი სახელწოდება თარგმანში ბოტინების დისშვილს ნიშნავს. მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ მაშინ ამ დაწესებულებას ტავერნას უწოდებდნენ.

მე-20 საუკუნის დასაწყისიდან „ბოტინის“ მმართველი გახდა გონსალესების ოჯახი, რომელთა მესამე შთამომავალიც ახლაცაა რესტორნის მეპატრონე. ამასთან, მხოლოდ პირველი სართული იქნა განკუთვნილი რესტორნისთვის, მეორე და მესამე სართულებზე კი გონსალესები თავად დასახლდნენ. მაშინ რესტორანში ცოლ-ქმარი გონსალესებისა და მათი სამი შვილის ჩათვლით სულ შვიდი ადამიანი მუშაობდა.

ესპანეთში სამოქალაქო ომის გარიჟრაჟზე (1936-1939) დიასახლისი ბავშვებთან ერთად იძულებული გახდა, სოფელში გადასულიყო საცხოვრებლად, ემილიო გონსალესი კი სახლში დარჩა. იმ პერიოდში „ბოტინი“ სამხედროების სასადილოდ იქცა.

ომის შემდეგ გონსალესების შვილებმა — ანტონიომ და ხოსემ გადაიბარეს ოჯახური ბიზნესი და რესტორანი ისეთად აქციეს, როგორიც ახლაა. ამჟამად რესტორანს ოთხი სართული უჭირავს და თითოეულზე შენარჩუნებულია პირველი მფლობელების დროინდელი ატმოსფერო.

**„ბოტინი“ ახლაც, როგორც ათეულობით წლის წინ, კასტინიურ სამზარეულოს ანიჭებს უპირატესობას, ეს სამზარეულო კი განთქმულია ბატკნისა და ღორის ხორცის შემწვარი კერძებით, თუმცა იქ სხვა ტრადიციულ კერძებსაც ამზადებენ.**

საინტერესოა, რომ, ზოგიერთი დაუზუსტებელი მონაცემების მიხედვით, მსოფლიოში ყველაზე ძველი რესტორანი არის ჩინური **„Ma Yu Ching's Bucket Chicken House“,** რომელიც 1153 წელს გაიხსნა. იქ სტუმრებს, ძირითადად, მაკარონით, ბრინჯით და შემწვარი ქათმით უმასპინძლდებიან.

# ყველაზე განათებული ტაძარი



**Luminarie De Cagna — შთამბეჭდავი სტრუქტურაა, რომელიც ცოტა ხნის წინ საჩვენებლად გამოფენილი იყო „სინათლის“ ფესტივალზე გენტში (ბელგია).**

ფესტივალზე მონაწილეობას იღებდა 30-ზე მეტი სტრუქტურა, ასევე დიდი რაოდენობით 3D პროექცია და სატელეფონო ჯიხურის ფორმის უზარმაზარი შუქმფენი აკვარიუმი.

Luminarie De Cagna თავისი 55 000 შუქდიოდური (LED) ნათურებითა და 28 მეტრის სიმაღლით ამ შოუში უდავო გამარჯვებული გახდა!



# ყველაზე ძვირფასი iPhone

**ოქროთი და ბრილიანტით შემკული მსოფლიოში ყველაზე ძვირფასი iPhone 16,7 მილიონი დოლარი ღირს.**

საუბარი ეხება სმარტფონ **iPhone 5 Black Diamond**-ს, რომლის დიზაინი ბრიტანელმა სტიუარტ ჰიუზმა ერთ-ერთი ჰონკონგელი ბიზნესმენის ექსკლუზიური შეკვეთით შარშან შექმნა. ახლა კი ეს მოდელი სერიულის სტატუსს მიიღებს და ბრიტანელი იუველირის ოფიციალურ საიტზე ყველა მსურველისთვის ხელმისაწვდომი იქნება.



**ტელეფონის კორპუსი 24-კარატიანი ოქროთია დამზადებული და 600 ბრილიანტით არის შემკული. დამატებით 53 ძვირფასი ქვა ვაშლის ლოგოტიპის შექმნას დასჭირდა, წინა პანელი კი საფირონის მინითაა დამზადებული. ტელეფონის წინა ღილაკი დიდმა, 26 კარატიანმა შავმა ბრილიანტმა ჩაანაცვლა.**

ლივერპულელი დიზაინერის თქმით, ნაკეთობის გაკეთებას 9 კვირა მოახმარა. პირველ შემკვეთს, რომელმაც ინკოგნიტოდ დარჩენა ისურვა, სმარტფონი 15,3 მილიონი დოლარი დაუჯდა. ჰიუზის კომპანია მყიდველს ოქროთი შემკობილი iPhone-ის შედარებით იაფფასიან ვერსიებსაც სთავაზობს. მათი ღირებულება ათიათასობით დოლარია.

# სისხლის ანალიზით სიკვდილის თარიღს დაადგენენ

**მეცნიერებმა შეიმუშავეს სისხლის ანალიზის მეთოდი, რომელიც უახლოეს ხუთ წელიწადში სიკვდილის რისკის განსაზღვრის შესაძლებლობას იძლევა. ფინელმა და ესტონელმა მკვლევარებმა დაახლოებით 17000 შედარებით ჯანმრთელი ადამიანის სისხლის ნიმუში შეაგროვეს და მათ 100-ზე მეტი სხვადასხვა ნაერთის არსებობაზე სკანირება გაუკეთეს.**



ანალიზის პარალელურად, სპეციალისტები რამდენიმე წელი ამ ადამიანებს თვალყურს ადევნებდნენ. შემდეგ მეცნიერებმა ცოცხალი ადამიანებისა და ამ პერიოდში გარდაცვლილების ტესტების შედეგები შეადარეს. მიღებულმა მონაცემებმა აჩვენა, რომ სიკვდილის მაღალი რისკის დროს ორგანიზმში ოთხი ბიომარკერი გამოვლინდება. მათი საშუალებით ფარული დაავადების გამოვლენა და სიცოცხლის ხანგრძლივობის პროგნოზირება შეიძლება.

ექიმების მიერ აღმოჩენილი ოთხი ნაერთი ონკოლოგიური დაავადების, ინფარქტის, ინსულტისა და სხვა სასიკვდილო პათოლოგიების რისკის შესახებ იტყობინება. ტესტირებისას გამოვლენილი ერთ-ერთი ბიომარკერი ალბუმინის ცილაა. მეცნიერები აღნიშნავენ, რომ ალბუმინის დონე ღვიძლის დაავადებების, დამწვრობისა და ონკოლოგიური სნეულებების დროს მკვეთრად იზრდება.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

### ტყუილის მუზეუმი

ამ მუზეუმის შემქმნელები სიამაყით არწმუნებენ დამთვალიერებლებს, რომ ყველა ექსპონატი, რომლებიც კი წარმოდგენილია აქ, გაყალბებულია. დამთვალიერებლის მოტყუება შენობაში შესვლისთანავე იწყება — ნაგებობა, ერთი შეხედვით, რამდენიმესაუკუნოვან ციხესიმაგრეს მოგაგონებთ, სინამდვილეში კი სულ რამდენიმე წლის წინ აშენდა.



# ყველაზე უცნაური მუზეუმები



### შოკოლადის მუზეუმი

ეს მუზეუმი კიოლნში მდებარეობს. მუზეუმის შენობას გემის ფორმა აქვს და მისი ფართი დაახლოებით 2000 კვ მეტრია. სხვა შოკოლადის მუზეუმებისგან განსხვავებით, აქ წარმოდგენილი ექსპონატები განასახიერებს აცტეკების დროიდან მოყოლებული, თანამედროვე ტექნოლოგიებამდე შოკოლადის ნაწარმს.



### ეროტიკის მუზეუმი

მუზეუმებს, რომლებიც ეროტიკული ხელოვნების დემონსტრირებას ახდენენ, როგორც წესი, უწოდებენ სექსმუზეუმს, ანუ ეროტიკის მუზეუმს. მსგავს მუზეუმებში თავმოყრილია სექსუალური და ეროტიკული ხასიათის ნივთები. ქალაქი ამსტერდამი უნიკალურია იმით, რომ იქ ორი ასეთი მუზეუმია.



### ფეხსაცმლის მუზეუმი

თუ ასობით წყვილი ფეხსაცმელი გაქვთ და არ იცით, როგორ მოიშოროთ თავიდან, შეგიძლიათ საკუთარი ფეხსაცმლის მუზეუმი გახსნათ. ასე მოიქცა 2001 წელს ფილიპინების პრეზიდენტის ცოლი იმელდა მარკოსი და მანილაში ფეხსაცმლის მუზეუმი გახსნა. მის კოლექციაში 800 წყვილი ფეხსაცმელია წარმოდგენილი.



### წამების საშუალებების მუზეუმი

ამ მუზეუმში წარმოდგენელია წამებისთვის განკუთვნილი სამოცზე მეტი დანადგარი, რომლებსაც შუა საუკუნეებში იყენებდნენ. სუსტი გულის მქონე ადამიანებისთვის ამ ექსპონატების ნახვა არ არის მიზანშეწონილი, რადგან მათ დამთვალიერებელზე ძლიერი ეფექტის მოხდენა შეუძლიათ.



### ჰოლანდიური ყველის მუზეუმი

ქალაქ ალკმაარმა საყოველთაო აღიარება ყველის წარმოების გამო მიიღო. სწორედ ამასთან დაკავშირებით გაიხსნა აქ ჰოლანდიური ყველის მუზეუმი. მუზეუმში წარმოდგენილი ექსპონატები ასახავენ ყველის წარმოების ისტორიას 1593 წლიდან ამ დრომდე.



### კანალიზაციის მუზეუმი

პარიზის საკანალიზაციო სისტემა ქალაქის ქვეშ 2000 კილომეტრის მანძილზეა განლაგებული. ამ მუზეუმს თამამად შეგვიძლია ვუწოდოთ მსოფლიოს ყველაზე უჩვეულო მუზეუმი, რამდენადაც მსურველებს აქ შეუძლიათ იხილონ პარიზის რეალურად მოქმედი საკანალიზაციო სისტემის არც თუ ისე დიდი ფრაგმენტი.



### გინესის ლუდის მუზეუმი

ამ დაწესებულების ოფიციალური დასახელება შემდეგნაირად ჟღერს — „ლუდსახარში წმინდა ჯეიმსის კარიბჭესთან“. აქ იწარმოება საყოველთაოდ ცნობილი ლუდი — ირლანდიური „გინესი“. მუზეუმში დამთვალიერებლებს აქვთ შესაძლებლობა, გაეცნონ ლუდის დამზადების საიდუმლოს. იქვე ახლოს მდებარეობს ლუდსახარშის დამაარსებლის, არტურ გინესის, სახლი.



### ჯეიმს ბონდის მუზეუმი

2009 წელს პიტერ ნელსონმა, სტომატოლოგმა და ჯეიმს ბონდის თაყვანისმცემელმა, კესვიკში (დიდი ბრიტანეთი) ჯეიმს ბონდის მსოფლიოში პირველი მუზეუმი დააარსა. მან მთელი მსოფლიო მოიარა ექსპონატების ძიებაში და ასიათასობით ფუნტი სტერლინგი დახარჯა. ნელსონის კოლექციის მთავარი ღირსშესანიშნაობები ბონდის ავტომობილებია, მათ შორისაა Triumph Stag ფილმიდან „ბრილიანტები მარადიულია“.




### მწეველების მუზეუმი

მაშინ, როდესაც მოწევის აკრძალვისა და თავის დანებების წინააღმდეგ მსოფლიოში უამრავი კამპანია ტარდება, პარიზში, ბასტილიის მოედანთან ახლოს, მოწევისადმი მიძღვნილი მუზეუმი გახსნეს. მუზეუმში წარმოდგენილია სხვადასხვა ზომისა და ფორმის ჩიბუხის კოლექცია, ფართოდ გავრცელებული და საკმაოდ იშვიათი სახეობების თამბაქო, ასევე ფოტოსურათები, გრავიურები და ნახატები.



### მარიხუანის მუზეუმი

მსგავსი მუზეუმი სად უნდა იყოს, თუ არა ამსტერდამში. კანაფისა და მარიხუანის მუზეუმში შეგიძლიათ გაეცნოთ ამ მცენარეების გამოყენების ისტორიას სხვადასხვა ეპოქაში.



### მაგიის მუზეუმი

ცოტა ხნის წინ ჩეხეთის დედაქალაქში, მალა-სტრანას რაიონში, გაიხსნა მუზეუმი, რომელიც ეძღვნება ალქიმიკოსებისა და ჯადოქრების შესახებ არსებულ მითებსა და ლეგენდებს.



### მუმიების მუზეუმი

მექსიკის ქალაქ გუანახუტოში უცნაურ მუზეუმს შეხვდებით. დამთვალიერებლებს შეუძლიათ იხილონ 100-ზე მეტი ადამიანის მუმიფიცირებული სხეულები.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95







## თმის მუზეუმი

დაგღალათ გრძელმა თმამ? შეიჭერით და შემდეგ ჩააბარეთ მუზეუმში, სადაც თქვენი თმისგან ნამდვილ შედევრს შექმნიან. ამ მუზეუმში ინახება 1800-იანი წლებით დათარიღებული თმა.



## ბანანების მუზეუმი

კენ ბენისტერმა ბანანების სიყვარულით 38 წლის წინ ბანანების მუზეუმი გახსნა. აქ შეხვდებით არამარტო ბანანის სხვადასხვა ჯიშს, არამედ ყველანაირ ნივთს, რომლებიც კი ბანანებთანაა დაკავშირებული.



## უიმედო სიყვარულის მუზეუმი

რამდენიმე წლის წინ ხორვატიის დედაქალაქში ახალი მუზეუმი გაიხსნა. მისი ძირითადი თემატიკა შეუმდგარ სასიყვარულო ურთიერთობებზეა აგებული. კოლექციაშია ის ექსპონატები, რომლებიც ყოფილმა შეყვარებულებმა მუზეუმს შესწირეს.



## ცნობილი ადამიანების საცვლების მუზეუმი

ბრიუსელში უამრავი საინტერესო ადგილის მონახულება შეგიძლიათ. ეს მუზეუმი კი ნამდვილად გამორჩეულია, რადგან აქ შეგიძლიათ იხილოთ ისეთი პოპულარული ადამიანების საცვლები, როგორებიც არიან ლედი დი, მაიკლ ჯექსონი და ნიკოლა სარკოზიც კი.





# ყინულის ორკესტრი

**შვედეთში შექმნეს ორკესტრი მუსიკალური ინსტრუმენტებით, რომლებიც დამზადებულია ყინულისგან. ალბათ, უკვე ბევრს აღარ უკვირს ქანდაკებები და შენობებიც კი, რომლებიც დამზადებულია უჩვეულო „სამშენებლო მასალებისგან" — ყინულისა და თოვლისგან. შვედეთის ქალაქ ლულეას მოსახლეობამ გადაწყვიტა, უფრო შორს წასულიყო: მათ შექმნეს ორკესტრი, რომელიც უკრავს ყინულის მუსიკალურ ინსტრუმენტებზე.**

შვედეთის მხატვარ-მოქანდაკის — ტიმ ლინჰარტის წყალობით, რომელმაც დამზადებისას გაითვალიწინა ყველაზე უმნიშვნელო დეტალებიც კი, ყინულის ორკესტრში გამოჩნდა ვიოლინო, ვიოლონჩელი, კონტრაბასი, გიტარა, ალტი (ვიოლა), ბანჯო, ქსილოფონი, მანდოლინა და დასარტყმელი ინსტრუმენტები.

ყველა მსურველს აქვს საშუალება, დაესწროს ორკესტრის კონცერტებს, რომლებიც ტარდება ღამის კლუბში, სადაც შენარჩუნებულია საჭირო დაბალი ტემპერატურა.





# ყველაზე ექსკლუზიური რესტორანი

**ამერიკაში მდებარე რესტორანი Damon Baehrel მსოფლიოში ყველაზე ექსკლუზიური დაწესებულებაა. თუ ამ რესტორანში სადილობა გადაწყვიტეთ, სადილს ხუთი წელი უნდა ელოდოთ.**

რესტორანში მხოლოდ 12 მაგიდა და 18 სტუმრისთვის განკუთვნილი ადგილია. დაწესებულებაში მხოლოდ 1 ადამიანი, რესტორნის მფლობელი ბეიჰრელი მუშაობს. ყოველ ღამე სტუმრებისთვის სწორედ ის ამზადებს უგემრიელეს კერძებს. მართალია, მას მზარეულობის სპეციალური კურსები არ გაუვლია, მაგრამ, როგორც სტუმრები ამბობენ, გრძელ რიგში დგომა ნამდვილად ღირს. მან თავად ააშენა სამზარეულო და ყველა მნიშვნელოვანი ატრიბუტით მოაწყო. კერძების ღირებულება 255 დოლარია. თუ სასმელების ფასსაც გადახედავთ, დარწმუნდებით, რომ მენიუს საშუალო ხელფასით ვერ გაწვდებით. მაგიდის დაჯავშნა იმეილით ხდება. რესტორნის სტუმრები ჰოლივუდის ვარსკვლავები და საზოგადოებისთვის ცნობილი სახეები არიან.



# «მარგარიტა და არმანი», «შოპენიანა» და «Petite Mort» — თბილისში

**19 მარტს, 20 საათზე რუსთაველის თეატრში თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის საბალეტო დასი, ალ ბუსტანის ფესტივალიდან დაბრუნების შემდეგ, მორიგ სპექტაკლს გამართავს.**

მაყურებელს კიდევ ერთხელ ეძლევა შესაძლებლობა, **ფრედერიკ ეშტონის** ერთმოქმედებიან ბალეტში **„მარგარიტა და არმანი“** იხილოს პრიმა-ბალერინა **ნინო ანანიაშვილი.** ამჯერად მას პარტნიორობას გაუწევს ბელარუსის ოპერისა და ბალეტის ნაციონალური აკადემიური სახელმწიფო დიდი თეატრის წამყვანი სოლისტი **იგორ არტამონოვი.**

ერთმოქმედებიანი ბალეტების საღამოს პროგრამაში ნინო ანანიაშვილი და იგორ არტამონოვი, საბალეტო დასთან ერთად, კიდევ ერთ ბალეტში — **„შოპენიანაში“** მიიღებენ მონაწილეობას.

საბალეტო დასი ასევე წარმოადგენს **ირჟი კილიანის** ბალეტს **„Petite Mort“.**

სპექტაკლში მონაწილეობს თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის ორკესტრი **დავით მუქერიას** დირიჟორობით. „მარგარიტა და არმანში“ ფორტეპიანოს პარტიას **თამარ მაჭავარიანი** შეასრულებს.




# გუბაზ სანიკიძე: «ოცნება» «ნაციონალებით» გაივსო... ისემც უქნიათ, ყიზილბაშები შეუყვანიათ!



**„მინისტრთა კაბინეტში რეალურად ორი ეფექტური მინისტრია — ნარმანია და სერგეენკო... ზოგი კი, საერთოდ, დედამიწას არ ატყვია!“** — განაცხადა გუბაზ სანიკიძემ „ეროვნული ფორუმის“ შეკრებაზე.

გუბაზ სანიკიძე კოალიციაში შემავალი პარტიების მიმართაც გამოხატავს გულისწყრომას და აცხადებს, რომ ხელისუფლებაში მყოფი 5 პარტია მათ (ფორუმს) უსამართლოდ ექცევა.

„საქართველოში საკმაოდ მრავალფეროვანი ჯგუფი გაჩნდა, რომლებიც სხვადასხვა პარტიიდან პარტიაში მომთაბარეობს. ჯერ იყვნენ მოქალაქეთა კავშირში, შემდეგ — „ნაციონალურ მოძრაობაში“, ახლა კი — „ქართულ ოცნებაში“. ასეთი ადამიანები, როგორც წესი, უნამუსო ხალხია. საქართველო არის ქვეყანა, რომელშიც უნამუსოები უფრო ცხოვრობენ, ვიდრე ნამუსიანები. ვიდრე აფხაზს და ოსს ვეტყვით, „მოდი, შემოგვიერთდითო“, მანამდე უნდა დავანახოთ, რატომ უნდა იცხოვრონ საქართველოში. უსამართლო სახელმწიფო, დაქცეული ეკონომიკა, წინა ხელისუფლება ანტიქართული, ყველაფერ ქართულს დავცინით, სამართალი არ გვაქვს — ასეთია რეალობა. კოალიციაში შემავალი ხუთი პარტია სამართლიანად არ გვექცევა, მათ თავიანთი ინტერესები აქვთ, ჩვენ ერთმანეთის პარტიულ საქმიანობაში არ ვერევით. პარტია „ოცნება“ რომ „ნაციონალებით“ გაივსო, პრეტენზიას ვერ წავუყენებთ, რადგან ეს მათი პარტიული საქმეა, ისემც უქნიათ, შიგნით ყიზილბაშები შეუყვანიათ! ექვსი პოლიტიკური პარტიისგან შემდგარი გაერთიანებაა, რომელიც „ნაციონალური მოძრაობის“ წინააღმდეგ შეიქმნა. ბიძინა ივანიშვილმა თავი მოგვიყარა და ლიდერის პრობლემა გადაწყვიტა. რესპუბლიკელებს სხვა იდეოლოგია აქვთ, „ფორუმს“ — სხვანაირი, დანარჩენი პარტიების იდეოლოგია კი ვერ გავიგე“, — განაცხადა გუბაზ სანიკიძემ პარტიულ კონფერენციაზე.

# დააბრუნეთ «ელიტ ელექტრონიქსი», მისი გადარჩენა ჯერ კიდევ შესაძლებელია!

**ზუსტად ოთხი წლის წინათ, 2010 წლის 11 მარტს, ზუსტად ამ დარბაზში გავმართე საგანგებო ბრიფინგი, გაუწყებდით „თიბისი ბანკის“ მაქინაციების შესახებ, ვაცხადებდი: „თიბისი ბანკმა“ უკანონოდ შემოაღწია „ელიტ ელექტრონიქსის“ მმართველობაში, კომპანიაში, რომელიც 1996 წელს დავაფუძნე, დავიწყე ერთი ჯიხურით და 15 წლის მანძილზე, 2009 წლამდე, კომპანია, ჩემს თანაგუნდელებთან ერთად, გავხადე ტექნიკის ბაზარზე ლიდერი, ყველაზე დიდი და გამართული ქსელით – 59 მაღაზიითა და 2000 თანამშრომლით. მაშინ ვაცხადებდი, რომ „თიბისი ბანკმა“ უკანონოდ მოპოვებული მართვის უფლებით მოახდინა ჩემი მენეჯმენტის დათხოვნა და დირექტორად დანიშნა „თიბისი ბანკის“ თანამშრომელი დავით კენჭაძე. მაშინ დარწმუნებით ვაცხადებდი, რომ „თიბისი ბანკს“ ჩემი გადაყენება მხოლოდ იმიტომ სჭირდებოდა, რომ დაერღვია კრედიტი და „ელიტ ელექტრონიქსის“ წილს დაპატრონებოდა, რასაც მედიასთან „თიბისი ბანკი“ სასტიკად უარყოფდა, თუმცა ბრიფინგიდან ხუთ დღეში ჩემი ვარაუდი გამართლდა.**

„ელიტ ელექტრონიქსის ახალმა დირექტორმა დავით კენჭაძემ დაარღვია კრედიტის დაფარვის ვადა და ამ საფუძვლით „ელიტ ელექტრონიქსი“ „თიბისი ბანკმა“ დაისაკუთრა. (იხ. „თიბისი ბანკის“ წერილი) ჩვენ მოვლენების კვალდაკვალ ვააშკარავებდით მათ დანაშაულებრივ ფაქტებს, გასაჩუმებლად კი ჩემი დაპატიმრება გახდა საჭირო.

დღევანდელი საგანგებო ბრიფინგი კი ამ ამბიდან ოთხი წლის შემდეგ გამოიწვია მამუკა ხაზარაძისა და „ელიტ ელექტრონიქსის“ მიერ გავრცელებულმა განცხადებებმა, აღმაშფოთა მათ მიერ გაცხადებულმა კიდევ ერთმა მაქინაციამ, ახალი ხელისუფლების პერიოდში „ელიტ ელექტრონიქსზე“ მოხდა ფინანსური ჯარიმის დარიცხვა — ანზორ ქოქოლაძის მმართველობის პერიოდზე — 2007 წელზე და კომპანია საფრთხის ქვეშააო.

ეს ისტორია ჩემთვის უკვე კარგად ნაცნობია. ცხადია, რისთვისაც ემზადებიან. **ასე დაიწყო „თიბისი ბანკმა“ 2009 წელსაც — განცხადებებით, შემდეგ უკანონო მაქინაციებით, პროკურატურის, ფინანსური პოლიციისა და სასამართლოს დახმარებით „ელიტ ელექტრონიქსი“ დაისაკუთრა, რომელიც მალევე დავით კეზერაშვილის კომპანია „ელიტ ეფლაიენსს“ გადაუფორმა და დღესაც კეზერაშვილის გუნდის წევრები მართავენ კომპანიას.**

მისი მდგომარეობის გათვალისწინებით, მათ უკვე იციან, რომ „ელიტ ელექტრონიქსის“ გაკოტრება გარდაუვალია, რადგან ერთი მეორის მიყოლებით იკეტება მაღაზიები, ვერ ასრულებენ რეაბილიტაციის გეგმას, კრედიტორები უჩივიან და გამოსავალს ვეღარ ხედავენ. **დარწმუნებული ვარ „ელიტ ელექტრონიქსში“ შეგნებულად არ მიაწოდეს საგადასახადო სამსახურს დოკუმენტაცია, რადგან ეს დარიცხვა მათ სჭირდებათ მათი მხრიდან წინა წლებში ჩადენილი დანაშაულებისა და კომპანიაში არსებული ვითარების შესანიღბად და მარკეტინგული პიარის საშუალებით წარუმატებლობის დასაფარად. დღეს, როდესაც ახალი ხელისუფლების მხრიდან შეწყდა ბიზნესზე ზეწოლა და ბიზნესმენებს მოგვეცა რეალური ბიზნესის კეთების შესაძლებლობა, ისინი ამ გზით ცდილობენ საზოგადოების შეცდომაში შეყვანას, მათი უუნარობის ჩემს სახელთან დაკავშირებას.**

მოვუწოდებ „თიბისი ბანკის“ დამფუძნებლებს — მამუკა ხაზარაძესა და ბადრი ჯაფარიძეს, შეწყვიტონ ძველ ხელისუფლებასთან გარიგებით ჩადენილ ქმედებებზე თავისმართლების მიზნით პრესკონფერენციებისა და დემაგოგიური განცხადებების გავრცელება. თუ ნამდვილად უნდათ შელახული იმიჯის რეაბილიტაცია, საზოგადოების შეცდომაში შეყვანის მცდელობის ნაცვლად, დააბრუნონ ძველ ხელისუფლებასთან ერთად ბიზნესმენებისთვის უკანონოდ წართმეული აქტივები, რითაც დავრწმუნდებით ჩვენც და საზოგადოებაც, რომ „თიბისი ბანკი“ ამ საქმეებში იძულებით და ზეწოლით მონაწილეობდა და არა ენთუზიაზმით.

**მივმართავ პროკურატურას! დააჩქაროს პროკურატურაში ჩვენ მიერ 2012 წლის დეკემბერში შეტანილი საჩივრის გამოძიება — ძველი ხელისუფლებისა და „თიბისი ბანკის“ უკანონო მოქმედებების გამოსაძიებლად! გამოაშკარავდეს და ღიად დაფიქსირდეს ბიზნესის წართმევის უკანონო სქემა, რათა აღარასოდეს გაუჩნდეს ძველი ხელისუფლების მაღალჩინოსნებს, მათთან გარიგებაში მყოფ მამუკა ხაზარაძესა და ბადრი ჯაფარიძეს მსგავსი ცდუნების სურვილი, რათა აღიკვეთოს მათი დემაგოგიური განცხადებები და უკანონო ქმედებები.**

როგორც ჩანს, ამ ტენდენციით „ელიტ ელექტრონიქსი“ მალე აღმოჩნდება გაკოტრების წინაშე, რის შემდეგაც მამუკა ხაზარაძე ან მისი წარმომადგენლები გამოვლენ და იტყვიან, ანზორ ქოქოლაძის ქმედებების გამო კომპანიის გადარჩენა ვერ მოხერხდაო. ასე რომ არ მოხდეს, კიდევ ერთხელ ვუწვდით მშვიდობის ხელს და წინასწარ საჯაროდ ვუცხადებთ მათ:

**დააბრუნეთ „ელიტ ელექტრონიქსი“, კომპანიის გადარჩენა ჯერ კიდევ შესაძლებელია. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ კომპანიას შემოვაბრუნებთ აქტიური განვითარებისკენ, 2 წელიწადში კომპანია სრულად დაფარავს ყველა კრედიტორის წინაშე არსებულ ვალდებულებას, მათ შორის „თიბისი ბანკისას“. წინააღმდეგ შემთხვევაში ფინანსური ზარალის სრული ანაზღაურება მოუწევს „თიბისი ბანკს“ და მამუკა ხაზარაძეს; ასევე, დაეკისრებათ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ამ საქმეში მონაწილე ყოფილი ხელისუფლების მაღალჩინოსნებთან ერთად.**

**ანზორ ქოქოლაძე**

# მიხეილ სააკაშვილის დასჯას გამოკითხულთა 78 პროცენტი მოითხოვს

**საინფორმაციო სააგენტო „ექსკლუზივ ნიუსმა“ სამი თვის წინ მოსახლეობის გამოკითხვა დაიწყო — „მოითხოვთ თუ არა მიხეილ სააკაშვილის დასჯას?“, რომელიც 17 მარტს დასრულდა.**

გამოკითხვაში 1441 რესპონდენტი მონაწილეობდა. გამოკითხულთა 78%, ანუ 1112 რესპონდენტი თვლის, რომ ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი უნდა დაისაჯოს; 19% მიიჩნევს, რომ მიხეილ სააკაშვილი არ უნდა დაისაჯოს; გამოკითხულთა 3%-მა, ანუ 49 რესპონდენტმა კითხვაზე პასუხის გაცემისგან თავი შეიკავა.


# ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდური ართროზის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა; დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე ძვლის მკვებავებით, წონის დაკლება 5-15 კგ-მდე თვეში, მიღებული შედეგის სტაბილური შენარჩუნებით დიეტებისა და ვარჯიშის გარეშე.

ასევე **სიმაღლეში სწრაფი ზრდა 20-დან 25 წლამდე,** კურსით 3-5 სმ მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალებისა და ვიტამინების ნაკრებით + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. მკურნალობა მცენარეული პრეპარატების უკუჩვენებების გარეშე, იმუნიტეტის გაძლიერებით (კეთდება მასაჟი ძვალ-სახსართა პრობლემებზე) შედეგები გარანტირებულია.

**ტ. 555-62-09-01 ექიმი ქ-ნი მეგი;
ტ. 218-46-08 ოფისი**

# მკურნალობა მამაკაცებისთვის

პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდვის შეკავება, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის წმენდა უჯრედულ დონეზე სოკოვანი და მიკრობული ინფექციებისგან, რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, ნევროზი) ღვიძლის ფუნქციის აღდგენა-მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით უკუჩვენების გარეშე.

პროგრამა შედგენილია ინდივიდუალური დანიშნულებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, 100%-იანი შედეგით.

**ტელ. 558-15-63-87;
218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა**

საქართველო და მსოფლიო
ყოველკვირეული გამოცემა
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

http://www.geworld.ge


მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru

ISSN 2233-3894
9 772233 389009